

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სადოქტორო პროგრამა: ფილოლოგია

დიანა კაკაშვილი

სიტყვაწარმოება წოვათუშურ ენაში

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. მერაბ ჩუხუა
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. სტავროს სკოპეტეასი

თბილისი

2025

აბსტრაქტი

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს წოვათუშური ენის სიტყვაწარმოებითი სისტემის ფუნდამენტური სინქრონიული ანალიზი, დიაქრონიული მონაცემების გათვალისწინებით. კვლევის ფარგლებში შესწავლილია არსებითი სახელების, ზედსართავი სახელების, მიმღებების, ნაცვალსახელების, რიცხვითი სახელების, მასდარების, ზმნებისა და ზმნისართების დერივაციული და კომპოზიტიური წარმოება. გამოკვეთილია პროდუქტიული სიტყვაწარმოებითი მოდელები და მოქმედი შეზღუდვები. ნაშრომში აღნუსხულია თითოეული სადერივაციო აფიქსი, განხილულია მათი ეტიმოლოგიური ასპექტები. კვლევა აგრეთვე მოიცავს წოვათუშური ენის კომპოზიტების სტრუქტურული და სემანტიკური მოდელების აღწერას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფუძის შენების პროცესს თითოეული მეტყველების ნაწილის ფარგლებში; უნიკალურ სიტყვაწარმოებით მოდელებს, რომლებიც წოვათუშურს გამოარჩევს სხვა ნახური ენებისგან და ქართულ ენასთან კონტაქტის გავლენას მის სიტყვაწათსაწარმოქმნო სისტემაზე. ნაშრომი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს წოვათუშური ენის სიტყვაწარმოებითი მექანიზმების სიღრმისეულ გააზრებაში და ზოგადად, ნახურ ენათა შედარებით კვლევებში.

Abstract

The aim of the present dissertation is to provide a comprehensive synchronic analysis of the Tsova-Tush word-formation system, taking into account diachronic data. This study investigates the derivation and compounding of nouns, adjectives, participles, pronouns, numerals, masdars, verbs, and adverbs, identifying productive word-formation models and existing constraints. The dissertation examines each derivational affix and discusses its etymological aspects. Additionally, the dissertation describes the structural and semantic models of Tsova-Tush compounds. Particular attention is paid to stem formation processes within each part of speech, unique word-formation models distinguishing Tsova-Tush from other Nakh languages, and the influence of Georgian language contact on the Tsova-Tush word-formation system. This dissertation will make a significant contribution to the in-depth understanding of Tsova-Tush word-formation mechanisms and, more broadly, to comparative studies of Nakh languages

სარჩევი

სქემები.....	VI
აბრევიატურა.....	VII
შესავალი.....	1
0.1. წოვათუშური ენის გავრცელების არეალი და ენობრივი ვითარება.....	1
0.2. საკვლევი პრობლემა და მისი აქტუალურობა.....	3
0.3. კვლევის მიზანი.....	5
0.4. საკვლევი საკითხები.....	6
0.5. თეორიული ჩარჩო და კვლევის მეთოდოლოგია.....	7
0.6. საკითხის შესწავლის ისტორია.....	9
1. არსებითი სახელის წარმოება.....	17
1.1. შესავალი.....	17
1.2. სუფიქსი -ილა, ნაზმნარი სახელი.....	18
1.3. -ღარ და -ღუდ სუფიქსები, ასოციაციური მრავლობითი.....	23
1.4. სუფიქსი -ომ, ნაზმნარი სახელები.....	28
1.5. -ოლ და -ლობ სუფიქსი, აბსტრაქტული სახელები.....	29
1.6. სუფიქსი -ა, აბსტრაქტული სახელები, ტოპონიმები.....	31
1.7. სუფიქსი -რნა, მცენარეთა კრებულის აღმნიშვნელი სახელები.....	34
1.8. სუფიქსი -ხოვ, ნომინალიზებული სუბიექტი.....	36
1.9. გრამატიკული კლასის კატეგორია და არსებით სახელთა წარმოება გაქვავებული კლასის ნიშნები არსებით სახელებში.....	37
1.10. სუფიქსი -არ, მასდარი.....	45
1.11. ქართულიდან ნასესხები აფიქსები.....	46
1.12. არსებით სახელთა კომპოზიციური წარმოება.....	47
1.13. დასკვნა.....	53
2. ზედსართავი სახელის, მიმღობისა და ნაცვალსახელის წარმოება.....	55
2.1. შესავალი.....	55
2.2. ვითარებითი ზედსართავი სახელები.....	56
2.3. განსხვავებული მორფოლოგიური სტრუქტურის მქონე ზედსართავი სახელები.....	72
2.4. გრამატიკული კლასის კატეგორია ზედსართავ სახელებში.....	74
2.5. ზედსართავი სახელებისა და ზმნისართების საზიარო ფორმები.....	78
2.6. მიმართებითი ზედსართავი სახელები.....	80
2.7. სუფიქსი -წი ^ნ / ^{წე} , უქონლობა-უყოლობის სახელები.....	83

2.8.	სუფიქსი -რე ^ნ / ^ლ , ქონა-ყოლის სახელები.....	91
2.9.	სუფიქსი -ოვ/-ავ/-ივ, ეთნონიმები და მამაკაცთა კლასის წარმომავლობის სახელები 94	
2.10.	სუფიქსი -ლი ^ნ , ქონა-ყოლის სახელები.....	101
2.11.	სუფიქსი -ვე ^ნ , ქონა-ყოლის სახელები.....	103
2.12.	სუფიქსი -ლაკ, ხასიათისა და თვისების გამომხატველი ზედსართავები	106
2.13.	სუფიქსი -რიკ, ხასიათისა და თვისების გამომხატველი ნაზმნარი ფორმები.....	107
2.14.	სუფიქსი -ლე ^ნ , მსგავსების სახელები	114
2.15.	სუფიქსი -ლდე ^ნ , რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები.....	119
2.16.	სუფიქსი -ლუ ^ნ , დროის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელები.....	120
2.17.	ქართულიდან ნასესხები მაზედსართავებელი სუფიქსები	121
2.18.	კომპოზიტიური ზედსართავი სახელები	123
2.19.	კომპოზიტთა სტრუქტურული ტიპები.....	124
2.20.	მიმღობა	130
2.21.	აწმყო და მყოფადი დროის მიმღობები.....	130
2.22.	ნამყო დროის მიმღობა.....	138
2.23.	კლასში შეთანხმება კომპოზიტიურ მიმღობებში	141
2.24.	ნაცვალსახელთა წარმოება	143
2.25.	კუთვნილებითი ნაცვალსახელები.....	143
2.26.	კითხვითი ნაცვალსახელები და სხვა კითხვითი სიტყვები	144
2.27.	განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები და მსგავსი წარმოების სხვა ფორმები .	145
2.28.	უარყოფითი ნაცვალსახელები და მსგავსი წარმოების ფორმები	146
2.29.	მიმართებითი ნაცვალსახელები.....	146
2.30.	დასკვნა.....	146
3.	ზმნისართების წარმოება	148
3.1.	სუფიქსი -შ, ვითარების ზმნისართები, კონვერბები	149
3.2.	სუფიქსი -ხ, ადგილისა და დროის ზმნისართები	154
3.3.	სუფიქსი -ვ, ადგილის ზმნისართები	156
3.4.	სუფიქსი -■, ადგილისა და დროის ზმნისართები	156
3.5.	სუფიქსი -ლო, ადგილისა და დროის ზმნისართები.....	158
3.6.	რედუპლიკაცია.....	159
3.7.	სუფიქსი -წ, ჯერობის ზმნისართები.....	161
3.8.	ნაწილაკდართული ზმნისართები.....	161

3.9. დასკვნა	162
4. ზმნური სიტყვაწარმოება	164
4.1. ნასახელარი ზმნები. არსებითი სახელი აბსოლუტიურ ბრუნვაში პირველ კომპონენტად	165
4.2. ნაზედსართავალი ზმნები.....	175
4.3. ნაზმნიზედარი ზმნები	178
4.4. ქართულიდან ნასესხები ზმნები	180
4.5. დასკვნა	189
ძირითადი დასკვნები	190

ცხრილები

ცხრილი 1. არსებით სახელთა მაწარმოებელი აფიქსები და საყრდენი ფუძეები.....	18
ცხრილი 2. გრამატიკული კლასის ნიშნები	38
ცხრილი 3. ზედსართავ სახელთა სადერივაციო სუფიქსები.....	82
ცხრილი 4. კუთვნილებით ნაცვალსახელთა წარმოება	144
ცხრილი 5. რთული ზმნების სტრუქტურა	166
ცხრილი 6. ქართულიდან ნასესხები უთემისნიშნო საწყისები.....	183
ცხრილი 7. ქართულიდან ნასესხები თემისნიშნიანი საწყისები	183
ცხრილი 8. ზმნისწინიანი ფორმების სესხება	184
ცხრილი 9. სადერივაციო აფიქსები და მათი საყრდენი ფუძეები	195

სქემები

სქემა 1. მორფემათა იერარქიული წყობა.....	87
სქემა 2. მორფემათა იერარქიული წყობა.....	87
სქემა 3. დერივაციული ფუძის წარმოება	104
სქემა 4. მსგავსების სახელების წარმოება ზედსართავი სახელის ფუძისაგან	115
სქემა 5. მსგავსების სახელთა წარმოება არსებითი სახელის ფუძისაგან	118

აბრევიატურა¹

1	პირველი პირი
2	მეორე პირი
3	მესამე პირი
ABS	აბსოლუტიური ბრუნვა
ABSTR	აბსტრაქტული სახელი
ADD	ადიტიური ნაწილაკი
ADJZ	მაზედსართავებელი აფიქსი
ADV	გარდაქცევითი ბრუნვა
ALL	ალატივი
AOR	აორისტი
ASS	ასოციაციური მრავლობითი
B	ბ კლასი
CARD	რიგობითი რიცხვითი სახელი
CL	გრამატიკული კლასი
COM	თანაობითი ბრუნვა
CONT	გამსჭვალვითი ბრუნვა
CVB	კონვერბი
D	დ კლასი
DAT	მიცემითი ბრუნვა
DEM	ჩვენებითი ნაცვალსახელი
DIST	დისტალური
ERG	ერგატიული ბრუნვა
ESS	ესიური ბრუნვა
EXCL	ექსკლუზივი
FRACT	წილობითი რიცხვითი სახელი
FUT	მყოფადი
GEN	ნათესაობითი ბრუნვა
ILL	ილატივი
IMP	ბრძანებითი
INCL	ინკლუზივი
INF	ინფინიტივი
INSTR	მოქმედებითი ბრუნვა
INTR	გარდაუვალი

¹ აბრევიატურა გაკეთებულია საერთაშორისო სტანდარტის – ლაიფციგის გლოსირების წესების მიხედვით

IPFV	უსრული ასპექტი
J	II კლასი
LN	საგვარეულო სახელები
MSD	მასდარი
MED	მედიალური
NEG	უარყოფითი ნაწილაკი
NMLZ	მასუბსტანტივებელი სუფიქსი
NPST	არაწარსული (აწმყო და მყოფადი)
NUM	რიცხვითი სახელი
OBL	ირიბი ფუძე; ირიბი ფუძის მაწარმოებელი სუფიქსი
ORD	რიგობითი რიცხვითი სახელი
PL	მრავლობითი რიცხვი
PRIV	უქონლობა-უყოლობის სუფიქსი
PRON	ნაცვალსახელი
PROX	პროქსიმალური
PRS	აწმყო დრო
PRT	ნაწილაკი
PST	ნამყო დრო
PTCP	მიმღეობა
PV	ზმნისწინი
SG	მხოლობითი რიცხვი
TIMES	ჯერობითი რიცხვითი სახელი
TR	გარდამავალი
VN	ნაზმნარი სახელი

შესავალი

0.1. წოვათუშური ენის გავრცელების არეალი და ენობრივი ვითარება

წოვათუშური მიეკუთვნება ნახური ენების ჯგუფს, რომელშიც კიდევ ორი ენა – ჩეჩნური და ინგუშური არის წარმოდგენილი. ეს უკანასკნელნი თავიანთი გრამატიკული სტრუქტურითა და ლექსიკით შედარებით უფრო ახლოს დგანან ერთმანეთთან, ვიდრე წოვათუშურთან. ჩეჩნურსა და ინგუშურ ენებზე ხერხდება მხოლოდ ნაწილობრივი, მინიმალური ურთიერთგაგებინება, წოვათუშურზე კი ვერა. თუმცა წოვათუშურად მოლაპარაკებებსაც შეუძლიათ ჩეჩნური და ინგუშური ცალკეული სიტყვების გაგება (Polinsky, 2020, p. 317).

წოვათუშური უდამწერლობო, ამჟამად გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ენაა. მასში არ განირჩევა დიალექტური სახესხვაობები. წოვათუშურად დღესდღეობით კახეთის მხოლოდ ერთ სოფელში – ზემო ალვანში (ახმეტის მუნიციპალიტეტი) დაახლოებით ოთხასი-ხუთასი ადამიანიდა საუბრობს (Hauk, 2020, Wichers Schreur, 2024). წოვათუშები ბარში, ალვანის მიდამოებში, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ცხოვრობენ, მანამდე კი თუშეთში, კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა სახლობდნენ ისევე, როგორც დანარჩენი თემის თუშები.

ადმინისტრაციულად თუშები ოთხ საზოგადოებად, ტერიტორიულ თემად ცხოვრობდნენ: ჩადმა, პირიქითი, გომეწარი და წოვა (მაკალათია, 1983, ითონიშვილი, 2012). მათგან სამი თემის წარმომადგენლები დღეს საუბრობენ ქართული ენის თუშურ დიალექტზე. წოვათუშები კი ორენოვანნი არიან. ისინი ქართულის გარდა, მშობლიურ წოვათუშურ ენაზეც ლაპარაკობენ. ადრეული ავტორები მიუთითებენ, რომ წოვათუშურად საუბრობდნენ არა მხოლოდ წოვათაში, არამედ იმ სოფლებშიც, რომლებიც დღეს ქართულენოვანია (ბატონიშვილი, 1973). ჯ. ნიკოლსის თვალსაზრისით, პროტონახური ენა გავრცელებული იყო თანამედროვე თუშეთის ტერიტორიაზეც (Nichols, 2004). ამავე თვალსაზრისს ავითარებს ა. შანიძე და მიუთითებს, რომ წოვათუშური ენის გავრცელების არეალი გაცილებით ფართო იყო: „თუშების ნაწილი დღეს მხოლოდ ქართულ ენაზე ლაპარაკობს, ნაწილს კი შემოჰრჩა მამა-პაპების ენაც, რომელიც ადრე თუშეთის ყველა თემში უნდა ყოფილიყო საერთოდ

გავრცელებული“ (შანიძე, 1970). დროთა განმავლობაში ტერმინი ჩაღმათუში დამკვიდრდა სამივე ქართულენოვანი თემის თუშების აღსანიშნავად და, ამგვარად, გულისხმობს როგორც თავად ჩაღმათუშებს, ისე პირიქითისა და გომეწრის თუშებსაც. წინამდებარე ნაშრომშიც აღნიშნული ტერმინი გამოყენებულია განზოგადებული მნიშვნელობით.

დაიწყეს რა მეცხრამეტე საუკუნიდან ბარში ნელ-ნელა ჩამოსახლება, თუშები დღეს სოფლებში, ზემო და ქვემო ალვანში, ცხოვრობენ, ახმეტიდან დაახლოებით 10 კილომეტრის დაშორებით. ზემო ალვანში წოვათუშები და ჩაღმა თუშები სახლობენ, ქვემოში კი – მხოლოდ ჩაღმები. მთიდან ბარში ჩამოსახლება ყველაზე ადრე, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, წოვათუშებმა დაიწყეს, ჩაღმათუშებმა – შედარებით მოგვიანებით. წოვათუშთა ისტორიული სოფლები უგზოობის გამო დღემდე გაუკაცრიელებულია.

წოვათუშთა ისტორიული სოფლები, დღეს უკვე ნასოფლარები, პირიქითი ალაზნის სათავეში, წოვათაში მდებარეობს: **წარო, ინდურთა, მოზართა, ნადირთა, ეტელთა, საგირთა და შავწყალა**. უნდა ითქვას, რომ სამეცნიერო ლიტერატურში სოფელთა სხვადასხვა რაოდენობაა მოხსენიებული. საგირთას, ეტელთას, ინდურთასა და წაროს ასახელებს თითქმის ყველა ავტორი. ს. მაკალათიას თანახმად, მეხუთე სოფელი იყო მოზართა (მაკალათია, 1983). ვ. ითონიშვილი შვიდ სოფელს ჩამოთვლის, მას წაროს საბოსლო – თიბროვანა ცალკე დასახლებად აქვს გამოტანილი (ითონიშვილი, 2012, გვ. 21).

მეცხრამეტე საუკუნის პირველი მეოთხედიდან სტიქიური უბედურებების, შავი ჭირისა და გახშირებული თავდასხმების გამო, წოვათუშებმა თანდათან დაიწყეს ბარში ჩამოსახლება და სოფელ ზემო ალვანისა და ბახტრიონის მიდამოებში დამკვიდრდნენ, რომლის სიახლოვესაც ზამთრის სამოვრები მანამდეც ჰქონდათ. პირველი მცირე დასახლებები/უბნები ალვანის ველზე გაჩნდა: **წიწალყურე, გურგალჭალა, ფხაკალყურე, ოთხთვალი, ბაჩალყურე, მუხროვანი** და სხვ. (იქვე, გვ. 46, SP. 15, AN, 10). მოგვიანებით აშენდა სოფელი ზემო ალვანი დღევანდელი სახით.

წოვათუშური ენა დღეს გადაშენების საფრთხის წინაშე იმყოფება. იუნესკოს გადაშენების პირას მყოფი ენების ატლასში მისი სტატუსი განსაზღვრულია, როგორც

„სერიოზული საფრთხის ქვეშ მყოფი“ (severely endangered) (UNESCO, retrieved 05.11. 2024). ვფიქრობთ, წოვათუშურის საფრთხის დონე გაზრდილია. მის მდგომარეობას უფრო შეეფერება მომდევნო დონე – კრიტიკული საფრთხის ქვეშ მყოფი. აღნიშნულ საფეხურზე ენის ყველაზე ახალგაზრდა მცოდნეები და მოსაუბრეები ბებია-ბაბუების თაობის არიან, რომლებიც ნაწილობრივ და იშვიათადაა საუბრობენ. სწორედ ამგვარ ვითარებას ადასტურებს ადრეული, 2010 წელს ზემო ალვანში ჩატარებული სოციოლინგვისტური კვლევა (გიგაშვილი, 2010). იუნესკოს მონაცემები წოვათუშურად მოსაუბრეთა რაოდენობის შესახებ (9,999) მიახლოებითი და უკვე მოძველებულია.

ბარში ჩამოსახლების შემდეგ, განსაკუთრებით კი მეოცე საუკუნიდან, როდესაც გაიხსნა სკოლები, მასმედიის საშუალებები და სხვ., ქართული გახდა დომინანტი ენა, წოვათუშური კი მხოლოდ თემის წევრებთან საურთიერთოდ გამოიყენებოდა. გარდა ამისა, გაიზარდა შერეული ქორწინებების რაოდენობა. რიცხოვრივი თანაფარდობაც იმდენად უთანასწორო იყო წოვათუშურად და ქართულად მოლაპარაკეთა შორის, რომ წოვათუშურად მოსაუბრეების რიცხვმა ეტაპობრივად იკლო. ისედაც მცირერიცხოვანი ენა, მეოცე საუკუნის ბოლო მეოთხედიდან სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა – ენის თაობიდან თაობაზე გადაცემა შესუსტდა და შეიძლება ითქვას, დღეს უკვე შეწყვეტილია. ახალგაზრდებმა მშობლიური ენა აღარ იციან. ცხადია, ენის ცოდნის დონე განსხვავებულია მათ შორისაც, ვისაც ჯერ კიდევ შეუძლია ამ ენაზე საუბარი.

2010 წელს ზემო ალვანში ჩატარებული სოციოლინგვისტური აღწერის შედეგებით, წოვათუშურად მოსაუბრეთა 81% სამოცი წლის ზემოთაა, 18% – ორმოციდან სამოცი წლამდე, 1% – ოციდან ორმოცი წლამდე, 20 წლამდე ასაკის არცერთმა ახალგაზრდამ ენა არ იცის (გიგაშვილი, 2010).

0.2. საკვლევი პრობლემა და მისი აქტუალურობა

წოვათუშური ენის სტრუქტურის საკითხებმა ადრეული პერიოდიდანვე მიიქცია მკვლევართა ყურადღება. მეცხრამეტე საუკუნეში შეიქმნა მისი პირველი გრამატიკა. მიუხედავად იმისა, რომ წოვათუშური ენის სტრუქტურის სხვადასხვა საკითხი – ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიისა და სინტაქსის ბევრი ასპექტი

შესწავლილია, სიღრმისეული სისტემური კვლევები თითოეული ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ნაკლებად მოიპოვება. მათ რიცხვშია სიტყვაწარმოებაც. იგი არაჯეროვნად შესწავლილ სფეროს განეკუთვნება დღემდე. დერივაციისა და კომპოზიციის ცალკეული ასპექტი განხილულია სხვადასხვა მეცნიერის მიერ (ა. შიფნერი, ი. დეშერიევი, ლ. სანიკიძე, მ. მიქელაძე, კ. ჭრელაშვილი, ი. ვიხერს სხრეული, დ. კაკაშვილი და სხვ.), მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ყველა ეს ნაშრომი ან წოვათუშურის ზოგად გრამატიკას წარმოადგენს, ანდა ენის სტრუქტურის სხვა საკითხების კვლევაზეა ორიენტირებული, სიტყვაწარმოების შესახებ ინფორმაცია ძალზე ფრაგმენტულია და ცალკეულ აფიქსთა აღნუსხვითა და ზოგჯერ მათი ეტიმოლოგიით შემოიფარგლება. წოვათუშური ენის დერივაციისა და კომპოზიციის სიღრმისეული შესწავლა აქამდე არ მომხდარა. სრულად არ ყოფილა აღწერილი სიტყვაწარმოებითი სისტემა, სადერივაციო აფიქსები, მათი ფუნქციონირების პირობები, დერივაციისა და კომპოზიციის სტრატეგიები და პროდუქტიული მოდელები. არ მოიპოვება ინფორმაცია არც ზმნური და სახელური სიტყვაწარმოების ურთიერთმიმართებაზე.

წინამდებარე ნაშრომი ცდილობს პასუხი გაეცეს შეკითხვებს, თუ როგორ ხდება ზმნური და სახელური ძირის მოდიფიცირება დერივაციისას. რა ადგილი უკავია აფიქსაციას, რედუპლიკაციასა და თხზვას წოვათუშური ენის სიტყვაწარმოებით სისტემაში.

სიტყვაწარმოების შესწავლა ენის მორფოლოგიური სტრუქტურის გააზრებაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. დერივაცია და კომპოზიცია ნათლად წარმოაჩენს ენის ტიპოლოგიურ და კოგნიტურ თავისებურებებსაც. ამგვარი კვლევა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს წოვათუშური ენის შემთხვევაში, ვინაიდან იგი გადაშენების საფრთხის წინაშე იმყოფება და მასზე მოლაპარაკეთა რაოდენობა სწრაფად იკლებს. ამასთანავე, იგი არაჯეროვნად არის დოკუმენტირებული. მისი მორფოლოგიური სისტემის დოკუმენტაცია და ანალიზი გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

სიტყვაწარმოებითი პროცესების დეტალური ანალიზი წვლილს შეიტანს წოვათუშური ენის მორფოლოგიისა და მორფოსინტაქსის საკითხების უკეთ

შესწავლაში. ამასთანავე, ის შექმნის ბაზას როგორც ნახური ენების მორფოლოგიის შედარებითი, ისე ტიპოლოგიური და ენათა კონტაქტის კვლევებისათვის. შესაძლებელს გახდის გამოკვეთოს წოვათუშურისთვის დამახასიათებელი უნიკალური მორფოლოგიური მოდელები და ასევე უნივერსალური სტრატეგიები.

კვლევის შედეგები არა მარტო წოვათუშური ენის მორფოლოგიის თეორიულ შესწავლას დაეხმარება, არამედ ენობრივი მემკვიდრეობის დაცვა-გადარჩენასაც. ვინაიდან ის საფრთხეში მყოფ და ნაკლებად შესწავლილ ენას წარმოადგენს, წინამდებარე კვლევას თეორიულთან ერთად პრაქტიკული სარგებელიც ექნება ენის რევიტალიზაციის პროცესში. დახმარებას გაუწევს ენობრივი კორპუსის შექმნასა და ლექსიკონების შედგენას, რაც დერივაციისა და თხზვის სტრატეგიების სიღრმისეულ გაგებას მოითხოვს.

0.3. კვლევის მიზანი

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს წოვათუშური ენის სიტყვაწარმოებითი მოდელების შესწავლა; დერივაციული მორფოლოგიის ძირითადი ფორმობრივი, სემანტიკური, სინტაგმატური და პარადიგმატული ასპექტების ანალიზი; ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოების მექანიზმებისა და მათი კანონზომიერების გამოვლენა; არსებული ლექსიკური და გრამატიკული მორფემების საშუალებით ახალი სიტყვების ფორმირების პროცესის ანალიზი; ნაწარმოებ ერთეულთა სემენტირებით მათი შინაგანი სტრუქტურის, შემადგენელი მორფემების იდენტიფიცირება და ფორმისა და შინაარსის მიხედვით დახასიათება; მონაცემთა განზოგადების საფუძველზე კი სიტყვაწარმოებითი წესების ფორმულირება. ყურადღება ეთმობა ამა თუ იმ სადერივაციო აფიქს(ებ)ისა და თხზვის საშუალებით ნაწარმოები ლექსიკური ერთეულების მორფოლოგიურ, სინტაქსურ, სემანტიკურ და სინტაგმატურ ასპექტებს.

ნაშრომი დეტალურად გააანალიზებს არსებითი და ზედსართავი სახელების, რიცხვითი სახელების, ნაცვალსახელების, მიმღეობების, ზმნებისა და ზმნისართების წარმოების მექანიზმებს; კვლევის მიზანია შეისწავლოს დერივაციისა და კომპოზიციის სტრატეგიები და მათი როლი წოვათუშური ენის სიტყვაწარმოებით

პროცესში. ნაშრომი ასევე შეისწავლის კომპოზიტთა და დერივატთა სტრუქტურულ და სემანტიკურ მოდელებს და შეეცდება აღნუსხოს, როგორ არის ეს სტრუქტურები რეალიზებული წოვათუშურ ენაში. ამის ფარგლებში ყველა სადერივაციო აფიქსი და კომპოზიციური მოდელი აღინუსხება და გაანალიზდება.

ამასთანავე, კვლევის მიზნებია:

- წოვათუშური არსებითი სახელების, ზედსართავი სახელების, რიცხვითი სახელების, ნაცვალსახელების, ასევე, მიმღობების, მასდარების, ზმნებისა და ზმნისართების საწარმოებლად გამოყენებული მორფოლოგიური პროცესების აღწერა და კლასიფიცირება;
- ენათა კონტაქტის გავლენის ანალიზი წოვათუშური ენის სიტყვაწარმოებით სისტემაზე;
- წოვათუშური სიტყვაწარმოების პროცესში ჩართული მორფოლოგიური პროცესების ამსახველი გამოწვლილვითი ბაზის შექმნა.

0.4. საკვლევი საკითხები

წინამდებარე ნაშრომის საკვლევი საკითხებია წოვათუშურ ენაში არსებითი სახელების, ზედსართავი სახელების, რიცხვითი სახელების, ნაცვალსახელების, მიმღობების, მასდარების, ზმნებისა და ზმნისართების წარმოების მთავარი საშუალებების შესწავლა სინქრონიულ დონეზე, დიაქრონიული მონაცემების გათვალისწინებით; სიტყვაწარმოების პროცესში გამოყენებული აფიქსების რაგვარობისა და მათი პროდუქტიულობის ხარისხის განსაზღვრა. ნაშრომი მიზნად ისახავს აგრეთვე შეისწავლოს, როგორია სადერივაციო სუფიქსების მიმართება ძირთან და როგორ ხდება ფუძის შენება; რა პროდუქტიული მოდელები და შეზღუდვები არსებობს; რა ადგილი უკავია დერივაციასა და კომპოზიციას სიტყვაწარმოებით სისტემაში და როგორია მათი წარმოების მექანიზმი; კომპოზიტთა რომელი სტრუქტურული და სემანტიკური მოდელები დასტურდება საკვლევ ენაში. სიტყვაწარმოების რა უნიკალური მოდელები მოეპოვება წოვათუშურს, რაც მას გამოარჩევს სხვა ნახური ენებისაგან; რა როლი უკავია სემანტიკურ და სინტაქსურ ფაქტორებს სიტყვაწარმოებაში, განსაკუთრებით კი ნომინალიზაციასა და

ვერბალიზაციაში; რა გავლენა მოახდინა ქართულ ენასთან კონტაქტმა წოვათუშური ენის სიტყვათსაწარმოქმნო სისტემაზე და სხვ.

მოცემული ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნისაგან. თითოეულ თავში გამოყოფილია რამდენიმე ქვეთავი. პირველ თავში გაანალიზებულია წოვათუშური ენის არსებით სახელთა დერივაციისა და კომპოზიციის საკითხები; აღნუსხულია ყველა სიტყვაწარმოებითი აფიქსი და კომპოზიციური მოდელი. მეორე თავი ზედსართავი სახელების, მიმღობებისა და ნაცვალსახელების წარმოებას ეთმობა. ამ შემთხვევაშიც ცალ-ცალკეა განხილული დერივაციული და კომპოზიტური წარმოება. ყურადღება გამახვილებულია ვითარებითი ზედსართავი სახელების ფუძის რაობის საკითხსა და გრამატიკული კლასის კატეგორიაზე აღნიშნულ მეტყველების ნაწილთან. იქიდან გამომდინარე, რომ წოვათუშურ რიგობით და წილობით რიცხვით სახელებს ზედსართავ სახელთა მორფოლოგიური სტრუქტურა აქვთ, ისინიც ამავე თავში, ცალკე ქვეთავადაა გაერთიანებული. მესამე თავში გაანალიზებულია სხვადასხვა შინაარსის ზმნიზედების საწარმოებლად გამოყენებული სტრატეგიები, მათ შორის რედუქლიკაცია. მეოთხე თავი რთულ ზმნათა წარმოების ანალიზს ეთმობა. საგანგებოდაა გამახვილებული ყურადღება ქართულიდან ნასესხები ზმნების საკუთარ ენობრივ სისტემაში ადაპტაციის მექანიზმებზე.

0.5. თეორიული ჩარჩო და კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევის ფარგლებში წოვათუშური ენის სიტყვაწარმოებითი სისტემის შესასწავლად გამოყენებულ იქნა დესკრიფციული და ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების თეორიული ჩარჩო და შესაბამისი ტექნიკები.

ვინაიდან აღნიშნული ნაშრომი წოვათუშური ენის სიტყვაწარმოების სისტემური შესწავლის პირველ მცდელობას წარმოადგენს, ენაში მოქმედი ყველა სიტყვაწარმოებითი წესისა და მოდელის დეტალურად აღსანუსხად, უპირველეს ყოვლისა, გამოყენებულ იქნა დესკრიფციული მეთოდი. გამოწვლილვითაა შესწავლილი თითოეული სიტყვათსაწარმოქმნო მორფემის ტიპი და მათი ფუნქციონირების პირობები.

ვინახურ ენებთან შესადარებლად, მათ სიტყვაწარმოებით სისტემაში მსგავსებებისა და განსხვავებების გამოსავლენად გამოყენებულ იქნა ისტორიულ-შედარებითი მეთოდი. აღნიშნულმა მიდგომამ შესაძლებლობა მომცა წოვათუშურის ახლომონათესავე ჩეჩურ და ინგუშურ ენებთან შედარების საშუალებით თვალი გამედევნებინა საკვლევი ენის ცვლილებისა და განვითარებისათვის. ამავე გზით მოხდა წინარე ფორმების აღდგენა და გრამატიკულ მორფემათა ეტიმოლოგიზება.

რიგ შემთხვევებში გამოყენებულია კოგნიტური ენათმეცნიერების მეთოდოლოგიაც. გაანალიზებულია, როგორ გამოიხატება სხვადასხვა მორფემის შერწყმით კონკრეტული შინაარსი, როგორ ხდება მნიშვნელობის კონცეპტუალიზება. აღნიშნული მიდგომა საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ, როგორ უკავშირდება მორფემები ერთმანეთს და ქმნის ახალ სიტყვებს.

უმთავრესად გამოყენებულია მორფემულ ანალიზზე დაფუძნებული მიდგომები (Bloomfield, 1926). სიტყვები დაშლილია უმცირეს შემადგენელ ელემენტებად: ლექსიკურ და გრამატიკულ მორფემებად. სიტყვის ძირ-ფუძე მიჩნეულია ძირითად ოდენობად, რომელსაც ერთვის სადერივაციო აფიქსები. ბმული მორფემები კი კლასიფიცირებულია მათი გრამატიკული და ლექსიკური ფუნქციებისა და დისტრიბუციული მახასიათებლების მიხედვით. მორფემული ანალიზი იძლევა რთული ლექსემის შინაგან სტრუქტურაზე დაკვირვების საშუალებას. ჩ. ჰოკეტის მიერ შემოთავაზებული მიდგომის მსგავსად, სიტყვაწარმოებითი მოდელების ანალიზს საფუძვლად უდევს თითოეული მორფემის აღნუსხვა სიტყვის შიგნით და გაანალიზება, როგორ უკავშირდებიან ეს მორფემები ერთმანეთს (Hockett, 1954). რა მიმართებაა სიტყვის მორფოლოგიურ სტრუქტურასა და მნიშვნელობას შორის, რა სემანტიკური ბმა არსებობს ნაწარმოები სიტყვის შემადგენელ კომპონენტებს შორის.

წოვათუშური ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად დოკუმენტირებული. ბეჭდური თუ ციფრული რესურსები ემპირიული ბაზის შესაქმნელად მწირია. პირველ ეტაპზე ლექსიკონებისა და ტექსტების საფუძველზე შეიქმნა მონაცემთა ბაზა (ქადაგიძე და ქადაგიძე, 1984, ქადაგიძე, 2009, მიქელაძე და სხვანი, 2011, 2014, ბერთლანი და სხვანი, 2013), შემდეგ კი მასალის გადასამოწმებლად, შესავსებად და ახალი ერთეულების მოსაპოვებლად ჩავატარე რამდენიმე საველე სამუშაო სოფელ ზემო ალვანში.

წოვათუშურად მოსაუბრეებისაგან შევაგროვე ინფორმაცია როგორც დერივაციული, ისე კომპოზიციური სიტყვაწარმოების ფორმების შესახებ ელიციტირების მეთოდის გამოყენებით. მუშაობისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ისეთი სიტყვაწარმოებითი მოდელების შემოწმებასა და შეგროვებას, რომლებიც სპეციფიკურია წოვათუშურისათვის და სათანადოდ არ იყო წარმოდგენილი აქამდე გამოქვეყნებულ ლექსიკონებსა თუ ტექსტებში. საველე სამუშაოებმა მომცა საშუალება, დაკვირვებოდი ქართული ენის გავლენას წოვათუშურის სიტყვაწარმოებით სისტემაზე.

ემპირიული მასალა შევსებულ იქნა მცირე მოცულობის კორპუსის საშუალებითაც, რომელიც პროფესორ სტავროს სკოპეტეასის ხელმძღვანელობით გიოტინგენის უნივერსიტეტში (გერმანია) შექმენით 2022-2024 წლებში (Kakashvili & Skopeteas, 2024).

0.6. საკითხის შესწავლის ისტორია

წოვათუშური ენის სიტყვაწარმოების სისტემური და ფუნდამენტური კვლევა არ მოგვეპოვება, თუმცა თემის ცალკეულ ასპექტებს არაერთი მკვლევარი მიმოიხილავს. ფუძის აგებულებისა და ამა თუ იმ სიტყვათმაწარმოებელი აფიქსის შესახებ დაკვირვებები მოცემულია ადრეულ აღწერით გრამატიკებში. წოვათუშური ენის სტრუქტურის შესახებ პირველი ცნობები ა. შიფნერს ეკუთვნის (Schiefner, 1856). „ცდა თუშური ენის შესახებ“ წოვათუშურის პირველ გრამატიკულ აღწერას წარმოადგენს, ამიტომ ვრცელი და სისტემური მსჯელობა სიტყვაწარმოების შესახებ მოცემული არ არის. თითოეული მეტყველების ნაწილის განხილვისას შეძლებისდაგვარად გამოყოფილია მაწარმოებელი აფიქსები და თანმხლები მორფონოლოგიური პროცესები, თუმცა არაერთი სადერივაციო აფიქსი ყურადღების მიღმა დარჩენილი. ყველაზე ვრცლად ავტორი ზედსართავ სახელთა წარმოებაზე მსჯელობს. იგი მიუთითებს, რომ ძირეული ზედსართავების მაწარმოებელია ხუთიდან ერთ-ერთი სადა ხმოვანი, თუმცა უფრო ხშირია ე, ი და ო, დანარჩენი – შედარებით იშვიათი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარს შეუმჩნეველი დარჩა ნაზალური ხმოვნები წოვათუშურში, ამიტომაც ყველა მაწარმოებელი სადა ხმოვნის სახით აქვს მოცემული. მიმართებითი ზედსართავების მაწარმოებლებად იგი

ასახელებს -რე, -ლე, -წი, -რუ, -ლუ, -ურ, -ულ, -რი, -ლი, -ლე (და) და -ნე ბოლოსართებს. ყველა ეს სადერივაციო აფიქსი რთული შედგენილობის ჩანს (იხ. წინამდებარე ნაშრომის თავი II), თუმცა ა. შიფნერი ამის შესახებ არ მსჯელობს და თითქმის არაფერს ამბობს მათ ეტიმოლოგიაზე.

ა. დირის 1928 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში კავკასიური ენების შესახებ, წოვათუშური ენის სტრუქტურის საკითხებს სულ რამდენიმე გვერდი ეთმობა. აქ ავტორი ჩამოთვლის მიმართებითი ზედსართავების მაწარმოებელ შემდეგ სუფიქსებს: -რე (-ლე), -რუ, (-ლუ), -წი, -ურ, -ულ, -ლი, -რი, -ლე, -და, -ნე (Dirr, 1928). დირი ამ სუფიქსებში ნაზალობას არ აღნიშნავს, მაგრამ ზედსართავთა დახასიათებისას ამბობს, რომ ზედსართავთა უმრავლესობა ნაზალურ ხმოვანზე ბოლოვდება და მოჰყავს ვითარებითი ზედსართავების მაგალითები. ამით შემოიფარგლება მსჯელობა სიტყვაწარმოების შესახებ დასახელებულ ნაშრომში.

ა. შიფნერის ნაშრომიდან დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ შეიქმნა ი. დეშერიევის მონოგრაფია „ბაცბური ენა“ (Дешериев, 1953). შიფნერის ნაშრომის მსგავსად, ისიც წოვათუშური ენის აღწერით გრამატიკას წარმოადგენს. მასში მიმოხილულია წოვათუშური ენის სტრუქტურის თითქმის ყველა საკვანძო თემა. მნიშვნელოვანია ავტორის დასკვნები საკვლევი ენის ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხებზე. სიტყვაწარმოების განხილვა უმეტესად აფიქსთა გამოყოფით, რიგ შემთხვევებში კი მათ ეტიმოლოგიაზე მსჯელობით შემოიფარგლება. ბევრი სიტყვაწარმოებითი მოდელი და, შესაბამისად, სადერივაციო აფიქსი განხილული არ არის. ზოგჯერ შეინიშნება ფაქტობრივი უზუსტობებიც: ზედსართავ სახელთა მაწარმოებელ -წი^ნ სუფიქსს ავტორი არსებით სახელთა მაწარმოებლად მიიჩნევს (Дешериев, 1953, стр. 60).

ვინაიდან წოვათუშური ზედსართავი სახელების წარმოება და ვითარებითი ზედსართავების ფუძის აგებულება ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს, ი. დეშერიევი ვრცლად მსჯელობს აღნიშნული მეტყველების ნაწილის შესახებ და მიუთითებს, რომ საკვლევ ენაში ზედსართავი სახელები ორი საშუალებით იწარმოება: სუფიქსურით და პრეფიქსულ-სუფიქსურით. პრეფიქსში ავტორი კლასის ნიშანს და, შესაბამისად, იმ რამდენიმე ზედსართავ სახელს გულისხმობს, რომლებსაც კლასში

შეთანხმების უნარი აქვთ. ეს თვალსაზრისი ნაკლებ სარწმუნოა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კლასის მარკერს არ უნდა ჰქონდეს სიტყვაწარმოებითი ფუნქცია, ისევე, როგორც კლასნიშნიან ზმნურ ფუძეებში არ აქვს მას ეს როლი. იგი არა სადერივაციო, არამედ ფლექსიური მორფემაა. ისტორიულად გარკვეულ შემთხვევებში და არასისტემურად მას შესაძლოა, ჰქონოდა სიტყვაწარმოების უნარი, მაგრამ არა ზედსართავ სახელებთან (იხ. წინამდებარე ნაშრომის თავი I, II). ვითარებით ზედსართავთა მაწარმოებელ სუფიქსებად ავტორი ასახელებს ყველა ნაზალურ ხმოვანს, ა-ს გარდა. მიმართებითისთვის კი ქართულიდან ნასესხებ სუფიქსებთან ერთად, მხოლოდ -რე^ნ-სა და -ლე^ნ//-ლუ^ნ-ს გამოჰყოფს და ერთმანეთის ფონეტიკურ ვარიანტებად განიხილავს. ამასთანავე, ამბობს, რომ ძირითად მაწარმოებელს წარმოადგენს -ე^ნ, რომელიც მომდინარეობს -ენ-ისაგან. ი. დემერიევის თანახმად, -ე^ნ ხმოვანს აქვს როგორც ფლექსიური, ისე დერივაციული ფუნქცია. ის წარმოადგენს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს და ასევე სიტყვაწარმოებით აფიქსს. მისი თქმით, ისტორიულად იგი იყო გარდამავალი აფიქსი ფლექსიურსა და დერივაციულს შორის. არსებითი სახელის ბრუნვათა სისტემაში ის ნათესაობითი ბრუნვის, ზედსართავისაში კი სახელობითის სუფიქსს წარმოადგენდა (Дешериев, 1953, стр. 184). სიტყვაწარმოებითი ფუნქცია მეორეულია, ამგვარად, ზედსართავები ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან უნდა იღებდეს სათავეს. ავტორი დაასკვნის, რომ -ე^ნ სუფიქსის საშუალებით ნებისმიერი არსებითი სახელისაგან, ზმნისართისა და რიცხვითი სახელისაგან იწარმოება ზედსართავი სახელი. მას მაგალითებად მოჰყავს სუბსტანტიური მსაზღვრელები, მაგრამ ყველა ზედსართავი სახელი არ არის სუბსტანტიური წარმოშობის და თანაც ნაზალური ხმოვნები რთული აფიქსების შედგენილობაშიც გამოიყენება (იხ. ნაშრომის თავი II), ამას თვით ავტორიც მიუთითებს, თუმცა არ მსჯელობს მათ ფუნქციაზე.

ი. დემერიევის აღნიშნულ ნაშრომში მოცემულია მსჯელობა ზმნური სიტყვაწარმოების შესახებაც. ავტორის აზრით, წოვათუმურში არსებული ზმნური ფუძეებისაგან ახალი ზმნები იწარმოება პრეფიქსული, სუფიქსური და პრეფიქსულ-სუფიქსური საშუალებით. პრეფიქსულში იგი გულისხმობს კლასის ნიშნებსა და ზმნისწინებს და აღნიშნავს, რომ პირველი მათგანი პროდუქტიულია, მეორე კი – არა.

თუმცა კლასის ნიშნის შემთხვევაშიც მხოლოდ ერთ მაგალითს ასახელებს (Дешериев, 1953, სტ. 81). პრეფიქსულ-სუფიქსურ წარმოებაზე მსჯელობისას ნათქვამია, რომ როდესაც პრეფიქსად წარმოდგენილია ზმნისწინი, სუფიქსად შეიძლება შეგვხდეს -**ალ//ლ**, -**ით/-თ** და -**ნ** ბოლოსართები (იქვე, სტ. 82). მომდევნო ქვეთავში არსებული მსჯელობიდან ვიგებთ, რომ ავტორი -**ით//თ** სუფიქსში ქართულიდან ნასესხებ მრავლობითის ნიშანს გულისხმობს, რომელიც ზმნათა ბრძანებითი კილოს ფორმებში გამოიყენება (Hauk & Harris, 2018, p. 27), -**ალ//ლ** მაწარმოებელში კი – **დ-ალ-არ** ზმნას, რომელიც სხვადასხვა მეტყველების ნაწილისაგან გარდაუვალი ზმნების საწარმოებლად გამოიყენება და ასევე მონაწილეობს აქტანტურ დერივაციაში. აწმყო დროის მწკრივებში კლასის ნიშანი იკარგება, მაგრამ სხვა მწკრივებში ის წარმოდგენილია. კლასის ნიშანი შენარჩუნებულია მასდარში, ინფინიტივსა და მიმდებარე ფორმებშიც. ავტორს ეს შეუმჩნეველი რჩება და სუფიქსად ასახელებს მხოლოდ -**ალ//ლ-ს**.

საინტერესო მსჯელობას გვთავაზობს ი. დეშერიევი ზმნათა სუფიქსური წარმოების შესახებ. რთულ ზმნათა მაწარმოებლად იგი გამოყოფს -**ბო**, -**დო**, -**აო** და -**ვო** მორფემებს და მიუთითებს, რომ ისტორიულად ისინი და „კეთება“ ზმნისაგან უნდა მომდინარეობდეს (იქვე, სტ. 82). დასახელებული ბოლოსართები აწმყო დროის ფორმებს წარმოადგენს. ბოლოკიდური -**ო** აწმყოს მწკრივის სუფიქსია. მოცემული ზმნა აწმყო და მყოფადი დროის ფორმებში მხოლოდ კლასნიშნით რეალიზდება. ნამყო დროის ფორმებში კი იგი დაირთავს შესაბამის ფლექსიურ ელემენტებს, ამასთანავე, აორისტში ფუძეში ჩნდება -**ი** ხმოვანიც. ამდენად, უზუსტობას შეიცავს მაწარმოებლად **ბო**, **დო**, **აო**, **ვო** მორფემების გამოყოფა სათანადო არგუმენტაციისა და მსჯელობის გარეშე. მკვლევარი არაფერს ამბობს არც რთული ზმნის კომპონენტთა შორის არსებულ მიმართებასა და ნაწარმოები ზმნის მორფოსინტაქსურ სტრუქტურაზე. ამასთანავე, იგი არასწორად შენიშნავს, რომ წოვათუშურ ენაში **დო//ბო** „კეთება“ ზმნა დამოუკიდებლად აღარ გამოიყენება (იქვე, სტ. 83).

დასახელებულ გრამატიკაში ი. დეშერიევს დეტალურად აქვს აღწერული წოვათუშური ენის ზმნისართები. ემპირიული მასალა დახარისხებულია სემანტიკური ჯგუფების მიხედვით.

1963 წელს გამოცემულ „ნახურ ენათა ისტორიულ შედარებით გრამატიკაში“ მკვლევარი ერთმანეთს უდარებს სამივე ნახური ენის მონაცემებს. ამ შემთხვევაში უფრო ვრცელი მსჯელობა ჩეჩნურ-ინგუშურ ენებს ეხება. შესაბამის ადგილას მოცემულია შედარებები წოვათუშურ ენასთანაც. თუმცა საკვლევო თემის თაობაზე ძირითადი დასკვნები იგივეა, რაც „ბაცბურ ენაში“.

კ. ჩოქაევის „ჩეჩნური ენის მორფოლოგიის“ პირველი ნაწილი სიტყვაწარმოებას, სახელდობრ კომპოზიციას ეძღვნება (Чокаев, 1968). ცხადია, ძირითადი მსჯელობა ჩეჩნური ენის სიტყვათქმნადობის საკითხებს ეხება, თუმცა ავტორი მიმოიხილავს საერთო ნახურ ვითარებასაც და ზოგჯერ მოხმობილია წოვათუშური ენის მაგალითებიც.

მ. მიქელაძე თავის ნაშრომში „წოვათუშური ენის სახელთა მორფოლოგია“ მსჯელობს სიტყვაწარმოებითი სისტემის შესახებაც (მიქელაძე, 2011). მისი ინტერესის ძირითად საგანს წარმოადგენს ინტერფერენციული პროცესების კვლევა წოვათუშური ენის სახელის მორფოლოგიაში. ამ პერსპექტივიდან მიმოიხილავს ავტორი სიტყვაწარმოებასაც. ქართული და წოვათუშური ენების დერივაციული სისტემების შეპირისპირების საშუალებით იგი აანალიზებს, რა გავლენა მოახდინა ენათა კონტაქტმა წოვათუშურზე – სიტყვათა და აფიქსთა სესხებამ, კალკირებამ და სხვ. მისი ანალიზი აგებულია სიტყვათა სემანტიკურ მახასიათებლებზე და ემპირიული მასალაც დაჯგუფებულია შინაარსობრივი ჯგუფების მიხედვით, რაც, ვფიქრობთ, მხედველობის არიდან აქრობს, ყურადღების მიღმა ტოვებს სხვა სუფიქსებს. იგი სულ ხუთ შინაარსობრივ ჯგუფსა (არსებითი სახელის ერთი ჯგუფი და ზედსართავის ოთხი) და მათ საწარმოებელ ბოლოსართებს გამოყოფს: აქედან ზოგიერთი ქართულიდანაა ნასესხები, მაგალითად, წინა ვითარების სახელთა მაწარმოებელი. როგორც ქვემოთ დავინახავთ, თითოეულ ამ სემანტიკურ ჯგუფს სხვა სუფიქსებიც აწარმოებს. ამასთანავე, არ არის გამოკვეთილი მოცემულ სუფიქსთა საყრდენი ფუძეები და სუფიქსთა სპეციფიკა ან ეტიმოლოგია. თავად შინაარსობრივი ჯგუფებიც გაცილებით მრავალფეროვანია როგორც არსებით, ისე ზედსართავ სახელებში.

„წოვათუშური ენის სახელთა მორფოლოგიაში“ ავტორს ბევრი საგულისხმო დაკვირვება აქვს. უქონლობის სუფიქსად მ. მიქელაძე გამოყოფს -წ-ს და დაასკვნის:

„საყრდენ ფუძეზე დართულ -წ-ს აუცილებელია კიდევ დაერთოს სუფიქსები: ზედსართავთა და მიმღობათათვის ნაზალური -ი, ხოლო აბსტრაქტული სახელებისათვის -ოლ. შედეგად ვიღებთ რთულ სუფიქსებს: წ-ი^ნ და წ-ოლ“ (მიქელაძე, 2011, გვ. 244). მაგრამ იგი არ მსჯელობს ბოლოკიდური ი^ნ-ის ფუნქციისა და ეტიმოლოგიის შესახებ. ვფიქრობთ, ნაზალური ხმოვნები, როგორც სადერივაციო სუფიქსის შემადგენელი ნაწილი, სხვა შემთხვევებშიც უნდა გამოყოს, მაგრამ რადგანაც წ-თი ნაწარმოები ფუძე ხშირად ედება საფუძვლად სხვა დერივაციულ წარმოებას, ის უფრო თვალსაჩინოა (იხ. ნაშრომის თავი II).

საინტერესოა მ. მიქელაძის დაკვირვება, რომ ზმნური ფუძისაგან წარმოქმნილი უქონლობის სახელები არ აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს, -წოლ ბოლოსართით ნაწარმოები სახელური ფუძეებისაგან განსხვავებით. ემპირიული მასალა გვიჩვენებს, რომ ამ შემთხვევაში გამოიყენება ცო და ცომ უარყოფით ნაწილაკებდართული ნაზმნარი სახელები, რომლებსაც -არ ბოლოსართი აწარმოებს, მაგალითად, ცოთემარ „არ დაჯერება, უნდობლობა“, ცოთივარ „არდასვენება, არ მოსვენება“ და სხვ.

ბ. კიკვიძის წერილში „ზედსართავი სახელი იბერიულ-კავკასიურ ენებში“ საგანგებო ყურადღება ეთმობა წოვათუშური ენის მასალასაც (კიკვიძე, 1958). იგი ნაზალურ ხმოვნებს, სხვა სუფიქსებთან ერთად, ასახელებს ზედსართავთა მაწარმოებლად, მიმართებითი ზედსართავების სადერივაციო აფიქსებად კი გამოყოფს მხოლოდ -ე^ნ, -ი^ნ, -ო^ნ, -უ^ნ და -რე^ნ, -ლე^ნ, -ლი^ნ, -ლუ^ნ, -ურ/ულ სუფიქსებს. ამგვარად, ვითარებითი ზედსართავის ბოლოკიდურ ხმოვნებსაც მეორეული ზედსართავების მაწარმოებლად განიხილავს, მაგრამ არაფერს ამბობს სხვა ჯგუფების შესახებ. ამასთანავე, ალომორფები ცალ-ცალე მაწარმოებლად აქვს გამოყოფილი. საყურადღებოა, რომ ავტორი დაწინ „მძიმე“, დარჭი^ნ „შავი“ და მსგავს ვითარებით ზედსართავ სახელებს ასახელებს წარმოქმნილ ერთეულებში. თუკი მოყვანილი მაგალითები ნაწარმოებია, ბუნდოვანია, რას მოიაზრებს ავტორი ვითარებით ზედსართავებში. მსჯელობისას იგი მიუთითებს, რომ წოვათუშურში განირჩევა ვითარებითი და მიმართებითი ზედსართავი სახელები, მაგრამ არ იძლევა ვითარებითი ზედსართავების მაგალითებს, არ მსჯელობს მათზე.

ბ. კიკვიძე ამავე წერილში საგულისხმო დაკვირვებას იძლევა ზედსართავ სახელთა ბოლოკიდური ნაზალური ხმოვნებისა და ნათესაობითი ბრუნვის მაწარმოებელთა შესაძლო იგივეობრიობის შესახებ. მისი თქმით, ნათესაობითის ნიშნად მხოლოდ -ე^ნ და -ი^ნ ხმოვნები გამოიყოფა, იშვიათად -ან^ნ. ეს კი ართულებს მათ დაკავშირებას მაზედსართავებელ ელემენტებთან, რადგან ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხუთივე ნაზალური ხმოვანი გამოიყენება. მეორე მიზეზად კი ის მოჰყავს, რომ არ შეიძლება ყველა ზედსართავი მივიჩნიოთ ნანათესაობითარად და, მაშასადამე, ნაარსებითადად. მისი აზრით, შესაძლოა, ეს ორივე ერთეული რაღაც მესამისაგან იღებდეს სათავეს, მაგალითად, ჩვენებითი ნაცვალსახელებისაგან (კიკვიძე, 1958).

სიტყვაწარმოების ერთ-ერთ სახეობას, რედუპლიკაციას, ეძღვნება ლ. სანიკიძის წერილი „ფუძის გაორკეცება ბაცბურში“ (სანიკიძე, 1966). ავტორი მიმოიხილავს ფუძის გაორკეცების სხვადასხვა სახეს და მის თანხმებლ მორფონოლოგიურ პროცესებს.

კ. ჭრელაშვილის მონოგრაფიაში „წოვა-თუშური ენა“ ოთხი გვერდი ეთმობა დერივაციას. ავტორი განიხილავს მხოლოდ აბსტრაქტულ სახელებსა და მის მაწარმოებელ სუფიქსებს (ჭრელაშვილი, 2002). მცირე მსჯელობა მოცემულია მიმღეობებისა და გერუნდივების მაწარმოებელი აფიქსების შესახებაც. მონოგრაფიაში ცალკე ქვეთავად მოცემულია ზმნისართები, რომლებიც დაჯგუფებულია შინაარსის მიხედვით, თუმცა არ არის მსჯელობა მათი წარმოების საშუალებების შესახებ. კ. ჭრელაშვილის თქმით, წოვათუშურ ენაში მიმართებით ზედსართავ სახელს აწარმოებს მხოლოდ ორი სუფიქსი -ე^ნ და -რე^ნ. ავტორის თანახმად, მათი გავრცელების არე საკმაოდ შეზღუდულია (ჭრელაშვილი, 2002, გვ. 135). თუმცა იქვე ასახელებს -ლი^ნ, -დე^ნ, -წი^ნ სუფიქსებსაც, რომლებიც არსებითი სახელებისაგან აწარმოებენ ატრიბუტულ ზედსართავ სახელებს.

დ. ნ. ჰოლისკისა და რ. გაგუას წოვათუშური ენის მოკლე გრამატიკაში, რომელიც სულ ორმოცდაათამდე გვერდს მოიცავს, გაანალიზებულია წოვათუშური ენის სტრუქტურის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი. დასახელებულია რამდენიმე სიტყვაწარმოებითი აფიქსი, მაგრამ სისტემური მსჯელობა მათ შესახებ არ არის მოცემული (Holisky & Gagua, 1994). იგივე შეიძლება ითქვას, ა. ჰარისისა და ბ. ჰაუკის მოკლე გრამატიკულ მიმოხილვაზე (Hauk & Harris, 2018).

ლ. სანიკიძის „ბაცბური (წოვა-თუშური) ენა“ საკვლევო ენის მოკლე გრამატიკას წარმოადგენს. ავტორი მსჯელობს წოვათუშურის ფონეტიკა-ფონოლოგიაზე, მორფოლოგიასა და სინტაქსის საკითხებზე. მეტყველების ნაწილთა და ზმნურ ფორმათა განხილვისას ზოგჯერ გამოყოფილია მათი მაწარმოებელი სუფიქსებიც. მონოგრაფიაში გაანალიზებულია ზედსართავთა, მიმღობათა და ზმნისართთა წარმოების ზოგი საშუალება, მაგრამ არაფერია ნათქვამი არსებითი სახელებისა და ზმნების წარმოებაზე.

წოვათუშური ანთროპონიმებისა და ტოპონიმების წარმოების რიგი საკითხი, რომელიც, ცხადია, იკვეთება სიტყვაწარმოებასთან, განხილულია ა. ბერთლანის მონოგრაფიაში „თუშურენოვანი ანთროპონიმია და ტოპონიმია“. ნაშრომი ორიენტირებულია მხოლოდ ანთროპონიმთა და ადგილის სახელწოდებათა საწარმოებელ აფიქსებსა და მათ ეტიმოლოგიაზე (ბერთლანი, 2019).

ბ. ჰაუკის დისერტაცია ეძღვნება დეიქსისისა და რეფერენტის კვალს წოვათუშურ ენაში, მაგრამ ავტორი მიმოიხილავს საკვლევო ენის სტრუქტურის საკვანძო საკითხებსაც, მათ შორის ნაცვალსახელებსა და ზმნისართებს (Hauk, 2020).

ი. ვ. სხრეულის სადისერტაციო ნაშრომი „ენათა ინტენსიური კონტაქტი აღმოსავლეთ საქართველოში: წოვათუშურის შემთხვევა“ საკვლევო ენის სტრუქტურის უმნიშვნელოვანეს საკითხებს მიმოიხილავს (Wichers Schreur, 2024). ძირეულად არის შესწავლილი ზმნური სიტყვაწარმოების საკითხები. სხვა მეტყველების ნაწილთა წარმოება კი სპორადულად არის წარმოდგენილი. ავტორი გამოყოფს ოთხი სახის თხზულ ზმნებს: 1) მეშველ ზმნიან რთულ ზმნებს (light verb constructions), 2) შეერთებით, ე.წ. დვანდვა კომპოზიტებს, 3) რედუპლიკაციურ ზმნებს, 4) დ-ი და დ-ალ სუფიქსებით ნაწარმოებ ზმნებს. მკვლევარი ჩამოთვლის ყველა იმ ზმნას, რომელიც მეშველ ზმნად შეიძლება იქნეს წარმოდგენილი პირველი ტიპის რთულ ზმნებში. აქვე მსჯელობს კომპონენტებს შორის არსებულ კლასში შეთანხმების ორგვარ შემთხვევაზე: 1) როდესაც სახელური ნაწილი გააზრებულია ზმნის პირდაპირ დამატებად და მასში აჩენს კლასის ნიშანს და 2) როდესაც თხზული ზმნის კომპონენტებს შორის არ არის კლასში შეთანხმება და სხვა აქტანტს მიემართება კლასის მარკერი (იქვე, გვ. 169).

I თავი

1. არსებითი სახელის წარმოება

1.1. შესავალი

წოვათუშურ ენაში ძირთა ერთი ნაწილი არსებით სახელად კატეგორიზდება საგანგებო აფიქსების გარეშე, მაგალითად, **ნან** „დედა“, **საგ** „ირემი“, **ჩაკ** „სკამი“, **ნიყ** „გზა“, **დონ** „ცხენი“ და სხვ. ამგვარად, ისინი წარმოადგენს არამოტივირებულ ერთეულებს. ძირ-ფუძეთა მეორე ნაწილს კი არსებით სახელად გაფორმებისთვის სპეციალური მაწარმოებლები ესაჭიროება. დერივაციისას საყრდენ ფუძედ შეიძლება გამოყენებული იყოს ზედსართავი სახელები, არსებითი სახელები, არამარკირებული ზედსართავი შინაარსის ძირები და ზმნები.

წინამდებარე თავში განხილულია არსებით სახელთა როგორც დერივაციული, ისე კომპოზიტური წარმოების საკითხები. პირველი ქვეთავი ეთმობა -**ილა** სუფიქსით ზმნური ფუძისაგან ნაწარმოებ სახელებს, რომელთა შესახებ ვრცელი მსჯელობა აქამდე არ ყოფილა სამეცნიერო ლიტერატურაში. შემდეგ ნაწილში მიმოხილულია ასოციაციური მრავლობითებისა და საგვარეულო სახელების მაწარმოებელი -**ღარ** და -**ღუღ** სუფიქსები. ისინი ახსნილია საკუთრივ წოვათუშურ საფუძველზე, რაც განსხვავდება კ. ჭრელაშვილის მოსაზრებისაგან (ჭრელაშვილი, 2002). მესამე და მეოთხე ნაწილებში დახასიათებულია აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელი ორი სუფიქსის, -**ოლ** -ისა და -**ა**-ს ფუნქციონირების პირობები. შემდეგ ქვეთავებში განხილულია ნაზმნარ სახელთა ორი ჯგუფი: ყველაზე პროდუქტიული -**არ** სუფიქსით ნაწარმოები და მეორე, არქაული, სპორადულად შემორჩენილი -**ომ** სუფიქსიანი სახელები. შემდეგი ქვეთავი ეძღვნება მცენარეთა კრებულის მაწარმოებელ -**რნა** სუფიქსს. მომდევნო ნაწილში საუბარია ნომინალიზებული სუბიექტის მაწარმოებელი -**ხოვ** ბოლოსართის შესახებ, რომელიც პირველად გამოიყო წოვათუშურისათვის. საგანგებოდაა გაანალიზებულია გრამატიკული კლასის ნიშნის როლი სიტყვაწარმოებაში და გამოყოფილია გაქვავებული კლასნიშნები არსებით სახელებში. ყურადღება ეთმობა ქართულიდან ნასესხებ აფიქსებსაც. ბოლო ნაწილში განხილულია თხზული არსებითი სახელები.

ქვემოთ მოცემულია არსებით სახელთა მაწარმოებელი ყველა სადერივაციო სუფიქსი საყრდენ ფუძეებთან ერთად.

ცხრილი 1. არსებით სახელთა მაწარმოებელი აფიქსები და საყრდენი ფუძეები

მაწარმოებელი სუფიქსი	საყრდენი ფუძე
-ილა	V
-ომ	V
- დარ	N
-ლუფ	N
-ოლ	N, ADJ
-ა	ADJ
-ხოვ	N, V
-რნა	N
-არ	V

1.2. სუფიქსი -ილა, ნაზმნარი სახელი

სუფიქსი -ილა გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების აწმყო/მომავალი დროის ფუძეზე დართვით აწარმოებს არსებით სახელებს. მიღებული ლექსიკური ერთეულები გამოხატავს მოქმედების ადგილსა და დროს, ხან კი განყენებული, მასდარის მსგავსი შინაარსი აქვს. მარტივ ზმნურ ფუძეებთან უმეტესად დაკარგულია მწკრივის ნიშანი, რთულთან კი თითქმის ყოველთვის შენარჩუნებულია. ასპექტის მქონე ზმნები წარმოდგენილია, ძირითადად, სრული ასპექტის ფორმით, თუმცა გვხვდება უსრული ასპექტის გამოყენების შემთხვევებიც. როგორც ცნობილია, წოვათუშურში აწმყოს მწკრივები უსრულ ასპექტს ეფუძნება, მომავალი კი უმეტესად სრულს, მაგრამ როდესაც მოქმედება მრავალჯერადია, მაშინ უსრული ასპექტიც გამოიყენება (Holisky & Gagua, 1994, Wichers Schreur, 2024). უასპექტო ზმნებში აწმყო და მომავალი დროის ფორმები გარჩეული არ არის.

აღნიშნული გზით მიღებული ნაზმნარი სახელები სინქრონიულ დონეზე სრულად ლექსიკალიზებული, გაარსებითებულია და აქვს არსებითი სახელის შემდეგი მახასიათებლები: 1) გრამატიკული კლასის კატეგორია. ყველა მათგანი **დ/დ** კლასს განეკუთვნება; 2) მრავლობით რიცხვს, ყველა ნომინალიზებული ფორმის მსგავსად, აწარმოებს **-ში** სუფიქსით და 3) იბრუნვის ისე, როგორც მსგავსი ფუძის არსებითი სახელები. საინტერესოა, რომ ისევე, როგორც სხვა ნაზმნარ სახელებს, სრული ლექსიკალიზების მიუხედავად, **-ილა** სუფიქსით ნაწარმოებ ზოგ სახელს შენარჩუნებული აქვს ზმნური ნიშანიც – კლასში შეთანხმების უნარი. თუ **-ილა** სუფიქსი კლასნიშნისანი ზმნისგან აწარმოებს სახელს, კლასნიშნის კვლავ აქვს სინტაქსური ფუნქცია – ასახავს მასთან შეწყობილი აქტანტის კლასს, მაგრამ თავადაც აჩენს კლასის ნიშანს ზმნაში, როგორც **დ/დ** კლასის არსებითი სახელი. ამ ნიშნით ის მასდარს ჰგავს. ეს კარგად ჩანს ქვემოთ მოცემულ (1) მაგალითში, სადაც ნაზმნარი სახელი **ვერწილა** კლასში ეთანხმება სუბიექტს, ზმნა კი ნაზმნარ სახელს, რომელიც პირდაპირ ობიექტს წარმოადგენს.

(1) ის სტაკ-გო[□] ისე ვ-ერწ-ილა ცო დ-ა

DEM კაცი.V-ALL აქ CL.V-მობრუნება-NMLZ NEG CL.D-ყოფნა

„ამ კაცს აქ დასადგომი არა აქვს.“

(ქადაგიძე და ქადაგიძე, 1984, გვ. 228)

კომპოზიტურ ერთეულებში კარგად ჩანს განსახილველი ნაზმნარი სახელების ზმნური ბუნებაც. ისინი ასახავენ წინამავალი სახელის კლასის ნიშანს, რომელიც გაქვავებულია ლექსიკალიზაციის შედეგად. ერთპირიან გარდაუვალ ზმნებში ასახულია სუბიექტის კლასის ნიშანი, გარდამავალში კი ობიექტის. ეს საზოგადოდ, დამახასიათებელია წოვათუშურისათვის, მაგალითად:

(2) მათხ-ბ-ა□-უ-□ლა

მზე.B-CL.B-ამოსვლა-NPST-NMLZ

„1) აღმოსავლეთი; 2) მზის ამოსვლა, მზის ამოსვლის დრო“

(3) მათხ-ბ-უწ-უ-□ლა

მზე.B-CL.B-ავსება-NPST-NMLZ

„1. დასავლეთი 2. მზის ჩასვლა, მზის ჩასვლის დრო“

(4) სა-დ-ახ-უ-ილა

სული.D-CL.D-წასვლა-NPST-NMLZ

„სასუნთქი მილი, სასულე“

ხშირ შემთხვევაში -ილა სუფიქსით წარმოებულ სახელებს აქვთ დროის, ადგილისა და სივრცის გაგება. ამასთანავე, აქვთ მეორე, განყენებული მნიშვნელობაც, როგორც აბსტრაქტულ სახელებს, მაგალითად: **ქერ-ილა** „1. საშიშროება, 2. საშიში ადგილი“ (შდრ. **ქერ-არ** „შიში“), **ლაბწ-ილა** „1. სათამაშო, სანავარდო, სასეირნო (ადგილი), 2. თამაში“ (შდრ. **ლაბწ-არ** „თამაში (თამაშობს“) და სხვ. საინტერესოა, რომ ორივე მათგანი გარდაუვალი ზმნისაგან არის ნაწარმოები და ნომინალიზებული ფორმები არა სასუბიექტო, არამედ საობიექტოა. ზოგიერთი მათგანი კი ამგვარი შინაარსობრივი ინტერპრეტაციის საშუალებას არ იძლევა, არ მიუთითებს ადგილსა და დროზე. ისინი განყენებული მნიშვნელობის ნაზმნარი სახელები არიან: **ლეფ-ილა** „ელვარება“ (შდრ. **ლეფ-არ** „ელვარება, ბზინვა“), **თემ-ილა** „დანდობა, ნდობა“ (**თემ-არ** „დაჯერება, ნდობა“, შდრ. აგრეთვე **თემ-ომ** „ნდობა, დანდობა“), **დეშ-უ-ილა** „დაპირება, აღთქმა“ (**დეშ-არ** „დაპირება“), **მაკ-დ-უ-ილა** „შეძლება, შეძლების უნარი, სახსარი“ (შდრ. **მაკ-დ-არ** „შეძლება (შეძლებს)“ ← **მაკ-არ** „შეძლება“) და სხვ. ამ შემთხვევაში მასდარსა და წარმოქმნილ სახელს შორის შინაარსობრივი სხვაობა თითქმის წაშლილია.

მეორე მხრივ, არის სახელები, რომლებსაც მხოლოდ მოქმედების ადგილის სემანტიკა აქვს. ჩანს, რომ მათ თავდაპირველ მნიშვნელობაში ეს ხაზი იყო წამყვანი, რაც ლექსიკალიზების მიუხედავად დღესაც საგრძნობია, ასეთებია:

კჭაკ-ერწ-ილა „კარის ქუსლის (ფეხის, კარის) საბრუნავი ადგილი“, **დ-ერწ-ილა** „მისაბრუნე, მოსაბრუნე, მოსახვევი“, (შდრ. **დ-ერწ-არ** „მოტრიალება, მიბრუნება“), **ლაბჟ-ილა** „სასხლეტი (სადაც ფეხი სხლტება)“, (შდრ. **ლაბჟ-არ** „დაცურება, დასხლტომა“), **ლებჟ-ილა** „საცურავი (ადგილი), ლიპი, [და]სახლეტი,

სასხლტომი“, (შდრ. ლებჟ-არ „სრიალი, სხლეტა“), ხაბჟ-უ-ილა „დასასხდომი (ადგილი)“, (შდრ. ხაბჟ-არ „დასხდომა (დასხდებიან)“), ლესტ-ილა „საქანელა“, (შდრ. ლესტ-არ „ქანაობა“) და სხვ.

ამგვარად, -ილა სუფიქსით ნაწარმოები სახელები შესაძლოა გამოხატავდნენ:

1) მოქმედების ადგილს, სივრცეს, 2) მოქმედების დროს, 3) განყენებულ მნიშვნელობას. როგორც ზემოთ ვნახეთ, ზოგიერთი მათგანი ორ მნიშვნელობასაც გადმოსცემს ერთდროულად. რიგ შემთხვევებში ისინი ქართულის დანიშნულების სახელების მსგავს შინაარსსაც ატარებენ.

-ილა ბოლოსართი ისტორიულად რთული შედგენილობის უნდა ყოფილიყო. ვინაიდან ამ სახით ნაწარმოები სახელების დიდი ნაწილი აღნიშნავს მოქმედების ადგილსა და სივრცეს, ვფიქრობ, მის შედგენილობაში ცალკე უნდა გამოიყოს -ა სუფიქსი, რომელიც სწორედ მსგავსი სემანტიკის მატარებელია და ხშირად ტოპონიმების საწარმოებლადაც გამოიყენება. ამასთანავე, ის ზედსართავი სახელებისაგან აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს. როგორც ვნახეთ, -ილა სუფიქსით ნაწარმოებ სახელებს აქვთ ეს მნიშვნელობაც. ვრცლად -ა სუფიქსის ფუნქციათა შესახებ იხ. წინამდებარე ნაშრომის ქვეთავი 1.6.

მოცემული ჯგუფის სახელთა მანაწარმოებლად ი. დეშერიევი გამოყოფს არა -ილა, არამედ -ლ//-ლ-ი სუფიქსს (Дешериев, 1953). ამასთანავე, -ლ, რომელსაც მკვლევარი -ლ-ს ალომორფად მიიჩნევს, აღნიშნული ფუნქციით მე ვერ მოვიძიე. მსგავსი მაგალითები არც თავად ავტორს აქვს მოყვანილი. დასასრულ, ავტორი დაასკვნის, რომ -ლ//-ლა, -ლოვ//-ლოუ, -ლლ და -ლლ-ი ერთმანეთის ფონეტიკური ვარიანტებია. ეს ნაკლებად სარწმუნო ჩანს, ვინაიდან, -ლა და -ლოვ, რომლებიც რთული შედგენილობის მორფემებია, სხვადასხვა ოდენობებს წარმოადგენს, განსხვავებულ სემანტიკას გამოხატავს. -ლოვ ხელობის აღმნიშვნელ რამდენიმე სახელში გამოიყენება. შესაძლოა, ორივე მათგანში -ლ ისტორიულად ერთ ოდენობას წარმოადგენდა, მაგრამ -ა-ს და -ოვ-ს ერთგვარი სემანტიკა არ აქვს. ისინი დამოუკიდებელ სუფიქსებადაც გამოიყენება. პირველი მათგანი აბსტრაქტულ სახელებსა და ტოპონიმებს აწარმოებს, -ოვ კი ნომინალიზებულ სუბიექტსა და წარმომავლობის სახელებს (იხ. წინამდებარე ნაშრომის II თავი). ისინი სხვა ბოლოსართებთან ერთადაც წარმოქმნიან რთულ

მორფემებს და არა მარტო -ლ-სთან. გარდა ამისა, -ა მაღალი პროდუქტიულობითა და პოლისემიურობით გამოირჩევა, -ოვ კი, პირიქით.

საგულისხმოა, რომ როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი ზმნებისაგან იწარმოება ძირითადად საობიექტო შინაარსის სიტყვები.

როგორც აღინიშნა, -ილა დაერთვის არა მარტო მარტივ, ისე დ-(ი)-არ და დ-ალ-არ მეშველი ზმნებით ნაწარმოებ ზმნურ ფუძეებს და იქმნება შემდეგნაირი მორფოლოგიური სტრუქტურა:

[[(CL-) V.NPST]_{v+} -ილა]_N

[[(CL-) V+ (CL-) + -NPST]_{v+} -ილა]_N

დ-ალ-არ-ით ნაწარმოები ზმნები აწმყო და მყოფადი დროის ფორმებში კარგავენ კლასის ნიშანს. ის არც ნომინალიზებულ ფორმებში ჩანს, რადგან საყრდენ ფუძედ სწორედ ამ მწრკივთა ფორმებია გამოყენებული. შესაბამისად, ნაწარმოებ ფორმებს აქვთ შემდეგნაირი სტრუქტურა: [[V+ -ლ+ა]_v + -ილა]_N

მასდარი	წარმოქმნილი სახელი	
ლაბწ-არ „თამაში“	ლაბწ-ილა	„1.სათამაშო, სასეირნო (ადგილი), 2. თამაში
იხ-არ „სვლა“	იხ-უ-ილა	„სასვლელი, სადენი (მდინარისა)“
თეყ-არ „ლოცვა“	თეყ-ილა	„სალოცავი, სამლოცველო ხატი, დღეობა“
არლ-არ „ლეწვა“	არლ-უ-ილა	„1.ლეწვის ადგილი; ლეწვა 2. ლეწვის დრო, კალოობა“

ბჟარლო მყოფ. „შეხვედრა (შეხვედბა)“	ბჟარლ-უ-ალა	„შესახვედრი ადგილი, შესაყარი (წყლისა), შეხვედრა“
დ-ერწ-არ „მობრუნება“	დ-ერწ-ილა	„მოსაბრუნნი, მოსახვევი“
ა□-დ-ოსს-დ-არ „ჩასვლა“	ა□-დ-ოსს-უ-ალა	„ჩასასვლელი“
ლექყ-დ-არ „დამალვა (დამალავს)“	ლექყ-დ-უ-□ლა	„სამალავი (სადაც მალავენ)“
ლექყ-დ-ალ-არ „დამალვა (დაიმალება)“	ლექყ-ლ-ა-□ლა (ლექყლალა□შ□)	„სამალავი ადგილი (სადაც იმალებიან)“
ბეკხეთ-არ „გაკვირვება, განცვიფრება“	ბეკხეთ-ილა	„საკვირველება, საოცრება“

როგორც დასახელებული მაგალითებიდან ჩანს, მარტივი ზმნებისაგან ნაწარმოებ სახელებში მწკრივის ნიშანი დაკარგულია, რთულ ზმნებში კი შენარჩუნებული. ნაწარმოებ ზმნებში მწკრივის ნიშნად შესაძლოა, შეგვხვდეს ხუთი სადა ხმოვნიდან ერთ-ერთი.

1.3. -ღარ და -ღუფ სუფიქსები, ასოციაციური მრავლობითი

ასოციაციური მრავლობითი ეწოდება არსებითი სახელისა და მორფემისაგან შემდგარ ისეთ კონსტრუქციას, რომელშიც მორფემა რაიმე ჯგუფისა თუ სიმრავლის ამ სახელისადმი მსგავსებას გამოხატავს. სახელის მხოლოდობითი რიცხვის ფორმა, რომელიც ერთ ინდივიდზე მიუთითებს, მრავლობით რიცხვში მასთან ასოცირებულ, სოციალურად დაკავშირებულ ჯგუფსაც მოიცავს. არსებითი სახელი უმეტესად საკუთარი სახელია, ასოციაციური მრავლობითის მაწარმოებელი მორფემა კი

სხვადასხვა ენაში განსხვავებულ ოდენობას წარმოადგენს. იგი შესაძლოა იყოს აფიქსი, ნაწილაკი ან სახელი. წარმოებული სიტყვის მნიშვნელობა კი ასეთია: X და სხვა ხალხი, ადამიანთა ჯგუფი, რომელიც X-ის მსგავსია. ამგვარად, როგორც X, ისე მასთან დაკავშირებულ, ასოცირებულ სახელთა ჯგუფი ადამიანთა კლასს განეკუთვნება. ეს ასეა თითქმის ყველა ენაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია მსგავსი წარმოება. სხვა ჯგუფის, მაგალითად, ცხოველთა სახელების გამოყენება გამონაკლისს წარმოადგენს (Daniel & Moravcsik, 2013).

ასოციაციური მრავლობითის საწარმოებლად წოვათუშურში გამოიყოფა **-ღარ** და **-ღუფ** სუფიქსები. მათი საშუალებით ნაწარმოები ერთეულები ორ განსხვავებულ სემანტიკურ ჯგუფს წარმოადგენს. **-ღუფ** ბოლოსართი აქამდე არ ყოფილა განხილული სამეცნიერო ლიტერატურაში. **-ღარ** ბოლოსართის ეტიმოლოგიასა და ფუნქციაზე მოკლე მსჯელობა მოცემულია კ. ჭრელაშვილისა და რ. გაგუას ნაშრომებში (ჭრელაშვილი, 2002, გაგუა, 1983). კ. ჭრელაშვილი დაასკვნის „**-ღარ** ელემენტის სემანტიკა მიჩქმალულია. ცხადია, რომ მას რაღაც მნიშვნელობა ჰქონდა.“ ავტორი იქვე გამოთქვამს ვარაუდს მის უდიურ **ღარ**-თან კავშირის შესახებ, სადაც ის დამოუკიდებელი სიტყვაა და შვილს, ბიჭს ნიშნავს (ჭრელაშვილი, 2002, გვ. 292-293). რ. გაგუას დაკვირვებით კი, საკვლევი აფიქსი რთული შედგენილობისაა და მისი **-ღ** სემენტი გარდაქცევითი ბრუნვის ნიშნიდან მომდინარეობს (გაგუა, 1983).

-ღარ მაწარმოებელი დაერთვის საზოგადო, ნათესაობის აღმნიშვნელი და საკუთარი სახელების წმინდა ფუძეს და გამოხატავს იმ ადამიანთა ჯგუფს, რომელიც ასოცირებულია სახელით გადმოცემულ პირთან. მაგალითად, **გაბღარ** – გაბო და ის ადამიანები (ოჯახი, ნათესავები, მეგობრები), რომლებიც ასოცირებული არიან გაბოსთან, აქვთ მასთან რაიმე სახის სოციალური კავშირი. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ფორმა აუცილებლად მოიაზრებს გაბოს არსებობასაც ამ სიმრავლეში: გაბო + სხვები.

-ღარ ბოლოსართით ნაწარმოებ ასოციაციურ მრავლობითთა მორფოლოგიური სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:

[[N+ -ღ]_{ADJ} -არ]_N
-ADJZ -PL

საყრდენი ფუძე	ნაწარმოები სახელი	
მა□მ□ „მამიდა“	მამმ-ლარ	„მამიდაანი“
ნინ	ნინ-ლარ	„ნინოანი“
შაქრო	შაქრ-ლარ	„შაქროანი“
გიგოლ	გიგოლ-ლარ	„გიგოლიანი“
ბერ	ბერ-ლარ	„ბეროანი“

-ლარ სუფიქსი წოვათუშურში გვარების, უფრო სწორად, საგვარეულო სახელების საწარმოებლადაც გამოიყენება, რადგან იგი აღნიშნავს არა ერთ ადამიანს, არამედ ჯგუფს, სიმრავლეს. მასთან ერთად გვარების მეორე მაწარმოებელია -ურ (ბელდ-ურ-ი, შალფ-ურ-ი და სხვ.). კ. ჭრელაშვილის თვალსაზრისით, -ი, რომელიც მოჰყვება -ურ სუფიქსს, მრავლობითი რიცხვის სუფიქსია (ჭრელაშვილი, 2002, გვ. 292). საინტერესოა, რომ ქართულის -ურ სუფიქსს, წარმომავლობის აღნიშვნასთან ერთად, მსგავსების გამოხატვის ფუნქციაც აქვს: ქალ-ურ-ი, ბავშვ-ურ-ი და სხვ.

-ლარ სუფიქსის სემანტიკა ქართულში შეიძლება გადმოიცეს -იან ბოლოსართით: გიგო-ან-ი, ოთარა-ან-ი, ნინო-ან-ი, ციცო-ან-ი და სხვ. თუმცა იგი არ არის მისი ზუსტი შესატყვისი, რადგან წოვათუშური -ლარ დაბოლოებიანი ფორმები აუცილებლად მოიაზრებს სახელით გადმოცემული პირის მყოფობას მასთან ასოცირებული ადამიანების სიმრავლესთან ერთად. იან-ი გვარის დაბოლოებას წარმოადგენს უმეტესად რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში, მაგრამ როგორც აკაკი შანიძე მიუთითებს, ძველად ასეთი დაბოლოებები აღმოსავლეთ საქართველოშიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული. მეორე -ნ, რომელიც მრავლობითობას აღნიშნავდა, მოცემულ ფონეტიკურ გარემოში დაკარგულია (შანიძე, 1973, გვ. 123). ამგვარად, წოვათუშური და ქართული ასოციაციური მრავლობითის სუფიქსები საგვარეულო სახელებსაც აწარმოებს, ამ ნიშნით ისინი ახლოს დგანან ერთმანეთთან.

თავისი მნიშვნელობით -ლარ სუფიქსთან ახლოს დგას -ლუჲ ბოლოსართი, მაგრამ იგი დაერთვის მხოლოდ საზოგადო არსებით სახელებს და მიუთითებს დასახელებული პირის ოჯახის წევრებზე, ნათესავებზე, გარემოცვაზე და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ -ლარ სუფიქსით ნაწარმოები ერთეულებისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში სახელით გადმოცემული პირი ჩართული არ არის ამ სიმრავლეში.

მაგალითად, მარლუი ნიშნავს ქმრის ნათესავებს, ოჯახს (შდრ. მარ „ოჯახი“) და არა ქმარს და მის ნათესავებს. მსგავსივე წარმოებისაა ნანლუი „დედის ნათესავები“ (შდრ. ნან „დედა“) და სხვ. ქართულში მისი შესატყვისი ჩანს -**ელ/ეურ** სუფიქსი: დედეული, ქმარეული, ცოლეური და ა.შ.

ვინაიდან, -**ლარ** გამოიყენება როგორც საზოგადო, ნათესაობის აღმნიშვნელ სახელებთან, ისე საკუთართან, -**ლუი** კი მხოლოდ საზოგადოსთან, ეს უკანასკნელი საგვარეულო სახელების მაწარმოებლად არ გვხვდება.

[[N+ -**ლ**]_{ADJ} -**ლუი**]_N

-ADJZ -PL

საყრდენი ფუძე	ნაწარმოები სახელი	
ფსტუმნ □ „ცოლი“	ფსტუნ-ლუ □	„ცოლეურნი“
მარ „ქმარი“	მა □ რ-ლუ □	„ქმრისეულნი, ქმრის ოჯახი“
ნან „დედა“	ნან-ლუ □	„დედისიანები, დედის ოჯახი“

ჩემი აზრით, წოვათუშური -**ლარ** და -**ლუი** სუფიქსები ისტორიულად ორნაწილიანი იყო. -**ლ** სემენტი იგივეა, რაც მსგავსების გამომხატველი -**ლ**, რომელიც -**ლ** მაზედსართავებელ ელემენტთან ერთად აწარმოებს მსგავსების შინაარსის მქონე მიმართებით ზედსართავ სახელებს, მაგალითად, **სტაკ-ლ-ლ** „კაცური“ (შდრ. **სტაკ** „კაცი“), **ადმიან-ლ-ლ** „ადამიანური“ (შდრ. **ადმიან** „ადამიანი“) და სხვ (იხ. ნაშრომის 2.14.). მრავლობითობას -**არ** და -**ი/-ლუი** ბოლოსართები გამოხატავს, რომლებიც წოვათუშურში საზოგადო სახელთა მრავლობით რიცხვსაც აწარმოებს. -**არ** ნაკლებად, -**ი** კი ყველაზე პროდუქტიულია: **ვაჟ-არ** „ძმები“ (შდრ. მხ. რ. **ვაშ** □), **გაზ-არ** „თხები“ (შდრ. მხ. რ. **გაზან**), **კნათ-ი** „ბიჭები“ (შდრ. მხ. რ. **კნათ**), **ბადრ-ი** „ბავშვები“ (შდრ. მხ. რ. **ბადერ**) და სხვ. ასოციაციური მრავლობითის წარმოებისას კი პირიქითაა, -**ლუი**-ით ნაწარმოები სულ სამი სახელი მოვიძიე, მაშინ, როდესაც, -**ლარ**-ს შეუზღუდავი წარმოება აქვს.

მსგავსების გამომხატველი -**ლ** სუფიქსი, თავის მხრივ, შესაძლოა უკავშირდებოდეს გარდაქცევითი ბრუნვის -**ლ** ნიშანს, რომელიც წოვათუშურში

დამატების ბრუნვას წარმოადგენს და გამოხატავს ერთი მოცემულობიდან მეორედ გადაქცევას, მაგალითად: დანი \square \square აშ-ე-ღ დეხი \square „ყველანი სტუმრად მოიწვია“, ჟენ დუმა \square \square პუბლ-ე-ღ დაშოღ \square „ცხვის დუმას ცხიმად აღნობენ“ და სხვ. ვრცელი მსჯელობა აღნიშნულ საკითხზე მოცემულია წინამდებარე ნაშრომის II თავში.

საინტერესოა, რომ წოვათუშური -ღარ ბოლოსართის შესატყვისად ჩეჩურ ენაში მსგავსივე ფუნქციით წარმოდგენილია -ღ \square რ ერთეული. ქისტურსა და ჩეჩურის მთის დიალექტებში კი – გ \square რ/გ \square რ. ამასთანავე, ჩეჩურში -ღ \square რ ბოლოსართი ზოგჯერ ნათესაობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის და არა წმინდა ფუძეს. რ. ფარეულიძის აზრით, ისტორიულად ის სწორედ ნათესაობითის ფუძეს უნდა დართვოდა (ფარეულიძე, 1990). ასეა ეს დღემდე ქისტურში, იგი ბრუნვაში მართავს სახელს. თუმცა კ. ჩოქაევი, სუფიქსის წინ წარმოდგენილ ხმოვანს მაერთებელ ხმოვნად მიიჩნევს (Чокаев, 1962).

ავტორთა დიდი ნაწილი მოცემულ სუფიქსს ჩეჩურში დამოუკიდებელი სიტყვისაგან მომდინარედ თვლის, რომელიც დღესაც ცოცხალია. გ \square რ/გ \square რ ნიშნავს ნაწილს, თაეფის (გვარის) განშტოებას (ჩოქაევი, 1962, იაკოვლევი, 1960, ფარეულიძე, 1990). -ღარ და გ \square რ მორფემების იგივეობრიობის საკითხს ეჭვქვეშ აყენებს ი. დეშერიევი და მიუთითებს, რომ აუხსნელია აღნიშნული ფონეტიკური ცვლილების მიზეზი. მისი აზრით, საკვლევი სუფიქსი ორნაწილიანია: ლა საკუთრივ მრავლობითობის აღმნიშვნელია, რ კი გამოსვლითი ბრუნვის ნაწილი (Дешериев, 1963). რ. ფარეულიძე ამ სუფიქსს სპარსულიდან ნასესხებად და, შესაბამისად, დაუშლელ ოდენობად თვლის. ამავე წარმოშობისად მიაჩნია მას ქართული გვარი. ჩეჩურში ასოციაციური მრავლობითის საწარმოებელი სუფიქსის ამოსავალ ფორმად ავტორის აზრით, არის გ \square რ და არა ღ \square რ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, წოვათუშური ღარ და ღუღ სუფიქსები მე საკუთრივ ნახურ ოდენობად მიმაჩნია, რომლებიც ისტორიულად რთული შედგენილობის მორფემებია.

1.4. სუფიქსი -ომ, ნაზმნარი სახელები

ჩეჩნურსა და ინგუშურ ენებში ნაზმნარ სახელთა ერთ ნაწილს -ამ სუფიქსი აწარმოებს. ემპირიული მასალა ცხადად აჩვენებს მის კვალს წოვათუშურშიც. -ამ-ის ფარდად აქ -ომ ბოლოსართია წარმოდგენილი. ვაინახურ ენებში იგი ძალიან პროდუქტიულია, წოვათუშურში კი სპორადულად, რამდენიმე მაგალითშიღია შემორჩენილი. ისიც საინტერესოა, რომ ყველა ეს სახელი, ისევე, როგორც ჩეჩნურსა და ინგუშურში, წოვათუშურშიც ბ- კლასს განეკუთვნება.

აღნიშნულ ბოლოსართს ზმნური აბსტრაქტული სახელების მაწარმოებლად ასახელებს მ. მიქელაძე -ოლ სუფიქსის პარალელურად, თუმცა იქვე მიუთითებს, რომ ის გადმონაშთის სახეს ატარებს და ახალ ფორმებს ვერ აწარმოებს (მიქელაძე, 2011, გვ. 250). მისივე თქმით, ზმნური აბსტრაქტული სახელები დღეს წოვათუშურს ისევე აკლია, როგორც ქართულს. მხოლოდ -ომ სუფიქსით წარმოქმნილ სახელებს აქვს ამგვარი შინაარსი. თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, გარკვეულ შემთხვევებში -ილა სუფიქსსაც უნდა ჰქონოდა მსგავსი მნიშვნელობა (იხ. ქვეთავი 1.2.). სპორადულად შემორჩენილია პარალელური ფორმებიც, შდრ.: თეშ-არ „ნდობა“, თეშ-ომ „ნდობა“, თეშ-ილა „ნდობა“. მასდარსა და საკვლევ სახელებს შორის შინაარსობრივი განსხვავების გადმოცემა ძნელია, რადგან ყველა მათგანი მოქმედების სახელს წარმოადგენს. მ. მიქელაძის განმარტებით, -ომ ბოლოსართით წარმოქმნილი ერთეულების შინაარსი უფრო განზოგადებულია, ვიდრე მასდარებისა და დაახლოებით იგივე განსხვავებაა, რაც ქართულ მზადებასა და სამზადისს შორის (იქვე, გვ. 251).

ქვემოთ მოცემულ სახელთაგან ბოლო ორი მაგალითის შესატყვისი მასდარის ან საყრდენი ზმნური ძირის მოძებნა დღესდღეობით ვერ ხერხდება.

მასდარი	აბსტრაქტული სახელი	
თეშ-არ	თეშ-ომ	„ნდობა“
ჯერ□-არ	ჯერ□-ომ	„შიში, შიშიანობა“
თეგარ	თეგ-ომ	„მორიგება, თანხმობა“
–	□არჩ-ომ: □არჩომ ბა□არ, ბა□ითარ	„ცხვირის დაცემინება“
–	ბ-ერ□-ომ	„წათხი, წაკა“

1.5. -ოლ და -ლობ სუფიქსი, აბსტრაქტული სახელები

-ოლ სუფიქსი პროდუქტიულობით გამორჩეული მაწარმოებელია. მას თითქმის ყველა ვითარებითი ზედსართავი სახელისაგან შეუძლია აბსტრაქტული სიტყვების წარმოება. ხშირად დაერთვის უქონლობა-უყოლობის შინაარსის მქონე მიმართებით ზედსართავ სახელებს, იშვიათად – არსებით სახელებსაც.

-ოლ საყრდენად იყენებს ზედსართავი სახელის არა მარკირებულ, დეტერმინირებულ ფუძეს, რომელიც ნაზალიზებული ხმოვნებით იწარმოება, არამედ გაუდიფერენცირებელ ძირს (ზედსართავთა წარმოებაზე იხ. ნაშრომის II თავი). ეს წესი უგამონაკლისოდ მოქმედებს.

[ADJ]+ -ოლ]_N

-ABSTR

ზედსართავი სახელი	ნაწარმოები	სახელი
მაწრ-ი ^ნ „ტკბილი“	მაწრ-ოლ	„ტკბილეულობა“
მაც-ი ^ნ „მშიერი“	მაც-ოლ	„შიმშილი“
დაქ-ი ^ნ „კარგი“	დაქ-ოლ	„სიკეთე“
დურ-ი ^ნ „მლაშე“	დურ-ოლ	„სიმლაშე“
ლახ-უ ^ნ „დაბალი“	ლახ-ოლ	„სიდაბლე“

ორიოდე შემთხვევაში -ოლ სუფიქსს მოსდევს აბსტრაქტულ სახელთა მეორე მაწარმოებელი -ა. ზოგჯერ ისინი პარალელურ ფორმებად გამოიყენება, მაგალითად, მაც^მ-ოლ-ა „ხალვათობა“ (მაც, მაც^მ „თავისუფალი, -შ ზმნისართის მაწარმოებელი უნდა იყოს“).

არსებით სახელებთან -ოლ მაწარმოებლის გამოყენება დღეს უფრო გამონაკლისის სახეს ატარებს. იძებნება სულ ორიოდე მსგავსი მაგალითი: ბადრ-ოლ „ბავშვობა“ (შდრ. ბადერ „ბავშვი“), მარ-ოლ „სიმამაცე, ვაჟკაცობა“ (შდრ. მარ „ქმარი“), ყ-ოლ „ქურდობა“ (შდრ. ყუყუ „ქურდი“). თუმცა ისტორიულად ის შესაძლოა, უფრო პროდუქტიული ყოფილიყო არსებით სახელებთანაც. დღეს მოცემულ პოზიციაში მის მომდევნოდ წარმოდგენილია აღნიშნული კატეგორიის მაწარმოებელი ქართული

სუფიქსი **-ობ.** **ოლ-**ს დაკარგული აქვს ხმოვნითი ნაწილი და იღებს **-ლობ** მაწარმოებლის სახეს. ამგვარად, ხდება ჰიბრიდული წარმოება, რომლის დროსაც ორი იდენტური ფუნქციის მქონე სუფიქსი, საკუთარი და ნასესხები, ერთდროულად გამოიყენება და იქმნება შემდეგი სახის მორფოლოგიური სტრუქტურა:

[[N+ -(ო)ლ] _{N+} -ობ] _N	[[AD] ₊ -(ო)ლ] _{N+} -ობ] _N
-ABSTR -ABSTR	-ABSTR -ABSTR

	*ნაწარმოები	აბსტრაქტულ	
	აბსტრაქტული	სახელთა	
	სახელი	მეორეული	
		წარმოება	
ვაშ□	ვაშ-ოლ	ვაშ-ლ-ობ	„ძმობა“
დაშ□	დაშ-ოლ	□აშ-ლ-ობ	„დობა“
კაწკონ ⁶	კაწკ-ოლ	კაწკ-ლ-ობ	„პატარაობა“
მასთხოვ	მასთხ-ოლ	მასთხ-ლ-ობ	„მტრობა“
ნაყბისტ	ნაყბისტ-ოლ	ნაყბისტ-ლ-ობ	„ამხანაგობა“
ნუს	ნუს-ოლ	ნუს-ლ-ობ	„რძლობა“
სტაკ	სტაკ-ოლ	სტაკ-ლ-ობ	„კაცობა“

მეორე სვეტში წარმოდგენილ მაგალითთა უმრავლესობა აღდგენილი ფორმებია.

გვხვდება პარალელური წარმოების ერთი მაგალითი, სადაც აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელი დაერთვის გამსჭვალვითი ბრუნვის ფუმეს: □აშ-ხ-ოლ// □აშ-ხ-ოლ-ობ „სტუმრიანობა, წვეულება, სტუმრების მოწვევა“ (შდრ. □აშ „სტუმარი“).

მარტივი ზედსართაული ძირების გარდა **-ოლ** სუფიქსი დაერთვის **-წ** სუფიქსით ნაწარმოებ უქონლობა-უყოლობა შინაარსის მქონე ზედსართავ სახელებსაც. ამგვარი წარმოება ძალიან პროდუქტიულია. მაგალითად, **ბადერ-წ-ოლ** „უშვილობა“ ← **ბადერ-წ-იწ** „უშვილო“ ← **ბადერ** „შვილი, ბავშვი“; **ტათებ-წ-ოლ** „უფულობა“ ← **ტათებ-წ-იწ** „უფულო“ ← **ტათებ** „ფული, ვერცხლი“ და სხვ. ვრცელი მსჯელობა აღნიშნულ პროცესზე მოცემულია მეორე თავში, ზედსართავ სახელთა განხილვისას.

1.6. სუფიქსი -ა, აბსტრაქტული სახელები, ტოპონიმები

სუფიქს ა-ს რამდენიმე ფუნქცია გააჩნია და მისი ყველა სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობა ამ ნაწილში ერთად არის განხილული. მის შესახებ მცირე მსჯელობა მოცემულია მეორე თავშიც, ზედსართავ სახელთა ფუძის საკითხზე საუბრისას.

-ოლ სუფიქსის გარდა, ზედსართავებისაგან აბსტრაქტულ სახელებს აწარმოებს **-ა** ბოლოსართიც. ხშირად ისინი ერთმანეთის პარალელურადაც გამოიყენება, როგორც ზემოთ ვიხილეთ. მათ შორის სემანტიკური სხვაობა არ არის. განსხვავება საყრდენ ფუძეებშია და მათი გამოყენების წესი ცალსახად განსაზღვრული და გამიჯნულია: **-ოლ** გაუდიფერენცირებელ ზედსართავულ ძირებს დაერთვის, **-ა** კი – ნაზალური ხმოვნით მარკირებულს, რომელსაც დეტერმინანტი სუფიქსის ფუნქცია აქვს, მაგალითად: **დადე-ნ-ა** (<- ***დაქ-ინ-ა**) და **დაქ-ოლ** „სიკეთე“, შდრ. **დაქ-იწ** „კარგი“; **ჭჳალ-ნ-ა** და **ჭჳალ-ოლ** „სიძლიერე“, შდრ. **ჭჳალ-ოწ** „ძლიერი“; **ღადრჳ-ნ-ა** (<- ***ღარჳ-ინ-ა**) და **ღარჳ-ოლ** „სიშავე, შავის თვისება“, შდრ. **ღარჳ-იწ** „შავი“ და სხვ.

თუ ზედსართავის ფუძე ა ან ო ხმოვნებზე ბოლოვდება, **-ა** სუფიქსის დართვა კვეცას იწვევს. ე ან ი ხმოვნებზე დაბოლოებულ ზედსართავ სახელებთან კი ხდება მეტათეზისი, ი ფუძის შიგნით გადაინაცვლებს, **-ნ** კი სრულ ბგერად აღდგება, კარგავს რა ბოლოკიდურ პოზიციას. ეს წოვათუშურში მოქმედი ზოგადი ფონეტიკური წესია. ყველა ნაზალური ხმოვანი პოზიციურად არის მიღებული და შესაბამის ფონეტიკურ პირობებში, ნაზალურობა იკარგება (Дешериев, 1953, გაგუა, 1956, იმნაიშვილი, 1977, Holisky & Gagua, 1994, სანიკიძე, 2010, Hauk & Harris, 2018, Wichers Schreur, 2024 და სხვ.).

ზედსართავი სახელი	ნაწარმოები აბსტრაქტული სახელი	
წეგ-ეწ „წითელი“	წეგ-ნ-ა, წეგ-ნ-ა	„სიწითლე“
კუ-დწ „თეთრი“	კუ-დ-ნ-ა	„სითეთრე“
დაქ-იწ „კარგი“	დადე-ნ-ა	„სიკეთე“
დ-აყ-იწ „ხმელი“	დადე-ნ-ა	„სიხმელე, სიმაგრე“
ჭჳალ-ოწ „მაგარი“	ჭჳალ-ნ-ა	„სიმაგრე, მაგარი, ადგილი“

ატტ-ან „ადვილი“ ატტ-ნ-ა „სიადვილე“
დ-აფხ-ენ „ცხელი“ დაფხ-ნ-ა „სიცხე“

გრამატიკული კლასის მქონე ზედსართავი სახელების შემთხვევებში, ცხადია, კლასის ნიშანი იცვლება მასთან შეწყობილი არსებითი სახელის კლასის მიხედვით, მაგრამ როდესაც მისგან აბსტრაქტული სახელი იწარმოება, გაქვავებულია კლასის განზოგადებული ნიშანი **დ**. ასეთებია ცხრილში მოცემული **დაყენა** და **დაფხნა**.

-ა დაერთვის ზმნისართებსაც და აწარმოებს იმავე შინაარსის არსებით სახელებს, მაგალითად, **გარგ-ა** „სიახლოვე (მანძილისა)“, შდრ. **გარგ** „ახლოს“, **ჩაჯ-ა** „სიშორე“, შდრ. **ჩაჯ** „შორს“, **გოგხ-ა** „გარშემო ადგილები, ირგვლივი, მიდამო“, შდრ. **გოგეხ/გოგეხ** „1. გარშემო 2. უკან“ და სხვ.

ვითარებითის გარდა, -ა დაერთვის მიმართებით ზედსართავ სახელებსაც. ცხადია, ყველგან შენარჩუნებულია ფუძის საწარმოებელი სუფიქსის ნაწილი -ნ, რადგან -ა არასოდეს აწარმოებს სახელებს გაუდიფერენცირებელი ძირებისაგან, მაგალითად, **მუტო-რნ-ა** „სიბინძურე“← **მუტო-რენ** „ჭუჭყიანი“← **მუდტ** „ჭუჭყი“; **ჩამ-ლნ-ა** „სიგემრიელები“← **ჩამ-ლინ** „გემრიელი“← **ჩამ** „გემო“; **აჭო-რნ-ა** „სიმყრალე“← **აჭო-რენ** „სუნიანი, მყრალი“← **ააჭ** „სუნი“ და სხვ. განსხვავების უკეთ წარმოსაჩენად შეადარეთ **გონ-წ-ოლ** „უჭკუობა, სისულელე“← **გონ-წინ** „უჭკუო, სულელი“← **გონ** „ჭკუა, გონება“ და მრავალი მსგავსი.

-ა ბოლოსართის კიდევ ერთი ფუნქცია მოქმედების ადგილის ლოკალიზების, ზოგჯერ კი ზოგადი დროის (და არა გრამატიკულის) გამოხატვაა. ამ სემანტიკას ის ზოგჯერ დამოუკიდებლად გადმოსცემს – დაერთვის რა ფუძეს, **მათხ-ა** „სამზეო“ (შდრ. **მათხ** „მზე“), **დაკმაქ-ა** „მკერდი“, ეს უკანასკნელი კომპოზიტური სახელია, შედგება სახელისა და თანდებულისაგან **დოკ** „გული“, **მაქ** „-ზე“ და სხვ., ზოგჯერ კი სხვა სუფიქსებთან კომბინაციით ქმნის რთულ სიტყვაწარმოებით მორფემებს, ასეთებია, მაგალითად, **-ილ-ა**, **რენ-ა**, **-ინ(□)-ა** და სხვ.

ყურადღებას იპყრობს თუშეთის ზოგიერთი სოფლისა და იმ ადგილთა სახელწოდებები, რომლებთანაც წოვათუშებს უშუალო შეხება ჰქონდათ. ყველა მათგანის ზუსტი ეტიმოლოგიის დადგენა რთულია, მაგრამ მათი მორფოლოგიური სტრუქტურა და სიტყვაწარმოებითი მოტივაცია ხშირ შემთხვევაში ნათელია, მათში -ა

სუფიქსი გამოიყოფა, მაგალითად: **ყა-დ-უ-□ნ-ა** არის ალაზნის თავიდან წოვათაში გადასასვლელის სახელი. ქართულ მეტყველებაში დამკვიდრებულია **ყადოვანას** ფორმით. საკვლევი **-ა** სუფიქსი საყრდენ ფუძედ იყენებს აწმყო დროის მიმდევობას, რომლის მაწარმოებელია **-ინ□**. **ყა-დ-არ** ზმნური კომპოზიტია და ცოდვის ჩადენას ნიშნავს: **ყა** „ცოდვა“, **დ-არ** „კეთება“. ამასთანავე, კეთება ზმნა აწმყო დროის ფორმებში მხოლოდ კლასის ნიშნით რეალიზდება. მის შემდეგ მოცემულია მწკრივის ნიშანი, რადგან, წესისამებრ, აწმყო დროის მიმდევობები შესაბამისი მწკრივის ფორმისაგან იწარმოება (იხ. ქვეთავი 2.21.). წოვათუშურისთვის ეს ტიპური ზმნური კომპოზიტური სტრუქტურაა. არსებობს მიმდევობური ფორმაც **ყა-ბ-უ-ან□** „ცოდვის ჩამდენი“. ამ შემთხვევაში ზმნურ ნაწილში ასახულია **ყა** „ცოდვის“ კლასის ნიშანი **ბ-**, მაგრამ ლექსიკალიზებისას, როგორც ზემოთაც ვნახეთ, ქვავდება **დ-**კლასის ნიშანი. ამგვარად, აღნიშნული ტოპონიმის სტრუქტურა ასე გამოიყურება:

ყა-დ-უ-□ნ-ა

ცოდვა-CL.D-PRS-PTCP-TOP

„ცოდვის ჩამდენი/ცოდვიანი (ადგილი)“

მართლაც, ეს ადგილი, თავისი რთული რელიეფიდან გამომდინარე, ხშირად ხდება საგზაო შემთხვევების მიზეზი.

იგივე სუფიქსი ჩანს შემდეგ ტოპონიმებში: **□ამუგ-ა** – საბატკნე ადგილის სახელია ხევსურეთის საზღვართან, **ბოჭორნ-ა** – სოფელი გომეწრის ხეობაში, **მასირ-ა** – ტოპონიმი ტბათანასთან, **ბაც-ა** – წოვათუშების საცხოვრებელი ადგილის სახელი მთათუშეთში, **ქოჩადალ-ა** – ტოპონიმი ტბათანაში, ასევე მდინარის სახელია ახმეტის მუნიციპალიტეტში, **ნახირ□ორხ-ა** – ტოპონიმი ალაზნის თავის აუზში, **ბეღელ-ა** – სოფელი გომეწრის ხეობაში და სხვ. -ა სუფიქსით აფორმებენ წოვათუშები ადგილთა ქართულ სახელწოდებებსაც, მაგალითად, **ალუან-ა** „ალვანი“, **თინით-ა** „თიანეთი“ და სხვ. გვხვდება რამდენიმე საზოგადო სახელთანაც: **ქალიქ-ა** „ქალაქი“, **ლაზრით-ა** „ლაზარეთი და სხვ.

ა. ბერთლანი -ა-ს გამოყოფს წოვათუშურენოვანი სოფლების სახელწოდებების მაწარმოებლად (ბერთლანი, 2019, გვ. 220), თუმცა ის ტოლობის ნიშანს სვამს

აბსტრაქტული სახელების მაწარმოებელ -ა-ს სემანტიკასა და მის მეორე ფუნქციას შორის. მისი განმარტებით, ტატ-ნ-ა არის „არე და დრო, რომლებიც მოიცავენ სისველეს“ (შდრ. ტატ-ე^ნ „სველი“), ლაზ-ნ-ა „დრო და სივრცე, სადაც კარგია, კარგობა“ (შდრ. ლაზ-ე^ნ „კარგი“ (ბერთლანი 2019, გვ. 227). ისტორიულად ისინი შესაძლოა ერთმანეთს უკავშირდებოდეს, მაგრამ, ვფიქრობ, ემპირიული მასალა ცხადად აჩენს, რომ დროთა განმავლობაში სუფიქსის ეს ორი ფუნქცია ერთმანეთისაგან გაიმიჯნა.

1.7. სუფიქსი -რნა, მცენარეთა კრებულის აღმნიშვნელი სახელები

წინა ქვეთავში განხილული ტოპონიმთა მაწარმოებელი და მოქმედების ლოკალიზების გამომხატველი -ა უნდა გამოიყოს მცენარეთა კრებულის სახელწოდებებშიც. ამ შემთხვევაში იგი ქმნის რთულ სიტყვაწარმოებით აფიქსს, დაერთვის ქონა-ყოლის შინაარსის გამომხატველ -რე^ნ სუფიქსს და შედეგად მიიღება -რნ-ა. ენაში მოქმედი ფონეტიკური წესის თანხამად, -ნ აღიდგენს სრულხმოვნობას, კარგავს რა ბოლოკიდურ პოზიციას, ე კი იკარგება მრავალმარცვლიანობის თავიდან ასაცილებლად. მოცემული ბოლოსართით ნაწარმოები სახელები ატარებს მცენარეთა კრებულის შინაარსს, აღნიშნავს ადგილს, სადაც მრავლად არის ეს მცენარე.

იმაზე, რომ -რნა სინქრონიულ დონეზე ერთიან რთულ მორფემას წარმოადგენს და არა ზედსართაულ ფუძეზე დართულ -ა მაწარმოებელს, რამდენიმე ფაქტი მიუთითებს: 1) ქონა-ყოლის შინაარსი წოვათუშურ ზედსართავ სახელებში რამდენიმე სუფიქსით გამოიხატება, ზოგჯერ ისინი პარალელურ ფორმებადაც გამოიყენება, მცენარეთა კრებულის აღსანიშნავად კი მხოლოდ განსახილველი ბოლოსართი გვხვდება; 2) მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია სუფიქსის ეტიმოლოგიზება ორ ნაწილად, სინქრონიულად მათი ერთობლიობა გამოხატავს განსაზღვრულ შინაარსს, რთული სიტყვაწარმოებითი მორფემის საშუალებით ხდება კონკრეტული სემანტიკური ჯგუფის, მცენარეთა კრებულის სახელთა დერივაცია.

მცენარეთა კრებულის სახელები მხოლოდ მაზედსართავებელი -რე^ნ სუფიქსით, მორფოლოგიურად გამოხატული ნომინალიზების გარეშე არ გამოიყენება. ამას ხელს უწყობს მათი სემანტიკაც, მცენარის ქონა, არსებობა ადგილთან მიმართებით შეიძლება გამოიხატოს, ამიტომ მნიშვნელობის დასასრულებლად მას ლოკალიზების

სუფიქსიც სჭირდება. -ა ბოლოსართი ასრულებს როგორც გრამატიკულ, ისე სემანტიკურ ფუნქციას: ცვლის სიტყვის კატეგორიას, ზედსართავ სახელს მორფოლოგიურად აფორმებს არსებითად და, ამასთანავე, მიუთითებს ადგილზე. ეს სიტყვები ქართულად ხშირად ქონა-ყოლის სუფიქსითაც ითარგმნება ხოლმე, რაც ქართულისთვის ბუნებრივია. აქ ისინი ნომინალიზებულია სათანადო მაწარმოებლების გარეშე. მცენარეთა კრებულის აღსანიშნად ქართულში პარალელურ ფორმებად გამოიყენება -იან და -ნარ სუფიქსები, მაგალითად, არყ-იან-ი და არყ-ნარ-ი, თხილ-იან-ი და თხილ-ნარ-ი და სხვ.

ნათქვამის გათვალისწინებით, მცენარეთა კრებულის აღმნიშვნელი სახელების დარივაციის ისტორიული პროცესი წოვათუშურში შეიძლება ასე გამოისახოს სქემატურად:

[[N+ -რე^ნ]_{ADJ} + -ა]_N
 -ADJZ -NMLZ

პირველადი საყრდენი ფუძე	მეორეული საყრდენი ფუძე	ნაწარმოები სახელი	
ფიჭვ „ფიჭვი“	ფიჭვ-ა-რე ^ნ	ფიჭვ-ა-რნ-ა, ფიჭვ-ე-რნ-ა	„ფიჭვნარი“
წიფელ „წიფელი“	წიფლ-ა-რე ^ნ	წიფლ-ე-რნ-ა	„წიფლიანი“
ბულთქ „ბუჩქი“	ბულთქ-ა-რე ^ნ	ბულთქ-ა-რნ-ა	„ჩირგვნარი, ბოლქვნარი“
გალ „არყის ხე“	გალ-ა-რე ^ნ	გალ-ა-რნ-ა	„არყიანი, არყნარი“
თხილ „თხილი“	თხილ-ა-რე ^ნ	თხილ-ა-რნ-ა	„თხილნარი, თხილიანი“
კვრინჩხ „კვრინჩხი“	კვრინჩხ-ა-რე ^ნ	კვინჩხ-ა-რნ-ა	„კვრინჩხნარი“

ტოპონიმებისა და აბსტრაქტული სახელების -ა მაწარმოებელს -არე^ნ სუფიქსის ნაშთად მიიჩნევს ა. ბერთლანი (ბერთლანი, 2019), რაც ნაკლებად დამაჯერებელი ჩანს. -რე^ნ (და მისი ალომორფის -ლე^ნ) სუფიქსის წინ არსებული -ა თანხმოვანთგამყარია და არა სემანტიკის მატარებელი ერთეული. ამასთანავე, აღნიშნულ პოზიციაში, ა-ს გარდა, სხვა ხმოვნებიც გვხვდება თანხმოვანთგამყარად, მაგალითად, შურ-ე-ლე^ნ „რძიანი“

(შდრ. შურ „რძე“), მუტ-ო-რეფ „ჭუჭყიანი“ (შდრ. მუტ-ო-რეფ „ჭუჭყი“). ამის საწინააღმდეგოდ თავად ის ფაქტი მეტყველებს, რომ -(ა)რეფ სუფიქსს ლოკალიზების გადმოსაცემად დაერთვის -ა. ამიტომ, ვფიქრობ, -რეფ სუფიქსის წინ არსებული და აუსლაუტში წარმოდგენილი -ა ერთმანეთამდე ვერ დაიყვანება. ამასთანავე, -ა-ს ორი ფუნქცია – ტოპონიმთა წარმოება, მოქმედების ადგილის გადმოცემა და ზედსართავი სახელებისაგან აბსტრაქტული სახელების წარმოქმნა – სინქრონულ დონეზე სემანტიკურად ერთმანეთისაგან გამიჯნულია.

1.8. სუფიქსი -ხოვ, ნომინალიზებული სუბიექტი

წოვათუმურში -ხოვ სუფიქსით ნაწარმოები სახელები ნომინალიზებული სუბიექტები, აგენსებია. ყველა მათგანი მამაკაცთა კლასს განეკუთვნება. საყრდენად უმეტესწილად არსებითი სახელების ფუძეა გამოყენებული, ერთ შემთხვევაში კი – ზმნური. საკვლევი ბოლოსართი აწარმოებს ხელობის, პროფესიის სახელებს. იგი მიუთითებს პირზე, რომელიც კონკრეტული სახელით აღნიშნული მოქმედების შემსრულებელია.

ჩვენს ხელთ არსებულ ემპირიულ მასალაზე დაკვირვებით, ახლომონათესავე ჩეჩნურ-ინგუშური ენებისაგან განსხვავებით, წოვათუმურში აღნიშნული მაწარმოებელი პროდუქტიულობით არ გამოირჩევა. ჩეჩნურსა და ინგუშურში -ხ-ო ბოლოსართით, ფაქტობრივად, ყველა ხელობისა თუ პროფესიის სახელის წარმოებაა შესაძლებელი (Nichols, 2011, p. 155). წოვათუმურში ასეთი სულ ოთხი სახელი მოვიპოვე.

საინტერესოა, რომ მრავლობით რიცხვში სუფიქსის -ვ ნაწილს -ბი ენაცვლება.

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
[V + -ხოვ] _N	[V + -ხო -ბი] _{N.PL}

[N+ -ხოვ] _N	[N+ -ხო -ბი] _{N.PL}
------------------------	------------------------------

საყრდენი	ნაწარმოები	მრავლობითი
ფუძე	სახელი,	რიცხვი
	მხოლოდითი	
	რიცხვი	

დ-აბწ-არ „გამოცნობა“	დ-აბწ-ხოვ	დ-აბწ-ხოზი	„მცნობი ცხვისა და ბატკნისა“
ველ „სამართალი“	ველ-ხოვ	ველ-ხოზი	„სამართლის, წესის მქმნელი, მოსამართლე“
□ა□რ□, □ა□რა „წისქვილი“	□არ-ხოვ	□არ-ხოზი	„მეწისქვილე“
ბჟე ლაშქარი“	„ჯარი, ბჟე-ხოვ	ბჟე-ხოზი	„მეომარი“

წოვათუმურში არსებული ოთხივე სახელი დასტურდება ჩეჩურსა და ინგუშურშიც:

ინგუშური	ჩეჩური	
ველახ□ო	ველახ□ო	„მოსამართლე“
ტემახ□ო	ბყახ□ო	„მეომარი“
□□რხ□ო	□არხ□ო,	„მეწისქვილე“
ფურთახ□ო	ფურთხ□ო	„თანასოფლელი“

1.9. გრამატიკული კლასის კატეგორია და არსებით სახელთა წარმოება გაქვავებული კლასის ნიშნები არსებით სახელებში

საზოგადოდ, გრამატიკული კლასის კატეგორია მიჩნეულია სახელთა აბსტრაქტულ საკლასიფიკაციო ნიშნად, რომელიც მასთან დაკავშირებულ სიტყვებში აჩენს შესაბამის მარკერებს. კლასნიშნები დატვირთულია სინტაქსური ფუნქციით, თუმცა სახელთა გრამატიკულ კლასსა და სიტყვაწარმოებას შორის არსებული კანონზომიერება შენიშნულ იქნა არაერთ ენაში.

აღნიშნული საკითხი ჩემი კვლევის ფარგლებში საინტერესოა ორი კუთხით: 1. ჩანს, რომ კლასის ნიშნებს გარკვეულ შემთხვევებში, ენის ფუნქციონირების ადრეულ პერიოდში, ჰქონდა ერთგვარი სიტყვაწარმოებითი ფუნქცია. ამდენად, იგი პირდაპირ უკავშირდება საკვლევ თემას და 2. სახელის ძირისა და ფუძის სტრუქტურის კვლევისას აუცილებელი ხდება თანხმომავანპრეფიქსების ფუნქციის განსაზღვრა, მათი ეტიმოლოგიის დადგენა. ნათქვამის მიუხედავად, ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს არა ქვემოთ განხილულ სიტყვათა ეტიმოლოგიის კვლევა, არამედ ამ სახელთა ძირ-ფუძეების სტრუქტურის დადგენა, სიტყვაწარმოებით პროცესზე დაკვირვება და კლასნიშანთა ფუნქციის ანალიზი. მათ ეტიმოლოგიაზე მსჯელობა მოცემულია იმდენად, რამდენადაც ეს სჭირდება კლასის ნიშნების დანიშნულების გარკვევას.

წოვათუშურ ენაში არსებით სახელთა უმრავლესობა განეკუთვნება კონკრეტულ გრამატიკულ კლასს. მათი ამა თუ იმ ჯგუფისადმი მიკუთვნება ლექსიკურ საფუძველზე უნდა იყოს შეპირობებული. გარჩეულია ხუთი ძირითადი და სამი მცირერიცხოვანი ჯგუფი. მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში კლასის ნიშნები, ძირითადად, განსხვავებულია. მთლიანობაში 8 გრამატიკული კლასი კი გამოიყოფა, მაგრამ თავად კლასის მარკერი სულ ოთხია ვ-, ბ-, დ-, ღ-. ამ ნიშნების სხვადასხვა კომბინაციით მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში წარმოიქმნება რვა კლასი. იხ. ცხრილი 2.

ცხრილი 2. გრამატიკული კლასის ნიშნები

მხოლობითი	მრავლობითი
ვ-	ბ-
დ-	ღ-
დ-	დ-
ღ-	ღ-
ღ-	დ-
ბ-	ბ-
ბ-	ღ-

ბ-	გ-
----	----

ადამიანთა აღმნიშვნელი სახელების გრამატიკული კლასი რეფერენტის სქესის შესაბამისია და ამდენად, კლასის ნიშნის პროგნოზირებაც შესაძლებელია: მამრობითი სქესის სახელები გ-/ზ- კლასს განეკუთვნება, მდედრობითი კი – დ-/ღ- -ს. დანარჩენ სახელთა კლასის განსაზღვრა რაიმე პრინციპის საფუძველზე თითქმის შეუძლებელია. იგი თითოეულ სიტყვასთან ერთად უნდა იქნეს დასწავლილი. არსებობს მცდელობა არსებით სახელთა კლასში განაწილების კანონზომიერების დადგენისა, თუმცა ცალსახა კრიტერიუმების შემუშავება და წესების ჩამოყალიბება რთულია (Wichers Schreur, 2021, 2024). შედეგები მაინც მიახლოებითია და ბევრ გამონაკლისს შეიცავს.

წოვათუშურში, ჩეჩნურისა და ინგუშურის მსგავსად, გრამატიკული კლასი ორგვარად არის რეალიზებული: 1) ძირითად შემთხვევებში მას მხოლოდ სინტაქსური ფუნქცია აქვს – შეთანხმება (agreement gender). მაშასადამე, ამ დროს არსებითი სახელის კლასის ნიშანი მასთან სინტაქსურად დაკავშირებულ სიტყვებში აისახება. საკვლევ ენაში ზმნათა მხოლოდ ერთ ნაწილს, აგრეთვე ნაზმნარ სახელებს, რამდენიმე ზედსართავს, ერთ რიცხვით სახელსა და ასევე, გამონაკლისის სახით, ერთ ზმნიზედას აქვს კლასში შეთანხმების უნარი. 2) არის ისეთი შემთხვევები, როდესაც კლასნიშანი თავად სახელებშია აღნიშნული (overt inherent gender). ამ უკანასკნელის მაგალითები გაცილებით მცირერიცხოვანია და სპორადულობის შთაბეჭდილებას ტოვებს. სიტყვის სინქრონიული მორფოლოგიური სტრუქტურიდან დიაქრონიული პროცესების შესახებ დასკვნის გაკეთება ხშირად რთულია. მხოლოდ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამგვარი კლასის ნიშნები ისტორიულადაც არსებითი სახელების მხოლოდ გარკვეული ჯგუფისათვის იყო დამახასიათებელი და არა ყველა მათგანისთვის. სხვაგვარი დაშვების საფუძველს ემპირიული მასალა არ იძლევა. მსგავს თვალსაზრისს გამოთქვამს ჯ. ნიკოლსი ინგუშურ ენასთან დაკავშირებითაც (Nichols, 2011).

საზოგადოდ, გრამატიკული კლასის კატეგორია, როგორც ჩანს, მეტყველების ნაწილთა მხოლოდ გარკვეულ ჯგუფს გააჩნდა. ეს დღესაც ასეა, იგი ზმნების მხოლოდ ერთი ნაწილისთვისაა დამახასიათებელი. აქვე უნდა გამოიყოს ისეთი სახელები,

რომლებსაც ბრუნვათა მიხედვით ხლეჩილი კლასის ნიშანი გააჩნია. მათთვის დამახასიათებელია ფუძის აბლაუტი აბსოლუტივსა და ირიბ ბრუნვათა შორის. **ფ** კლასის ნიშანი ჩანს მხოლოდ აბსოლუტიურ ბრუნვაში. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ წოვათუშურში, საზოგადოდ, მხოლოდ აბსოლუტივში მდგომი სახელი აჩენს ზმნაში კლასის ნიშანს, ასეთი მაგალითებია: **ფეთთ** „ფური“, **ფეხვ** „სავარცხელი“, **ფოლ** „თივა“ და სხვ.

ჩემი აზრით, იმ არსებით სახელებში, რომლებშიც გრამატიკული კლასი მარკირებულია, ორი ჯგუფი უნდა გაიმიჯნოს: 1) ზმნური ფუძისაგან მომდინარე არსებითი სახელები, რომლებშიც გაქვავებულია სინტაქსური ფუნქციის მქონე კლასის ნიშანი და 2) არსებითი სახელები, რომლებიც არ მომდინარეობს ზმნური ფუძისაგან და მაშასადამე, კლასის ნიშანს არ უნდა ჰქონოდა სინტაქსური ფუნქცია. იგი უფრო სიტყვაწარმოებით ბუნებას ავლენს. ამ ჯგუფს განეკუთვნება ისეთი ფუძეებიც, რომლებსაც აქვს ცვლადი გრამატიკული კლასი რეფერენტის ბიოლოგიური სქესის შესაბამისად. ისინი ზოგჯერ ერთსა და იმავე მეტყველების ნაწილს განეკუთვნება, ზოგჯერ განსხვავებულს. ამგვარი სახელები საერთო სემანტიკურ ველს მიეკუთვნება, მაგრამ მათი შინაარსი განსხვავებულია გარკვეული ნიშნით. მაგალითად, **ფ-აშ** „და“, **ფ-აშ** „ძმა“, **ფ-ო** „ქალი, გოგო“, **ფ-ო** „ვაჟი“. აქ გრამატიკული კლასის ნიშანი ბიოლოგიური სქესის მიხედვით განარჩევს ერთი და იმავე შინაარსის სახელებს და ამ მხრივ იძენს სიტყვაწარმოებით ფუნქციას. ასეა ეს ნახურ-დალესტურ ენათა უმრავლესობაში.

მრავლად არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე ძირი სხვადასხვა მეტყველების ნაწილად გვხვდება განსხვავებული კლასნიშნით. ჩანს, რომ ახალი სემანტიკა სწორედ კლასნიშანს უკავშირდება, ის ქმნის ახალ ფუძეს. ერთ-ერთი ასეთი ძირია **უხ**. იგი გვხვდება **ზმნისართებში, არსებითსა და ზედსართავ** სახელებში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მას საგანგებო მაზედსართავებელი სუფიქსიც დაერთვის, მაგრამ არსებით სახელებთან მხოლოდ კლასნიშანია განსხვავებული. ამასთანავე, ზმნისართსა და ზედსართავ სახელში კლასის ნიშანი მოქმედია და არა გაქვავებული. **დ-უხ** „უკან“ არის ერთადერთი ზმნიზედა წოვათუშურ ენაში, რომელსაც გააჩნია გრამატიკული კლასის კატეგორია. ამავე ძირ-ფუძეს შეიძლება დაერთოს ლოკატიური

ბრუნვის -□ და მოგვცეს ვითარების ზმნისართი: **დ-უხ-ე**□-□[□] „უკუღმა“. **დ-უხ** ფუძეზე ქონა-ყოლის შინაარსის მქონე **-ლინ** სუფიქსის დართვით იწარმოება მიმართებითი ზედსართავი სახელი: **დ-უხ-ლინ** „ჯიუტი, კერპი“. პარალელურ ფორმად შესაძლოა შეგვხვდეს **დ-უხა-□-□-ლინ**.

ვინაიდან წოვათუშურში ზმნისართთა უმრავლესობა თანდებულადაც გამოიყენება, შეგვიძლია, დავუშვათ, რომ ზემოთ განხილულ ზმნისართს უკავშირდება თანდებული **□-უხ-ე**[□] „ძირას, გვერდით“. მოცემულ შემთხვევაში **ა-** უცვლელი პრეფიქსია. ვფიქრობთ, ის გაქვავებული კლასის ნიშანი უნდა იყოს, მაგრამ არა სინტაქსური ფუნქციის. ამგვარად, ის არ ასახავს მეთაური სიტყვის კლასს. -□ ლოკატიური ბრუნვის სუფიქსია, რომელსაც კლასნიშანთან ერთად უნდა გადმოეცა სივრცეში სხვაგვარი ლოკალიზება. **ა-უხ** ზმნისართზე **-ა** სუფიქსის დართვით ჩანს ნაწარმოები არსებითი სახელი **□უხ-ა** „ძირი (მთისა, ხისა)“. **-ა** სუფიქსი წოვათუშურში გამოიყენება არსებითი სახელების საწარმოებლად და მიუთითებს მოქმედების სივრცესა და ადგილზე. იგი გვხვდება ტოპონიმთა წარმოებაშიც (იხ. ქვეთავი 1.6.).

ბ- კლასის ნიშნის დართვით იმავე ძირისაგან იწარმოება არსებითი სახელი **ბ-უხ**, რომელსაც ორი მნიშვნელობა აქვს: „1. ძირი, ფსკერი, 2. ნალექი“ (ბ კლასი). საინტერესოა, რომ **აუხ** აღნიშნავს აგრეთვე ძირს, მაგრამ მხოლოდ მთისას. **ლამ** „მთა“ **ბ** კლასს განეკუთვნება, ამგვარად, **ა-** არ წარმოადგენს მასთან შეწყობილი სახელის კლასის ნიშანს. თვალსაჩინოებისთვის ქვემოთ კიდევ ერთხელ მოგვყავს **უხ** ძირისაგან ნაწარმოები ყველა მნიშვნელობა. პირველ სამ შემთხვევაში კლასნიშანს სინტაქსური ფუნქცია აქვს – ცვლადია, მომდევნო სამში კი – გაქვავებული:

დ-უხ	„უკან“
დ-უხ-ე □[□]	„უკუღმა“
დ-უხ-ლინ	„ჯიუტი“
ა-უხ-ე □	„ძირას, გვერდით“
ა-უხ-ა	„ძირი (მთისა, ხისა)“
ბ-უხ	„ფსკერი, ნალექი“

ვფიქრობ, მსგავსი ვითარებაა **ო□/უ□** ძირთანაც. ლოგიკური ჩანს დაშვება, რომ ის რომელიმე ზმნიზედისაგან მომდინარეობს, რომელიც წინ მყოფობას, სივრცეში წინ

განლაგებას აღნიშნავს. თუმცა მოცემულ ძირს ზმნიზედებში ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ. ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ძირთან პრეფიქსად სხვადასხვა თანხმოვანი გვხვდება, გვაფიქრებინებს, რომ ისინი გაქვავებული კლასის ნიშნებია. ზოგჯერ ისინი პარალელურ ფორმებადაც იხმარება, მაგალითად, კომპოზიტური **დ-ო-ქოტ** „პირისახე, პირი“ და **ო-ქოტ** „პირისახე“. საგულისხმოა, რომ ორივე მათგანი **დ** კლასს განეკუთვნება.

ზემოთ ნახსენებ სიტყვებთან ფორმოზრივ და შინაარსობრივ კავშირს ავლენს კიდევ ერთი არსებითი სახელი **დ-უ** – „პირი (მჭრელი იარაღისა), წვერი (წინდისა)“ (განეკუთვნება დ/დ კლასს). მასთან უნდა იყოს დაკავშირებული აგრეთვე ინგუშური **ბ-უ** „მწვერვალი“. ლ. სანიკიძე ერთმანეთს უკავშირებს აგრეთვე **ფუ-ალო** „პირდაპირ“ და **ფუ** „პირი, სახე“ ფორმებს (სანიკიძე, 2010, გვ. 74). ვფიქრობ, ორივე მათგანი მიესადაგება ჩვენ მიერ წარმოდგენილ პარადიგმას და მათთან ერთად უნდა იქნეს განხილული **ფუ-ალ** „გაღმა“ ფუძეც.

ამავე ძირზე სადერივაციო აფიქსების დართვით ჩანს ნაწარმოები ზმნისართი **დ-უ-რე** „პირველად“ და ზედსართავი სახელი **დ-უ-რე-ლუ** – „პირვანდელი, უწინდელი“, გამოიყენება რიგობითი რიცხვითი სახელის, პირველის, მნიშვნელობითაც. იგი არ არის ნაწარმოები შესაბამისი რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან. ყველა ამ სახელს ერთი სემანტიკა აერთიანებს – რაიმეს კიდე, ზღვარი ან წინ მყოფობა.

შემდეგი ასეთი ძირი, რომელიც ძალიან პროდუქტიულია და განსხვავებული კლასის ნიშნებით გვხვდება ამა თუ იმ მეტყველების ნაწილის სახით, არის **უყ**. ქვემოთ მოყვანილ ყველა მაგალითში კლასის ნიშანი გაქვავებულია და მხოლოდ თვალსაჩინოებისთვის არის გამოყოფილი: **ფ-უყ**, **ფ-უყე** [] „შუაში, შუა“, გამოიყენება როგორც ზმნიზედად, ისე თანდებულად მიცემით ბრუნვასთან. მისგან ნაწარმოები ფორმაა **ფ-უყრე-ფ-უყ** „შიგადაშიგ“. იგივე ფორმა **ბ-** კლასის ნიშნით გვხვდება შესიტყვებაში **ბ-უყ სტაკ** „შუახნის კაცი“. მამაკაცთა კლასი მხოლოდ მრავლობით რიცხვში აღინიშნება **ბ-** მარკერით, ამდენად, ის შეთანხმების ნიშანი არ უნდა იყოს.

უყ ძირი არსებით სახელებშიც გვხვდება სხვადასხვა სემანტიკით: **ფ-უყ** არის „წელი (ადამიანის სხეულის ნაწილი)“, რაც სხეულის შუა ნაწილს წარმოადგენს.

საინტერესოა, რომ პარალელურად გამოიყენება **ბ-უყ** ფორმაც წელის აღსანიშნავად. **აუყ**-ს უკავშირდება სხვა მნიშვნელობაც – „კვირტი, მატყლის გაჩეჩვის შემდეგ დარჩენილი მოკლებეწვიანი მატყლი“ (**ა/ა** კლასი). მისი მნიშვნელობა შეიძლება ინტერპრეტირდეს, როგორც დაჩეჩვის შემდეგ შუაში დარჩენილი.

აუყ-ს დაერთვის მასუბსტანტივებელი -ა სუფიქსი და ქმნის განსხვავებულ სემანტიკას. **აუყა** ნიშნავს მიჯნას, საზღვარს (**ა/ა** კლასი). ცხადად ჩანს, რომ ამ შემთვევაში -ა-ს ლოკალიზების ფუნქცია აქვს (-ა სუფიქსის შესახებ იხ. ქვეთავი 1.6.). სიტყვის შინაარსი კი შესაძლოა განიმარტოს, როგორც შუაში მყოფის, შუაში მდებარის აღმნიშვნელი და ამგვარად უკავშირდება **უყ** ძირის ზოგად სემანტიკას.

თვალსაჩინოებისთვის **უყ** ძირის შემცველი ყველა სიტყვა მოცემულია ქვემოთ:

ა-უყ/ა-უყ-ე □	„შუა, შუაში“
ა-უყ/ბ-უყ	„წელი (ადამიანის ორგანო)“
ა-უყ	„კვირტი, მატყლის გაჩეჩვის შემდეგ დარჩენილი მოკლებეწვიანი მატყლი“
ა-უყ-ა	„მიჯნა, საზღვარი“
ბ-უყ	„ცხენის საკაზმის ნაწილი, რომელიც მას წელზე უმაგრდება“

ამგვარად, ერთი და იმავე ძირზე სხვადასხვა კლასის ნიშნის დართვით ნაწარმოებია არსებითი სახელი, ზმნიზედა, ზმნა და ზედსართავი სახელი.

განსახილველ საკითხთან მიმართებით საინტერესო წარმოების ჩანს კიდევ ერთი არსებითი სახელი – **ა-ეთთ** „ფური“. ცხადია, **ა-** მარკერი აქაც უცვლელია, გაქვევებულია. მის პარალელურად გამოიყენება **ბ-ეთთ-არ** ფორმაც. **-არ** ბოლოსართის გათვალისწინებით შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ის ლექსიკალიზებული ნაზმნარი სახელია. საინტერესოა, რომ მრავლობითში **ბ-ს დ-** მარკერი ენაცვლება – **დ-ეთთრ-ი** „ფურები“. როგორც აღინიშნა, **ბეთთარ** და **დეთთრი** ლექსიკალიზებული მასდარები უნდა იყოს და მომდინარეობს **დ-ეთთ-არ** „წველა ([მო]წველის)“ ზმნისგან. ცხადია, ზმნაში **დ-** ცვლად გრამატიკულ კლასს აღნიშნავს. აქვე უნდა ითქვას, რომ სხვა ნაზმნარი სახელებისაგან განსხვავებით, **ბეთთარ-ს** დაკარგული აქვს კლასში შეთანხმების უნარი, სრულად ლექსიკალიზებულია, თანაც არა **დ-** ზოგადი კლასის

ნიშნით, რაც ჩვეულია წოვათუშურისთვის, არამედ **ბ**- პრეფიქსით. ამ შემთხვევაში კლასის ნიშანს შენარჩუნებული აქვს რიცხვის გაგება, **ბ**- იცვლება **დ**-თი. ამგვარად, ზემოთ დასახელებული ყველა არსებითი სახელისა და ზმნის ძირს წარმოადგენს **ეთთ** და მხოლოდ კლასის ნიშანი აქცევს მას ამა თუ იმ მეტყველების ნაწილად. ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათ სინტაქსური ფუნქცია ჰქონდათ და დროთა განმავლობაში მოიშალა. **ი**- არ გვხვდება არცერთი იმ სიტყვის კლასის ნიშნად, რომლის მსაზღვრელიც გარკვეულ ეტაპზე შესაძლოა ყოფილიყო **ეთთ**. მსგავსი ვითარებაა ინგუშურ ენაშიც. **ჯ**. ნიკოლსი ინგუშურ **ეთთ**-ს ხლეჩილი კლასის ნიშნის მქონე სიტყვებში ასახელებს, სხვა შვიდ სახელთან ერთად. ყველა მათგანი ირიბ ბრუნვებში კარგავს კლასის ნიშანს. მკვლევარი არ მსჯელობს ამ სახელის ეტიმოლოგიაზე, თუმცა თავკიდური **ი** მასაც კლასის ნიშნად მიაჩნია (Nichols, 2011, p.148).

ლექსიკალიზებულ კლასის ნიშნებთან უნდა გვქონდეს საქმე შემდეგ არსებით სახელებშიც: **ი-აფხ-ოლ** „1. სითბო, 2. გადატ. გულთბილობა“ (**-ოლ** აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელია), **ი-ოფხ** „სიცხე, სითბო“. ორივე მათგანი **ი** კლასს განეკუთვნება, ანუ სახელში ასახულია კლასის ნიშანი. მაგრამ, მეორე მხრივ, გვაქვს **დაფხნ-ა** „სიცხე, სითბო“. ეს უკანასკნელი მიღებული უნდა იყოს ზედსართაული ფუძისაგან – **დ-აფხ-ენ** „ცხელი“. ზედსართავ სახელში კლასის ნიშანი მოქმედია, არსებით სახელებში კი – გაქვავებული. ისინი მხოლოდ თვალსაჩინოებისთვისაა გამოყოფილი. ყველა ეს ფორმა შესაძლოა უკავშირდებოდეს ზმნურ ძირს **დ-აფხ-არ** „ჩაცმა“.

დოფხ „ოფლი“ და ნომინალიზებული მიმღეობა **დოფხ□**, **დ□ფხ□** „ტანისამოსი“ კი სრული ასპექტის მქონე **დ-ოფხ-არ** „ჩაცმა“ ზმნისგან უნდა მომდინარეობდეს. ორივე სახელში კლასნიშანი უცვლელია და ორივე მათგანი **დ** კლასს განეკუთვნება. იმავე ძირისაგან უნდა იყოს ნაწარმოები **დ-ოფხ-დ-ალ-არ** „გაცხელება (გაცხელდება), გათბობა“, სადაც **დ-ალ-არ** გარდაუვალი ზმნების მაწარმოებელი მეშველი ზმნაა. იგი ზოგჯერ მნიშვნელობასაც უცვლის ზმნას.

იშვიათ შემთხვევაში მასდარები სრულად ლექსიკალიზებულია, კლასის ნიშნები კი – გაქვავებული, ძირითადად გაუდიფერენცირებელი **დ**- მარკერით. ასეთებია, მაგალითად, **დაჟარ** „სამოვარი, ბალახი, მოლი“, შდრ. **დ-აჟ-არ** „ძოვა (ძოვს)“.

დაყარ „საჭმელი“, შდრ. დ-აყ-არ „ჭამა“ და სხვ. ზოგჯერ მასდარი რეფერენტის კლასის ნიშნებს ასახავს: **დ-ეწარ-ვ-ეწ-არ** „საყვარელი (ქალი და ვაჟი), შეყვარებულები, არშიყნი“ (შდრ. ზმნა **დ-ეწარ** „სიყვარული (ყყვარს)“). ლექსიკალიზებულ სახელში **დ-** ქალთა კლასის ნიშანია, **ვ-კი** – მამაკაცისა. თუმცა პარალელურად გვხვდება **დ-ეწარ-ვ-ეწარ** „შეყვარებულები“. იმავე წესს მიჰყვება **-ობ** სუფიქსით ნაწარმოები აბსტრაქტული სახელი **დ-ეწარ-ვ-ეწ-რ-ობ** „სიყვარულობა, მიჯნურობა“.

1.10. სუფიქსი -არ, მასდარი

წოვათუშურ ენაში ნებისმიერი ზმნისაგან შესაძლებელია არსებითი სახელის წარმოება **-არ** სუფიქსის საშუალებით. მიღებულ ფორმებს, ნაზმნარი სახელი, მასდარი ეწოდება. იგი იწარმოება როგორც სრული, ისე უსრული ასპექტის მქონე ზმნურ ძირებზე **-არ** სუფიქსის დართვით. მათ წარმოებაში გამონაკლისები და მორფოლოგიურ-ფონეტიკური შეზღუდვები არ შეინიშნება:

უსრული	სრული
თეტ-არ „ჭრა“	თიტ-არ „გაჭრა“
დ-ეხკარ „წყობა“	დ-იხკ-არ „დაწყობა“
ლეთ-არ „კიდება“	ლათ-არ „წაკიდება“
მარგლო-დ-დ-არ „მარგვლა“	გა-მარგლოდ-დ-არ „გამარგვლა“
მეხკ-დ-არ „ღვრა“	მახკ-დ-არ „დაღვრა“
მე□-დ-არ „ტაკება“	მა□-დ-არ „დატაკება“

ყველა მასდარი **დ-** კლასს განეკუთვნება და ისევე იბრუნვის, როგორც სხვა მსგავსი ფუძის არსებითი სახელი. რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ნაზმნარ სახელს ასპექტის გარდა, შემორჩენილი აქვს კიდევ ერთი ზმნური თვისება, კლასში შეთანხმების უნარი – იგი ასახავს მასთან სინტაქსურად დაკავშირებული აქტანტის კლასის ნიშანს. ზოგჯერ მასდარი სრულად ლექსიკალიზებულია და კლასნიშანიც გაქვავებულია.

ქვემოთ მოცემულ მაგალითებში ნაზმნარ სახელში ასახულია სუბიექტთა კლასის ნიშანი, ლექსიკური ზმნა კი თავად მასდარს ეთანხმება **დ-** მარკერით:

(5) ო სტაკ-ო-ნ ვ-ახ-არ გაჭირბა-დ-ალ-ი^ნ

ის კაცი.V-OBL-DAT CL.V-ცხოვრება.D-MSD გაჭირვება-CL.D-INTR-AO
„იმ კაცს ცხოვრება გაუჭირდა“.

(ქადაგიძე და ქადაგიძე, 1984, გვ.120)

(6) ნან-ა-ს კაწკუ-ჩ-ი კნათ-[ე]-ცი-ი -ახ-არ

დედა.J-OBL-ERG უმცროსი-OBL ბიჭი-OBL-POST CL.J-ცხოვრება.D-MSD

ლო-დ-ი-ე

მოსურვება-CL.D.TR-AOR

„დედამ უმცროს ბიჭთან მოისურვა ცხოვრება“.

(ქადაგიძე და ქადაგიძე, 1984, გვ. 390)

1.11. ქართულიდან ნასესხები აფიქსები

არსებითი სახელებისაგან განსხვავებით, ცხადია, აფიქსების სესხება გაცილებით იშვიათია. საზოგადოდ, ენათა კონტაქტისას ლექსიკური ერთეულების სესხება პირველივე ეტაპზე ხდება, სტრუქტურული მახასიათებლებისა კი – გაცილებით გვიან. თომსონისა და კაუფმანის ნასესხობათა ხუთსაფეხურიანი სკალის მიხედვით, დერივაციული აფიქსების სესხება შეიძლება დაიწყოს მესამე საფეხურზე, რომელიც ინტენსიურ კონტაქტს გულისხმობს. ამასთანავე, სიტყვაწარმოებითი აფიქსების სესხება უფრო ადვილად ხდება, ვიდრე ფლექსიურისა (Thomson & Kaufmann, 1988, pp. 74, 349).

არსებით სახელთა საწარმოებლად ქართულიდან წოვათუშურში შესულია ის ერთეულები, რომლის საწარმოებლადაც წოვათუშურს არ გააჩნია საკუთარი მორფოლოგიური ინვენტარი. ამასთანავე, ისინი საკმაოდ ძველი ნასესხობები უნდა იყოს, ვინაიდან თუშეთის ტოპონიმურ სახელებშიც გვხვდება. ეს მაწარმოებლებია: წინა ვითარების ნა- -არ და დანიშნულების სა- -ე. დასახელებული სუფიქსებით ნაწარმოები სახელების ერთი ნაწილი ქართულში გაარსებითებულია. ისინი წოვათუშურშიც სუბსტანტივებს წარმოადგენს.

წინა ვითარების სახელების მაწარმოებელი პრეფიქს-სუფიქსი საკუთარ სახელურ ფუძეებს დაერთვის. მაგ., **ნა-ნაყბისტ-არ** „ნამეგობრალი, ნაამხანაგარი“ (შდრ. **ნაყბისტ** „მეგობარი“). აღნიშნული კონფიქსიც არაპროდუქტიულია, რადგან წოვათუშური ამ სემანტიკის გადმოსაცემად მიმღებობებს იყენებს. ეს ძალიან საინტერესო მოვლენაა. წოვათუშურში პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება, საზოგადოდ, არ გვხვდება, თუ არ ჩავთვლით, კლასნიშნებს, რომლებიც პრეფიქსად დაერთვის ზმნებსა და ზოგიერთ ზედსართავ სახელს (სადერივაციო სუფიქსებთან ერთად), მაგრამ ის უმეტესად უფრო ფლექსიური ოდენობაა, ვიდრე დერივაციული.

აფიქს(ებ)ი	საყრდენი ფუძე	ნაწარმოები სახელი	
ნა- -არ	ნაყბისტ „ამხანაგი“	ნა-ნაყბისტ-არ	„ნაამხანაგარი“
სა- -ე	დუც „ბალახი“	სა-დუც-ე	ტოპონიმი თუშეთში (ეესპ.)
სა- -ე	ფიტი „ბაყაყი“	სა-ფიტი-ე	ადგილია პირიქითში

მიუხედავად ქართული ენის დიდი გავლენისა წოვათუშურის სტრუქტურის ყველა დონეზე, ნასესხები სადერივაციო აფიქსები საკმაოდ დაბალი პროდუქტიულობით ხასიათდება. მეორე მხრივ, ძალიან აქტიურია მზა ერთეულების სესხება: **ნადუ** **ბლარ** „ნადობილარი“, **ნავენ** **არ** „ნავენახარი“, **საკაბ** **არ** „საკაბე“, **საკენკ** „საკენკი“, **საკლავ** „საკლავი, სახორცე (საქონელი)“ და მრავალი სხვ.

1.12. არსებით სახელთა კომპოზიტიური წარმოება

მოცემული ქვეთავი დიდწილად ეყრდნობა წოვათუშური ენის კომპოზიტიური არსებითი სახელების სტრუქტურისა და კლასიფიკაციის შესახებ გამოქვეყნებულ ჩემს ნაშრომებს (კაკაშვილი, 2020, აზმაიფარაშვილი და სხვანი, 2022). ამიტომ აქ ყურადღება მხოლოდ თხზული არსებითი სახელების სტრუქტურასა და მათი მორფოსინტაქსური მახასიათებლების ანალიზს დაეთმობა.

არსებით სახელთა კომპოზიტური წარმოება პროდუქტიულობით არ გამოირჩევა ნახურ ენებში, თუმცა, ტოპონიმური და ანთროპომორფული სახელებიდან ჩანს, რომ ის სიტყვათქმნადობის საკმაოდ ძველი საშუალებაა. კ. ჩოქაევი ჩეჩნური ენის სიტყვაწარმოების შესახებ მსჯელობისას მას უფრო არქაულად მიიჩნევს, ვიდრე დერივაციას (Чокаев, 1968).

ნახურ ენებში დამკვიდრებული კომპოზიტთა საკლასიფიკაციო სისტემისაგან გასხვავებით (Сулейманова, 2009, Халидов et al, 2013, Барахоева et al, 2020), რომლებიც ძირითად შემთხვევებში მხოლოდ ჩეჩნურისა და ინგუშურის მასალას ეყრდნობა, მე ბისეტოსა და სკალიზეს სქემა ავიღე, რომელიც ითვალისწინებს კომპონენტთა შორის არსებულ როგორც გრამატიკულ, ისე სემანტიკურ მიმართებებს (Scalise & Bisetto, 2005). მიუხედავად იმისა, რომ კომპოზიტთა ზემოთ დასახელებული სახეობებიდან ყველა (სუბორდინაციული, კოორდინაციული, ატრიბუტული და მათი ქვესახეობები, ენდოცენტრული და ეგზოცენტრული), არ დასტურდება წოვათუშურის ერთი მეტყველების ნაწილის ფარგლებში, საკლასიფიკაციო სისტემად მას ვირჩევ, რადგან ყველა ეს ტიპი საზოგადოდ არსებობს წოვათუშურში, მაგრამ არა ერთ კონკრეტულ, არამედ სხვადასხვა მეტყველების ნაწილში: არსებით სახელებში, ზედსართავ სახელებში, ზმნებში და სხვ. სკალიზესა და ბისეტოს სქემაც ენაში არსებული კომპოზიტების საკლასიფიკაცია და არა მხოლოდ ერთი მეტყველების ნაწილისა. ამ საკითხს ეძღვნება ჩემი ავტორობით შესრულებული თავი „არსებით სახელთა კომპოზიტური წარმოება ნახურ ენებში“, რომელიც გამოქვეყნებულია კოლექტიურ ნაშრომში „არსებით სახელთა კომპოზიტური წარმოება კავკასიურ ენებში“ (აზმაიფარაშვილი და სხვანი, 2022), აგრეთვე წერილი კრებულში იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება (კაკაშვილი, 2020), ამიტომ ამ საკლასიფიკაციო სისტემის გამოყენების მართებულობასა და არგუმენტებზე წინამდებარე ნაშრომში აღარ შევჩერდები.

კომპოზიტები სხვადასხვა ტიპის სინტაგმებისაგან მომდინარეობს. შესაბამისად, მათ შორის, განსხვავებული სინტაქსური მიმართებებია. გამოყვავი ატრიბუტული, სუბორდინაციული და კოორდინაციული ერთეულები, ყოველ მათგანში კი – ეგზოცენტრული და ენდოცენტრული ქვეჯგუფები.

წოვათუშურის თხზული არსებითი სახელების უმრავლესობა ორი კომპონენტისაგან შედგება. სამ და მეტნაწილიანი კომპოზიტები გამონაკლისს წარმოადგენს.

კოორდინაციულ კომპოზიტებს შეერთებითს ანდა კოპულატიურსაც უწოდებენ სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ ტიპის თხზული სახელების კომპონენტები, ძირითადად, ერთსა და იმავე მეტყველების ნაწილს წარმოადგენს: ხდება ორი არსებითი სახელის ანდა ნაზმნარი სახელის შეკავშირება. ამასთანავე ორივე კომპონენტს თანაბარი სემანტიკური სიმძიმე აქვს, ორივე მათგანი მეთაურ სიტყვას წარმოადგენს. წოვათუშურში კოორდინაციული არსებითი სახელების სტრუქტურა შესაძლოა იყოს შემდეგნაირი:

[N + N(PL)]_N

[VN + VN]_N

პირველი კომპონენტი	მეორე კომპონენტი	კომპოზიტი	
ფსტუ „ცოლი“	ზადერ „ზავშვი, შვილი“	ფსტუ-ზადერ	„ცოლ-შვილი“
ზატრ „ტუჩი“	ზაქ „პირი“	ზატრ-ზაქ-ი	„ცხვირ-პირი.PL“
ატყ „მშვილდი“	წაქ „ისარი“	ატყ-წაქ-ი	„მშვილდ-ისარი.PL“
ფ□ე „სოფელი“	ხკე „ხეობა“	ფ□ე-ხკე	„სოფელი, ქვეყანა“
დაყარ „ჭამა“	მე□არ „სმა“	დაყ-მე□არ	„ჭამა-სმა (ქეიფი)“
დად „მამა“	ნან „დედა“	დად-ნან	„დედ-მამა, მშობლები“
დე „დღე“	ბუ□სა „ღამე“	დე-ბუ□სვა	„დღე-ღამე“

ქრისტე	წელი	ქრისტწელი	„შობა-ახალი
„ქრისტე“	„ახალი წელი“		წელი“

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მეორე კომპონენტი ზოგჯერ მრავლობით რიცხვშია წარმოდგენილი.

სუბორდინაციული კომპოზიტები უფრო დიდ ჯგუფს ქმნის წოვათუშურ ენაში. კოორდინაციული რთული სიტყვებისაგან განსხვავებით, ამ ტიპის თხზულ სახელებში შემადგენელი ნაწილები არ არის თანაბარი მნიშვნელობის. კომპონენტებს შორის არის „დამატებითი“ დამოკიდებულება. ერთ-ერთი წევრი მეტაურ სიტყვას წარმოადგენს, მეორე კი მის „დამატებას“, იძლევა დამატებით ინფორმაციას ძირითად კომპონენტზე ან წარმოადგენს მის მსაზღვრელს. ნათქვამის გათვალისწინებით, სუბორდინაციულ კომპოზიტებში უფრო აქტიურია ისეთი მოდელი, რომელიც ზმნას ან მიმღობას შეიცავს. მათ სინთეტურ კომპოზიტებსაც უწოდებენ, მაგრამ ზმნის არსებობა აუცილებელი არ არის სუბორდინაციის დასამყარებლად.

წოვათუშურში მიმღობათა შემცველი კომპოზიტები ზედსართავებს წარმოადგენს ამიტომ ისინი ზედსართავ სახელთა წარმოებისას არის განხილული (იხ. წინამდებარე ნაშრომის თავი II).

სუბორდინაციულ თხზულ არსებით სახელთა სტრუქტურა კი შესაძლოა იყოს შემდეგნაირი:

[N .ABS + N.ABS]_N

[N .CONT + N.ABS]_N

[N.OBL + N.GEN]_N

[N.CONT + VN]_N

[N +ADV + NMLZ]_N

რთული სიტყვის პირველი წევრი ძირითადად აბსოლუტიურ ან გამსჭვალვით ბრუნვაში დგას. ზოგჯერ წარმოდგენილია გაუფორმებელი ფუძეც, მაგრამ ისინი არა აბსოლუტივის, არამედ ირიბი ფუძეებია. ამას ადასტურებს აბლაუტი და სხვა ფონეტიკური ცვლილებები, მაგალითად, მაღრვამ \square „მული“ (მარ სახელობითი, მარინ

ნათესაობითი, ფუძეში დიფთონგს სწორედ ბოლოკიდურ ხმოვნის დაკარგვა იწვევს), წერქობ „ფარდული“ (წე სახელობითი, წარი ნათესაობითი) და სხვ. გამომდინარე იქიდან, რომ დადემ „მამიდას“ პირველ კომპონენტს ბრუნებისას აბლაუტი არ ახასიათებს, ის აბსოლუტივის ფუძეს ემთხვევა, მაგრამ აქაც რომ ირიბი ფუძეა, ცხადად ჩანს მსგავსი სემანტიკისა და იდენტური სტრუქტურის ზემოთ მოყვანილი სახელებიდან. საზოგადოდ, ბრუნვის ნიშნის გარეშე არსებული ირიბი ფუძეების მსაზღვრელად გამოყენება დამახასიათებელია წოვათუშურისათვის (Wichers Schreur, 2024, p. 104).

პირველი კომპონენტი	მეორე კომპონენტი	კომპოზიტი	გლოსირება	
□უ□ „სახე“	ჯორ „ჯვარი“	□ო□ოხჯორ, იუ□ეხჯორ	სახე.CONT-ჯვარი	„პირჯვარი“
ფე „გვერდი“	ლათთარ „დგომა“	ფეხლათთარ	გვერდი.CONT-დგომა	„მდადე“
დად „მამა“	ამ□ „და“	დადემ□	მამა-და	„მამიდა“
ტოტ „ხელი“	კიკელ „ქვეშ“	ტოტკიკელ-ა	ხელი-ქვეშ-NMLZ	„ილია“
კუ□ტ□ „კატა“	მულ „კუდი“	კოტმულ	კატა.OBL-კუდი	„ბალახის სახეობა“
ფსტუ „ცოლი“	ნან „დედა“	ფსტუნან	ცოლი-დედა	„სიდედრი“
მარ „ქმარი“	ვაშ□ „ძმა“	მარვაშ□	ქმარი.OBL-ძმა	„მაზლი“
წე „ცეცხლი“	ქობ „ქობი“	წერქობ	ცეცხლი.OBL-ქობი	„ფარდული“

წოვათუშური ენათა იმ რიცხვს მიეკუთვნება, რომლებშიც ენდოცენტრული კომპოზიტები სჭარბობს ეგზოცენტრულს. ზემოთ მოყვანილ მაგალითთაგან მხოლოდ ორია ეგზოცენტრული. მაშასადამე, მათ არ აქვს მკაფიოდ გამოხატული მეთაური სიტყვა. თანაც, ამგვარი სიტყვის რეფერენტი მისი კომპონენტების ფარგლებს გარეთაა. ასეთებად უნდა იქნეს მიჩნეული კოტმულ „ბალახის სახეობა“ და წერქობ „ფარდული“.

კომპოზიტურ ზედსართავ სახელებში გაცილებით მეტი ეგზოცენტრული ერთეული მოიპოვება.

ატრიბუტულ არსებით სახელებში ერთი კომპონენტი მეორის განსაზღვრებას წარმოადგენს. წოვათუშურში ამ ტიპის კომპოზიტური არსებითი სახელები ძირითადად ზედსართავი და არსებითი სახელებისაგან შედგება. ამასთანავე, ზედსართავი სახელი ყოველთვის პირველ კომპონენტად არის წარმოდგენილი. იშვიათად არსებითი სახელიცაა მსაზღვრელად გამოყენებული. აღნიშნული ტიპის კომპოზიტებში მეორე კომპონენტი, საზღვრული წარმოადგენს მეთაურ სიტყვას და შესაბამისად, ის ადგენს კომპოზიტის გრამატიკულ და სემანტიკურ მახასიათებლებს.

[ADJ + N]_N

[NUM+ N]_N

პირველი კომპონენტი	მეორე კომპონენტი	კომპოზიტი	თარგმანი
წინ „ახალი“	ნუს „რძალი“	წინუს	„პატარძალი“
ნან „დედა“	ტარკ „თითი“	ნანტარკ	„ცერა“
□ უყმათთ „შუაგულში“	დე „დღე“	□ უყმათთდე	„შუადღე“
ყა□ნ□ „მოხუცი“	ნან „დედა“	ყა□ნნან	„ბებია“
ჟერ□ „ქვრივი“	ფსტუმნ□ „ქალი“	ჟერფსტუ	„ქვრივი ქალი“
ც□ა „ერთი“	დითხ „ხორცი“	ც□ა□ნდითხო ^ნ	„ნათესავი“
ც□ა „ერთი“	ნიყ „გზა“	ც□ა□ნნაყი ^ნ	„თანამგზავრი, თანამავალი“

ამ შემთხვევაშიც იშვიათია ეგზოცენტრული ერთეულები. ასეთებია: ც□ა□ნნაყი^ნ „თანამგზავრი, თანამავალი“ და ც□ა□ნდითხო^ნ „ნათესავი“. საინტერესოა, რომ რთული სიტყვის მეორე წევრი ნათესაობით ბრუნვაში დგას, ც□ა□ნდითხო^ნ „ნათესავი“, სიტყვასიტყვით „ერთი ხორცისა“, ც□ა□ნნაყი^ნ „თანამგზავრი“,

სიტყვასიტყვით „ერთი გზისა“. ისინი გაარსებითებული ზედსართაული შინაარსის სიტყვებია.

1.13. დასკვნა

მოცემულ თავში განხილულ იქნა არსებით სახელთა წარმოების ყველა საშუალება – როგორც დერივაციული, ისე კომპოზიტური. სხვადასხვა შინაარსის არსებით სახელთა მაწარმოებლად გამოიყო **-ილა**, **-ღარ**, **-ღუფ**, **-ომ**, **-ოლ**, **-ლობ**, **-ა**, **-რნა**, **-ხოვ**, **-არ** სუფიქსები. თითოეული მათგანისთვის განისაზღვრა საყრდენი ფუძეები. დასახელებულ სადერივაციო აფიქსთა უმრავლესობა რთული შედგენილობისაა.

განალიზდა სუფიქს **-ილა**-ს ყველა მნიშვნელობა. მისი საშუალებით ნაწარმოები ნაზმნარი სახელები გამოხატავს 1) მოქმედების სივრცესა და დროს; 2) აქვს განყენებული მნიშვნელობა ანუ ნაზმნარი აბსტრაქტული სახელებია. ზოგიერთ მათგანს შესაძლოა, ორივე მნიშვნელობა ერთდროულად ჰქონდეს, ზოგს კი – მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი.

ასოციაციური მრავლობითის მაწარმოებელი მორფემები **-ღარ** და **-ღუფ** ახსნილ იქნა საკუთრივ ნახურ საფუძველზე, დაიშალა რა შემადგენელ მორფემებად. **-ღ** მსგავსების გამომხატველ მაზედსართავებელ ელემენტად კვალიფიცირდა, **-არ** და **-უფ** – მრავლობითი რიცხვის მარკერებად, რაც განსხვავდება ამ მაწარმოებლის შესახებ აქამდე არსებული შეხედულებებისაგან.

აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელ ორ სუფიქსს, **-ოლ**-სა და **-ა**-ს შორის განსხვავებად გამოიკვეთა მათი საწარმოებელი ფუძეები: **-ოლ** ზედსართავ სახელთა გაუფორმებელ ფუძეს იყენებს, **-ა** კი – ნაზალიზებული ხმოვნით მარკირებულს. ამასთანავე, **-ა** მრავალმნიშვნელობიანი სუფიქსია. იგი აწარმოებს ტოპონიმებსაც და ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული მაარსებითებელი ბოლოსართია. იგი სხვა მორფემებთან ერთად ქმნის რთულ სადერივაციო სუფიქსებსაც.

მცენარეთა კრებულის მაწარმოებელი **-რნა** სუფიქსის ეტიმოლოგიზება მოხდა განსხვავებულად. იგი მაზედსართავებელი **-რეწ** სუფიქსისა და მაარსებითებელი,

სივრცეში ლოკალიზების გამომხატველი -ა ბოლოსართისაგან შედგება და იძლევა რთულ სიტყვაწარმოებით მორფემას.

წოვათუშურისთვის პირველად გამოიყო მარსებითებელი -ხოვ სუფიქსი, რომელიც ძირითადად ზმნურ ფუძეებს იყენებს საყრდენად და სინქრონიულ დონეზე დაბალი პროდუქტიულობით ხასიათდება.

თხზული არსებითი სახელების კლასიფიკაცია მოხდა ბისეტოსა და სკალიზეს სქემის მიხედვით, რომელიც გულისხმობს მათ სუბორდინაციულ, კოორდინაციულ და ატრიბუტულ ერთეულებად დაჯგუფებას და თითოეულ მათგანში ენდოცენტრული და ეგზოცენტრული ჯგუფების გამოყოფას.

II თავი

2. ზედსართავი სახელის, მიმღობისა და ნაცვალსახელის წარმოება

2.1. შესავალი

მოცემული თავი ეთმობა ზედსართავი სახელის, მიმღობებისა და ნაცვალსახელის წარმოების საშუალებებს წოვათუშურ ენაში. მასში მიმოხილულია საკვლევ ფორმათა დერივაციასთან, თხზვასთან, ფუძის სტრუქტურასა და გრამატიკული კლასის კატეგორიასთან დაკავშირებული საკითხები. ემპირიული მასალა დაჯგუფებულია არა შინაარსობრივი ჯგუფების, არამედ წარმოქმნის საშუალებების მიხედვით. სიტყვები კლასიფიცირებულია ფორმალურ საფუძველზე და ემყარება მათ პარადიგმატულ ქცევას. შესაბამისად, ანალიზი მოიცავს ზედსართავი სახელისა და ნაცვალსახელის მაწარმოებელი აფიქსების ფუნქციებს, მათ გენეზისსა და წარმოქმნასთან დაკავშირებულ მორფოლოგიურ პროცესებს, თხზვის შემთხვევაში კი – მორფოსინტაქსის საკითხებსაც. თითოეული აფიქსის ყველა სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობა ერთად არის მოცემული.

მსჯელობა იწყება ვითარებითი ზედსართავი სახელების ფუძის აგებულების ანალიზით. როგორც ჩანს, ისინი არ წარმოადგენს დაუშლელ ოდენობებს. ამიტომ სიტყვაწარმოებითი პროცესების – დერივაციისა და კომპოზიციის სათანადოდ გასაანალიზებლად, სიტყვის მორფოლოგიური აგებულების გასარკვევად, ძირულ ზედსართავთა ფუძის სტრუქტურის ცოდნა უმნიშვნელოვანესია. ემპირიული მასალა აჩვენებს, რომ წოვათუშურ ენას ზედსართავი სახელის მარტივი, დაუშლელი ფუძეები თითქმის არ გააჩნია და ყველა მათგანი სუფიქსაციის შედეგადაა მიღებული.

პირველ ქვეთავში (2.2) საუბარია ვითარებითი ზედსართავი სახელისა და მისი ფუძის აგებულების შესახებ. მომდევნო ქვეთავში გაანალიზებულია განსხვავებული მორფოლოგიური სტრუქტურის მქონე ზედსართავი სახელები (2.3). მსჯელობა გრძელდება გრამატიკული კლასის კატეგორიის მქონე ძირ-ფუძეებით (2.4). მომდევნო ნაწილები ეთმობა მიმართებითი ზედსართავი სახელების მაწარმოებლების, დერივაციული სუფიქსების შედგენილობასა და გენეზისს. ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა სხვადასხვა მეტყველების ნაწილისაგან

ზედსართავი სახელის მაწარმოებელი ცხრა სუფიქსი. ზოგიერთი ბოლოსართი პირველად გამოიყო და მიეცა სადერივაციო აფიქსის სტატუსი, ზოგიც ახლებურად იქნა სეგმენტირებული და კვალიფიცირებული.

ქვეთავი 2.14 ეთმოზა რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელების წარმოებას, რომელთაც ზედსართავ სახელთა მსგავსი მორფოლოგიური სტრუქტურა აქვს.

ქართულიდან ნასესხები ზედსართავი სახელები და მაზედსართავებელი ელემენტები მოცემულია 2.16 ნაწილში. შემდეგ ქვეთავში (2.17) განხილულია კომპოზიტური ზედსართავი სახელები. გაანალიზებულია მათი სტრუქტურა და თხზვის პროცესთან უშუალო კავშირში მყოფი მორფოსინტაქსური საკითხები.

ნაცვალსახელთა სხვადასხვა ჯგუფების წარმოება მიმოხილულია 2.24-2.29 ქვეთავებში.

2.2. ვითარებითი ზედსართავი სახელები

ზედსართავი სახელის საწარმოებლად წოვათუმურ ენაში გამოიყენება როგორც დერივაცია, ისე კომპოზიცია. ორივე მათგანი ძალიან პროდუქტიული საშუალებაა ახალი ლექსიკური ერთეულების შესაქმნელად. სპორადულად არის ტრანსპოზიციის მაგალითებიც. სესხებასაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლექსიკონის გამდიდრებაში. სხვა სახის სიტყვაწარმოებითი პროცესები, რომლებიც დამახასიათებელია ამა თუ იმ ენისათვის, მაგალითად, აკრონიმია, აბრევიაცია და სხვ., წოვათუმურში არ მოიპოვება.

მოცემულ შემთხვევაში დერივაციაში მოიაზრება მხოლოდ სუფიქსაცია, ვინაიდან წოვათუმურში როგორც დერივაციული, ისე ფლექსიური მორფემები ბოლოსართებია. მხოლოდ გრამატიკული კლასის ნიშნები წარმოადგენს პრეფიქსებს. ჩანს, რომ რიგ შემთხვევებში გრამატიკული კლასის ნიშნებს ჰქონდა სიტყვათმაწარმოებელი ფუნქცია (არსებით სახელებთან), მაგრამ სინქრონიულ დონეზე ისინი გაქვევებული და სრულად ლექსიკალიზებულია. ამასთანავე, გრამატიკული კლასის ნიშნების ამ ფუნქციით გამოყენება არასისტემური და ნაკლებად პროდუქტიული უნდა ყოფილიყო დიაქრონიულადაც.

ცხადია, წოვათუშურში მრავლად არის ქართულიდან ნასესხები ვითარებითი და მიმართებითი ზედსართავი სახელები, რომლებიც სესხების იმავე წესებს ემორჩილება, რასაც არსებითი სახელები (გაგუა, 1972). მათი ადაპტაცია ძირითადად წოვათუშურის ფონეტიკურ სისტემასთან მორგებას გულისხმობს. ნასესხები ერთეულები იმ სემანტიკურ ველებს განეკუთვნება, რომლის წარმოების მორფოლოგიური საშუალებები წოვათუშურს არ გააჩნია, მაგალითად, ხელობის სახელები, დანიშნულების სახელები და ა.შ. (მიქელაძე, 2011, Wichers Schreur, 2020). სხვა შინაარსის ზედსართავების სესხება უფრო ნაკლებად ხდებოდა. ქართული ენიდან შესულია ორიოდე მაზედსართავებელი სუფიქსიც. მიუხედავად იმისა, რომ მათი სესხება ბილინგვიზმის ადრეულ ეტაპზე უნდა მომხდარიყო, ისინი არ გამოირჩევა პროდუქტიულობით. მათი გამოყენების არე საკმაოდ შეზღუდულია. აფიქსაციის საშუალებით წარმოქმნილი ქართული მიმართებითი ზედსართავი სახელები წოვათუშურში ნასესხებია, როგორც დაუშლელი ფუძეები.

წოვათუშური ენის ვითარებითი ზედსართავი სახელები სინქრონიულ დონეზე, ერთი შეხედვით, დაუშლელ ოდენობებს წარმოადგენს, მაგრამ დერივაციული და ფლექსიური პარადიგმების ანალიზისას ჩანს, რომ მათში შესაძლოა სუფიქსური ელემენტების, ფუძის საწარმოებელი ბოლოსართების, ეგრეთ წოდებული დეტერმინანტი აფიქსების გამოყოფა. ამგვარად, მარტივი ზედსართავი ფუძეები წოვათუშურ ენას, შეიძლება ითქვას, არ გააჩნია. ყველა მათგანი სუფიქსაციის შედეგადაა მიღებული. გაუდიფერენცირებელი ძირებისაგან სუფიქსაციის საშუალებით იწარმოებოდა სხვადასხვა მეტყველების ნაწილი. თუ მარტივი არსებითი სახელის ფუძე არ საჭიროებდა სპეციალურ მორფოლოგიურ გაფორმებას, ზედსართავისთვის ეს აუცილებელი იყო. ეს დაშვება, ცხადია, არ ვრცელდება წოვათუშურის ყველა მეტყველების ნაწილზე. ზოგი მათგანი ყოველგვარი მორფოლოგიური მარკირების გარეშე კატეგორიზდება ამა თუ იმ მეტყველების ნაწილად, მაგალითად, გვაქვს, როგორც წარმოქმნილი, მეორეული არსებითი სახელები, ისე ძირეული, უაფიქსო.

წოვათუშურში ძირეული ზედსართავი სახელების აბსოლუტურ უმრავლესობას ერთგვარი მორფოლოგიური სტრუქტურა აქვს – თითქმის ყველა მათგანი

ნაზალიზებულ ხმოვანზე ბოლოვდება. საკვლევ ენაში ხუთი ამგვარი ხმოვანია – ა^ნ, ე^ნ, ი^ნ, ო^ნ, უ^ნ და ხუთივე შეიძლება იყოს წარმოდგენილი ზედსართავი სახელის აუსლაუტში. თუმცა ე^ნ და ი^ნ ხმოვნებზე დამთავრებული ზედსართავები ბევრად სჭარბობს სხვა დანარჩენს. აქვე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის ფაქტი, რომ წოვათუშურში ყველა ნაზალიზებული ხმოვანი მეორეულია და მიღებულია პოზიციურად, ნ თანხმოვნის დასუსტების ხარჯზე. დასუსტებული -ნ ანაზალებს წინამავალ ხმოვანს. შეიძლება ითქვას, გამონაკლისის გარეშე მოქმედებს ეს წესი: სიტყვის ბოლოკიდური ნ რეალიზდება, როგორც მის წინ მდგარი ხმოვნის ნაზალიზაცია (Дешериев, 1953, Holisky & Gagua, 1994, სანიკიძე, 2010, Hauk & Harris, 2018, Wichers Schreur, 2024). ნაზალიზებული ხმოვნების პოზიცია წოვათუშურში შეზღუდულია აუსლაუტით. საყურადღებოა, რომ ყველა ამ ხმოვანს სხვა ფუნქციაც აქვს. უფრო სწორად, ისინი ფონეტიკურად იგივეობრივია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნებისა. ამ შემთხვევაშიც ყველაზე პროდუქტიული -ე^ნ და -ი^ნ სუფიქსებია. ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხნის წინ დადგა საკითხი ნათესაობითი ბრუნვისა და ზედსართავი სახელის დაბოლოებათა იგივეობრიობის შესახებ (Дешериев, 1953). ამ თვალსაზრისს ბევრი წინააღმდეგობა ახლავს თან და მოითხოვს დასაბუთებას. ზოგადად, წოვათუშური ენისათვის ბუნებრივია ნათესაობით ბრუნვაში მდგარი არსებითი სახელის სუბსტანტიურ მსაზღვრელად გამოყენება. მათი ფუნქციონირების საკითხები სისტემურად აღწერილია სხვადასხვა მკვლევრის მიერ (გაგუა, 1943, Дешериев, 1953, Holisky & Gagua, 1994, ჭრელაშვილი, 2002, სანიკიძე, 2010, Wichers-Schreur, 2024 და სხვ.), მაგრამ რთულია იმის მტკიცება, რომ ყველა ზედსართავი ამგვარი წარმოებისა და ყველა მათგანი არსებითი სახელისაგან მომდინარეობს. მით უმეტეს, რომ ამ ხმოვანი ბოლოსართების აუცილებლობა დგას მიმართებით ზედსართავ სახელებთანაც. ამაზე ქვემოთ, თითოეული აფიქსის განხილვისას, უფრო ვრცლად იქნება მსჯელობა.

ზედსართავი სახელების ბოლოკიდური ნაზალიზებული ხმოვანი წარმოდგენილია მხოლოდ სახელობით ბრუნვაში. ირიბ ბრუნვებში ხმოვანი კარგავს ნაზალურობას და სადა ვარიანტს დაერთვის ბრუნვათა სუფიქსები. რაც მნიშვნელოვანია, დერივაციულ პარადიგმაში, ფუძის შემდგომი წარმოებისას,

ნაზალიზებული ხმოვანი არსად ჩანს. ის მხოლოდ ზედსართავის კუთვნილებაა, რომელიც სახელობით ბრუნვაშია წარმოდგენილი სრულად, დანარჩენში კი ნაზალობა დაკარგულია.

დერივაციულ და ფლექსიურ პარადიგმებზე დაკვირვება ნათელყოფს განსახილველი ბოლოსართების ფუნქციას. საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია სამი ზედსართავი ძირისაგან მიღებული ყველა შესაძლო დერივატი – გარდამავალი (მეშველი ზმნა **დ-(ი)-არ**) და გარდაუვალი ზმნები (მეშველი ზმნა **დ-ალ-არ**), მიმღებები (**-ენ□/-ინ□, -ინ□**) და აბსტრაქტული ზედსართავი სახელები (**-ოლ**). ყველა ამ შემთხვევაში საყრდენად გამოყენებულია ძირი ნაზალიზებული ხმოვნის გარეშე. ამგვარად იქცევა ყველა ზედსართავი სახელი უგამონაკლისოდ:

დ-აჰჰ-ო ⁵	„დიდი“
CL-დიდი-ADJZ	
დ-აჰ-დ -Ø-არ	„გადიდება (გაადიდებს)“
CL-დიდი-CL -TR-MSD	
დ-აჰ-დ-ალ-არ	„[გა]ზრდა ([გა]იზრდება)“
CL-დიდი-CL-INTR-MSD	
დ-აჰ-დ-იჲ-ე-ნ□	„გაზრდილი, აღზრდილი“
CL-დიდი-CL-TR -AOR-PTCP	
დ-აჰ-დ-ალ-ინ□	„ადიდებული“
CL-დიდი-CL-INTR-PTCP	
ჭჷალ-ო⁵	„მაგარი“
ჭჷალ-ოლ	„სიმტკიცე, სიმაგრე (თვისება)“
მაგარი-ABSTR	
ჭჷალ-დ-ალ-არ	„გამაგრება (მაგრდება)“
მაგარი-CL-INTR-MSD	
ჭჷალ-დ-Ø-არ	„გამაგრება (ამაგრებს), დამაგრება“
მაგარი -CL-TR-MSD	

მუსტ-ი ⁵	„მჟავე“
მუსტ-ოლ	„სიმჟავე“
მჟავე-ABSTR	
მუსტ -დ -Ø-არ	„მჟავე ([და]ამჟავებს)“
მჟავე-CL-TR-MSD	
მუსტ -დ-ალ-არ	„დამჟავება ([და]მჟავდება)“
მჟავე-CL-INTR-MSD	
მუსტ-დ -ალ -ი -ნ□	„დამჟავებული“
მჟავე-CL-INTR-AOR-PTCP	

(ქადაგიძე და ქადაგიძე, 1984)

ზემოთ მოცემულ მაგალითებში არცერთი სადერივაციო სუფიქსის დართვისას არ ჩანს ბოლოკიდური ნაზალიზებული ხმოვანი. ახალი წარმოებისას საყრდენად გამოყენებულია უსუფიქსო მონაცემი. მას დაერთვის სათანადო აფიქსები და მიიღება სხვადასხვა მეტყველების ნაწილი. თავად ძირი ბმული მორფემა, დამოუკიდებლად არ გვხვდება და არცერთ მეტყველების ნაწილს არ მიეკუთვნება სუფიქსაციის გარეშე.

ფლექსიური პარადიგმა კი სხვა სურათს აჩვენებს. ფლექსიური მორფემების დართვისას ნარჩუნდება ნაზალობადაკარგული ბოლოკიდური ხმოვანი. ეს ლოგიკურია: მას შედეგ, რაც წარმოიქმნება ახალი ფუძე ანუ ხდება გაუდიფერენცირებელი ძირის ატრიბუტულ ზედსართავად მარკირება, ყველა სხვა ფორმაში, სადაც ზედსართავი გამოიყენება საყრდენ ფუძედ, ცხადია, მათრიბუტივებელი სუფიქსი შენარჩუნებულია:

დ-აჯჯ-ო ⁵	„დიდი“
CL-დიდი-ADJZ	
დ-აჯჯ-უ-□-ჩ□	ირიბი ბრუნვის ფორმა
CL-დიდი-ADJZ-OBL	

საყრდენ ფუძეში, რომლისგანაც ვითარების ზმნიზედები იწარმოება სათანადო სუფიქსის დართვით, აგრეთვე ჩანს ნაზალობადაკარგული ხმოვნები. ამგვარად, ზმნებისა და აბსტრაქტული არსებითი სახელებისაგან განსხვავებით, ზმნისართები

საყრდენ ფუძედ უკვე მარკირებულ ზედსართავ სახელს იყენებს და არა გაუდიფერენცირებელ ძირს.

არის კიდევ ერთი გამონაკლისი ზემოთ წარმოდგენილ სისტემაში, როდესაც დერივაციისათვის არა გაუდიფერენცირებელი, არამედ უკვე დეტერმინირებული ფუძე გამოიყენება. წოვათუშურში ზედსართავებისაგან აბსტრაქტული სახელების საწარმოებელი ორი სუფიქსი არსებობს: **-ოლ** და **-ა**. ისინი აწარმოებს სინონიმურ ერთეულებს, მაგრამ ორივე მათგანი განსხვავებულ მონაცემს იყენებს საყრდენად: ერთი გაუდიფერენცირებელ ძირს, მეორე – დეტერმინირებულ ფუძეს. უფრო პროდუქტიულია **-ოლ** ბოლოსართი. ბევრი ზედსართავი ორივე სუფიქსით აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს და სინონიმური ფორმები გვაქვს. ზოგიერთთან კი მხოლოდ ერთი მათგანი დასტურდება. სულ რამდენიმე სახელია, რომელიც ექსკლუზიურად **-ა** სუფიქსით იწარმოება.

1. **-ოლ** დაერთვის გაუდიფერენცირებელ ძირს, როგორც ზემოთ ვახსენეთ: **მაწრ-ოლ** „სიტკბო“ (**მაწრ-ი** „ტკბილი“), **დ-ავ-ოლ** „სიმსუბუქე“ (**დ-ავ-ი** „მსუბუქი“) და სხვ.

2. **-ა** ბოლოსართი დაერთვის დეტერმინანტსუფიქსიან ანუ ნაზალიზებულხმოვნთან ფუძეს: **აფ-ნ-ა** „სიმწვანე“ (**აფ-ი** „მწვანე“), **კუფ-ნ-ა** „სითეთრე“ (**კუფ-ი** „თეთრი“), **დაფ-ნ-ა** „სიხმელე“ (**დაფ-ი** „ხმელი“), **დუ-ტყ-ნ-ა** „სიწვრილე“ (**დუ-ტყ-ი** „წვრილი“) და სხვ.

3. პარალელური წარმოების აბსტრაქტული სახელის ფორმები გააჩნია შემდეგ ზედსართავ სახელებს: **ლაზ-ოლ**, **ლაზ-ნ-ა** „სიკარგე“ (**ლაზ-ი** „კარგი“), **წეგ-ოლ**, **წეგ-ნ-ა** „სიწითლე“ (**წეგ-ი** „წითელი“), **ქარჭ-ოლ**, **ქარჭ-ნ-ა** „სიშავე“ (**ქარჭ-ი** „შავი“), **ტატ-ნ-ა**, **ტატ-ოლ** „სისველე“ (**ტატ-ი** „სველი“), **კჟუ-კრ-ნ-ა**, **კჟუ-კრ-ოლ** „სიღრმე“ (**კჟუ-კრ-ი** „ღრმა“), **მოს-ოლ**, **მუფს-ნ-ა** „სიავე, სიცუდე“ (**მოს-ი** „ცუდი“) და სხვ.

რადგან ჩეჩურსა და ინგუშურში ზედსართავი ფუძეებისგან აბსტრაქტული სახელების საწარმოებლად უმთავრესად წოვათუშურის **-ოლ** მაწარმოებლის ფარდი **-ლ(ლა)/-ალ(ა)** გვხვდება და მეორე სახის წარმოება არ ჩანს, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ წოვათუშურის **-ა** ბოლოსართიანი წარმოება გვიანდელია. **-ა** სუფიქსს წოვათუშურში სხვა ფუნქციებიც აქვს. ამაზე ვრცლადაა მსჯელობა არსებითი სახელების წარმოებისას (იხ. 1.6). ამგვარად, არქაულად შეიძლება იქნას მიჩნეული

-**ოლ** სუფიქსიანი წარმოება, რომელიც გაუდიფერენცირებელ მონაცემს იყენებს საყრდენ ფუძედ.

როგორც უკვე იქნა ნახსენები, წოვათუშური ენის ზედსართავი სახელებისთვის ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ძირეული ლექსიკური მორფემები, იგულისხმება ნაზალიზებულ ხმოვნებჩამოცილებული ძირები, ცალკე, დამოუკიდებელ ერთეულებად არ გვხვდება.

ბოლოკიდური ხმოვნების ძირეული მორფემების ნაწილად მიჩნევა წოვათუშურში ეჭვქვეშ დააყენა ჯერ კიდევ ანტონ შიფნერმა. ხმოვანთა ნაზალიზება მას, ზოგადად, არ შეუნიშნავს წოვათუშურში და ამიტომ სადად მიიჩნევს. ავტორის თქმით, ბოლოკიდური ხმოვნები, ძირეულ ზედსართავთა საწარმოებელი აფიქსებია (Schiefner, 1856, S. 43). ამავე აზრს ავითარებენ ი. დეშერიევი და ბ. კიკვიძე (Дешериев, 1953, კიკვიძე, 1958), თუმცა არცერთ ავტორთან არ არის გაანალიზებული აფიქსთა გამოყენების პირობები და ფუნქციონირება სისტემურად.

ბ. კიკვიძე თავისი წერილის შესავალში აღნიშნავს, რომ წოვათუშურში არის როგორც პირველადი, ანუ ვითარებითი, ისე ნაწარმოები ზედსართავი სახელები, მაგრამ შემდგომი მსჯელობისას ის ყველა ზედსართავს მიმართებითად მიიჩნევს და არ მიუთითებს, რა წარმოადგენს ნაზალიზებული ხმოვნებით ნაწარმოები, ეგრეთ წოდებული, ვითარებითი ზედსართავების საყრდენ ფუძეს. მისი თქმით, **ღარჭ-ი** „შავი“, **ღ-აწ-ი** „მძიმე“ და მსგავსნი ისეთივე მორფოლოგიური ოდენობებია, როგორებიც ქონა-ყოლის **-ლი** და **-რე** სუფიქსების დართვით მიღებული **დაკ-ლი** „გულადი“ (დოკ „გული“), **ქოკ-ლი** „ფეხიანი“ (ქოკ „ფეხი“), **თამბაქო-რე** „თამბაქოიანი“ და სხვ (კიკვიძე, 1958, გვ. 108). ამ უკანასკნელ შემთხვევაში სავსებით ნათელია დერივატების წარმოების სტრუქტურა, მოტივაცია და მათი საყრდენი ფუძეები, მაგრამ **ღარჭ-ი**, **ღ-აწ-ი** და მსგავსი ზედსართავების სტრუქტურის დადგენა მეტ დაზუსტებას მოითხოვს. თუ **-ი** სუფიქსია, რას წარმოადგენს **ღარჭ-** და **ღ-აწ-** და სხვა მრავალი? როგორც უკვე აღინიშნა, ისინი დამოუკიდებელ ერთეულებად არ გვხვდება წოვათუშურში. ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა წარმოადგენს ზედსართავ სახელთა კვლევის ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემას.

რ. ფარეულიძესაც ფუძის მაწარმოებლად მიაჩნია სუფიქსად წარმოდგენილი ოდენობა, მაგრამ არა ნაზალიზებული ხმოვანი, არამედ **-ნ**, რომელიც აუსლაუტში სუსტდება. ამასთანავე, მას ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან მომდინარედ მიიჩნევს, რომლის მაწარმოებელიც არის **-ინ** (აზმაიფარაშვილი და სხვანი 2016, გვ. 26).

ქვემოთ წარმოდგენილია სხვადასხვა ნაზალიზებული ხმოვნით დაბოლოებულ ზედსართავ სახელთა მაგალითები:

-ან

ხალ-ან „სამწუხარო, არასასიამოვნო (ამბავი), საწყენი“; **ატტ-ან** „ადვილი, მარჯვე“; **ზორ-ან** „ძლიერი“;

ორი ზედსართავი სახელის შემთხვევაში **-ან** წარმოდგენილია მხოლოდ მრავლობით რიცხვში, მხოლობითში კი ისინი **-ონ** ხმოვნით ბოლოვდება. ასეთებია:

მხოლობითი რიცხვი

მრავლობითი რიცხვი

კაწკ-ონ „პატარა, მცირე“

კაწკ-ან

დაჯ-ონ „დიდი“

დაჯ-ან

-ენ

მაკ-ენ „ფერმკრთალი“; **ტატ-ენ** „სველი“; **მატ-ენ** „მწიფე“; **წებ-ენ** „წითელი“; **აფ-ენ** „მწვანე“; **ლაზ-ენ** „კარგი“; **დ-ახხ-ენ** „გრძელი“; **ყარწ-ენ** „ჭრელი“;

-ინ

მალ-ინ „1. თბილი, 2. გადატ. ზარმაცი“; **მოსს-ინ** „ცუდი“; **მაც-ინ** „მშვიერი“; **დ-უყ-ინ** „ხშირი“;

-ონ

კაწკ-ონ „პატარა, მცირე“; **ჭჳალ-ონ** „ძლიერი, მაგარი“; **ყონ-ონ** „ახალგაზრდა“; **დ-აჯჯ-ონ** „დიდი“;

-უნ

მაჟ-უნ „რბილი“; **წყარტ-უნ**// **წყარტ-ონ** „ხალასი, სრულიად წმინდა“; **გამ-უნ**// **გამ-ონ**, „1. მრუდე, უსწორმასწორო, 2. გადატ. გაიძვერა, გაქნილი“.

ნაზალიზებულ ხმოვნებზე ბოლოვდება ის კითხვითი სიტყვებიც, რომლებიც ზედსართავ სახელებს დაესმის. ისინი ნაწარმოებია რთული შედგენილობის -ლუ^ნ და -რე^ნ სუფიქსებით:

მო-ლუ^ნ „როგორი, რანაირი“, საყრდენი ფუძე უნდა იყოს მო[□] „როგორ, რანაირად“;

მიჩ-რე^ნ „სადაური“, საყრდენი ფუძეა მიჩ „სად, საით“;

მაც-ლუ^ნ „როდინდელი“, საყრდენი ფუძე: მაცა^ნ „როდის“;

საინტერესოა ის ფაქტი, რომ თითქმის ყველა სუფიქსი, რომელიც აწარმოებს სხვადასხვა შინაარსის მიმართებით ზედსართავ სახელს ამა თუ იმ მეტყველების ნაწილისაგან, ასევე ბოლოვდება ნაზალიზებულ ხმოვანზე. ამაზე საუბრობს მ. მიქელაძეც თავის მონოგრაფიაში და ნაზალურ ხმოვანს მაზედსართავებელი მორფემის კვალიფიკაციას აძლევს. თუმცა ის ეთანხმება უსლარსა და დეშერიევს ამ ფორმანტა ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით და დაასკვნის, რომ ისინი ნათესაობითი ბრუნვის ნიშნებია (მიქელაძე, 2011, გვ. 155).

რთული შედგენილობისად მიმაჩნია მიმართებით ზედსართავთა მაწარმოებელი შემდეგი სუფიქსები:

უქონლობა-უყოლობის -წე^ნ/^ნ-წი^ნ;

მსგავსების -ლე^ნ; -ლ(ო)ლე^ნ;

ქონა-ყოლის -რე^ნ//-ლე^ნ, -ლი^ნ//-რი^ნ; -ლუ^ნ; -ვე^ნ.

როგორც დერივაციული პარადიგმების ანალიზი აჩვენებს, კონკრეტულ შინაარსს, მაგალითად, ქონა-ყოლას, მსგავსებას, უქონლობას და სხვა, სუფიქსის თანხმონითი ელემენტი გამოხატავს, ნაზალურ ხმოვანს კი ზოგადი, მაზედსართავებელი ფუნქცია უნდა ჰქონდეს. ამგვარად, ის სემანტიკისაგან დაცლილია ამ შემთხვევაში და მხოლოდ მორფოლოგიურ მარკერს წარმოადგენს. მისი საშუალებით ხდება ძირ-ფუძეების კონკრეტულ მეტყველების ნაწილად – ზედსართავად მარკირება. მაგალითად, -წე^ნ/^ნ-წი^ნ უყოლობა-უქონლობის ზედსართავ სახელებს აწარმოებს. როდესაც მისგან ახალი ფუძე, სხვა მეტყველების ნაწილი, ვთქვათ, აბსტრაქტული არსებითი სახელი ან ზმნა იწარმოება, საყრდენ ფუძეში ნარჩუნდება მხოლოდ -წ ელემენტი და არცერთ შემთხვევაში ნაზალიზებული

ხმოვანი. მხოლოდ -წ სუფიქსი ვერ ანიჭებს ფუძეს ზედსართავი სახელის სტატუსს, ამისათვის მას ხმოვანსუფიქსის დართვაც სჭირდება. სხვა მეტყველების ნაწილის შემთხვევაში კი სხვა, შესაბამისი მაწარმოებელი აფიქსი გამოიყენება და ფუძე მარკირდება არსებით სახელად, ზმნისართად და სხვ. (იხ. 2.6).

ქვემოთ მოცემულია -წ^ი ბოლოსართით ნაწარმოები ზედსართავი სახელების საყრდენ ფუძედ გამოყენების მაგალითები:

გონ -წ -ი^რ

გონი-PRIV-ADJZ

„სულელი“;

აბსტრაქტული სახელების წარმოებისას იკარგება ბოლოკიდური ხმოვანი და დაერთვის სათანადო მაწარმოებელი -ოლ:

გონ-წ-ოლ

გონი -PRIV -ABSTR

„სისულელე, უჭკუობა“;

იგივე ვითარებაა ნაზედსართავალი ზმნების წარმოებისასაც. ხშირად ჩნდება ნაზედსართავალ ზმნებში -არ სუფიქსი, რომლის ფუნქციაც ბუნდოვანია.

გონ-წ-არ-დ-არ

გონი-PRIV-არ -CL -MSD

„გასულელება“;

რთული სუფიქსის კომპონენტების ფუნქციათა ნათელსაყოფად ქვემოთ მოცემულია კიდევ რამდენიმე მაგალითი:

ბჭარ*(კ)-წ-ე^რ

თვალი-PRIV-ADJZ

„ბრმა, უსინათლო“;

ბზარ *(კ)-წ-ოლ

თვალი -PRIV -ABST

„სიბრმავე“;

ბზარ-წ-დ-არ

თვალი -PRIV -CL-MSD

„დაბრმავება ([და]აბრმავებს“;

დად „მამა“

დად-ი

მამა -PL

„მამა-პაპა, წინაპრები“

დადი-წ-ი^წ

წინაპრები -PRIV

„უპატრონო“

დადი-წ-ოლ

წინაპრები -PRIV -ABSTR

„უპატრონობა“;

მიმართებითი ზედსართავი სახელების შესახებ მცირე მსჯელობა აქ მხოლოდ იმდენადაა წარმოდგენილი, რამდენადაც ვითარებითი ზედსართავების ფუძის

რაობისა და ბუნების გამორკვევას სჭირდება. ვრცელი ანალიზი და თითოეული სუფიქსის ფუნქციები მოცემულია შემდგომ ქვეთავებში.

მსგავსი წარმოების ჩანს ინგუშური და ჩეჩნური ნაზედსართავალი ზმნებიც. აქაც იკარგება ზედსართავი სახელის ბოლოკიდური ხმოვანი, რომელიც ვაინახურ ენებშიც ყველა ზედსართავ სახელს გააჩნია. მაგალითად, ინგუშური: **ნიმს-ა** „სწორი“, **ნიმს-ლუ** გასწორება (სწორდება), **ნიმს-დუ** „გასწორება (გაასწორებს)“, ჩეჩნური: **ჟიმ-ა** „პატარა“, **ჟიმ-დ-ალა** „დაპატარავება (პატარავდება)“, **ჟიმ-დან** „დაპატარავება (აპატარავებს)“ და სხვ.

საგულისხმოა, რომ ზედსართავი სახელები წოვათუშურის მსგავსად ჩეჩნურსა და ინგუშურშიც გამოირჩევა მათთვის დამახასიათებელი, განსხვავებული მორფოლოგიური სტრუქტურით. როგორც წესი, ისინი მოკლე ნაზალურ ა-ზე ბოლოვდება. ნაზალური ხმოვნები ცოცხალ მეტყველებაში ისმის, მაგრამ მხოლოდ ერთმარცვლიან სიტყვებში ჩაიწერება (ფარეულიძე, 2015, გვ. 8; Dotton & Wagner, 2018, p. 40). საზოგადოდ, წოვათუშური და ჩეჩნურ-ინგუშური ენების სიტყვათსაწარმოქმნო სისტემა ბევრ სხვაობას გვიჩვენებს და ხშირად ერთმანეთამდე არ დაიყვანება.

სალიტერატურო ჩეჩნურ ენასა და მისი დიალექტების უმრავლესობაში, ასევე ინგუშურში, თითქმის ყველა ზედსართავი ნაზალურ ა ხმოვანზე ბოლოვდება. სხვა ხმოვნები გამონაკლისის სახით გვხვდება. ქისტურ დიალექტში კი, ა-ს გარდა, წარმოდგენილია ე, ი, ო, უ ხმოვნებიც (ფარეულიძე, 2010, გვ. 44). ხშირია მათი სრულად მოკვეცის შემთხვევებიც. საინტერესოა, რომ ისინი უმეტესწილად ემთხვევა წოვათუშური ზედსართავი სახელების დაბოლოებებს:

წოვათუშური	ქისტური	ჩეჩნური	ინგუშური	
ლახ-უ ^ნ	ლოხ-(უ)	ლოხ-ა	ლოხ-ა	„დაბალი“
დ-აც-უ ^ნ	დ-ოოც-(უ)	დ-ოც-ა	ლოაც-ა	„მოკლე“
დ-აყ-ი ^ნ	დ-ეყ-(ი)	დ-ეყ-ა	დ-ეყ-ა	„მშრალი, ხმელი“
დ-აწ-ი ^ნ	დ-ემ-(ი)	დ-ეზ-ა	დ-ეზ-ა	„მძიმე“

წოვათუშურ ენაში როგორც ვითარებითი, ისე მიმართებითი ზედსართავი სახელების ბოლოკიდური ნაზალიზებული ხმოვნები წარმოდგენილია მხოლოდ

სახელობითი ბრუნვის ფორმაში. ირიბ ბრუნვებში ისინი კარგავს ნაზალურობას. ატრიბუტულ მსაზღვრელად გამოყენებისას ირიბ ბრუნვებში ყველა ზედსართავ სახელს დაერთვის თემატური ხმოვანი და -ჩ[□] ელემენტი, ბრუნვის ნიშნების გარეშე. ამგვარად, გარჩეულია მხოლოდ ორი ფორმა – სახელობითისა და ყველა დანარჩენის. ამის საფუძველზე ი. დემერიევი მოცემულ ხმოვნებს ზედსართავ სახელთა სახელობითი ბრუნვის ნიშნებსაც უწოდებს (Дешериев, 1953), რაშიც მას ვერ დავეთანხმები. ირიბ ბრუნვებში ფუძის საწარმოებელი აფიქსი, მისი კვალიფიკაციით, სახელობითი ბრუნვის ნიშანი კი არ იკარგება, არამედ ნაზალურობას კარგავს. ქვემოთ მოცემული საილუსტრაციო მაგალითები ამის დასტურია. ბრუნვის პარადიგმები მოტანილია რ. გაგუას საკანდიდატო დისერტაციიდან „ძირითადი და ერთთანდებულებიანი ბრუნვები ბაცბურში“ (გაგუა, 1943), სეგმენტაცია კი ჩემია.

ძირითადი ბრუნვები

სახ. ზორ-ა ^ნ კნათ „ყოჩაღი ბიჭი“	კაწკ-ო [□] იო [□] „პატარა გოგო“
ნათ. ზორ-ა-მ-ჩ [□] კნათ-ე ^ნ	კაწკ-უ-მ-ჩ [□] მა [□] -ი ^ნ
ერგ. ზორ-ა-მ-ჩ [□] კნათ-ე-ვ	კაწკ-უ-მ-ჩ [□] მა [□] -ო-ვ
მიც. ზორ-ა-მ-ჩ [□] კნათ-ე-ნ	კაწკ-უ-მ-ჩ [□] მა [□] -ო-ნ

ერთთანდებულებიანი ბრუნვები

ზორ-ა-მ-ჩ [□] კნათ-ე-ხ	კაწკ-უ-მ-ჩ [□]	მა [□] ო-ხ
ზორ-ა-მ-ჩ [□] კნათ-ე-გ [□]	კაწკ-უ-მ-ჩ [□]	მა [□] ო-გ [□]
ზორ-ა-მ-ჩ [□] კნათ-ე-ღ	კაწკ-უ-მ-ჩ [□]	მა [□] ო-ღ
ზორ-ა-მ-ჩ [□] კნათ-ცი ^ნ	კაწკ-უ-მ-ჩ [□]	მა [□] -ცი ^ნ

ზედსართავი სახელის დამოუკიდებლად ბრუნვისას კი, სახელობითის გარდა, ყველა დანარჩენ ბრუნვაში -ჩ[□] ელემენტს ერთვის შესაბამისი ბრუნვის ნიშანიც, მაგალითად:

ძირითადი ბრუნვები

სახ. ზორ-ა ^ნ „ყოჩაღი“	კაწკ-ო ^ნ „პატარა“
ნათ. ზორ-ა-მ-ჩ ^{ო-ნ}	კაწკ-უ-მ-ჩ ^{ო-ნ}

ერგ. ზორ-ა-მ-ჩო-ვ

კაწკ-უ-მ-ჩო-ვ

მიც. ზორ-ა-მ-ჩო-ნ

კაწკ-უ-მ-ჩო-ნ

ერთთანდებულისანი ბრუნვები

ზორ-ა-მ-ჩო-ხ

კაწკ-უ-მ-ჩო-ხ

ზორ-ა-მ-ჩო-გ□

კაწკ-უ-მ-ჩო-გ□

ზორ-ა-მ-ჩო-ღ

კაწკ-უ-ჩო-ღ

ზორ-ა-მ-ჩო-ცი^ნ

კაწკ-უ-მ-ჩო-ცი^ნ

იგივე პრინციპი მოქმედებს მიმართებით ზედსართავ სახელებთანაც. როგორც ზემოთ აღინიშნა, მიმართებითი ზედსართავების მაწარმოებელი თითქმის ყველა სუფიქსი რთული შედგენილობისაა და, თანხმოვნითი ნაწილის გარდა, შეიცავს ნაზალიზებულ, მატრიბუტივებულ ხმოვანს. ატრიბუტულ განსაზღვრებად გამოყენებული მიმართებითი ზედსართავიც მხოლოდ -ჩ□ მახასიათებელს დაირთავს, სახელობითის გარდა, ყველა ბრუნვაში, მის წინ კი ნაზალობადაკარგული ხმოვანი სუფიქსი შენარჩუნებულია. მაგალითად, სახელობითი: ასე-რ^ე „ხბოიანი“, ყველა დანარჩენ ბრუნვაში: ასე-რ-ე-ჩ□; სახელობითი: ბადეთ-ლ^ი „მთვარიანი“, ბადეთ-ლ-ი-ჩ□ – ყველა დანარჩენი ბრუნვა; სახელობითი: ბჭარკდი-რ^ი „თვალმახვილი“, ირიბი ბრუნვები: ბჭარკდი-რ-ი-ჩ□; სახელობითი: ფშე-ლ^ი „ცივი“, ირიბი ბრუნვები: ფშე-ლ-ი-ჩ□, მაგრამ ბადერ-წ^ი „უშვილო“, ბადერ-წ-ოლ „უშვილობა“, მარ-წ^ი „უქმრო“, მარ-წ-ოლ „უქმრობა“. ამგვარად, დერივაციულ პარადიგმაში, ვითარებითი ზედსართავების მსგავსად, მატრიბუტივებელი ხმოვანი აღარსად ჩანს, რადგან ამის საჭიროება არ დგას. საყრდენ, ნაწარმოებ ფუძეს დაერთვის სხვა მეტყველების ნაწილის მაწარმოებელი სუფიქსი.

დამოუკიდებლად აღებული მიმართებითი ზედსართავი სახელი ისევე იბრუნვის, როგორც ვითარებითი: -ჩ□ ელემენტის შემდეგ დაირთავს შესაბამის ბრუნვის ნიშნებს.

ა. შიფნერის აზრით, -ჩ□-ს წინ გამოვლენილი ერთეულები წარმოადგენენ მაერთებელ ხმოვნებს (Schiefner, 1856). რ. გაგუა უარყოფს ხმოვანთა ამგვარ კვალიფიკაციას და მიუთითებს, რომ მათი ფუნქცია დასადგენია და შესაძლოა, ისინი

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ნაწილს წარმოადგენდეს (გაგუა, 1943). როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩემი აზრით, ისინი მათრიბუტივებელი სუფიქსის ნაწილია, ვინაიდან, ფონეტიკური პირობები არ განაპირობებს მათ გაჩენას. წოვათუშურისათვის თანხმოვანთა მსგავსი მიმდევრობები, განსაკუთრებით მორფემათა საზღვარზე, სავსებით მისაღებია. იგი თავს არიდებს მრავალმარცვლიანობის წარმოქმნას.

ნაზალიზებულ ხმოვანთა ფუნქციისა და ზედსართავის ძირისა და ფუძის განსასაზღვრად, ისიც უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, რომ რიგ შემთხვევებში ნათესაობით ბრუნვაში მდგარი სუბსტანტიური განსაზღვრება და სადერივაციო აფიქსებით მიღებული მიმართებითი ზედსართავები ერთმანეთის პარალელურად გამოიყენება. მათ შეუძლიათ გამოხატონ ერთი და იგივე შინაარსი – ქონა-ყოლა, წარმომავლობა და სხვ. უფრო მეტიც, ზოგჯერ ნათესაობითის ფორმა ერთადერთია და პარალელური, მსგავსი შინაარსის სხვაგვარი მორფოლოგიური წარმოება არ მოიპოვება ენაში. ამ მოვლენაზე ლ. სანიკიძეც მიუთითებს თავის მონოგრაფიაში „ბაცბური (წოვა-თუშური ენა)“ (სანიკიძე, 2010), მაგალითად:

ლამ „მთა“	დოკ „გული“
ლამ-უ^ნ ნახ	დაკ -ი^ნ//დაკ-ე^ნ
მთა-GEN ხალხი	გული.OBL -GEN
„მთის/მთიელი ხალხი“	„გულიანი“
და მისი პარალელური ფორმა:	დაკ -ი -რე^ნ
ლაუმ-რე^ნ ნახ	გული.OBL -OBL -ADJZ
მთა -ADJZ ხალხი	„გულიანი“
„მთიელი ხალხი“;	
კალტ „ხაჭო“	კალტ -ე -რე^ნ
კალტ -ე^ნ	ხაჭო -OBL-ADJZ
ხაჭო -GEN	„ხაჭოიანი“.
„ხაჭოიანი“	

ასეთი პარალელური ფორმები, ცხადია, ყველა ზედსართავ სახელს არ მოეპოვება. დ. და ნ. ქადაგიძეების ლექსიკონში დადასტურებულია შემდეგი სინონიმური ფორმები: **ხი-ა-ე^ნ\ხი-□-ე-რე** „წყლიანი“, შდრ. **ხი** „წყალი“; **კალტ-ე-რე^ნ\კალტ-ე^ნ** „ხაჭოიანი“, შდრ. **კალტ** „ხაჭო“; **ნჰან-ე^ნ, ნჰან-ე-რე^ნ** „ჭიანი, მატლიანი“, შდრ. **ნჰან** „ჭია, მატლი“; **ვენ-ე^ნ//ვენე-რე^ნ** „ღვინიანი“, შდრ. **ვენ** „ღვინო“, მაგრამ პარალელური ფორმების გარეშეა არაერთი ზედსართავი სახელი, მაგალითად: **მა^ნხ-ე^ნ** „ქარიანი“, შდრ. **მოხ** „ქარი“, **ღორ-ი^ნ** „ყინულოვანი“, შდრ. **ღორ** „ყინვა“; **ბოტ-ი^ნ** „უმი, გამოუმცხვარი ცომი“, შდრ. **ბოტ** „ცომი“; მსგავსი წარმოება გვხვდება კომპოზიტურ სახელებთანაც:

აპყარ- ბას -ი^ნ

ნაცარი-ფერი-ADJZ

„ნაცრისფერი“

დ-აწი -ჩ- მახ -ი^ნ

CL-მძიმე-OBL-ფასი-ADJZ

„ძვირფასი“

დასახელებულ შემთხვევებში მიმართებითი ზედსართავის საყრდენ ფუძეს არსებითი სახელი წარმოადგენს და, შესაბამისად, ნათესაობითში მდგარი სუბსტანტიური მსაზღვრელის პარალელურად მისი გამოყენება კითხვის ნიშნებს არ ბადებს, მაგრამ როგორც უკვე ითქვა, შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ ყველა ზედსართავი სახელი არსებითი სახელის ფუძისაგან მომდინარეობს და ამიტომ გვაქვს ბოლოკიდური ხმოვანსუფიქსები ყოველ მათგანში.

ქართულიდან ნასესხები **-იან** სუფიქსით ნაწარმოები მიმართებითი ზედსართავები წოვათუშურში ნაზალიზებული ხმოვნით ბოლოვდება, რაც ფონეტიკური გარემოთია შეპირობებული. წოვათუშური ენის ფონეტიკური წესების შესაბამისად, სახელების სესხება სახელობითი ბრუნვის ნიშნის გარეშე ხდება, ამგვარად, **-ნ** აღმოჩნდება აუსლაუტში და ანაზალებს წინამავალ ხმოვანს: **რეტე^ნ** „რეტიანი“, შდრ. ქართული **რეტიანი**, **ჟანგე^ნ** „ჟანგიანი“, შდრ. ქართული **ჟანგიანი**, **ფხუაქე^ნ** „ფხუკიანი“, შდრ. ქართული **ფხუკიანი** და სხვ. (გაგუა, 1972).

2.3. განსხვავებული მორფოლოგიური სტრუქტურის მქონე ზედსართავი სახელები

ისეთი ძირეული ზედსართავი სახელი, რომელსაც სხვაგვარი მორფოლოგიური სტრუქტურა აქვს, ანუ არ ბოლოვდება ნაზალიზებულ ხმოვანზე, წოვათუშურში სულ რამდენიმეა. ორ მათგანს ზმნისართთან საზიარო ფორმა აქვს (რაც ასევე არ არის დამახასიათებელი წოვათუშურისათვის), ზოგიერთი მათგანი კი ნასესხები უნდა იყოს. ესენია:

აღ „ბედნიერი“;

ბაახ „მდიდარი“. ინგუშურში მისი შესატყვისია **ვც** **ხიი**, აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წოვათუშურში **ბ-** და ინგუშურში **ვ-** გაქვავებული კლასის ნიშნებია;

დუჯ „ბევრი“. ჩეჩურ-ინგუშურში მისი ფარდია **დუკა**. წოვათუშურში დაკარგული უნდა იყოს ბოლოკიდური ხმოვანი;

გეზელ „მშიშარა“. ვაინახურ ენებში ეს ფუძე არ ჩანს;

დუნდლუხ „დონდლო, ზანტი“ კი ქართულიდან უნდა იყოს ნასესხები და შედარებითი ხარისხის მაწარმოებელი წოვათუშური **-ხ** სუფიქსით გაფორმებული. შეადარეთ ქართული **დონდლო**, რომლის მნიშვნელობა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, არის „მოშვებული, ზანტი, უფხო (აღამიანი)“.

მოიპოვება კიდევ ორი ფორმა, რომელიც საერთოა ზედსართავისა და ზმნისართისათვის: **ბაყეუ** „1. ნამდვილი, 2. ნამდვილად“, **მჭალ** „1. ზიარი, 2. საზიაროდ“. ჩვენს ხელთ არსებულ ემპირიულ მასალაში სხვა მსგავსი ზედსართავი სახელი არ დასტურდება. ამგვარად, უსუფიქსო ზედსართავ სახელთა უმრავლესობა ენობრივი ცნობიერებით ზედსართავები აღარ არის.

უკვე აღინიშნა, რომ წოვათუშურ ენაში ძალიან პროდუქტიულია ნათესაობით ბრუნვაში მდგარი სუბსტანტიური მსაზღვრელი, მაგრამ, მიუხედავად ფორმალური მსგავსებისა, რთულია, განვაზოგადოთ და ვთქვათ, რომ ყველა ზედსართავი სახელი, რომელიც ნაზალიზებულ ხმოვანზე ბოლოვდება (თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა), ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან მომდინარეობს. ამ დაშვებას, პირველ რიგში, ის უშლის ხელს, რომ ყველა ვითარებითი ზედსართავი სახელის ფუძე

არ არის ნასუბსტანტივარი, არ გვხვდება არსებით სახელებად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკალიზებულ ნაგენეტივარ მსაზღვრელებს სხვა ზედსართავების მსგავსად, ირიბ ბრუნვებში დაერთვით -ჩ□ სუფიქსი, მაგალითად:

სახელობითი ბრუნვა	მიცემითი ბრუნვა
კუაბ-ენ დომ „ქართული სიტყვა“,	კუაბ-ე-ჩ□ დამ-ა-ნ
ხი-ენ ბუნაგ „წყლიანი ჭურჭელი“	ხი-ე-ჩ□ ბუნგ-ე-ნ

საინტერესოა, რომ ჩეჩნურსა და ინგუშურში ნათესაობით ბრუნვაში მდგარ სუბსტანტიურ მსაზღვრელს, წოვათუშურისაგან განსხვავებით, არ აქვს ირიბი ბრუნვის ფორმები (Nichols, 2011, p. 228; ფარეულიძე, 2015, გვ. 85). ქართულის მსგავსად, ყველა ბრუნვაში წარმოდგენილია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით. ამდენად, გენეტიური სუბსტანტიური მსაზღვრელები ლექსიკალიზების უფრო მაღალი ხარისხით ხასითადება წოვათუშურში.

იმ ყველაფრის გათვალისწინებით, რაც ზემოთ ითქვა, ლოგიკურად მესახება იმის დაშვება, რომ წოვათუშური ვითარებითი ზედსართავი სახელების ბოლოკიდური ნაზალიზებული ხმოვნები ფუძის საწარმოებელი დეტერმინანტი აფიქსებია. ისინი ერთვოდა ძირეულ მასალას და აწარმოებდა ახალ ფუძეებს. ამგვარად, უნდა არსებულიყო ერთგვარი გაუფორმებელი, გაუდიფერენცირებელი ძირები, რომლებიც შესაბამისი მაწარმოებლის დართვისას იძლეოდა ახალ ფუძეს. ასეთი ძირები ბმულ მორფემებს წარმოადგენს და არა თავისუფალს. ასე მიიღება ერთი და იმავე ძირისაგან ზმნები, არსებითი და ზედსართავი სახელები.

წოვათუშურში არაერთი ძირი იძებნება, რომელსაც სათანადო სუფიქსების გარეშე სინქრონიულ დონეზე დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ გააჩნია, ასეთებია, მაგალითად:

ბაც-ავ „წოვათუში (კაცი)“

ბაც-ADJZ

ბაც-ბი „წოვათუშები“

ბაც-PL

ბაც-ბ-ურ „წოვათუშური“

ბაც-PL-ADJZ

ბაც-ა „წოვათუმების საცხოვრებელი ადგილი თუმეთში“

ბაც-TOP

თავად გაუფორმებელი ძირის ბაც თარგმნა რთულია, რადგან, როგორც ითქვას, სუფიქსაციის გარეშე იგი არ გამოხატავს სრულყოფილ აზრს და სინქრონიულ დონეზე ბმულ ლექსიკურ მორფემას წარმოადგენს.

გაუდიფერენცირებელი ძირებისა და ბმული ლექსიკური მორფემების არსებობა დასტურდება მსოფლიოს ბევრ ენაში, მათ შორის კავკასიურ ენებში. ა. ჩიქობავა ფუძის მაწარმოებელ სუფიქსებს დეტერმინანტებს უწოდებს. ისინი ქართულსა და სხვა კავკასიურ ენებშიც მსგავსი ფუნქციით დასტურდება (ჩიქობავა, 1942). ქართულ ენაში ისინი გვხვდება როგორც არსებითი, ისე ზედსართავი სახელების ფუძეთა საწარმოებლად. „საერთოდ, შეიძლება ითქვას: თუ ნაწარმოებ ფუძეში არ აღმოჩნდა რაიმე ნაწილი, რაც საწარმოებელ ფუძეში გვქონდა, იგი აფიქსია“ (ჩიქობავა, 1942, გვ. 38). ვფიქრობ, იგივე ვითარება გვაქვს წოვათუმურშიც. სუფიქსების გარეშე წმინდა ფუძე არ იყო მარკირებული, კონკრეტიზებული. ზედსართავი სახელის ფუძის საწარმოებელი აფიქსების არსებობა დამახასიათებელი უნდა იყოს ყველა ნახური ენისათვის. ქართულში ფუძის დეტერმინირება ხდებოდა არამარტო ზედსართავ, არამედ არსებით სახელებშიც, რადგან ეს ორი მეტყველების ნაწილი ქართულში ერთმანეთისაგან გამიჯნული არ იყო (ჩიქობავა, 1942). წოვათუმურში კი პირველადი, ძირეული არსებითი სახელები არ საჭიროებდნენ დეტერმინაციას.

2.4. გრამატიკული კლასის კატეგორია ზედსართავ სახელებში

წოვათუმური ენის ყოველი არსებითი სახელი მიეკუთვნება რვა გრამატიკული კლასიდან ერთ-ერთს, მაგრამ როგორც წესი, კლასის ნიშნები თავად სახელებში არ არის ასახული. ისინი წარმოდგენილია სახელთან შეწყობილ კლასნიშნიან ზმნებში, მასდარებსა და ზოგიერთ ზედსართავ სახელში. დღესდღეობით მხოლოდ რამდენიმე ვითარებით ზედსართავ სახელს აქვს კლასში შეთანხმების უნარი, როგორც წოვათუმურში, ისე ჩეჩნურსა და ინგუშურში.

ზედსართავ სახელებს თავად არ გააჩნია საკუთარი კლასის ნიშანი, მაგრამ ასახავს საზღვრულის – არსებითი სახელის კლასს. ზედსართავი სახელების უმრავლესობა კი უკლასნიშნოა.

კლასნიშნიანი ზედსართავი სახელებია:

1. დ-უყი „სქელი, ხშირი“: ბ-უყი ბრინჯ „სქელი ბრინჯი (ფაფა)“, ბრინჯ ბ-კლასს განეკუთვნება; დ-უყი შურ „სქელი რძე“, შურ კი დ-კლასს.

ქვემოთ წარმოდგენილ ყველა მაგალითში ზედსართავ სახელში ასახულია საზღვრულის კლასის ნიშანი:

2. დ-აჯკონ „დიდი“: დ-აჯკონ გაგა□□ „დიდი მუცელი“, ბ-აჯკონ გუბ „დიდი ტბა“;
3. დ-ავინ „მსუბუქი“: ბ-ავინ მუ□ „მსუბუქი ტვირთი“, დ-ავინ იო□ „მსუბუქი (ჭკუის) ქალი“;
4. დ-ასენ „ცარიელი“: დ-ასენ ქოც□ „ცარიელი ქვევრი“, დ-ასენ წა „ცარიელი სახლი“;
5. დ-აფხენ „ცხელი“ (დ-აფხსაფხენ „ოდნავ თბილი, ნელთბილი“); დ-აფხენ ხი „ცხელი წყალი“, დ-აფხენ შურ „ცხელი რძე“;
6. დ-აწინ „მძიმე“: დ-აწინ □ა „მძიმე ზამთარი“, ბ-აწინ მუ□ „მძიმე ტვირთი“;
7. დ-ახხენ „გრძელი“: დ-ახხენ ლარკი „გრძელი ყურები“, ბ-ახხენ ნაფოტ „გრძელი ნაფოტი“;
8. დ-უტყინ „წვრილი“: დ-უტყინ ყაჭ „წვრილი ძაფი“, დ-უტყინ ლოჭ „წვრილი ჯობი“;
9. დ-აცუნ „მოკლე“: დე-დ-აცუნ „დღემოკლე“, ქო-დ-აცუნ „ხელმოკლე“ და სხვ.
10. დ-უხლინ, დ-უხა□□ლინ „უკუღმა; ჯიუტი, კერპი“ ზმნისართისაგან ნაწარმოები მიმართებითი ზედსართავი სახელია. დ-უხ ერთადერთი ზმნისართია წოვათუშურში, რომელსაც კლასის ნიშანი გააჩნია ანუ ასახავს მასთან შეწყობილი სახელის კლასის ნიშანს.
11. დ-აყინ „გამხმარი“: ბ-აყინ ჯაჯან „გამხმარი ტყავი“, ჯაჯან ბ-კლასში შედის; დ-აყინ მააჯ□ „გამხმარი პური“, პური დ კლასშია. მას ხშირად ენაცვლება მიმდებარე ფორმა დ-აყ-დ-აილ-ნ□ ← დ-აყ-დ-ალ-არ „გახმოზა (გახმება)“.

12. დ-აჩკრი^ნ „ჩლუნგი“. მოტტ-ბ-აჩკრი^ნ „ენაჩლუნგი“. საკვლევი სახელი -რი^ნ სუფიქსით ნაწარმოები მიმართებითი ზედსართავი უნდა იყოს, თუმცა საყრდენი ფუძე დღეს დამოუკიდებლად არ გამოიყენება ენაში.

წოვათუშურის მსგავსი ვითარებაა დანარჩენ ნახურ ენებშიც. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, ინგუშურში სახელთან კლასში შეთანხმების უნარი აქვს ზედსართავი სახელების 10 პროცენტზე ნაკლებს (Nichols, 2011, p. 220). ასეა ჩეჩურშიც. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სამივე ნახურ ენაში ერთი და იგივე ძირ-ფუძეებია კლასისნიშნისანი.

წოვათუშური	ჩეჩურის	ინგუშური	
დ-უყი ^ნ	დ-□ყა	დ- იყ□	„სქელი, ხშირი“
დ-აჯკო ^ნ	დ-ოჯკა	დ-ოჯკ□	„დიდი“
დ-ავი ^ნ	დ-აან	დ-აან	„მსუბუქი“
დ-ასე ^ნ	დ-□სსა	დ-□სს□	„ცარიელი“
დ-აფხე ^ნ	დ-ოფხა	დ-აფხ□	„ცხელი“
დ-აწი ^ნ	დ-ეზა	დ-ეზ□	„მძიმე“
დ-ახხე ^ნ	დ-ეხა	დ-ჟახ□	„გრძელი“
დ-უტყი ^ნ	დ-უტყა	დ-იტყ□	„წვრილი“
დ-აყი ^ნ	დ-ეყა	დ-ეყ□	„ხმელი“

დოთონისა და ვაგნერის ჩეჩურის ენის მოკლე გრამატიკაში დასახელებულია კიდევ სამი ზედსართავი, რომლებსაც, მათი თქმით, გრამატიკული კლასის კატეგორია უნდა გააჩნდეს, ესენია: **დ-ორახა** „იაფი“, **დ-უზნა** „სავსე“ და **დ-არჟანა** „გაშლილი“. **დ-ორახა**-ს ინგუშური შესატყვისი უნდა იყოს **დ-არედ□**, რომელიც წოვათუშურში არ იძებნება, მაგრამ მოცემული სემანტიკისთვის გამოიყენება **დ-ავი^ნ** „1. მსუბუქი, 2. იაფი“. ეს ძირი, **დ-აან**, ვაინახურ ენებშიც გვაქვს და ზემოთ დასახელებულის სინონიმად გამოიყენება. აქაც პოლისემიურია იგი და მსუბუქსაც ნიშნავს. **დ-უზნა**-ს შესატყვისად ინგუშურში იძებნება **დ-იზ□**, წოვათუშურში კი წარსული დროის მიმღეობა **დ-უწინ□** „1. სავსე, 2. გამძლარი“ გვაქვს. მიმღეობური წარმოების

ლექსიკალიზებული ზედსართავი უნდა იყოს ჩეჩნური **დ-უზნა-ც**. ამასვე მიუთითებს ნიკოლსი ინგუშური ენის გრამატიკაში (Nichols, 2011, p. 220).

ნაზედსართავალი ზმნები იწარმოება **დ(ი)-არ** და **დ-ალ-არ** მაზმნავებელი ელემენტების დართვით. მოცემული სუფიქსების საშუალებით ყველა ზედსართავისაგან შეიძლება იქნეს მიღებული გარდამავალი და გარდაუვალი შინაარსის ზმნები. ზემოთ განხილულ ზედსართავთან ყველა მათგანს გადაჰყვება კლასის ნიშანი ზმნურ ფორმაშიც და, შესაბამისად, ორმაგი კლასის ნიშანი ექნება, ძირეული და სუფიქსისეული. ორივე მათგანი ერთ აქტანტს ეთანხმება, ანუ ორმაგი შეთანხმება გვაქვს კლასში, მაგალითად, **დ-უყ-დ-არ** „გასქელება, შესქელება“, **დ-აწ-დ-არ** „დამძიმება“, **დ-ახხ-დ-არ** „დაგრძელება“ და სხვ.

(7) *შურ-ე-ლეფ ბრინჯ ბ-უყი თე-□, და □ ბ-უყ-ბ-ებ-ათ.*

რძე-OBL-ADJZ ბრინჯი.B CL.B-სქელი ჯობნა-PRS, PV CL.B-სქელი-CL.B-IMP-PL „რძიანი ბრინჯი სქელი ჯობია, შეასქელეთ“.

(ქადაგიძე და ქადაგიძე, 1984, გვ. 188)

(8) *ე ბარგ ვუ-ი^ნ-ალ-ა-აგ-ა-ალ-ი^ნ?*

DEM ბარგი.J რატომ PV CL.J-მსუბუქი-CL.J-INTR-AOR

„ეს ბარგი რატომ ასე შემსუბუქდა?“

(ქადაგიძე და ქადაგიძე, 1984, გვ. 27)

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ საკითხში ნახური ენები განსხვავებას არ გვიჩვენებს. ჩნდება კითხვა – მხოლოდ ამ ზედსართავებმა შემოინახა კლასის ნიშნები და სხვებმა დაკარგა, თუ თავიდანვე მხოლოდ ნაწილისათვის იყო იგი დამახასიათებელი? თუ დაიკარგა, როგორ მოხდა, რომ სამივე ენაში ზუსტად ერთმა და იმავე ფუძეებმა, ერთი და იმავე ოდენობის სახელებმა შეინარჩუნა კლასში შეთანხმების უნარი?

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ კლასის ნიშანი ყველა ზედსართავი სახელისათვის, ისევე, როგორც არსებითი სახელებისთვის, უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი და დროთა განმავლობაში რამდენიმესდა

შემორჩა. ჩემი აზრით კი, მოცემული ვითარება, შესაძლოა, ფონეტიკური გარემოთი იყოს შეპირობებული. ნახური ენების ყველა კლასნიშნიანი ზედსართავი სახელი ხმოვანზე იწყება, უკლასნიშნოთაგან უმრავლესობა კი – თანხმოვანზე. ხმოვანზე დაწყებული უკლასნიშნო ზედსართავი სახელები წოვათუშურში, შეიძლება ითქვას, გამონაკლისს წარმოადგენს, ესენია: არკე^ნ „მკვანე“, აფე^ნ „მწვანე“. ვაინახურ ენებში ეს ძირ-ფუძეები არ ჩანს. ატტან^ნ „ადვილი“ კი შეიძლება დაუკავშირდეს ატტი^ნ „მარჯვენა“ ფორმას.

ნახური ენების ზმნებიც ერთგვარად მსგავს ვითარებას გვიჩვენებს. მარტივი ზმნური ფუძეების მხოლოდ 30 პროცენტს აქვს სახელის კლასის ნიშნის ასახვის უნარი (Wichers Schreur, 2024, p. 23). ეს იმის დასკვნის საშუალებას არ გვაძლევს, რომ ყველა ზმნას ჰქონდა კლასის ნიშანი და მხოლოდ მცირე ნაწილმაღა შემოინახა. ამ შემთხვევაშიც ფონეტიკური პირობები თამაშობს როლს, თუმცა ზედსართავი სახელებისაგან განსხვავებით, არა ძირითადს. მხოლოდ ხმოვნებზე დაწყებულ ზმნებს გააჩნია კლასის ნიშანი, მაგრამ არა ყველა მათგანს (Hauk & Harris, 2018). იმ ზმნებს, რომლებიც თანხმოვანზე იწყება, არც ისტორიულად უნდა ჰქონოდა კლასნიშანი.

2.5. ზედსართავი სახელებისა და ზმნისართების საზიარო ფორმები

სინქრონიულ დონეზე წოვათუშურ ენაში ძირეული ზედსართავი სახელები, როგორც წესი, არ გამოიყენება ზმნისართის ფუნქციით. ორივე მათგანს ერთმანეთისაგან განსხვავებული, მათთვის დამახასიათებელი მორფოლოგიური სტრუქტურა აქვს. ცხადია, ზედსართავის ფუძეზე შესაბამისი აფიქსების დართვით მარტივად იწარმოება ვითარების ზმნისართები, მაგრამ ზედსართავის ზმნისართად გამოყენება მოდიფიკაციის გარეშე სინქრონიულ დონეზე თითქმის არასოდეს ხდება. არის მხოლოდ ორიოდე შემთხვევა, რომელიც დღესდღეობით გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს. თანაც, მათ არც ზედსართავებისთვის დამახასიათებელი ნაზალიზებულხმოვნიანი დაბოლოებები გააჩნია და არც ვითარების ზმნისართის სუფიქსი. საზიარო ფორმა აქვს შემდეგ ზმნისართებსა და ზედსართავებს: ბაყეც „1. ნამდვილი, 2. ნამდვილად“, მჭალ „1.ზიარი, საერთო 2. საზიაროდ, ზიარად“.

აგრეთვე, პარალელურ ფორმებად, ზმნისართის ფუნქციით გამოიყენება ზედსართავი ფორმა ატტან^ნ და ვითარების ზმნისართი ატტამ^ნ „ადვილად“:

(9) შალთე □ დუ □ ატტა □ დეხ □ – „ხანჯლის პირი ადვილად ცვდება (ჩლუნგდება)“

(ქადაგიძე და ქადაგიძე, 1984, გვ. 237).

(10) ალახ ატტა □ შ □ წე ლეთ □ – „თივას ცეცხლი ადვილად ეკიდება“

(ქადაგიძე და ქადაგიძე, 1984, გვ. 319).

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი ვითარების ზმნისართი მორფოლოგიური სტრუქტურით ჰგავს ზედსართავს. ვითარებით ზედსართავთა უმეტესობის მსგავსად, ამგვარი ზმნისართები ბოლოვდება ნაზალიზებულ ხმოვანზე და არ დაერთვის ზმნისართის მაწარმოებელი სუფიქსები, მაშინ, როდესაც, საზოგადოდ, მათ საკუთარი მაწარმოებელი -Vშ გააჩნია, მაგალითად, ასეთია ქასტ^წ „ჩქარა, სწრაფად, მალე“ (ინგუშური: ქასთთა, ჩეჩნური: ქესთთა). ამავე ძირისაგან ნაწარმოებია გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები: ქასტ-დ-ალ-არ „აჩქარება (ჩქარობს, ეჩქარება)“, ქასტ-დ-არ „აჩქარება (აჩქარებს)“ და განყენებული შინაარსის არსებითი სახელი ქასტ-ოლ „სიჩქარე“. აქვე აღვნიშნავ, რომ ვაინახური ენებისათვის ზედსართავისა და ვითარების ზმნისართის ფორმები საზიაროა.

მეორე მსგავსი მაგალითია დერივატი ც□ა-კ-ვ-ან, ც□ა-კ-ო^წ „მარტოკა, მარტო“, რომელიც წარმოქმნილია რიცხვითი სახელის ფუძეზე რამდენიმე სუფიქსის დართვით: -კ გამოხატავს მნიშვნელობას „მხოლოდ, მარტო“, მის შემდეგ წარმოდგენილია -ვან ქონა-ყოლის სუფიქსი, რომელიც ხშირად -ო^წ-ად რეალიზდება. საზოგადოდ, წოვათუშურში ვა მიდევრობა, გვამლევს ო-ს, ასევე გვხვდება ც□ა-ვე^წ ფორმა;

სხვა მაგალითებია: წჷა □ რქვა^წ/წჷა □ რქო^წ/წჷირქვა^წ/წჷირქო^წ „უცბად, მოულოდნელად, უცაბედად“; □ურდე^წ „დილით, დილას“, შდრ. □ურდნ-ა „დილა“. ამ უკანასკნელში უნდა გამოიყოს -ა სუფიქსი, რომელიც აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს ან მიუთითებს ადგილსა და დროზე. □ურდნა მეორეული წარმოებისაა და არა ძირეული არსებითი სახელი. შდრ. ინგუშური, ლუდრე „დილა“, ლუდრან „დილით“. ეს დროის ზმნისართი ინგუშურში ნაწარმოებია მიცემითი ბრუნვის ნიშნით (Nichols, 2011).

დასახელებულთაგან არცერთი ზმნისართი არ გამოიყენება ზედსართავი სახელის ფუნქციით. თუ წოვათუშური ენისთვის აუცილებელია, რომ ვითარების ზმნიზედები ფორმალურადაც, მორფოლოგიური მახასიათებლებით განსხვავებული და გაფორმებული იყოს საგანგებო სუფიქსებით, ვაინახური ენებში ამგვარი შეზღუდვა არ არსებობს – ვითარების ზმნიზედასა და ზედსართავ სახელს შორის ფორმალური განსხვავება არ არის (Nichols, 2011, P. 217, ფარეულიძე, 2015, გვ. 82). წოვათუშურ ენაში ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ზედსართავი და ზმნისართი ერთი მორფოლოგიური ფორმითაა გამოხატული. ეს არის -წე^ნ/**-წი^ნ** სუფიქსით ნაწარმოები უქონლობა-უყოლობის შინაარსის მქონე ზედსართავი სახელები, რომლებიც გამოიყენება ზმნისართის ფუნქციით.

2.6. მიმართებითი ზედსართავი სახელები **შესავალი**

წოვათუშურ ენაში ზედსართავი სახელები ყველა სრულმნიშვნელობიანი მეტყველების ნაწილისაგან იწარმოება სუფიქსაციის საშუალებით. **არსებითი სახელის, რიცხვითი სახელის, ნაცვალსახელის, ზმნის, ნაზმნარი სახელისა და ზმნისართის** ძირ-ფუძეზე სათანადო სუფიქსის დართვა იძლევა ამა თუ იმ შინაარსის მიმართებით ზედსართავ სახელს (იხ. ცხრილი № 3). ეს სიტყვათმწარმოებელი სუფიქსებია: **-წი^ნ/**წე^ნ**, -დე^ნ, -რე^ნ/**-ლე^ნ**, -ლი^ნ/**-რი^ნ**, -ლუ^ნ, -ავ/**-ივ/-ოვ**, -ლოვ, -ვე^ნ, -რივ, -ლაკ.** მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანის ზუსტი ეტიმოლოგიის დადგენა რთულია, ის მაინც ცხადად ჩანს, რომ ისინი რთული შედგენილობის უნდა იყოს. ნაშრომში მოცემულია მათი სემანტიკებისა და თითოეული კომპონენტის გრამატიკული, მორფოლოგიური, სემანტიკური და ფონოლოგიური მახასიათებლების გამოკვეთის ცდა.

მიმართებით ზედსართავთა დერივაციული სუფიქსების უმრავლესობა ნაზალიზებულ ხმოვნებზე ბოლოვდება. ეს საკითხი კიდევ ერთხელ მოითხოვს მსჯელობას და მათი სტატუსის გარკვევას. საჭიროა დადგინდეს, თითოეული მათგანი ერთიანი მორფოლოგიური ოდენობაა თუ შესაძლებელია მათი დაშლა; რა არის მათი მორფოლოგიური თუ სემანტიკური ფუნქცია და სხვ.

სიტყვაწარმოებითი და ფლექსიური პარადიგმების ანალიზი წარმოადგენს ამ შემთხვევაშიც მარტივი და დერივაციული ფუძეების იდენტიფიცირების, სუფიქსთა შედგენილობისა და ფუნქციების გარკვევის საშუალებას. როგორც ზემოთ უკვე ვიხილეთ, როდესაც მიმართებითი ზედსართავი სახელისაგან წარმოიქმნება განსხვავებული შინაარსის ზედსართავი სახელი ანდა სხვა მეტყველების ნაწილი, ანუ პირველადი დერივაციული ფუძისაგან ხდება ახალი, მეორეული დერივაციული ფუძის ფორმირება, პირველი დერივატის ნაზალიზებული ხმოვანი არ გადაადდის შემდგომი წარმოების ფუძეში. ასეთია მიმართებითი ზედსართავი სახელების მაწარმოებელი ყველა ის აფიქსი, რომელიც ნაზალიზებულ ხმოვანზე ბოლოვდება. საყრდენ ფუძეში წარმოდგენილია ბოლოსართის მხოლოდ თანხმოვნითი ნაწილი: -წე^ნ სუფიქსიდან -წ, -ღე^ნ სუფიქსიდან -ღ და ა.შ. ნაზალიზებული ხმოვანი კი მატრიბუტივებელ ფუნქციას ასრულებს, ისევე, როგორც ვითარებით ზედსართავებთან. ეს ფაქტი სპორადულად იქნა შენიშნული მკვლევართა მიერ ცალკეულ სუფიქსთან დაკავშირებით და არა როგორც სისტემური ფენომენი. მ. მიქელაძე უქონლობა-უყოლობის მაწარმოებელ აფიქსად -წ-ს გამოყოფს, მაგრამ სხვა მაწარმოებლებს არ მიიჩნევს რთული შედგენილობისად (მიქელაძე, 2011). -წე^ნ არის ატრიბუტული ზედსართავი სახელების მაწარმოებელი, მაგრამ მსგავსივე შინაარსის აბსტრაქტულ სახელს წ-ოლ აწარმოებს. ამგვარად, სემანტიკის სიმძიმე -წ ელემენტზე მოდის, ნაზალიზებული ხმოვანი კი გრამატიკულ ინფორმაციას ატარებს. ამაზე ვრცელი მსჯელობა იხილეთ ქვემოთ, მომდევნო ქვეთავში.

წოვათუშურში მიმართებით ზედსართავ სახელთა მაწარმოებელი აფიქსები ძირითადად მონოსემიურია და მათი ფუნქციონირება კონკრეტული სემანტიკური ველით შემოიფარგლება, მაგრამ ერთი და იმავე სემანტიკის გადმოსაცემად ზოგჯერ სხვადასხვა აფიქსია გამოყენებული. ასეთია, მაგალითად, ქონა-ყოლის შინაარსის მქონე დერივატები, რომელთა საწარმოებლადაც რამდენიმე ბოლოსართი მოიპოვება. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, თუ რით არის განპირობებული მორფემათა ამგვარი „სიჭარბე“, არსებობს თუ არა ამ მაწარმოებელთა გამოყენების რაიმე კანონზომიერება და ნიუანსური სემანტიკური სხვაობა.

ზემოთ დასახელებული დერივაციული სუფიქსებიდან ერთადერთია **-წი^ნ/წე^ნ**, რომელიც სახელური ძირ-ფუძის გარდა, ზმნურსაც დაერთვის და აწარმოებს ნაზმნარ ზედსართავ სახელებს. ამგვარად, ბოლოკიდურ ნაზალიზებულ ხმოვანს ამ შემთხვევაში გაფართოებული აქვს მნიშვნელობა. იგი არა მხოლოდ ზედსართავი, არამედ ზმნისართული შინაარსის მარკირებასაც ახდენს, ვრცლად იხილეთ მომდევნო ქვეთავი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მიმართებითი ზედსართავების მაწარმოებელი სუფიქსები საყრდენ ფუძეებთან ერთად. მე ასეთ 10 სუფიქსს ვითვლი, რომელთაგან ზოგიერთს თავისი ალომორფი გააჩნია.

ცხრილი 3. ზედსართავ სახელთა სადერივაციო სუფიქსები

სუფიქსი	საყრდენი ფუძე	სემანტიკა
-წი^ნ/წე^ნ	N, V, PRON, VN	უქონლობა- უყოლობა
-ღე^ნ	N, CARD.NUM, PRON	მსგავსება
-რე^ნ/ლე^ნ	N, ADV	წარმომავლობა, ქონა-ყოლა
-ლი^ნ/რი^ნ	N, NUM, ADV	ქონა-ყოლა
-ლუ^ნ	N, ADV	დროის ზმნისართული ზედსართავები
-ავ/-ივ/- ოვ	N	ეთნონიმები, წარმომავლობა
-ლოვ	N	ქონა-ყოლა
-ვე^ნ	N, NUM/ADJ	ქონა-ყოლა
-რიკ	V	ლექსიკალიზებული მიმღეობა
-ლაკ	N	ქონა

2.7. სუფიქსი -წი^ნ/^{წე}, უქონლობა-უყოლობის სახელები

-წი^ნ/^{წე} ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული სუფიქსია მიმართებითი ზედსართავი სახელების საწარმოებლად. იგი დაერთვის არსებითი სახელის, ნაცვალსახელისა და ზმნის ფუძეებს და წარმოქმნის უქონლობა-უყოლობის შინაარსის მქონე ზედსართავ სახელებს.

-წი^ნ/^{წე} ბოლოსართი პროდუქტიულია არა მხოლოდ წარმოებული ფორმების სიხშირის, არამედ საყრდენი ფუძეების გამოყენების თვალსაზრისითაც – მას ყველაზე მეტი მეტყველების ნაწილისაგან შეუძლია ზედსართავებისა და ზედსართავი შინაარსის მქონე სიტყვების წარმოქმნა. იგი დაერთვის არსებით სახელს, ნაცვალსახელსა და ზმნას, მაშინ როდესაც სხვა დერივაციული სუფიქსები ძირითადად ერთ რომელიმე მეტყველების ნაწილს იყენებს საყრდენ ფუძედ. ამასთანავე, ამ ბოლოსართით ნაწარმოები თითქმის ყველა ფორმა საერთოა (თუკი სემანტიკა ამის საშუალებას იძლევა) ზედსართავისა და ვითარების ზმნისართისათვის, რაც წოვათუშური ენისთვის, ზოგადად, არ არის დამახასიათებელი. საკვლევ ენაში, როგორც წესი, თითოეული მეტყველების ნაწილი სათანადო მორფოლოგიური ინვენტარითაც ფორმდება და მისთვის დამახასიათებელ სტრუქტურას ქმნის. აღნიშნული შემთხვევა, შეიძლება ითქვას, გამონაკლისს წარმოადგენს. იგი მორფოლოგიური ცვლილების გარეშე ტრანსლირდება სიტყვათა სხვა ჯგუფში. წოვათუშურის ახლომონათესავე ჩეჩნურისა და ინგუშურისთვის ეს ჩვეული მოვლენაა. ყველა ზედსართავი სახელი კონტექსტის შესაბამისად გამოიყენება ზმნიზებადაც.

-წი^ნ/^{წე} რომ რთული შედგენილობის სუფიქსია, ზემოთაც არაერთხელ იქნა ნახსენები. ზედსართავი სახელების შემთხვევაში ნაზალიზებულ ხმოვანს აქაც ფუძის დეტერმინანტის ფუნქცია უნდა ჰქონდეს. იგი სიტყვათა კლასის ინდიკატორია. ამასთანავე, -წი^ნ/^{წე} ბოლოსართი იქცევა სხვა მაზედსართავებელი სუფიქსებისგან განსხვავებულად – დაერთვის ზმნასაც. საკვლევ სუფიქსით ნაწარმოები ზედსართავები რომ არ არის ლექსიკალიზებული მიმღებები, ცხადად ჩანს მათი

მორფოსინტაქსური მახასიათებლებიდან. მათ არ გააჩნია დროისა და ასპექტის გაგება და აქტანტთა ზმნური სტრუქტურა.

ქვემოთ მომყავს **-წი^ნ/-წე^ნ** სუფიქსით ნაწარმოები ზედსართავების ზმნისართული ფუნქციით გამოყენების საილუსტრაციო მაგალითები:

მააჯ-წი^ნ „1. უპურო, 2. უპუროდ“ (<მააჯ „პური“);

მათხ-წი^ნ „1. უმზეო, 2. უმზეოდ“ (<მათხ „მზე“);

მაახ-წი^ნ „1. უფასო, 2. მუქთად“ (<მაახ „ფასი“);

მარ-წი^ნ „1. უქმრო, 2. უქმროდ“ (<მარ „ქმარი“) და სხვ.

მსგავსი ვითარებაა ზმნური ფუძისგან წარმოებულ ზედსართავულ ფორმებთანაც:

ხატტ-წი^ნ „1. წაუკითხავი, 2. დაუკითხავად“ (**ხატტ-არ** „1. კითხვა, 2. წაკითხვა“),

თივ-წი^ნ „1. დაუსვენებელი, 2. დაუსვენებლად“ (**თივ-არ** „დასვენება“) და სხვ.

-წი^ნ/-წე^ნ სუფიქსის საყრდენ ფუძედ გამოყენებულია არსებით სახელთა ირიბი ფუძეები. ამის მიმანიშნებელია ფუძის აბლაუტი, რომელიც წოვათუშურში წარმოადგენს ირიბი ფუძის წარმოების ერთ-ერთ საშუალებას. ირიბ ფუძეთა გარკვეულ ნაწილს თემატური ხმოვნები ახასიათებს. ხმოვნის შემცველი სუფიქსების დართვისას კი ის ზოგჯერ იკარგება.

[N.OBL + **-წი^ნ/-წე^ნ**] ADJ/ADV

საყრდენი ფუძე	ნაწარმოები სახელი	ფონეტიკური პროცესი
ბუთთ „მთვარე“	ბათთ-წი ^ნ „უმთვარო[დ]“	აბლაუტი
ბაკალ „ლუკმა“	ბაკლ-ე-წი ^ნ „ულუკმო[დ], ულუკმაპურო[დ]“	კუმშვა
ბოს „ფერი“	ბას-წი ^ნ „უფერო“	აბლაუტი
დად-ნან „დედ- მამა, მშობლები“	დად-ნან-წი ^ნ „უდედმამო[დ]“	—
ბჰარკ „თვალი“	ბჰარ-წე ^ნ „ბრმა, უსინათლო“	თანხმოვნის დაკარგვა

ბეხკ „ბრალი“	ბეხკ-წი ^ნ	—
	„უდანაშაულო[დ], უბრალო[დ]“	
ბუხ ფსკერი“	„ძირი, ბუხ-წი ^ნ „უძირო“	—

-წ სუფიქსით მიღებული დერივაციული ფუძეც შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდგომი სუფიქსაციისთვის. ყველაზე ხშირად მისგან იწარმოება აბსტრაქტული სახელები -ოლ ბოლოსართით. ქვემოთ მომყავს ზედსართავი სახელების ნომინალიზების მაგალითები. პარადიგმა კიდევ უფრო თვალნათლივ აჩვენებს თავად ზედსართავ სახელთა და მათი მაწარმოებლების ბუნებას:

[[N + -წ]_{ADJ} -ოლ]_N

მარტივი ფუძე	პირველადი დერივაცია	აბსტრაქტული სახელი	
მარ „ქმარი“	მარ-წი ^ნ „უქმრო“	მარ-წ-ოლ	„უქმრობა“
დაყარ „საჭმელი“	დაყარ-წი ^ნ „უსაჭმლო[დ]“	დაყარ-წ-ოლ	„უსაჭმლობა, უსაზრდობა“
გონ ^ნ „ჭკუა, გონება“	გონ-წი ^ნ „სულელი“	გონ-წ-ოლ	„უჭკუობა, სისულელი“
მაშა „სინათლე“	მაშა-წი ^ნ „უსინათლო, უსინათლოდ“	მაშა-წ-ოლ	„უსინათლობა“
ხი „წყალი“	ხი-წი ^ნ „უწყლო, უწყლოდ“	ხი-წ-ოლ	„უწყლობა“

-წი^ნ/**-წი^ნ** სუფიქსი დაერთვის არა მხოლოდ მარტივ სახელურსა თუ ზმნურ ძირ-ფუძეებს, არამედ ნაწარმოებ ანდა მრავლობითში მდგარ ფუძეებსაც და სძენს მათ უქონლობა-უყოლობის შინაარსს. ამგვარად, -წ შეიძლება წარმოდგენილი იყოს, როგორც სხვა სუფიქსების წინ, უშუალოდ ძირეული ლექსიკური მორფემის შემდეგ (ძირითადად, აბსტრაქტული სახელების მაწარმოებელი -ოლ სუფიქსის წინ), ანუ როგორც პირველი რანგის მორფემად, ისე მომდევნოდ, მეორე რანგის მორფემად.

როგორც ცნობილია, ორი მორფემის მიმდევრობიდან თითოეული მათგანი თანაბარი ძალის მქონე არ არის, მათ შორის არის იერარქიული სტრუქტურა და ერთმანეთთან მსაზღვრელ-საზღვრულის დამოკიდებულებაში არიან (Marchand, 1969). საზღვრული სემანტიკურად და გრამატიკულად მთავარი ელემენტი. ამ შემთხვევაში, ისევე როგორც ენათა უმრავლესობაში, სემანტიკურად და გრამატიკულად მთავარი, მეთაური ელემენტი, რომელიც სიტყვის მორფოლოგიურ კატეგორიზებას ახდენს, უკიდურეს მარჯვენა ნაწილშია წარმოდგენილი. ამ სახელთა მორფოლოგიური სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:

[[[ADJ -ოლ]_N -წ]_{ADJ} -ი^ნ]_{ADJ}

NMLZ PRIV ADJZ

[[[N -ი]_{N.PL} -წ]_{ADJ} -ი^ნ]_{ADJ}

PL PRIV ADJZ


[[[N -იშ]_{N.PL} -წ]_{ADJ} -ი^ნ]_{ADJ}

PL PRIV ADJZ


სუფიქსი	პირველადი საყრდენი ფუძე	მეორეული საყრდენი ფუძე	ნაწარმოები სახელი
-ოლ-წი ^ნ	მოსს-ი□ „ბოროტი, ავი“	მოსს-ოლ „სიბოროტე, სიავე“	მოს-ლ-ე-წი ^ნ „უბოროტო“
-ი-წი ^ნ	ბჰარკ „თვალი“	ბჰარკ-ი „თვალები“	ბჰარკ-ი-წი ^ნ „ბრმა უთვალ[ებ]ო“
-იშ-წი ^ნ	დოხკ „ღრუბელი“	დახკ-იშ „ღრუბლები“	დახკ-იშ-წი ^ნ „უღრუბლ[ებ]ო“
-ოლ-წი ^ნ	ვად-ო ^ნ „მავნე, მაწყინარი“	ვად-ოლ „*მავნეობა, მაწყინარობა“	ვად-ოლ-წი ^ნ „უვნებელი, უწყინარი“
-ოლ-წი ^ნ	წამნ□ „წმინდა, სუფთა“	წან-ოლ „სიწმინდე, სისუფთავე“	წან-ოლ-წი ^ნ „უსუფთაო“

ქვემოთ მოცემულია ორი დერევიტის – **ბჰარკიწი** „ბრმა“ (სქემა 1) და **ბჰარწოლ** „უვნებელი, უწყინარი“ (სქემა 2), სქემატური აღწერა, რომელიც ნათელყოფს როგორც მორფემათა იერარქიულ წყობას, ისე მთელი სიტყვის მორფოლოგიურ სტრუქტურას:

სქემა 1. მორფემათა იერარქიული წყობა



სქემა 2. მორფემათა იერარქიული წყობა



სიტყვაწარმოებითი ფუძე	სადერივაციო აფიქსი
სიტყვის ფუძე	
განსაზღვრება	მეთაური სიტყვა

საინტერესო მაგალითია **წან-ოლ-წინ-ა** „უსუფთაობა“, სადაც როგორც **-წინ** სუფიქსის წინ, ისე მის მომდევნოდ მოცემულია აბსტრაქტული სახელების მაწარმოებლები. წარმოების პროცესი შემდეგნაირი უნდა იყოს: **წა□ნ□** „სუფთა“ ფორმას ერთვის **-ოლ** ბოლოსართი და ვიღებთ განყენებული შინაარსის აბსტრაქტულ სახელს **წან-ოლ** „სისუფთავე“. შემდეგი საფეხურია **-წინ** სუფიქსის დამატება და მიიღება ზედსართავი სახელი **წან-ოლ-წინ** „უსუფთაო“, ბოლოს კი – ისევ აბსტრაქტული სახელების მაწარმოებელი **-ა**, რომელიც, როგორც წესი, დაერთვის ზედსართაულ, დეტერმინანტსუფიქსიან ფუძეს. საბოლოოდ დერივატის მორფოლოგიური აგებულება ასეთი იქნება:

ADJ -ABSTR-PRIV-ADJZ-ABSTR

წან -ოლ -წ -ინ -ა

სუფთა-ABSTR-PRIV-ADJZ-ABSTR

-წინ ბოლოსართი დაერთვის პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელების სახელობითი ბრუნვის ფორმას ორივე რიცხვში და აწარმოებს ზმნისართებს:

შუ-წინ „უთქვენოდ“ (შუ „თქვენ“)

□ო-წინ „უშენოდ“ (□ო „შენ“)

სო-წინ „უჩემოდ“ (სო „მე“)

ამ შემთხვევაშიც შეიძლება წარმოქმნილი ზედსართავი სახელის ფუძეს დაერთოს აბსტრაქტულობის **-ოლ** სუფიქსი: **სე-წ-ოლ** „უჩემობა“. ძირეულ მორფემაში თავჩენილი ე დისიმილაციის შედეგი უნდა იყოს, რადგან აღნიშნულ ფუძეში ე მხოლოდ ნათესაობით ბრუნვაში ჩნდება. ამასთანავე, **-წინ** სუფიქსი სახელობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის – **სოწინ**.

მესამე პირის ნაცვალსახელებად წოვათუშურში ჩვენებითი ნაცვალსახელები გამოიყენება: ე „ეს“, ი, ის „ეგ“, ო „ის“. საინტერესოა, რომ პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებისგან განსხვავებით, საყრდენ ფუძედ გამოიყენება არა სახელობითი ბრუნვის ფორმა, არამედ ირიბი ფუძე – იცხუ-წი „უმაგისოდ“.

-წი სუფიქსი დასტურდება საურთიერთო ნაცვალსახელთანაც: ვაშბა^წ „ერთმანეთი“, რომლისგანაც მიიღება ვაშბი-წი „ურთმანეთოდ“.

მოცემული ბოლოსართი დაერთვის ერთ ნაზმნარ სახელს – მასდარს და ასევე მის ლექსიკალიზებულ ვარიანტსაც. -წი წარმოდგენილია მასდარის მაწარმოებელი -არ ბოლოსართის შემდეგ, მაგალითად, მაკ-არ „შეძლება“, მაკ-არ-წი „უღონო, უილაჯო“; მა-არ „1. შესმა, დაღევა, 2. სასმელი“, მა-რ-ე-წი „უსასმლოდ“ და სხვ.

ზმნურ ფუძეებთან -წეწ-წი სუფიქსი ისეთივე პროდუქტიულია, როგორც სახელურთან. თუ ზმნა კლასნიშნანია, იგი მას ინარჩუნებს და ასახავს მასთან დაკავშირებული აბსოლუტივში მდგარი აქტანტის გრამატიკულ კლასს.

მარტივი ზმნების შემთხვევაში განსახილველი მაწარმოებელი წმინდა ფუძეს დაერთვის, როგორც გარდამავალს, ისე გარდაუვალს, -დ(ი)- და -დ-ალ მეშველი ზმნებით მიღებულ რთულ გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებთან კი შემდეგნაირი მდგომარეობაა: ორივე შემთხვევაში შენარჩუნებულია კლასის ნიშანი. გარდაუვალ ზმნებთან ნარჩუნდება აგრეთვე კლასის ნიშნის მომდევნო -ალ ელემენტი, გარდამავალთან კი კლასის ნიშნის შემდეგ -ა ხმოვანი იჩენს თავს. იგი არ უნდა იყოს მწკრივის ნიშანი, რადგან აღნიშნულ ზმნებს აწმყო და მომავალი დროის მწკრივებში -ო მოუდით. ვფიქრობ, ის თანხმოვანთგამყარია. ამგვარად, ნაწარმოები ფუძეების შემთხვევაშიც, მარტივის მსგავსად, -წეწ-წი მაწარმოებელი დაერთვის უმწკრივისნიშნო ფუძეს.

მარტივი ზმნებისაგან წარმოქმნილი ზედსართავების სტრუქტურა ასეთია:

[[[(CL)-V -წ] -ი^წ] ADJ/ADV

PRIV -ADJZ

საყრდენი მარტივი ზმნა

ნაწარმოები ზედსართავი

ახ-არ „მოხვნა“

ახ-წი^წ

„მოუხნავი, მოუხნავად“

დ-აგ-არ „დანახვა“	დ-აგ-წი ^ნ	„უნახავი“
დ-ივ-არ „თესვა“	დ-ივ-წი ^ნ	„დაუთესავი“
თივ-არ „დასვენება, დამშვიდება“	თივ-წი ^ნ	„დაუსვენებელი, დაუსვენებლად“
ლელ-არ „სიარული“	ლელ-წი ^ნ	„უვალი, მიუვალი, გაუვალი“
ხატტ-არ „კითხვა, წაკითხვა“	ხატტ-წი ^ნ	„დაუკითხავად, წაუკითხავი“
დ-ითთ-არ „რეცხვა“	დ-ითთ-წი ^ნ	„გაურეცხავი“

გარდაუვალი თხზული ზმნებისაგან ნაწარმოები ზედსართავი სახელები:

[[[(CL)-V]_{v.(TR)} – CL -ალ]_{v.INTR} -წ] -ი^ნ] ADJ/ADV

INTR PRIV -ADJZ

საყრდენი რთული ზმნა ნაწარმოები ზედსართავი

ხატტ-დ-ალ-არ „შეკითხვა“	ხატტ-დ-ალ-წი ^ნ	„შეუკითხავად“
-------------------------	---------------------------	---------------

დაქუ [□] რწლებად-დ-ალ-არ „დაქორწინება“	დაქუ [□] რწლებად-დ-ალ-წი ^ნ	„დაუქორწინებელი“
---	--	------------------

გარდამავალი თხზული ზმნისგან ნაწარმოები ზედსართავი სახელები:

[[[(CL)-V]_{v.INTR} – CL -ა]_{v.TR} -წ] -ი^ნ] ADJ/ADV

LV PRIV -ADJZ

ზოგიერთი რთული ზმნა კი სახელური და ზმნური ნაწილისაგან შედგება, შესაბამისად, მისი მორფოლოგიური სტრუქტურა ამგვარი იქნება:

[[[N.OBL] – CL -ა]_{v.TR} -წ] -ი^ნ] ADJ/ADV

LV PRIV -ADJZ

საყრდენი რთული ზმნა ნაწარმოები ზედსართავი

თოლ-დ-არ დამარცხება“	„ჯობნა, თოლ-დ-ა-წი“	„უძლეველი, დაუმარცხებელი“
ბაროდ-დ-არ „ბარვა“	ბაროდ-დ-ა-წი“	„დაუბარავი, დაუბარავად“
ქეს-დ-არ „მუშაობა“	ქეს-დ-ა-წი“	„უმუშევარი“,
ქორ-დ-არ „შოვნა“	ქორ-დ-ა-წი“	„უმოვნელი“

საინტერესოა, რომ როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი ზმნებისაგან საობიექტო შინაარსის სიტყვები იწარმოება. გარდამავალი ზმნებისა და ორპირიანი ზმნების შემთხვევაში ეს მოულოდნელობას არ წარმოადგენს, მაგრამ გამონაკლისის სახით ერთპირიანი გარდამავალი ზმნებისაგან ნაწარმოები ფორმებიც საობიექტო შინაარსისაა, ასეთია, მაგალითად: **ლელ-წი** „უვალი, მიუვალი, გაუვალი“ (**ლელ-არ** „სიარული“).

ამგვარად, ვფიქრობ, **-წი/-წე** სუფიქსი რთული შედგენილობისაა: **-წ** აწარმოებს უქონლობის სემანტიკას და წარმოადგენს როგორც პირველი, ისე მეორე რანგის მორფემას, ატრიბუტულ ზედსართავებთან კი მას დაერთვის ფუძის მაწარმოებელი ნაზალიზებული ხმოვანი. სწორედ ისე, როგორც შეიძლება დაერთოს აბსტრაქტულობის ან სხვა შინაარსის მაწარმოებელი ბოლოსართები.

2.8. სუფიქსი -რე/-ლე, ქონა-ყოლის სახელები

პროდუქტიულობით გამორჩეული კიდევ ერთი მაწარმოებელია **-რე** და მისი ფონეტიკური ვარიანტი **-ლე**. ისინი ალომორფებია და მათი რეალიზება ფონეტიკური პირობების შესაბამისად ხდება. **-რე** პროდუქტიული აფიქსია, თუმცა საყრდენი ფუძის არჩევაში ერთგვარად შეზღუდულია. იგი **არსებითი სახელისა და ზმნიზედის** ფუძეზე დართვით აწარმოებს ქონა-ყოლის და წარმომავლობის შინაარსის მქონე ზედსართავ სახელებს. შინაარსობრივი სხვადასხვაობიდან გამომდინარე, ამ სუფიქსთა იგივეობრიობის შესახებ ჩნდება კითხვა.

წოვათუშური ენის არაერთი მკვლევარი (ა. შიფნერი, 1856, რ. გაგუა, 1943 და სხვ.) ერთმანეთთან აკავშირებს **-რე** სუფიქსსა და **-რე** „დან“ თანდებულს.

როდესაც **-რე^ნ** სუფიქსი დაერთვის ადგილის სახელწოდებებს ან ზმნისართს, იწარმოება სადაურობისა და წარმომავლობის სახელები, უპირატესად ქალთა და ნივთთა გრამატიკული კლასისათვის. მამრობითი სქესის სახელების სადაურობის აღსანიშნავად სხვა სუფიქსი გამოიყენება, რომელზეც ქვემოთ მექნება მსჯელობა (იხ. 2.9). თუმცა ზოგჯერ **-რე^ნ** სუფიქსიც გვხვდება მამაკაცის კლასის სახელებთან **-ოვ** ბოლოსართის პარალელურად. ეს მეორეული მოვლენა უნდა იყოს. სადაურობის აღმნიშვნელ სახელებთან **-რე^ნ** სუფიქსის თანდებულთან იგივეობა ეჭვს არ იწვევს:

ფ□ე-რე^ნ ნახ „სოფლელი ხალხი“ (ფ□ე „სოფელი“), **ლო□მ-რე^ნ □ადერ** „მთის ჰაერი“ (ლამ „მთა“), **ისე-რე□ ნაჩხ** „აქაური ყველი“ (ისე[□] „აქ“) და სხვ.

გარდა ამისა, **-რე^ნ/-ლე^ნ** სუფიქსის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია ქონა-ყოლის შინაარსის გამოხატვაა. ამ შემთხვევაში რთული ჩანს მისი **-რე^ნ** თანდებულთან საერთოობის დასაბუთება სინქრონიულ დონეზე.

სხვა სუფიქსთა მსგავსად, ვფიქრობ, ესეც რთული შედგენილობის უნდა იყოს. ნაზალიზებულ ხმოვანს აქაც მაზედსართავებელი ფუნქცია აქვს. ირიბ ბრუნვებში ხმოვანი ნაზალურობას კარგავს.

-რე^ნ სუფიქსი დაერთვის არსებითი სახელების ირიბი ბრუნვის ფორმას. შესაბამისად, სახელის ფუძის შემდეგ წარმოდგენილია **-ე** და **-ო** (<უ) თემატური ხმოვნები, მრავლობით რიცხვში – **-ა**. ზოგიერთი სახელი ირიბ ფუძეს აბლაუტით აწარმოებს.

-რე^ნ სუფიქსით ნაწარმოები ზედსართავი სახელების სტრუქტურა ასე გამოიყურება:

[[N -ე (-ო/-ა)]_{N.OBL} -რე^ნ/-ლე^ნ]_{ADJ}	
OBL	ADJZ
საყრდენი ფუძე	ნაწარმოები სახელი
ასე „ხბო“	ასე-რე^ნ „ხბოიანი“
დოკ „გული“	დაკ-რე^ნ „გულითადი, ერთგული“

ბჟან „წვერი“	ბჟან-ა-რენ „წვერიანი“
ბეკ „გასაკვირი რამ“;	ბეკ-ა-რენ „ხუმარა“
ბჟაგალ „მეჭეჭი“	ბჟაგლა-რენ „მეჭეჭ[ებ]იანი“
ვენ „ღვინო“	ვენ-ე-რენ „ღვინიანი“
ბაყ „კვიცი“	ბაყო-რენ „კვიციანი“
ზოლ „ზოლი“	ზოლ-ა-რენ „ზოლებიანი“
თაბწ „შუბი“	თაბწ-ო-რენ „შუბოსანი“
თურ „ხმალი“	თურ-ა-ლენ „ხმლიანი“

-რენ სუფიქსი ჩანს აგრეთვე დროის ზმნისართში **დუმი-რენ** „პირველად“, რომელიც შეიძლება გამონაკლისად ან არარეგულარული წარმოებისად იწოდოს. იგი რიგობითი რიცხვითი სახელის მნიშვნელობითაც გამოიყენება, ატრიბუტულ მსაზღვრელად: **დუმი-რენ ბადერ** „პირველი ბავშვი“. მის პარალელურად იხმარება აგრეთვე **დუმი-რენ-ლენ** „პირველი“, მაგრამ მას უფრო ფართო მნიშვნელობაც აქვს და პირველის გარდა, უწინდელს, პირვანდელსაც ნიშნავს.

საგულისხმოა, რომ მოცემული სუფიქსდართული ფუძეები შემდგომი წარმოებისთვის, მეორეული დერივაციისთვის თითქმის არ გამოიყენება. მხოლოდ მიმართებით ზედსართავებს წარმოქმნის, ამიტომ ვრცელ პარადიგმაზე დაკვირვების საშუალება ნაკლებად გვაქვს.

წოვათუშური და, ზოგადად, ნახური ენების ზედსართავი სახელის მაწარმოებლების ბუნებაზე დაკვირვებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოცემული სუფიქსებიც ორნაწილიანია, შედგება თანხმოვნითი ნაწილისა და მაზედსართავებელი -ენ ხმოვნისაგან. ამ უკანასკნელს უფრო გრამატიკული ფუნქცია აქვს და კონკრეტული შინაარსისაგან დაცლილია.

[[ADV] -რენ] _{ADJ}

საყრდენი ფუძე ნაწარმოები სახელი

ნზად „გარეთ“	ნზად-რე ^ნ „1. უცხო, 2. გარედან“
ესე[□], ისე[□] „აქ“	ისე-რე ^ნ , ესე-რე ^ნ „1. აქაური, 2. აქედან“
მუ ^ნ ალ „გაღმა“	მუ ^ნ ალ-რე ^ნ /მუ ^ნ ა-ლი ^ნ „გაღმელი“
ქალიქა „ქალაქი“	ქალქი-რე ^ნ „ქალაქელი“

როგორც აღინიშნა, -რე^ნ ქალისა და ნივთთა კლასის სახელების სადაურობასაც აღნიშნავს. საკვლევ სუფიქსის ამ კონკრეტული ფუნქციის შესახებ ვრცელი მსჯელობა მოცემულია მომდევნო ნაწილში კაცთა გრამატიკული კლასის სახელების წარმომავლობის წარმოებასთან ერთად, საერთო კონტექსტში.

2.9. სუფიქსი -ოვ/-ავ/-ივ, ეთნონიმები და მამაკაცთა კლასის წარმომავლობის სახელები

-ოვ ერთ-ერთი საინტერესო სადერივაციო აფიქსია. მისი საშუალებით იწარმოება წარმომავლობის სახელები და ეთნონიმები. აქვს ალომორფებიც: -ავ და -ივ. იგი სხვადასხვა სახის ფუძეს იყენებს საყრდენად. უმეტესად დაერთვის ადგილის სახელწოდებების სახელობითი ბრუნვის ფორმას. არის შემთხვევები, როდესაც გაუდიფერენცირებელი ძირია გამოყენებული სადერივაციო ფუძედ. ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია თავად წოვათუშის აღმნიშვნელი სიტყვა, **ბაც-ავ** „წოვათუში (კაცი)“. სინქრონიულად მოცემული ძირი დამოუკიდებლად არ გამოიყენება. მისი თარგმნაც ძნელია, რადგან იგი მნიშვნელობას მხოლოდ სათანადო აფიქსის დართვისას იძენს. თავად **ბაც** არც არსებითი სახელია და არც ზედსართავი, ამიტომ ქვემოთ მოცემულ მაგალითებში მხოლოდ გრამატიკული მორფემებია გლოსირებული. სიტყვაწარმოებით პარადიგმაში ის აქტიურად მონაწილეობს, მაგალითად:

ბაც-ავ „წოვათუში (კაცი)“

-ADJZ

ბაც-ბი „წოვათუშები (კაცები)“

-PL

ბაც-ბ-ურ „წოვათუშური“

-PL-ADJZ

ბაც-ა „წოვათუშების საცხოვრებელი ადგილის სახელი თუშეთში“

-TOP

ზოგიერთ მაგალითში გამსჭვალვითი ბრუნვის ფორმად უნდა კვალიფიცირდეს -ოვ სუფიქსის წინ მოცემული -ხ სუფიქსი:

ფ□ე-ხ-ოვ „სოფელი (კაცი)“, შდრ. **ფ□ე** „სოფელი“.

ერთი დეტალი გამოარჩევს მას სხვა სადერივაციო სუფიქსებისაგან – მისი ფუნქციონირება შემოსაზღვრულია მხოლოდ მამაკაცის, მამასადამე, ვ-/ზ-გრამატიკული კლასის სახელებით. დანარჩენი გრამატიკული კლასის სახელების წარმომავლობის გამოსახატად კი განსხვავებული წარმოება გვაქვს. წოვათუშურში როგორც ქალის, ისე ნივთთა კლასის სახელთა სადაურობის გადმოსაცემად ორი სტრატეგია არსებობს: 1) ნათესაობით ბრუნვაში მდგარი სუბსტანტიური განსაზღვრება და 2) ადგილის სახელწოდებაზე დართული -რე^ნ „-დან“ თანდებული. მიღებული ერთეულები პარალელურ ფორმებად გამოიყენება, მაგალითად:

ქისტ-ა^ნ ფსტუმ^ნ

ქისტი -GEN ქალი

„ქისტი ქალი“

მაგრამ მის პარალელურად:

სიღნალ-რე^ნ ფსტუმ^ნ

სიღნალი-დან ქალი

„სიღნაღელი ქალი“

იმერლობ-ა^ნ ფსტუმ^ნ

იმერელი -GEN ქალი

„იმერელი ქალი“

აგრეთვე ნივთთა კლასის სახელები:

თურქ-ან მოჯ

თურქი-GEN სიმღერა
„თურქული სიმღერა“

სვან-ან თუჯ

სვანი-GEN მარილი
„სვანური მარილი“

ფიქ-რენ მეჯ

სოფელი -დან ტახტი
„სოფლური ტახტი“

ზემოთ მოცემული მაგალითები მოყვანილია ჩემი სტატიიდან, რომელიც წარმომავლობის სახელების წარმოებას ეძღვნება წოვათუშურ ენაში (კაკაშვილი, 2018).

ზემოთ დასახელებული ორივე სტრატეგია შეიძლება გამოყენებულ იქნეს მამაკაცთა კლასის სახელებთანაც, მაგალითად, **ფიქ-რენ სტაკ** „სოფლელი კაცი“, მაგრამ **-ოვ/-ავ/-ევ** სუფიქსი არასოდეს გვხვდება სხვა კლასის სახელებთან. მისი მოქმედების არე მკაცრად შემოსაზღვრულია.

მამაკაცთა კლასის სახელების ეთნონიმებისა და წარმომავლობის მაწარმოებელი **-ოვ** სუფიქსი და მისი ალომორფები **-ავ** და **-ივ** გამოიყენება მარტო მხოლოდ რიცხვში. უმეტესობა მათგანი მრავლობით რიცხვს **-ბი** ბოლოსართით აწარმოებს, რამდენიმე კი – **-ი** სუფიქსით. ჩვეულებისამებრ, ორივე მათგანი, როგორც **-ი**, ისე **-ბი**, გამოიყენება საზოგადო არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის საწარმოებლადაც. წოვათუშურში მრავლობითი რიცხვის საწარმოებელი რამდენიმე მარკერი მოიპოვება, მათგან ყველაზე პროდუქტიული **-ი** ბოლოსართია, **ბი-** კი სახელთა მცირე ჯგუფს დაერთვის.

ამ სიტყვათმაწარმოებელი აფიქსების ეტიმოლოგიის დასადგენად ისიც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ წოვათუშურში მამაკაცთა კლასის არსებითი სახელების ნიშანს მხოლოდ რიცხვში **ვ-** პრეფიქსი წარმოადგენს, მრავლობითში კი **-ბ-**.

სუფიქსი მხ./მრ.	საყრდენი ფუძე	მხოლოდითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი	თარგმანი მხ.რ.
-ოვ/-ბი	კახელ	კახლ-ოვ	კახლ-ო-ბი	„კახელი“
-ოვ/-ბი	მთიულ	მთივლ-ოვ	მთივლ-ო-ბი	„მთიული“
-ოვ/-ბი	ფ□ე-ხ ²	ფ□ე-ხ-ოვ	ფ□ეხ-ო-ბი	„სოფელი“
-ოვ/-ფ	სომეხ	სომფხ-ოვ	სომფხ-ფ-□	„სომეხი“
-ოვ/-□	კობ	კობ-ივ	კუ□ხ-□	„ქართველი“
-ევ/-ი	ფხი(?)	ფხ-ევ	ფხი-ი	„ხევსური“
-ოვ/-ბი	შო	შ-ოვ	შ-ფ□-ბ□	„ფშაველი“
-ავ/-ბი	ბაც	ბაც-ავ	ბაც-ბი	„წოვათუში“
-ოვ/-ბი	რაჭ	რაჭ-ოვ	რაჭ-ო-ბი	„რაჭველი“
-ოვ/-ბი	ჩინელ	ჩინლ-ოვ	ჩინლ-ო-ბი	„ჩინელი“

ზემოთ დასახელებული მაგალითებიდან რამდენიმეს საყრდენი ფუძე ქართულიდანაა ნასესხები. ზოგ შემთხვევაში მხოლოდ წმინდა ძირია აღებული, ზოგჯერ კი დერივაციული, სუფიქსდართული სადაურობის აღმნიშვნელი სახელი, მაგრამ, ჩანს, რომ წოვათუშურმა ისინი ისე ისესხა, როგორც არსებითი სახელები და სადაურობის შინაარსის შესაძენად დაურთო საკუთარი მაწარმოებლები, მაგალითად:

ქართ. კახ-ელ-ი, წოვათუშ. კახლ-ოვ ← კახელ-ოვ;

ქართ. მთი-ულ-ი, წოვათუშ. მთივლ-ოვ ← მთიულ-ოვ;

ქართ. ჩინ-ელ-ი, წოვათუშ. ჩინლ-ოვ ← ჩინელ-ოვ;

კითხვას ბადებს ფხ-ევ „ხევსურის“ საყრდენი ფუძე. ვინაიდან, ტოპონიმის საწარმოებლად თავად წარმომავლობის სახელია აღებული: ფხ-ევ-ა „ხევსურეთი“. სუფიქსი -ა ადგილზე მიუთითებს და ტოპონიმების საწარმოებლად ხშირად გამოიყენება. ჩეჩნურსა და ინგუშურში მისი შესატყვისია ფხი „ხევსური“.

ვაინახურ ენებში ფშაველის აღმნიშვნელ სიტყვებთანაც მხოლოდ ხმოვნითი დაბოლოებებია, წოვათუშურისაგან განსხვავებით:

² შდრ. ფ□ე „სოფელი“

ჩეჩნ.: შ□ო, ინგუმ.: შუ „ფშაველი“.

როგორც ზემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, -ოვ/-ივ/-ევ სუფიქსით ნაწარმოები სახელების ხმოვნითი ნაწილი მრავლობით რიცხვშიც გადადის, -ვ კი იცვლება სხვა ბოლოსართებით. აქედან გამომდინარე, გასარკვევია, რას წარმოადგენს მოცემული სუფიქსის ხმოვნითი ნაწილი -ა, -ე, -ო. თანხმოვანთგამყარნი არიან ისინი, თემატური ხმოვნები თუ სუფიქსისეული ნაწილი? მრავლობითის სუფიქსის დართვისას იკარგება ვ ნიშანი თუ ის მხოლოდითი რიცხვის ნიშნად უნდა კვალიფიცირდეს? რა წარმოშობისაა თავად -ვ?

იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი წარმოების სახელები მხოლოდ მამაკაცთა კლასს განეკუთვნება და თანაც სუფიქსად -ვ არის წარმოდგენილი, რომელიც, საზოგადოდ, ამ ჯგუფის არსებითი სახელების კლასის ნიშანია, თანაც, ხშირად მრავლობით რიცხვში მათსავით -ბ ნიშანი ენაცვლება, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის, ერთი შეხედვით, უკავშირდება სადაურობის აღმნიშვნელ სუფიქსს. თუმცა უნდა აიხსნას, რატომ არის ის წარმოდგენილი აქ სუფიქსად და არა პრეფიქსად, როგორც ის, ჩვეულებრივ, ზმნებში, ზედსართავებსა და მიმღეობებში გვაქვს ხოლმე.

მიუხედავად ზემოთ დასახელებული წინააღმდეგობებისა და შეკითხვებისა, 2018 წელს გამოქვეყნებულ წერილში მე ისინი ერთმანეთს დავუკავშირე (კაკაშვილი, 2018). 2023 წლის მოხსენების თეზისებში იმავე თვალსაზრისს გამოთქვამს რ. ფარეულიძე ქისტური დიალექტის მასალის საფუძველზე და პარალელს ავლებს წოვათუშური ენის მონაცემებთან. განსხვავებით ამ უკანასკნელისაგან, ქისტურში შესაბამისი -□ო ბოლოსართი ტოპონიმებსაც აწარმოებს. ამგვარად, ბირკიენ-□ო ნიშნავს როგორც ბირკიანს, ისე ბირკიანელს (ფარეულიძე, 2023, გვ. 44). საინტერესოა, რომ ადგილის სახელდებისთვის, როგორც ამას ავტორიც მიუთითებს, ქისტური მეტყველებისგან განსხვავებით, ეს სუფიქსი ჩეჩნურში არ არის წარმოდგენილი, თუმცა სადაურობის საწარმოებლად, იგი ჩეჩნურშიც გამოიყენება.

წარმომავლობის სახელებისა და ეთნონიმების საწარმოებლად ჩეჩნურსა და ინგუმურში უფრო მრავალფეროვანი სურათი გვაქვს. საყურადღებოა, რომ ვაინახური ენები არ მიჰყვება წოვათუშურის წესს და ყველა გრამატიკული კლასის სახელს ერთნაირი წარმოება ახასიათებს. როგორც რ. ფარეულიძე მიუთითებს, ჩეჩნური ენის

ქისტურ დიალექტში მოცემული ფუნქციით გამოიყენება -**ო** ფორმანტი. იგი წარმომავლობის გარდა, ტოპონიმებსაც აწარმოებს: **ახმეტ-ო** ნიშნავს როგორც ახმეტას, ისე ახმეტელს, **ომალ-ო** „1. ომალო, 2. ომალოელი“ და ა.შ. ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ -**ო**-სთვის ამოსავალი უნდა იყოს -**ავ** და უკავშირებს მას წოვათუშურის -**ვ** ფორმანტს. მის გრამატიკულ კლასთან იგივეობის საკითხსაც სვამს, თუმცა უფრო ვრცელ მსჯელობას და არგუმენტებს თეზისებში არ გვთავაზობს (ფარეულიძე, 2023).

გრამატიკული კლასის სუფიქსად გამოყენების შემთხვევები დაღესტნურ ენებში არსებობს. ეს საშუალებას გვაძლევს, დავუშვათ, რომ წოვათუშურშიც -**ვ** შესაძლოა იყოს გრამატიკული კლასის ნიშანი. მაგალითად, ხუნძურ ენაში ზედსართავ სახელებს კლასის ნიშანი დაერთვის პრეფიქს-სუფიქსად ან მხოლოდ სუფიქსად, უფრო ხშირად კი სუფიქსად (კიკვიძე, 1958, გვ. 95), ზმნებს კი მხოლოდ პრეფიქსად, ისევე, როგორც წოვათუშურში. როგორც ბ. კიკვიძე მიუთითებს, ხუნძური ენის პრეფიქსული და სუფიქსური კლასის ნიშნები ერთმანეთისაგან განსხვავდება ფუნქციურადაც. სუფიქსებს მათრიბუტივებელი ფუნქცია უნდა ჰქონოდა (იქვე, გვ. 96). თავისი მნიშვნელობით ეს ახლოს დგას, წოვათუშურის აღნიშნული სუფიქსის ფუნქციასთან.

იმავე -**ოვ** სუფიქსით უნდა იყოს ნაწარმოები საზოგადო არსებითი სახელი **მასთხ-ოვ** „მტერი“. თუმცა მისი დანიშნულება ამ შემთხვევაში ბუნდოვანია, რადგან თავად საყრდენი ფუძის ეტიმოლოგია არ არის გარკვეული. საკუთრივ წოვათუშურის სიტყვაწარმოებით პარადიგმაზე დაკვირვებითა და ვაინახური ენების მონაცემებთან შედარების შემდეგ ჩანს, რომ სახელის ფუძეს წარმოადგენს **მასთხ**, -**ოვ** კი – სუფიქსია, მაგრამ სინქრონიულ დონეზე ერთგვარად უფუნქციო. შდრ. ჩეჩნური: **მოსთაღ**, ინგუშური: **მოსთაღა** „მტერი“. ფუძის შემდგომი წარმოებისას, მაგალითად, აბსტრაქტული სახელების წარმოქმნისას, იკარგება -**ოვ** ბოლოსართი და წმინდა ფუძეს დაერთვის ჰიბრიდული -**ლობ** მაწარმოებელი: **მასთხ-ლობ** „მტრობა“.

დ-(ი) მორფემით ნაწარმოები გარდამავალი ზმნა საყრდენად იყენებს აბსტრაქტულ სახელს: **მასთხ-ლობ-დარ** „მტრობა (მტრობს)“. სხვადასხვა შინაარსის ზედსართავ სახელთა სუფიქსები კი **მასთხოვ**-ს დაერთვის და იკარგება ბოლოკიდური -**ვ** თანხმოვანი:

მასთხ-უდ-ლი^წ „მტრიანი“

მასთხ-უდ-ლე^წ „მტრული, მტრისებური“.

ბოლოკიდური -ვ ჩნდება სხვა სუფიქსების შედგენილობაშიც, რომლებიც რაიმე ობიექტის, თვისებისა თუ ცოდნის ქონაზე მიუთითებს. ასეთი ბოლოსართებია -ლოვ და -ხოვ. მათი საშუალებით წარმოებული სიტყვები გაარსებითებულია. ხდება სუბიექტის, მოქმედი პირის ნომინალიზება. როგორც ფორმიბრივად, ისე შინაარსობრივად ისინი ისტორიულად ზედსართავ სახელებს წარმოადგენდნენ, -ხოვ -ით ნაწარმოები სახელები სრულად ნომინალიზებულია, ამიტომ ისინი პირველ თავში, არსებით სახელებთან არის განხილული (იხ. 1.8). -ლოვ ბოლოსართს კი აქვე განვიხილავთ, თუმცა ისიც ხასიათდება ნომინალიზაციის მაღალი ხარისხით.

ჩვენს ხელთ არსებული ემპირიული მონაცემებით, -ლოვ ბოლოსართი სინქრონიულ დონეზე მხოლოდ ორ მაგალითში დასტურდება:

[[N] -ლოვ]_{ADJ}

საყრდენი ფუძე	ნაწარმოები	სახელი
დონ ^წ „ცხენი“	დონ-ლოვ	„ცხენოსანი“
თოფ „თოფი“	თოფ-ლოვ	„თოფოსანი“

მოცემულ შემთხვევაშიც მრავლობით რიცხვში ჩნდება -ბი სუფიქსი მხოლობითის -ვ-ს ნაცვლად: დონ-ლო-ბი „ცხენოსნები“, თოფ-ლო-ბი „თოფოსნები“. აქედან ჩანს, რომ მოცემული მაწარმოებელი ისტორიულად ორნაწილიანია: -ლ-ოვ.

ა. შიფნერს დაფიქსირებული აქვს აგრეთვე გერწ-ლოვ „თოფოსანი, შეიარაღებული“ (Schieffner, 1856, გვ.123). საყრდენ ფუძეს წარმოადგენს გერწ „იარაღი“. იგი დღეს ქართულიდან ნასესხებფუძიანი თოფლოვ ფორმითაა ჩანაცვლებული.

ჩეჩნურსა და ინგუშურში -ლოვ სუფიქსის ფარდად წარმოდგენილია -ლ□ო. მოცემული ბოლოსართი ვაინახურ ენებშიც ნაკლებად პროდუქტიული ჩანს. ინგუშ.: დომ-ლ□ო, ჩეჩნ.: დომ-ლ□ო „ცხენოსანი“ (ჩეჩნ.: დინ, ინგუშ.: დგ „ცხენი“), ჩეჩნ.-ინგუშ.: ღამ-ლ□ო „ფეხით მოსიარულე, ქვეითი, შიკრიკი“ (ინგუშ.: ღა, ჩეჩნ.: ღულჩ „ნაბიჯი“) და სხვ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, **-ოვ** უნდა გამოიყოს **-ხოვ** სუფიქსის შემადგენლობაშიც, რომლის შესახებაც ცალკეა მოცემული მსჯელობა 1.8. ქვეთავში. ფორმოზრივი და ფუნქციური მსგავსებიდან გამომდინარე, მათი დაკავშირება არ უნდა იყოს საფუძველმოკლებული. მათ საერთოობაზე მიუთითებს მრავლობით რიცხვში იდენტური ქცევა: ვ-ს **-ბი**-თი შენაცვლება. არც **-ხოვ** წარმოადგენს პროდუქტიულ მაწარმოებელს. იგი ძირითადად დაერთვის სახელურ ფუძეებს და სუბიექტის რაიმე თვისებისა თუ ცოდნის ქონას გამოხატავს, ისინი შესაძლოა გაერთიანდეს ხელობის სახელთა სემანტიკურ ჯგუფში.

საინტერესოა, რომ ყველა ნაწარმოები სახელი, რომელშიც **-ვ** ბოლოსართი მონაწილეობს, ტრადიციული სოციალური წყობის თავლთახედვით მამაკაცთა საქმიანობად იყო მიჩნეული: მეომარი, ცხენოსანი, მეწისქვილე და სხვ.

ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ **-ოვ/-ევ/-ივ**, **-ლოვ**, **-ხოვ** სუფიქსების **-Vვ** ერთი და იგივე ოდენობაა. წინამავალი მორფემების ეტიმოლოგია კი ნათელი არ არის.

2.10. სუფიქსი **-ლინ**, ქონა-ყოლის სახელები

-ლინ ბოლოსართი დაერთვის არსებითი სახელების ირიბ ფუძეებს, გამონაკლისის სახით ზმნისართებს და აწარმოებს ქონა-ყოლის შინაარსის ზედსართავ სახელებს, რიგობითი რიცხვითი სახელის ფუძეზე **-ლინ** სუფიქსის დართვით კი ხდება მათი გაარსებითება. ამგვარად, წოვათუმურში ერთსა და იმავე შინაარსს, ქონა-ყოლას, რამდენიმე აფიქსი გამოხატავს. მათი გამოყენების კანონზომიერების დადგენა ჭირს, მაგრამ ის ცხადია, რომ ისინი სინონიმურ ცალებს არ წარმოადგენს და სუფიქსთა შერჩევა ლექსიკურადაა შეპირობებული. მათ ხმარებას შესაძლოა ჰქონოდა გარკვეული შინაარსობრივი შეზღუდვები თუ ჩარჩოები. იძებნება მაგალითები, რომლებშიც სხვადასხვა მაწარმოებელთა გამოყენება მხოლოდ ნიუანსურ სემანტიკურ განსხვავებას იძლევა, მაგ., **დაკ-ლინ** გულადსა და მამაცს ნიშნავს, **დაკ-რენ** კი – გულითადსა და ერთგულს. ამასთანავე, იგივე სუფიქსი გამოიყენება ღვეზელის გულსართის აღსანიშნად, მაგ., **დეაკე-რენ** კოტორ „გულიანი კოტორი“ და სხვ.

აღნიშნული მაწარმოებლით მიღებული ზედსართავი სახელების სტრუქტურა ასე გამოიყურება:

[[N] -ლი^ნ] ADJ

[[ADV] -ლი^ნ] ADJ

სადერივაციო სუფიქსის დართვისას დაკარგულია ირიბი ფუძის მაწარმოებელი თემატური ხმოვანი. ამგვარად, ირიბ ფუძეთა იდენტიფიცირება მხოლოდ იმ ერთეულების საშუალებით ხდება, რომლებიც მას ფუძის აბლაუტით აწარმოებს.

საყრდენი ფუძე	ნაწარმოები სახელი	
ბუთთ „მთვარე“	ბათთ-ლი ^ნ	„მთვარიანი“
დოკ „გული“	დაკ-ლი ^ნ	„გულადი, მამაცი“
დითხ „ხორცი“	დითხ-ლი ^ნ	„ხორციანი“
ჩამ „გემო“	ჩამ-ლი ^ნ	„გემრიელი“
იშ „ხმა“	აშირ-ლი ^ნ	„ხმიანი, მაღალხმიანი“
დეღ „ტანი“	დეღ-ლი ^ნ	„ტანადი“
დეფ „სირცხვილი“	დეფ-ლი ^ნ	„მორცხვი“
ფსტუნ ^ნ „ცოლი“	ფსტუნ-ლი ^ნ	„ცოლიანი“
დ-უხ „უკან“	დ-უხ-ლი ^ნ	„უკუღმა, ჯიუტი, კერპი“

-ლი^ნ სუფიქსის კიდევ ერთი ფუნქციაა რიცხვითი სახელების გაარსებითება. ისინი თავიანთი მორფოლოგიური სტრუქტურითა და პირვანდელი შინაარსით ზედსართავი სახელებია. წოვათუმურ ენაში მათი წარმოება ქართულის მსგავსია, სადაც იმავე ფუნქციას ქონა-ყოლის სუფიქსი ასრულებს, მაგალითად, ექვს-იან-ი, სამ-იან-ი, ათ-იან-ი და ა.შ.

[[NUM] -ლი^ნ] N

რიცხვითი სახელი	ნაწარმოები სახელი	
ც ^ნ ა „ერთი“	ც ^ნ ან-ლი ^ნ	„ერთიანი“
ში „ორი“	ში-ნ-ლი ^ნ	„ორიანი“
ჯო „სამი“	ჯა-ლი ^ნ	„სამიანი“
ფხი „ხუთი“	ფხი-ლი ^ნ	„ხუთიანი“
დეთხ „ექვსი“	დეთხ-ლი ^ნ	„ექვსიანი“
ფხაუზტყ „ასი“	ფხაუზტყ-ლი ^ნ	„ასიანი“

ვერ დავეთანხმები მ. მიქელაძეს, რომ **-ლინ** სუფიქსი სახელობითი ბრუნვის ბაზისურ ფუძეს დაერთვის (მიქელაძე, 2011, გვ. 236). ჩანს, რომ მოცემული მაწარმოებელი ერთვის ირიბ ფუძეს. ეს კარგად იკვეთება იმ სახელების მაგალითზე, რომელთაც ირიბ ფუძეში აბლაუტი ახასიათებს. ასეთებია, მაგალითად:

ბუთთ „მთვარე“, **ბათთ-ინ** ნათესაობითი, **ბადთთ-ლინ** „მთვარიანი“;

დოკ „გული“, **დაკ-ინ** ნათესაობითი, **დაკ-ლინ** „გულიანი“;

იმ „ხმა“, **ამარ-ენ** ნათესაობითი, **ამირ-ლინ** „ხმიანი“;

ასეთივე სურათს გვიჩვენებს რიცხვით სახელთა ფუძეები. ერთის, ორისა და სამის ირიბ ფუძეებს წარმოადგენს **ცაან** (ცა „ერთი“), **შინ** (ში „ორი“) და **კა** (კო „სამი“). დანარჩენ რიცხვით სახელთა ფუძეებს, საზოგადოდ, არ ახასიათებს ფუძის აბლაუტი.

2.11. სუფიქსი -ვენ, ქონა-ყოლის სახელები

არსებითი სახელის ფუძეზე **-ვენ** სუფიქსის დართვით იწარმოება ზედსართავი სახელების ჯგუფი, რომელში შემავალი ერთეულებიც რაიმე თვისებისა თუ მახასიათებლის ქონას გამოხატავს. მოცემული სადერივაციო სუფიქსის გამოყენების არეალი საკმაოდ შეზღუდულია. განსხვავებით სხვა მსგავსი სემანტიკური ჯგუფის მაწარმოებელი სუფიქსებისაგან, რომელთა საშუალებითაც შესაძლოა გადმოიცეს როგორც სულიერი არსების ყოლის, ისე რაიმე თვისების ქონის შინაარსი, ის უმეტესად პიროვნული მახასიათებლისა თუ თვისების ქონას გადმოსცემს. ამით განსხვავდება ის, მაგალითად, **-რენ/-ლენ**, **-ლინ** სუფიქსებით ნაწარმოები ზედსართავი სახელებისაგან, რომლებიც ქონა-ყოლას გამოხატავს, მაგალითად:

მარ-ბადრა-ლენ ფსტუნ

ქმარი-შვილი-ADJZ ქალი

„ქმარშვილიანი დედაკაცი“

შურ-ე-ლენ ბრინჯ

რძე-OBL-ADJZ ბრინჯი

„რძიანი ბრინჯი.“

ჩამ-ლი^ნ დითხ
გემო-ADJZ ხორცი
„გემრიელი ხორცი“

მასთხუდ-ლი^ნ სტაკ
მტერი-ADJZ კაცი
„მტრიანი კაცი“

-ვე^ნ სუფიქსის შედგენილობა ისეთივეა, როგორც ყველა სხვა დანარჩენისა, რომლებიც მიმართებით ზედსართავ სახელებს აწარმოებს და ნაზალიზებული ხმოვნით ბოლოვდება. დერივაციული ფუძის შენების პრინციპი და ბოლოკიდური ხმოვნის ფუნქცია აქაც მსგავსია.


-ე^ნ სახელობითი ბრუნვის ფორმაში ჩანს, ირიბ ფუძეში ამ შემთხვევაშიც კარგავს ნაზალურობას, მაგალითად:


სახ.: დაადრდ-ვე^ნ „დარდიანი“, მაგრამ ირიბ ბრუნვებში დაადრდ-ვე-ჩ^ნ;

ც^ნანახც^ნა-ვე^ნ „ერთადერთი, მარტოდმარტო“, ც^ნანახც^ნა-ვე-ჩ^ნ ირიბი ბრუნვების ფორმაა.

-ვე^ნ სუფიქსი რომ ორნაწილიანია, იქიდანაც ჩანს, რომ მისით ნაწარმოები სახელის შემდგომი დერივაციისას, ნაზალური ხმოვანი იკარგება და მხოლოდ თანხმოვნითი ნაწილი რჩება. აღნიშნული სიტყვაწარმოებითი პროცესი, ჯერ პირველადი, შემდეგ კი მეორეული დერივაციული ფუძის წარმოქმნა სქემატურად ასე გამოიყურება:

სქემა 3. დერივაციული ფუძის წარმოება





-ვე სუფიქსის დართვისას სახელის ფუძეში წარმოქმნილი დიფთონგი მავარაუდებინებს, რომ გარკვეული ფონეტიკური ცვლილებაა მომხდარი. წოვათუშურში დიფთონგიზაცია გარკვეული მორფონოლოგიური პროცესების შედეგია და მას მაღალი და ზოგჯერ საშუალო აწეულობის ხმოვანთა მოკვეცა იწვევს (Holisky & Gagua, 1994, p. 157, Wichers Schreur, 2024, p. 55). ამ შემთხვევაში ეს შესაძლოა ყოფილიყო თემატური ხმოვნები.

საყრდენი ფუძე	ნაწარმოები სახელი
დარდ „დარდი“	დადრდ-ვე ^ნ „დარდიანი“
ზად „ზადი“	ზადდ-ვე ^ნ „ზადიანი“
რიხ „რიხი“	რიხ-ვე ^ნ „რიხიანი“
ცა „ერთი“	ცა-ვე ^ნ „მარტო, მარტოხელა“
ჰერჯ „ხერხი“	ჰერჯ-ვე ^ნ „ხერხიანი, მოხერხებული“
ექვ „ექვი“	ექვ-ვე ^ნ „ექვიანი“

2.12. სუფიქსი -ლაკ, ხასიათისა და თვისების გამომხატველი ზედსართავები

სინქრონიულ დონეზე -ლაკ სუფიქსი არ გამოირჩევა პროდუქტიულობით. მისი საშუალებით ნაწარმოები სულ რამდენიმე ზედსართავი სახელი დასტურდება. იგი დაერთვის არსებითი სახელის აბსოლუტიური ბრუნვის ფორმებს და ფუძეში იწვევს მხოლოდ მცირე ფონეტიკურ ცვლილებებს. თუ ფუძე ერთზე მეტმარცვლიანია, ბოლოკიდური ხმოვანი იკვეცება. ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, ხდება მრავალმარცვლიანობის თავიდან აცილება.

-ლაკ სუფიქსით ნაწარმოები ზედსართავი სახელები ძირითადად ადამიანის ან სხვა სულიერი არსების ხასიათის თვისებას გამოხატავს. ამ შემთხვევაში ის სახელი, რომელსაც განსაზღვრავს ზედსართავი, წარმოდგენილია, როგორც აქტიურად მოქმედი, აგენსური სუბიექტი, მაგ., მოჩხუბარი, მწიხლავი და სხვ. მხოლოდ ერთ შემთხვევაშია ნაწარმოები სახელის შინაარსი პასიური. ისინი ხშირად არსებითი სახელის მნიშვნელობითაც გამოიყენება.

[[N] -ლაკ]ADJ

საყრდენი ფუძე	ნაწარმოები სახელი
შათ □ „დორბლი, ნერწყვი“	შათ-ლაკ „დორბლიანი ადამიანი“
მარდ „წიხლი“	მარდ-ლაკ „მწიხლავი“
მჭა □ „რქა“	მჭა-ლაკ „მრქენელი, მრჩოლელი“
ბუ □ „ჩხუბი, ომი“	ბუ □-ლაკ „მოჩხუბარი, მომუდარი“

დოკ „გული“


დოკ-ლაკ

„ბრაზიანი“

საინტერესოა, რომ ზოგჯერ **-ლაკ** და **-რიკ** სუფიქსები თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს (**-რიკ** სუფიქსის შესახებ იხ. 2.13). ორივე ერთსა და იმავე შინაარსს გამოხატავს, მაგრამ მათი საყრდენი ფუძეები

V	-რიკ
---	------

 მკვეთრად გამიჯნულია ერთმანეთისაგან: **-ლაკ** მხოლოდ სახელურ ფუძეებს დაერთვის, **-რიკ** კი – მხოლოდ ზმნურს, მაგრამ წარმოებული ერთეულები სემანტიკურად ერთმანეთის იგივეობრივია:



PTCP/ADJ

დოკ-იხ-რიკ

გული-სვლა-PTCP

„ბრაზიანი“



ADJ

დოკ-ლაკ

გული-ADJZ

„ბრაზიანი“

დასახელებულ მაგალითთაგან ორივე ბრაზიანს ნიშნავს, მაგრამ **-რიკ** ზმნურ ფუძეს დაერთვის, ამ შემთხვევაში კომპოზიტურს, **-ლაკ** – სახელურს.

მსგავსი პრინციპი მოქმედებს შემდეგ მაგალითებშიც:

ბუ□-ბ-Ø-ო-რიკ

ჩხუბი.B-CLB-TR-PRS-PTCP

„მოჩხუბარი“

ბუ□-ლაკ

ჩხუბი-ADJZ

„მოჩხუბარი“

2.13. სუფიქსი **-რიკ**, ხასიათისა და თვისების გამომხატველი ნაზმნარი ფორმები

სადერივაციო სუფიქსი **-რიკ** ძალზე პროდუქტიულია წოვათუშურში. იგი დაერთვის როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებს და აწარმოებს ფორმებს, რომლებიც გადმოსცემს სუბიექტის არა მომენტობრივ, არამედ ხასიათობრივ თავისებურებას, რაიმე ნიშან-თვისების ქონას. განსახილველი ნაზმნარი სახელები

ლექსიკალიზაციის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი გარსებითებულია, მაგრამ რადგან ეს უკანასკნელი ფუნქცია უფრო სპორადულია, -**რიკ** სუფიქსიან ფორმებს ზედსართავ სახელებთან განვიხილავ. ზმნური თვისებებიდან მათ შენარჩუნებული აქვს მხოლოდ კლასში შეთანხმების უნარი, მაგრამ არ გააჩნია საკუთარი აქტნანტები და არც ასპექტის გაგება. ისინი წარმოადგენს არსებითი სახელის მსაზღვრელებს. აღსანიშნავია, რომ მათ არც ზედსართავისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი მოეპოვება: ხარისხის ფორმები, ბრუნების თავისებურებები და სხვ.

საინტერესოა, რომ არსებობს -**ინ**□ და -**რიკ** სუფიქსებით ნაწარმოები ფორმების პარალელური, სინონიმური ხმარების ერთეული შემთხვევებიც:

ახ-დ-არ	ახ-დ-ო-რიკ	ახ-დ-უ-ან □
„მოტყუება (ატყუებს)“	„მატყუარა“	„მატყუარა“
ბუ □- ბ-არ	ბუ □- ბ-ო-რიკ	ბუ □- ბ-უ-ან □
„ჩხუბი (ჩხუბობს)“	„მოჩხუბარი“	„მოჩხუბარი“
ქეს-არ	ქეს-რიკ	ქეს-ინ □
„შრომა (შრომობს)“	„მშრომელი, მუშა ადამიანი“	„მშრომელი, მუშა ადამიანი“
ჭირხეთ-არ	ჭირხეთ-რიკ	ჭირხეთ-ინ □
„დაზარება (ეზარება)“	„ზარმაცი“	„ზარმაცი“

რამდენიმე შემთხვევაში -**რიკ** და -**ინ**□ სუფიქსებით ნაწარმოებ ფორმებს შორის არის შინაარსობრივი სხვაობა. -**ინ**□ რაიმე მომენტობრივ ქმედებას ან თვისებას გამოხატავს, მაშასადამე, აქვს ასპექტის გაგება, -**რიკ** კი, პირიქით, სახელის ზოგად, ჩვეულებით მახასიათებელზე მიუთითებს, მაგ., **თეტ-რიკ** არის „მჭრელი, ბასრი საგანი“, **თეტ-უ-ან**□ კი „დამჭრელი. ადამიანი, რომელიც რამეს ჭრის“.

ორივე ფორმა – **თეფხ-რიკ** და **თეფხ-უ-ან**□ „მცემელს“ ნიშნავს, თუმცა -**ნ**□-თი ნაწარმოებს აქვს საობიექტო მიმღეობის მნიშვნელობაც, ანუ გამოხატავს „საცემს,

გასალახავსაც“, -რიკ სუფიქსიანს კი – არა. ამასთანავე, თეფხრიკ არის ადამიანი, რომლისთვისაც სხვისი ცემა ჩვეულებაა, მისი ხასიათის თვისებაა.

-რიკ სუფიქსს, სასუბიექტოს გარდა, ისტორიულად შესაძლოა ჰქონოდა საობიექტო მიმღობების წარმოების ფუნქციაც. ამაზე მსჯელობა მოცემულია ტოპონიმებისა და ანთროპონიმების განხილვისას.

საკვლევნი ბოლოსართი თანაბრად პროდუქტიულია გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებთან. საყრდენი გარდაუვალი ზმნები შეიძლება იყოს როგორც ანერგატიული, რომლის სუბიექტსაც აგენსური თვისებები აქვს, ისე ანაკუზატიური, რომლის სუბიექტიც მოქმედების განმცდელია.

-რიკ მაწარმოებელი დაერთვის რთულ გარდაუვალ ზმნებსაც. ისინი **დ-ალ-არ** მემველი ზმნით იწარმოება გარდამავალი ზმნებისა და სხვა მეტყველების ნაწილებისაგან, მაგალითად, ასეთია **დ-ჭაპ-ლა-რიკ** „ხუჭუჭი, დაგრეხილი“, საყრდენ ფუძედ აქ გამოყენებულია **დ-ჭაპ-დ-ალ-არ** „დაგრეხა (იგრეხება)“ ზმნის აწმყო დროის ფორმა – **დ-ჭაპ-ლა** „იგრეხება“.

როგორც წესი, **დ-ალ** სუფიქსით ნაწარმოები ზმნების აწმყო დროის ფორმებში კლასის ნიშანი იკარგება, რაც ჩანს მიმღობაშიც: **ფერბა-ლ-ა-რიკ** „ალერსიანი“ (**ფერბად-დ-ალ-არ** „ფერება (ეფერება) მიალერსება“, **ფერბა-ლ-ა** „ეფერება“), **ცად-ლა-რიკ** „ბეჯითი, მუყაითი“ (**ცად-დ-ალ-არ** „ცდილობდა (ცდილობს)“, **ცად-ლ-ა** „ცდილობს“), **დ-იც-ლ-ა-რიკ** „გულმავიწყი“ (**დ-იც-დ-ალ-არ** „დავიწყება“, **დ-იც-ლ-ა** „ავიწყდება“) და სხვ.

მასდარი	საყრდენი ფუძე	ნაწარმოები	სიტყვა
დ-იც-დ-ალ-არ	დ-იც-დ-ალ-ა	დ-იც-ლა-რიკ	„გულმავიწყი“ „დავიწყება([და]ავიწყდება)“
ფერბად-დ-ალ-არ	„ფერება“	ფერბა-ლ-ა-რიკ	„ალერსიანი“
ცად-დ-ალ-არ	„ცდა, ცად-ლ-ა“	ცად-ლა-რიკ	„ბეჯითი, მუყაითი“
ცდილობს“			

დ-ჭაპ-დ-ალარ „დაგრეხა დ-ჭაპ-ლ-ა დ-ჭაპ-ლა-რიკ „ხუჭუჭი“
 ([და]იგრიხება)“

მარტივი ზმნებისაგან -რიკ სუფიქსით წარმოებულ მიმღებურ ფორმებში მწკრივის ნიშანი არსად ჩანს, სადერივაციო აფიქსი პირდაპირ ძირს დაერთვის: თეტ-არ „ჭრა“ → თეტ-რიკ „მჭრელი“, დ-ეწ-არ „სიყვარული“ → დ-ეწ-რიკ „მოყვარული“. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, გვეფიქრა, რომ სუფიქსი არა -რიკ, არამედ -იკ არის, -რ კი მასდარის კუთვნილებაა, მაგრამ მოცემული მაწარმოებელი საყრდენ ფუძედ რომ აწმყო დროის ფორმებს იყენებს, დასტურდება სამი ფაქტით: 1) დ-(ი)-არ და დ-ალ-არ მეშველი ზმნებით ნაწარმოებ ზმნებთან წარმოდგენილია აწმყოს მწკრივის სუფიქსი და სხვა ფლექსიური ნიშნები, რომლებიც აწმყოს მწკრივისთვის არის დამახასიათებელი. მაგალითად:

ბუ□- ბ- -ო -რიკ	← ბუ□ -ბ -ო	← ბუ□-ბ-არ
ჩხუბი-CL.ბ -PRS -PTCP	ჩხუბი-CL.B-PRS	ჩხუბი -CL.ბ - MSD
„მოჩხუბარი, მოშუღარი“	„ჩხუბობს“	„ჩხუბი (ჩხუბობს)“

ბეკ -ო -ბ- -ო -რიკ	← ბეკ -ო -ბ -ო	←
ხუმბრობა -PL -CL.B -PRS -PTCP	ხუმრობა-PL-CL.B -PRS	
„ხუმარა“	„ხუმრობს“	

ბეკ -ო -ბ -არ
ხუმრობა -PL-CL.B -MSD
„ხუმრობა“

მწკრივის ნიშანი წარმოდგენილია გარდაუვალ რთულ ზმნებთანაც. 2) დ-ალ ზმნის კლასის ნიშანი, როგორც ზემოთ ითქვა, აწმყო დროში იკარგება. -ალ

მემველზმნისეული ნაწილი რეალიზდება -ლ-დ და მას ერთვის მწკრივის ნიშანი -ა. სწორედ ამგვარი ფუძეა გამოყენებული -რიკ მაწარმოებლისთვის:

ცად-ლ-ა-რიკ	←	ცად-ლ-ა	←	ცად-დ-ალ-არ
ცდა-INTR-PRS-PTCP		ცდა-INTR-PRS		ცდა-CL-INTR-MSD
„ბეჯითი (*მცდელი)“		„ცდილობს“		„მცდელობა“

თუმცა, როგორც აღინიშნა, სინქრონიულ დონეზე -რიკ ბოლოსართით ნაწარმოებ ფორმებს დროის გაგება დაკარგული აქვს, ის პირობითია და არა მაინცდამაინც მომენტობრიობას, არამედ დიურატიულობას გამოხატავს.

გარდაუვალ ზმნათა სუბიექტები შეიძლება იყოს როგორც აქტიურად მოქმედი (ანერგატიული ზმნები), ისე მოქმედების განმცდელი (ანაკუზატიური ზმნები). მათგან მიღებული ყველა მიმღეობა ხშირად ნომინალიზებულია, მაგალითად:

მასდარი	ნაწარმოები	სიტყვა
დ-ულ-არ „ყვირილი“	დ-ულ-რიკ	„მყვირალა, მჩხავანა“
დ-ეწ-არ „სიყვარული“	დ-ეწ-რიკ	„მოყვარული“
დოკ-იტ-არ „შეზიზღება“	დოკ-იტ-რიკ	„ზიზღიანი“
დ-ეფშ-არ „დაფხენა“	დ-ეფშ-რიკ	„ფხვიერი“
დ-ახ-არ „დათრობა“	დ-ახ-რიკ=აჟ	„ლოთი, მსმელი“
დაკ-იხ-არ „მიხვედრა (გულს სვლა)“	დაკიხ-რიკ	„მიმხვედრი, ფრთხილი“
ჯერ□არ „შიში (ეშინია)“	ჯერ□-რიკ	„მშიშარა, მხდალი“

გრამატიკულ კლასში შეთანხმება განსხვავებულია ერთპირიან და ორპირიან ზმნათაგან ნაწარმოებ ნამიმღეობარ ზედსართავებში, მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანი გარდაუვალაია. ორპირიანი ზმნისაგან ნაწარმოები ფორმა ობიექტის კლასის ნიშანს ასახავს, თავად კი სასუბიექტოა. მე-11 მაგალითში ბეწრიკაჟ ასახავს კუდმშ□-ს ბ კლასის ნიშანს და არა სუბიექტის ვ-ს. მოცემულ მაგალითში როგორც ზმნა, ისე ზედსართავი ობიექტს ეთანხმება კლასში, მე-12 მაგალითში კი აღნიშნულია სუბიექტის კლასის ნიშანი ვ – ვულრიკ.

გაფრენა“. ამ შემთხვევაში მიმღეობას შესაძლოა საობიექტო შინაარსი ჰქონდეს და ნიშნავდეს გასაქცევს, გასაფრენს, გასაქროლებელ ადგილს. ტუტარიკი ერთ-ერთი ემმაკეულ-ქაჯთაგანის სახელიც არის. ტოპონიმისაგან განსხვავებით, **-რიკ** სუფიქსით ნაწარმოები ანთროპომორფული სახელი გაარსებითებული სასუბიექტო მიმღეობაა, რომელიც შეიძლება განიმარტოს როგორც „მორბენალი, მფრინავი“. მსგავს დაშვებას ხელს უწყობს წოვათუშური ენის მიმღეობათა ბუნება, ერთი და იმავე მორფემით იწარმოებოდეს სასუბიექტო და საობიექტო ერთეულები, უფრო სწორად, ერთი და იგივე დერივატი კონტექსტის შესაბამისად ინტერპრეტირდება ორივენაირად. ეს ყოველთვის ასეა **-ნ** სუფიქსით ნაწარმოები ახლანდელი და მომავალი დროის მიმღეობების შემთხვევაში, მაგალითად, **არლუფ-ნ** „1. გასალეწი, 2. მლეწავი“, **დაცუფ-ნ** „1. სათიბი, 2. მთიბავი“, **ახუფ-ნ** „1. სახნავი, 2. მხვნელი“ და სხვ.

-რიკ ბოლოსართი უმეტესწილად სასუბიექტო მიმღეობის მაწარმოებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, საობიექტო შინაარსის გამოხატვაც შეუძლია.

იმავე სუფიქსით უნდა იყოს წარმოქმნილი კიდევ ერთი ანთროპომორფული სახელი – **თებჯორიკი**. თუშური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, იგი მდედრობითი სქესის ავსულია. ქართულ მეტყველებაში მას თებჯორიკას უწოდებენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე მისი ეტიმოლოგია, ძირეული მორფემის მნიშვნელობის დადგენა ვერ ხერხდება, სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურა მაინც ნათელია. შესაძლოა, მისი **დ-ებჯ-არ** „წაქცევა, შებმა“ ზმნასთან კავშირის დაშვება. თებჯორიკის ბუნება-ხასიათიც ასეთია. ის მძინარ ადამიანს თავს ესხმის, ზედ დააწვება და სულს უხუთავს.

მსგავსი წარმოების უნდა იყოს ჩადმათუშეთში არსებული ტოპონიმი **მაწარიკი**.

ი. დემერიევი წოვათუშურის **-რიკ** სუფიქსს მიიჩნევს ჩეჩნური **-რგ/-რიგ** და ინგუშური **-რ** სუფიქსების შესატყვისად და განიხილავს არსებით სახელთა მაწარმოებელ ბოლოსართად, თუმცა იქვე შენიშნავს, რომ შეიძლება სხვა მეტყველების ნაწილების სუბსტანტივიზაციისთვისაც გამოიყენებოდეს (Дешериев, 1953, стр. 195). იგი თვლის, რომ ეს აფიქსები უნდა მომდინარეობდეს გამოსვლითი ბრუნვის **-იგ** სუფიქსისაგან და მისი პირვანდელი ფუნქცია კნინობითობის აღნიშვნა უნდა

ყოფილიყო. შემდეგ დაიწყო ფუნქციონირება არეალის და მნიშვნელობის გაფართოება. თუმცა, ავტორის აზრით, ჩეჩურსა და წოვათუშურში მან დაკარგა პირვანდელი მნიშვნელობა. წარმოდგენილი მსჯელობა წოვათუშურთან მიმართებით არ ჩანს სარწმუნო, რადგან წოვათუშურში საერთოდ არ მოგვეპოვება კნინობით-ალერსობითი სემანტიკის მქონე სიტყვები და ამასთანავე, სუფიქსი **-რიკ** იმ პერიოდთან, როდისაც შეგვიძლია წოვათუშურის ემპირიულ მასალას თვალი გავადევნოთ, არ გამოიყენება არსებითი სახელების საწარმოებლად. მიუხედავად იმისა, რომ ამ სუფიქსით ნაწარმოები ზოგიერთი მიმღობის გაარსებითება შეიძლება მოხდეს, ვფიქრობ, ეს ლექსიკალიზაციის შედეგია და მათი თავდაპირველი მნიშვნელობა მიმღობური იყო. ვაინახური ენებისაგან განსხვავებით, წოვათუშურში იგი მხოლოდ ზმნურ ფუძეებს დაერთვის და აწარმოებს მიმღობებს. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ჩეჩურსა და ინგუშურში საკვლევ სუფიქსი ლექსიკალიზების უფრო მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა, შემდეგ გარკვეულწილად შეიძინა არსებით სახელთა წარმოების ფუნქცია და შესაბამისად, უფრო პროდუქტიულიც არის.

2.14. სუფიქსი -ღე, მსგავსების სახელები


სუფიქსი **-ღე** ერთ-ერთი პროდუქტიული მაწარმოებელია წოვათუშურში. აღნიშნული ჯგუფის სახელთა წარმოებისას საყრდენი ფუძეების გამოყენების მხრივ საკმაოდ მრავალფეროვანი სურათი გვაქვს. **-ღე** დაერთვის **არსებითი, ზედსართავი და ნაცვალსახელების** ფუძეებს და გამოხატავს მსგავსებას ამ სახელებით აღნიშნულ საგნებთან, მოვლენებთან თუ ადამიანებთან.

საკვლევ ბოლოსართიც ზედსართავთა სხვა მაწარმოებლების ტიპურ სტრუქტურას გვიჩვენებს – ორნაწილიანია. ბოლოკიდურ ხმოვანს მხოლოდ მაზედსართავებელი ფუნქცია აქვს. ირიბ ბრუნვებში **-ე** კარგავს ნაზალურობას. შემდგომი დერივაციული წარმოებისას კი, ცხადია, **-ე** არსად ჩანს და საყრდენად **-ღ** სუფიქსდართული ფუძე გამოიყენება.

-ღე სუფიქსი ირიბ ფუძეებს დაერთვის. არსებითი სახელების შემთხვევაში ირიბი ფუძის ხმოვანი მოკვეცილია მრავალმარცვლიანობის თავიდან ასარიდებლად. ზედსართავ სახელებთან კი იგი **-ჩ** ელემენტდართულ ფუძეს მოსდევს, ვინაიდან,

საზოგადოდ, ზედსართავი სახელის ბრუნებისას ირიბი ფუძე -ჩ^ნ ელემენტიანა გავრცობილი და ამის შემდეგ ერთვის მას როგორც ფლექსიური, ისე დერივაციული აფიქსები. ზედსართავი სახელისაგან მსგავსების სახელების, ანუ მიმართებითი ზედსართავების, ფუძის შენების პროცესი ასე გამოიყურება:

სქემა 4. მსგავსების სახელების წარმოება ზედსართავი სახელის ფუძისაგან



-ლ სუფიქსი ზოგჯერ პირველი რანგის მორფემადაა წარმოდგენილი, უშუალოდ მოსდევს ძირს, მაგრამ თავად ეს მდგომარეობა მეორეული უნდა იყოს, რადგან არსებითი სახელებისა და ნაცვალსახელების შემთხვევაში დაკარგულია ირიბი ფუძის მაწარმოებელი ხმოვნები.

მსგავსების სახელთა მორფოლოგიური სტრუქტურა შემდეგნაირია:

[[N.OBL] -ლ^ნ]_{ADJ}

[[PRON] -ლ^ნ]_{ADJ}

[[[ADJ] -OBL] -ლ^ნ]_{ADJ}

საყრდენი ფუძე	ნაწარმოები სახელი	
ვაშ ^ნ „ძმა“	ვაშა ^ნ -ლ ^ნ	„ძმური, ძმისებური“
ოა ^ნ „ქალი, გოგონა“	ოა ^ნ -ლ ^ნ	„ქალური“
კნათ ^ნ „ბიჭი“	კნათ ^ნ -ლ ^ნ	„ბიჭური, ვაჟური“

მასთხოვ „მტერი“	მასთხუდ-ღე ^ნ	„მტრული, მტრისებური“
ფსტუ ^ნ „ქალი“	ფსტუ ^ნ -ღე ^ნ	„ქალური“
ადმიან „ადამიანი“	ადმიან-ღე ^ნ	„ადამიანური“
დითხ „ხორცი“	დითხო-ღე ^ნ	„ხორცეული“
მუშა ^ნ „მუშა“	მუში-ღე ^ნ	„მუშური“
შარი ^ნ „თავისი, იმისი“	შარ-ღე ^ნ	„მისებური, თავისებური“
ვაჟ „ჩვენ (ინკლ.)“	ვაჟ-ღე ^ნ	„ჩვენებური (ე.ი. თუში)“
შუ „თქვენ“	შუ-ღე ^ნ	„თქვენებური“
წენ „წითელი“ → წენ-ჩ ^ნ	წენ-ჩო-ღე ^ნ	„წითლის მსგავსი, წითლისებური“
კუჟ ^ნ „თეთრი“ → კუჟ-ჩ ^ნ	კუჟ-ჩო-ღე ^ნ	„თეთრისებური“

ლოგიკურად მესახება იმის დაშვება, რომ მსგავსების გამომხატველი -ღ გარდაქცევითი ბრუნვისაგან მომდინარეობდეს, რომლის მაწარმოებელიც აგრეთვე -ღ სუფიქსია. მსგავსების მაწარმოებელ სუფიქსად ჩამოყალიბება კი მისი მეორეული, უფრო გვიანდელი ფუნქცია უნდა იყოს.

წოვათუშურში გარდაქცევითი წარმოადგენს ირიბი დამატების ბრუნვას და თავისი სემანტიკით ქართულის ვითრებით ბრუნვასთან დგას ყველაზე ახლოს. იგი რამდენიმე შინაარსს გამოხატავს, მათ შორის მიზნისა და ადგილის გარემოებასაც. გარდაქცევით ბრუნვაში მდგარი სახელი, როგორც თავად ბრუნვის სახელწოდებიდანაც ჩანს, საგნის თვისებისა და მდგომარეობის შეცვლას, გარდაქცევას, გარდასახვას გადმოსცემს (Hauk & Harris, 2018, გვ. 12), მაგალითად:

- (13) ფსტუჟნ-ჩო-ვ კარაქ დათონ-ე-ღ დ-აშ-დ-ი-ღე^ნ
ქალი-OBL-ERG კარაქი ერბო-OBL-ADV CL.D-დადნობა-CL.D-TR-AOR
„დედაკაცმა კარაქი ერბოდ გადაადნო“.

(ქადაგიძე და ქადაგიძე, 1984, გვ. 53)

- (14) ბოთლ ვენ ბუნგ-ე-ღ ხმარზად-ღ-ო

ბოთლი ღვინო ჭურჭელი-OBL-ADV ხმარება-CL.J-PRS

„ბოთლს ღვინის ჭურჭლად ხმარობენ“.

(ქადაგიძე და ქადაგიძე, 1984, გვ. 92)

(15) ერკვერცხ ბაც-ბი-გო[□] ჩამლი-ჩ□ დაყრ-ე-ღ დ-ა

ერბოკვერცხი წოვათუში-PL-ALL გემრიელი-OBL საჭმელი-OBL-ADV CL.D-PRS

„ერბოკვერცხი წოვათუშებს გემრიელ საჭმელად აქვთ“.

(ქადაგიძე და ქადაგიძე, 1984, გვ. 227)

(16)სე ვაშ-ა-ს კაწკონ^ნ კნათ ეც-ი^ნ ბადრ-ე-ღ

ჩემი ძმა-OBL-ERG პატარა ბიჭი აღება-AOR ბავშვი-OBL-ADV

„ჩემმა ძმამ პატარა ბიჭი იშვილა (აიყვანა შვილად)“.

(ქადაგიძე და ქადაგიძე, 1984, გვ. 73)

(17)განგ-ე-ღ დონ^ნ მუღ-ჩ□ გაგ-ბ-ერ-ე-ვ

ჯაგლაგი-OBL-ADV ცხენი ცუდი-OBL მოვლა-CL.B-VN-OBL-ERG

□ერწ-ო-ბ-□

გადაქცევა-PRS-CL.B-PRS

„ჯაგლაგად ცხენს ცუდი შენახვა, მოვლა [გადა]აქცევს“.


(ქადაგიძე და ქადაგიძე, 1984, გვ. 113)

შეიძლება ითქვას, ქართულშიც იგივე ფუნქციები აქვს ვითარებით ბრუნვას. ის უბრალო დამატების ბრუნვაა და გამოხატავს ცვალებას, გარდასახვას და გარდაქმნას, აგრეთვე, ადგილის, ვითარებისა და მიზნის გარემოებასაც. (გოგოლაშვილი და სხვანი, 2011).

-ღ სუფიქსის გარდაქცევით ბრუნვასთან დაკავშირება ხსნის ზედსართავი სახელის შემთხვევაში -ჩ□ მავრცობი ელემენტის გაჩენის საფუძველსა და არსებითი სახელის ფუძის აბლაუტსაც.

ამგვარად, ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, მსგავსების სახელთა დერივაციის პროცესი ასე წარმოგვიდგება:

სქემა 5. მსგავსების სახელთა წარმოება არსებითი სახელის ფუძისაგან



ასეთივე პროცესია ზედსართავი სახელის საყრდენ ფუძედ გამოყენების შემთხვევაშიც: კუძ „თეთრი“ → კუძ-ჩო-ლ „თეთრად“ → კუძ-ჩო-ლ-ენ „თეთრი, თეთრისებური“ და სხვ.

მოცემული სუფიქსის ბუნების უკეთ გასაცნობად, ქვემოთ მომყავს შემდგომი დერივაციის, მეორეული ზედსართავისაგან ვითარების ზმნისართების წარმოების მაგალითები. როგორც უკვე აღინიშნა, ვითარების ზმნისართები საყრდენად იყენებს მარკირებულ ფუძეს.

წმინდა ფუძე	პირველადი დერივაციული ფუძე	ნაწარმოები სიტყვა	
ადმიან „ადამიანი“	ადმიან-ლენ	ადმიან-ლენ-შ	„ადამიანურად“
ვაშ „ძმა“	ვაშაძ-ლენ	ვაშაძ-ლენ-შ	„ძმურად“
ვაძ „ჩვენ (ინკლ.)“	ვაძ-ლენ	ვაძლენ-შ	„ჩვენებურად“

კნათ „ბიჭი“	კნათ-ლენ	კნათ-ლე-შ	„ბიჭურად“
წენ „წითელი“	წენ-ჩო-ლენ	წენ-ჩო-ლე-შ	„წითლისებურად“

იგივე -ლ სუფიქსი უნდა იყოს ასოციაციური მრავლობითის აღმნიშვნელ -ლარ და -ლუმ სუფიქსებში. ჩვენი თვალსაზრისით, -ლ რომელიმე ჯგუფისადმი მსგავსებას გამოხატავს, საკუთრივ მრავლობითობას კი – -არ და -უმ ბოლოსართები (ვრცლად იხ. 1.3).

2.15. სუფიქსი -ლენ, რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები

სუფიქსი -ლენ რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან აწარმოებს როგორც რიგობით, ისე წილობით რიცხვით სახელებს. მას ამავე თავში განვიხილავ, რადგან, ვფიქრობ, ამ რთული შედგენილობის მაწარმოებელში -ლ სუფიქსს შესაძლოა, იგივე ფუნქცია და სემანტიკა აქვს, რაც წინა ქვეთავშია განხილული. ამასთანავე, თავიანთი მორფოლოგიური სტრუქტურით ეს დერივატებიც ზედსართავთა იგივეობრივია. ბოლოკიდური ნაზალიზებული ხმოვანი ამ შემთხვევაში მათრიბუტივებელი ელემენტია.

[[[[NUM] -ლ]_N -ლ]_{ADJ} -ენ]_{ORD}

პირველადი საყრდენი ფუძე	ნაწარმოები სახელი
კო „სამი“	კა-ლ-ლ-ენ „მესამე, მესამედი“
დეთხ „ექვსი“	დეთხ-ლ[ო]-ლ-ენ „მეექვსე, მეექვსედი“
ფხი „ხუთი“	ფხი-ლლენ „მეხუთე, მეხუთედი“

2.16. სუფიქსი -ლუ^ნ, დროის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელები

ზმნისართის ფუძეზე -ლუ^ნ სუფიქსის დართვით იწარმოება ზედსართავი სახელები, რომლებიც პასუხობს კითხვაზე **მაც-ლუ^ნ** „როდინდელი?“. ნაკლებ პროდუქტიულია მისი გამოყენება არსებითი სახელების ფუძეებთან.

მსგავსი სტრუქტურის მქონე ყველა სუფიქსის გვარად, ირიბ ბრუნვებში ნაზალიზებული ნაცვლად სადა ხმოვანია წარმოდგენილი:

[[ADV] -ლუ^ნ]_{ADJ}

[[N] -ლუ^ნ]_{ADJ}

საყრდენი ფუძე	ნაწარმოები ფუძე	
თხა „დღეს“	თხა-ლუ ^ნ	„დღევანდელი“
სტა ^ნ ხკ ^ნ „შარშან“	სტა ^ნ ხკ ^ნ -ლუ ^ნ	„შარშანდელი“
ათხე ^ნ „წინათ“	ათხე ^ნ -ლუ ^ნ	„წინანდელი“
დუდახ „წელან“	დუდახ-ლუ ^ნ	„წელანდელი“
დუ ^ნ რე ^ნ „პირველად“	დუ ^ნ რე ^ნ -ლუ ^ნ	„პირვანდელი“
ე ^ნ ათ ^ნ „მამინ“	ე ^ნ ათ ^ნ -ლუ ^ნ	„მამინდელი“
თხაბუს „წუხელ“	თხაბუს-ლუ ^ნ	„წუხანდელი“
ინც „ახლა“	ინც-ლუ ^ნ	„ახლანდელი“
ქიქო ^ნ „წინათ“	ქიქო ^ნ -ლუ ^ნ	„წინანდელი“
ლამო „ზეგ“	ლამ-ლუ ^ნ	„ზეგინდელი“
მაც ^ნ „როდის“	მაც-ლუ ^ნ	„როდინდელი, რა დროისა“
ფსარე[^ნ] „გუმინ“	ფსარე[^ნ]-ლუ ^ნ	„გუმინდელი“
სტაბ ^ნ „შემოდგომა“	სტაბ ^ნ -ლუ ^ნ	„საშემოდგომო, შემოდგომის“

საინტერესოა, რომ ჩეჩნურსა და ინგუშურში აღნიშნულ შინაარსს -რა თანდებული აწარმოებს, რომელიც წოვათუშური -რე^ნ თანდებულის ფარდია.

2.17. ქართულიდან ნასესხები მაზედსართავებელი სუფიქსები

დღესდღეობით წოვათუმურად მოსაუბრე ყველა ადამიანი ბილინგვია. ისინი საუბრობენ როგორც წოვათუმურ, ისე ქართულ ენებზე. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც ისინი მთიდან ბარში ჩამოსახლდნენ, ქართული ენის გავლენა წოვათუმურზე კიდევ უფრო გაიზარდა. ეს პროცესი განსაკუთრებით აქტიური მეოცე საუკუნეში გახდა, როდესაც გაჩნდა მასმედიის საშუალებები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და სხვ. აქ საოჯახო სივრცის მიღმა საურთიერთო და სწავლების ენა ქართული იყო. ორენოვნების ზრდაზე გავლენა იქონია შერეულმა ქორწინებებმაც. აღმავალი ბილინგვიზმის შემდეგ, დაიწყო დაღმავალი ბილინგვიზმი. დომინანტი ენა ქართული გახდა და მისი გავლენაც წოვათუმური ენის ყველა ნაწილზე გაძლიერდა (მიქელაძე, 2011).

ქართული და წოვათუმური ენები საუკუნეების განმავლობაში ერთ გეოგრაფიულ და კულტურულ არეალში თანაარსებობდნენ, ამიტომ მათი კონტაქტი ყოველთვის აქტიური იყო. ამას მოწმობს წოვათუმური სუბსტრატი თუმურ დიალექტში და ქართული ნასესხობები წოვათუმურში (უთურგაიძე, 1966, ჭრელაშვილი, 1979, მიქელაძე, 2008). მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული წყაროებით არ შეგვიძლია განვსაზღვროთ ქართული და წოვათუმური ენების ურთიერთგავლენის ხანგრძლივობა, ენობრივი მონაცემები გვიჩვენებს, რომ ეს პროცესი საუკუნეების სიღრმეში იღებს სათავეს.

ქართულის გავლენა მეთვრამეტე საუკუნეშიც საგრძნობი ყოფილა წოვათუმურზე. ამას მიუთითებს იოჰან გიულდენშტედტი, რომელმაც მეთვრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში იმოგზაურა თუმეთში და გააკეთა ამ ენის პირველი ჩანაწერები (გიულდენშტედტი, 1964).

განსაკუთრებით დიდია ქართულიდან ნასესხებ ლექსიკურ ერთეულთა რაოდენობა. ქადაგიძეების ლექსიკონში მოცემული 1819 არსებითი სახელიდან 1254 (69 %) ნასესხებია ქართული ენიდან (Wichers Schreur, 2021, გვ. 17).

წოვათუმურმა ქართულისაგან რამდენიმე მაზედსართავებელი აფიქსი ისესხა. მათი საშუალებით საკუთარი ფუძეებისაგან აწარმოებს ახალ ზედსართავებს.

საინტერესოა, რომ არცერთი მათგანი არ გამოირჩევა მაღალი პროდუქტიულობით. შეუდარებლად უფრო დიდია მზა ლექსიკური ერთეულების სესხება.

-ურ და მისი ალომორფი -ულ სუფიქსი ქართულში თვისებისა და წარმომავლობის აღსანიშნად გამოიყენება: ქალაქ-ურ-ი, ქალ-ურ-ი, დედაშვილ-ურ-ი, ქართ-ულ-ი, და სხვ. მას წოვათუშურშიც იგივე სემანტიკა აქვს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ის უფუნქციო ელემენტი ჩანს.

-ურ სუფიქსის არსებითი სახელის სახელობითი ბრუნვის ფორმაზე დართვით ნაწარმოებია შემდეგი ჰიბრიდული ზედსართავი სახელები:

[[N] -ურ]_{ADJ}

საყრდენი ფუძე	ნაწარმოები სახელი	
ბაც-ბ-	ბაცბ-ურ	„წოვათუშური“
დითხ „ხორცი“	დითხ-ურ	„ხორციელი, ხორციანი“
ნიყ „გზა“	ნიყ-ურ	„გზისპირი“
ბადერ „ბავშვი“	ბადრ-ულ	„ბავშვური“
ჩხირ „ჩხირი“	ჩხინდ-ურ	„წინდა“

ქართულიდან ნასესხებ ზოგიერთ სახელურ და ზედსართავ ფუძეს წოვათუშურში ემატება -ურ ბოლოსართი, რომლის ფუნქციაც ბუნდოვანია. ეს სახელები ქართულში ძირეული არსებითი და ზედსართავი სახელებია და წარმოდგენილია -ურ სუფიქსის გარეშე: ლამზ-ურ „ლამაზი“, ნაზდ-ურ „ქეჩა“. ლამ(ა)ზური ტოპონიმებშიც გვხვდება. ასე ჰქვია მთას ახმეტის მუნიციპალიტეტში, ტბათანის მიდამოებში, რომელიც წოვათუშების საზაფხულო სადგომს წარმოადგენდა. ლამზურ ჩკა ასევე ადგილის სახელია ტბათანის სიახლოვეს.

მიუხედავად იმისა, რომ -ურ სუფიქსის დართვის მოტივაცია ამ შემთხვევაშიც ბუნდოვანია, ვფიქრობ, იგი უნდა გამოიყოს ჩიბ-ურ „პატარა ძაღლი, ლეკვი“ სიტყვაშიც. სახელის ფუძე ჩიბა „ასაკმცირე ძაღლი“ (ქეგლ) ნასესხებია ქართულიდან, სადაც ის ბოლოსართის გარეშეა წარმოდგენილი.

მამასადამე, ერთ შემთხვევაში სახელის ფუძეზე -ურ სუფიქსის დართვით ისევ სახელი მიიღება, მის შინაარსში არავითარი ცვლილება არ ხდება. იგივე ითქმის ზედსართავ სახელზე, ის ისევ ზედსართავად რჩება: [[N] -ურ]_N, [[ADJ] -ურ]_{ADJ}.

-ურ სუფიქსი წოვათუშურ გვართა საწარმოებლადაც გამოიყენებოდა, სხვა, საკუთარი სუფიქსების პარალელურად. ამ გზით მიღებული გვარებია: მევეტ-ურ-ი „მეოტიშვილი“, ბელდ-ურ-ი „ბელადიშვილი“, შალფ-ურ-ი „შალაფიშვილი“, ლაგზ-ურ-ი „ლაგაზიძე“, ქადგ-ურ-ი „ქადაგიძე“ და სხვ. იგივე ბოლოსართი ქართულ გვარებსაც აწარმოებს: ბექა-ურ-ი, ბალია-ურ-ი, გიგა-ურ-ი, ფიცხელა-ურ-ი, წიკლა-ურ-ი და სხვ.

ქართულიდან ნასესხები -ნაირ სუფიქსი რიცხვითი და ნაცვალსახელების ფუძეზე დართვით სპორადულად აწარმოებს ზედსართავ სახელებსაც.

საყრდენი ფუძე	ნაწარმოები სახელი	
ში „ორი“	შინ-ნა□რ-ე ^წ	„ორნაირი, ორგვარი“
□ერ ^წ „სხვისი“	□ერ-□ერ-ნა□ირ	„სხვადასხვანაირი“

საინტერესო სტრუქტურას გვიჩვენებს შინ-ნა□რ-ე^წ. მას -ნაირ სუფიქსის შემდეგ ნაზალიზებული ხმოვანი, მაზედსართავებელი ელემენტი -ე^წ ერთვის. როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, საკუთრივ წოვათუშური ზედსართავი სახელებისთვის ნაზალური ხმოვანი სუფიქსად აუცილებლობას წარმოადგენს, მაგრამ ქართულიდან ნასესხები არც ვითარებითი და არც მიმართებითი ზედსართავი სახელები ამ ბოლოსართებით, როგორც წესი, არ ფორმდება. მათი ადაპტაციისთვის, ზედსართავ სახელად მარკირებისთვის, წოვათუშურის მორფოლოგიურ სტრუქტურაზე მორგებისთვის ეს ხერხი არ გამოიყენება.

2.18. კომპოზიტური ზედსართავი სახელები

შესავალი

ზედსართავი სახელების წარმოება კომპოზიციის საშუალებით ძალიან პროდუქტიულია წოვათუშურ ენაში. მათი რიცხვი გაცილებით სჭარბობს რთული არსებითი სახელებისას. წინამდებარე თავში გაანალიზებულია კომპოზიტური ზედსართავი სახელების წარმოების მექანიზმი და სტრუქტურული მოდელები. ასევე, მოცემულია მათი კლასიფიკაციისა და სისტემატიზების ცდა ეგზოცენტრულ და

ენდოცენტრულ კომპოზიტებად, ბისეტოსა და სკალიზეს საკლასიფიკაციო სისტემის მიხედვით (Bisetto & Scalise, 2005), რომელიც ეფუძნება კომპონენტებს შორის არსებულ როგორც გრამატიკულ, ისე სემანტიკურ მიმართებებს.

ემპირიული მასალა დალაგებულია რთული ზედსართავი სახელების სტრუქტურული ტიპების მიხედვით.

წოვათუშურში კომპოზიტური ზედსართავი სახელები ძირითადად ორკომპონენტია. საზოგადოდ, ეს დამახასიათებელია წოვათუშურის თხზული სახელისთვის. მხოლოდ რთულ ზმნებსა და მიმდებარეებში გვხვდება სამკომპონენტური კომპოზიტები, ისიც იშვიათად.

თხზული ზედსართავი სახელის კომპონენტებად შეიძლება წარმოდგენილი იყოს არსებითი, ზედსართავი, ნაცვალსახელი და თავად ზედსართავი სახელი. მათი სტრუქტურა კი შეიძლება იყოს შემდეგნაირი:

[N + ADJ]_{ADJ}

[[N+N]+ADJ]_{ADJ}

[[NUM+N]+ADJ]_{ADJ}

[[ADJ+N]+ADJ]_{ADJ}

2.19. კომპოზიტთა სტრუქტურული ტიპები

წოვათუშურ ენაში რთული ზედსართავი სახელების წარმოება შესაძლებელია არსებითი სახელის, ზედსართავი სახელისა და რიცხვითი სახელის შეკავშირებით. ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენს ისეთი ერთეულები, რომელთა კომპონენტებად წარმოდგენილია არსებითი და ზედსართავი სახელები. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში არსებითი სახელი ყოველთვის წინ უძღვის ზედსართავს, მაშინ, როდესაც, საზოგადოდ, წოვათუშური ენისათვის სინქრონიულ დონეზე დამახასიათებელია მსაზღვრელ-საზღვრულის მხოლოდ პრეპოზიციური წყობა, მაგალითად **ღარჭი ვე** „შავი ღვინო“, **აახხე ბეჯ** „გრძელი თმა“, **ვაჯვო კნათ** „დიდი ბიჭი“, **ბახ სტაკ** „მდიდარი კაცი“ და სხვ. მაგრამ თხზვისას სხვა, ატრიბუტული სინტაგმისაგან განსხვავებული წესი მოქმედებს. იმას, თუ რომელ მეტყველების ნაწილს განეკუთვნება რთული სიტყვა წოვათუშურში,

ჩვეულებისამებრ, განსაზღვრავს მის მარჯვნივ წარმოდგენილი კომპონენტი. ამიტომ, თუ ბოლო კომპონენტად წარმოდგენილია არსებითი სახელი, მიიღება არსებითი სახელი, ზედსართავის შემთხვევაში – ზედსართავი. როდესაც მეორე კომპონენტად არსებითი სახელია, მაშინ მის შემდგომ ყოველთვის მოცემულია ესა თუ ის მაზედსართავებელი სუფიქსი. ამგვარად, კომპონენტა და აფიქსთა იერარქიაში, მარჯვნივ წარმოდგენილი ელემენტი ყველაზე მაღლა მდგომია.

როდესაც არსებითი და ვითარებითი ზედსართავი სახელების შეკავშირებით იწარმოება კომპოზიტიური ზედსართავი სახელი, პირველი კომპონენტი ძირითადად, წარმოდგენილია მხოლოებითი რიცხვის აბსოლუტიური ბრუნვის ფორმით. იგი წოვათუშურში არამარკირებული ბრუნვაა. ამ ტიპის ზედსართავების უმრავლესობა სემანტიკურად ეგზოცენტრულია. საინტერესოა, რომ როდესაც ერთ-ერთ კომპონენტად გრამატიკული კლასის ნიშნის მქონე ზედსართავია, მასში ასახულია არა საზღვრულის კლასის ნიშანი, იმ საზღვრულისა, რომელსაც მთლიანად კომპოზიტი მიემართება, არამედ შიდა საზღვრულისა, მისი მეორე კომპონენტისა, მაგალითად:

მოტტ-ბ-ახე-ჩო **სტაკ**
ენა.B-CL.B-გრძელი-OBL კაცი.V
„ენაგრძელი კაცი“

დოკ-დ-აჯკო^ნ **სტაკ**
გული.D-CL.D-დიდი კაცი.V
„დიდგულა კაცი“

ენა **ბ/დ** კლასს განეკუთვნება. კომპოზიტის მეორე წევრში წარმოდგენილია სწორედ მისი კლასის ნიშანი და არა კაცის **ვ/ზ** მარკერი. იმავე წესს ემორჩილება მეორე მაგალითიც. თხზული სიტყვის ბოლო კომპონენტი აღნიშნავს წინამავალი სახელის კლასის ნიშანს და არა საზღვრულისას, კაცისას, როგორც ეს საზოგადოდ ახასიათებს წოვათუშურს. ზედსართავი სახელი ასახავს მისი საზღვრულის კლასის ნიშანს, მაგალითად:

ვ-აჯკო^ნ **სტაკ**
CL.V-დიდი კაცი.V

„დიდი კაცი“

ქვემოთ წარმოდგენილია არსებითი და ზედსართავი სახელების საშუალებით შედგენილი კომპოზიტური ზედსართავი სახელების მაგალითები.

[N + ADJ]_{ADJ}

პირველი კომპონენტი	მეორე კომპონენტი	ნაწარმოები ზედსართავი სახელი	გლოსი	
ბჟარკ „თვალი“	ღირი ^ნ „ბასრი, მჭრელი“	ბჟარკ-ღირი ^ნ	თვალი-მახვილი	„თვალმახვილი“
დომ „სიტყვა“	ჭჟალო ^ნ „მაგარი, ძლიერი“	დამ ^ნ -ჭჟალო ^ნ	სიტყვა.PL-მაგარი	„სიტყვის პატრონი“
ქო	ჭჟალო ^ნ „მაგარი, ძლიერი“	ქო-ჭჟალო ^ნ	ხელი-მაგარი	„ხელმოჭერილი, ძუნწი“
დოკ „გული“	დ-აწი ^ნ „მძიმე“	დოკ-დ-აწი ^ნ	გული-CL.D-მძიმე	„გულზვიადი“
დოკ „გული“	დ-აფხე ^ნ „თბილი“	დოკ-დ-აფხე ^ნ	გული-CL.D-თბილი	„გულთბილი, გულკეთილი“
დე „დღე“	დ-აცუ ^ნ „მოკლე“	დე-დ-აცუ ^ნ	დღე-CL.D-მოკლე	„დღემოკლე“
დოკ „გული“	გეზელ „მშიშარა“	დოკ-გეზელ	გული-მშიშარა	„მშიშარა, მფრთხალი“
მოტტ „ენა“	მოსსი ^ნ „ცუდი“	მოტტ-მოსსი ^ნ	ენა-ცუდი	„ავი, ცუდენიანი“
დოკ „გული“	ღარჭი ^ნ „შავი“	დოკ-ღარჭი ^ნ	გული-შავი	„გულშავი, ავგული“

□უ□ „სახე“	ნეთხი ^ნ „თხელი“	□უ□-ნეთხი ^ნ	სახე-თხელი	„პირხმელი, პირთხელი“
მოტტ „ენა“	დ-ახხე ^ნ „გრძელი“	მოტტ-ბახხე ^ნ	ენა-CL.B- გრძელი	„ენაგრძელი“
მოტტ „ენა“	კატე ^ნ „რბილი“	მოტტ-კატე ^ნ	ენა-რბილი	„ენამოქნილი“
აუყ „წელი“	დ-უტყი ^ნ „წვრილი“	□უყ-□უტყი ^ნ	CL.J-წელი-CL.J- წვრილი	„წელწვრილი, ტანწერწეტა“

საკმაოდ ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ორი არსებითი სახელისა და მაზედსართავებელი სუფიქსის საშუალებით იწარმოება კომპოზიციური ზედსართავი სახელი. ძირითადად გამოიყენება ქონა-ყოლის სუფიქსი **-ლე^ნ/-რე^ნ**, იშვიათად **-ლი^ნ** ან რომელიმე ნაზალიზებული ხმოვანი, რომლებიც ქონა-ყოლის სუფიქსის ფუნქციასაც ასრულებს ხოლმე (იხ. 2.2.). ამგვარ კომპოზიტებში ორივე კომპონენტი ძირითადად მხოლოდითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი, მაგრამ პირველ კომპონენტად ხშირად ირიბი ფუძეა და არა სახელობითი ბრუნვის ფორმა. ირიბი ფუძე შესაძლოა იყოს მორე კომპონენტადაც. ეს სტრუქტურული ტიპიც ეგზოცენტრულია, რადგან თავად ზედსართავი სახელის ბუნებაა ასეთი. ის სხვა წევრს მიემართება, მას განსაზღვრავს, ამიტომ მის წევრებს შორის სემანტიკური ენდოცენტრული დამოკიდებულება არ არსებობს.

[[N+N.OBL] -ლე^ნ/-ლი^ნ/-რე^ნ/-ი^ნ] ADJ

ADJZ					
პირველი კომპონენტი	მეორე კომპონენტი	სუფიქსი	ნაწარმოები სახელი	გლოსი	
დოკ „გული“	ლარკ „ყური“	-ლე ^ნ	დადკ-ლარკ- ა-ლე ^ნ	გული.OBL- ყური-OBL-	„გულისყურიანი, ყურადღებიანი“
დოშ „სიტყვა“	მოტტ „ენა“	-ლი ^ნ	დამ-მატტ- ლი ^ნ	სიტყვა.OBL- გული-OBL- ADJZ	„ენამჭვერი, ენაწყლიანი“

ლარკ „ყური“	ბზარკ „თვალი“	-ლენ	ლარკ-ბზარკ- ა-ლენ	ყური-თვალი- OBL-ADJZ	„ფრთხილი“
ქო „ხელი“	ქოკ „ფეხი“	-ლენ	ქორ-ქოკ- ლინ	ხელი.OBL-ფეხი- ADJZ	„ფეხმარდი, ხელფეხიანი“
ფსტუმნ □ „ცოლი“	ბადერ „შვილი“	-ლენ	ფსტუმ-ბადერ- ა-ლენ	ცოლი-შვილი- OBL-ADJZ	„ცოლშვილიანი“
აოპყ „ნაცარი“	ბოს „ფერი“	-ინ	აპყარ-ბას-ინ	ნაცარი.OBL- ფერი.OBL-ADJZ	„ნაცრისფერი“
მაჭ „ულვაში“	ბაქ „პირი“	-რენ	მაჭ-ბაქ-ა- რენ	ულვაში-პირი- OBL-ADJZ	„წვერულვაშიანი“

როგორც აღინიშნა, წოვათუმურისათვის ბუნებრივია მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიციური წყობა. ყველა ტიპის მსაზღვრელი: ზედსართავი სახელი, რიცხვითი თუ ნაცვალსახელი წინ უძღვის საზღვრულს. სხვა მეტყველების ნაწილებისაგან განსხვავებით, როდესაც რიცხვითი სახელი არსებითთან ერთად აწარმოებს კომპოზიტურ ზედსართავ სახელს, ეს თანმიმდევრობა შენარჩუნებულია. რიცხვითი და არსებითი სახელების მიმდევრობას დაერთვის ქონა-ყოლის სუფიქსი -ლინ. სხვა შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა მიღებული ფორმის ზედსართავ სახელად წარმოქმნა. მას სპეციალური მარკერი და სათანადო მორფოლოგიური სტრუქტურა ესაჭიროება. თავად რიცხვითი სახელი ირიბი ფუძის სახითაა, როგორც მსაზღვრელად გამოყენებული პირველი სამი რიცხვითი სახელი (Holisky & Gagua, 1994, p.188, Hauk & Harris, 2018, p. 20,) .

[[[NUM.OBL]+N]_N -ლინ]_{ADJ}

პირველი	მეორე	სუფიქსი	ნაწარმოები	გლოსი
კომპონენტი	კომპონენტი		სახელი	

ში „ორი“	ფე „მხარე“	-ლი ^ნ	შინ-ფე ^ნ - ლი ^ნ	ორი.OBL- მხარე.OBL- ADJZ	„ორმხრივი“
ში „ორი“	ქოკ „ფეხი“	-ლი ^ნ	შინ-ქოკ- ლი ^ნ	ორი.OBL- ფეხი-ADJZ	„ორფეხა“
ში „ორი“	სტეჟ „შაური“	-ლი ^ნ	შინ-სტეჟ- ლი ^ნ	ორი.OBL- შაური-ADJZ	„ორშაურიანი“
ც ^ნ ა „ერთი“	ბჟარკ „თვალი“	-ლი ^ნ	ც ^ნ ა ^ნ - ბჟარკ-ლი ^ნ	ერთი.OBL- თვალი- ADJZ	„ცალთვალა“
ც ^ნ ა „ერთი“	ცარკ „კბილა“	-ლე ^ნ	ც ^ნ ა ^ნ - ცარკ-ლე ^ნ	ერთი.OBL- კბილი-ADJZ	„კბილა, ტოლი“
ც ^ნ ა „ერთი“	ტოტ „ხელი“	-ლი ^ნ	ც ^ნ ა ^ნ - ტოტ-ლი ^ნ	ერთი.OBL- ხელი-ADJZ	„ცალხელა; ერთტოტიანი“

ქო-ც^ნა-ვე^ნ „მარტოხელა“ არის ერთადერთი მაგალითი, სადაც რიცხვითი სახელი წარმოდგენილია არსებითი სახელის მომდევნო პოზიციისაში, მაგრამ აქ გვაქვს არა N+NUM+ADJZ მიმდევრობა, არამედ მეორე კომპონენტი უკვე არსებული მიმართებითი ზედსართავი სახელია. ც^ნავე^ნ დამოუკიდებლადც გამოიყენება „მარტოხელას“ მნიშვნელობით.

პრეპოზიციურად წარმოდგენილი ზედსართავი სახელი წოვათუშურ კომპოზიტებში სულ რამდენიმეა. ერთ შემთხვევაში ზედსართავ სახელს დაერთვის ირიბი ფუძის მაწარმოებელი -ჩ(□) ელემენტი და ბოლოში მაზედსართავებელი, ქონა-ყოლის -ი^ნ სუფიქსი.

წოვათუშური ზედსართავი სახელების აბსოლუტურ უმრავლესობას, როგორც ვითარებითს, ისე მიმართებითს, დეტერმინაციისთვის სჭირდება სპეციალური ელემენტი, სუფიქსი. საინტერესოა, რომ ზოგიერთი თხზული ზედსართავი სახელი ამ

წესს არღვევს, როდესაც პირველ კომპონენტად ზედსართავია წარმოადგენილი, მეორე კომპონენტად კი – არსებითი სახელი.

[[ADJ+N]_{ADJ}

პირველი კომპონენტი	მეორე კომპონენტი	სუფიქსი	ნაწარმოები სახელი	გლოსი	
დ-აწი ^ნ „მძიმე“	მახ „ფასი“	-ი ^ნ	დ-აწი-ჩ- მახ-ი ^ნ	მძიმე-OBL- ფასი-GEN	„ძვირი, ძვირფასი“
ბაჩ (ქართ. ბაჩა) ტანის საქონელი“	„პატარა „ცხენი“	დო ^ნ –	ბაჩ-დო ^ნ	ბაჩა-ცხენი	„ბაჩა ცხენი“

წოვათუშურისაგან განსხვავებით, ინგუშურში კომპოზიტურ ზედსართავთა ერთადერთი სახეობა არის N+ADJ. უმეტესობა მათგანი ეგზოცენტრულია. თუ პირველი კომპონენტი ირიბ ბრუნვაშია, მაშინ ენდოცენტრულია, თუმცა ეს სტრუქტურული ტიპი ძალიან იშვიათია (Nichols, 2011, გვ. 232).

2.20. მიმღეობა

შესავალი

მოცემულ ქვეთავში განხილულია ზმნური ფუძისაგან ნაწარმოები ზედსართავი სახელის შინაარსის მქონე სიტყვები – მიმღეობები. გაანალიზებულია წოვათუშურ ენაში არსებული სასუბიექტო და საობიექტო მიმღეობების წარმოქმნის საშუალებები და მასთან დაკავშირებული მორფოსინტაქსური პროცესები.

პირველ ნაწილში საუბარია ახლანდელი და მომავალი დროის მიმღეობების წარმოებაზე, რომლებსაც შესაბამისად აქვს სასუბიექტო და საობიექტო შინაარსი. მათ მაწარმოებლად გამოიყო არა -ნ□, არამედ -ინ□ ბოლოსართი. დასმულია საყრდენი ფუძის მწკრივისა და ასპექტის საკითხი. მოცემულია მსჯელობა ამ სისტემაში არსებული ასიმეტრიების შესახებ, ბოლო ქვეთავში კი მიმოხლულია ნამყო დროის საობიექტო მიმღეობები.

2.21. აწყო და მყოფადი დროის მიმღეობები

საზოგადოდ, ცნობილია, რომ მიმღეობას გააჩნია როგორც ზმნის, ისე სახელის დამახასიათებელი თვისებები. წოვათუშური ენის მიმღეობა ზედსართავი სახელის

მსგავსად იბრუნვის – ირიბ ბრუნვებში ისიც დაირთავს საერთონახურიდან მომდინარე -ჩ² ელემენტს. გრამატიკული კლასის მქონე ზმნებისაგან ნაწარმოებ მიმღობებს აქვს კლასში შეთანხმების უნარიც. მაშასადამე, სახელური კატეგორიებიდან მას ახასიათებს ბრუნება, ზმნურიდან კი – გრამატიკული გრამატიკული კლასი და ასპექტი.

წოვათუშური ენის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის თანახმად, (Дешериев, 1953, Holisky & Gagua, 1994, ჭრელაშვილი, 2002, Hauk & Harris, 2018, Wichers Schreur, 2024) წოვათუშურში მიმღობათა ორი მორფოლოგიური ფორმა და შესაბამისად, ორი მაწარმოებელი სუფიქსია. ავტორთა მითითებით, ნამყო დროის მიმღობა აორისტის მწკრივზე -ნ² სუფიქსის დართვით იწარმოება, -ნ² სუფიქსი კი აწმყო და მყოფადი დროის ფორმებს დაერთვის (რომლებიც ერთმანეთისაგან ფორმოზრივად ხშირად არაა გამიჯნული) და აწარმოებს შესაბამის მიმღობებს. კ. ჭრელაშვილი ყველა სახის მიმღობისთვის მხოლოდ ერთ სუფიქსს, -ნი-ს გამოყოფს, რომელიც დაერთვის შესაბამისი დროის ფუძეს და აწარმოებს წარსული, ახლანდელი და მომავალი დროის ფორმებს (ჭრელაშვილი, 2002). ამგვარად, ავტორის ხედვით, მათ შორის განსხვავება მხოლოდ საყრდენ ფუძეებშია, მაგრამ როგორც ემპირიულ მასალაზე დაკვირვებით ჩანს, წოვათუშურის მიმღობათა ფორმები და მაწარმოებელი სუფიქსები უფრო მრავალფეროვანია.

აწმყო და მყოფადი დროის მიმღობების მაწარმოებლად ავტორთა უმრავლესობა ასახელებს -ნ² სუფიქსს (იხ. Дешериев, 1953, Holisky & Gagua, 1994, Hauk & Harris, 2018, Wichers Schreur, 2024). ემპირიული მასალა გვიჩვენებს, რომ გამოსაყოფია არა -ნ² ან -ინ, არამედ -ინ² სუფიქსი. აწმყოს -ე და -ო სუფიქსებზე -ინ² ბოლოსართის დართვას შეუძლია მოგვცეს დიფთონგი, სხვა შემთხვევაში საამისო ფონეტიკური პირობები არ იარსებებდა. ამას მიუთითებს კ. ჭრელაშვილიც თავის მონოგრაფიაში და ამბობს, რომ მორფემათა მიჯნაზე ხმოვანზე დაწყებული ბოლოსართის დართვის შედეგად წარმოიშობა დიფთონგი, მაგრამ იგი არ საუბრობს ბოლოკიდური მოკლე ხმოვნის არსებობაზე და ამგვარად, იძლევა -ინ ბოლოსართს (ჭრელაშვილი, 2002, გვ. 269).

-ინ□ სუფიქსი აწარმოებს როგორც სასუბიექტო, ანუ მოქმედებით (აწმყო), ისე საობიექტო მიმღობებს (მყოფადი). ერთი და იგივე ფორმა (გარდამავალი და ორპირიანი გარდაუვალი ზმნების შემთხვევაში), კონტექსტის მიხედვით, შეიძლება ნიშნავდეს „გასაკეთებელსაც“ და „გამკეთებელსაც“, რადგან აწმყოსა და მყოფადის მწკრივთა და მიმღობათა მაწარმოებელი ბოლოსართები ერთი და იგივეა. უასპექტო ზმნების შემთხვევაში იგივეობრივია მათი ფუძეც. ამგვარად, ნამყო და მყოფადი დროის მიმღობები ძირითადად საობიექტოს წარმოადგენს, ახლანდელი კი – სასუბიექტოს.

საინტერესო სურათს გვიჩვენებს აწმყო დროის მიმღობების საყრდენი ფუძის საკითხი. როგორც ლიტერატურაში მიუთითებენ, აწმყო და მყოფადი დროის მიმღობები წოვათუშურში იწარმოება შესაბამისი მწკრივის ფორმებზე -ნ□ სუფიქსის დართვით. მაშასადამე, წესის მიხედვით, ასპექტის მქონე ზმნების შემთხვევაში, უსრული ასპექტის ფორმა უნდა იყოს გამოყენებული აწმყო დროში, ვინაიდან აწმყოს მწკრივის ფორმები ეყრდნობა უსრული ასპექტის ფუძეებს. მყოფადსა და აორისტში ორივე მათგანი იხმარება, მოქმედების გზისობიდან და ხანგრძლივობიდან გამომდინარე (გაგუა, 1962, Holisky & Gagua, 1994, Hauk & Harris, 2018, Wichers-Schreur, 2024). წოვათუშურში ასპექტი სხვადასხვა საშუალებით განირჩევა – ფუძის აბლაუტით, ზმნისწინით ან კლასის ნიშნით და სხვ., თუმცა ყველა ზმნა არ განასხვავებს სრულ და უსრულ ასპექტს და ერთი და იმავე ფუძეზე შესაბამისი აფიქსების დართვით აწარმოებს განსხვავებული დროის ფორმებს. ამ შემთხვევაში აწმყოსა და მყოფადის მწკრივის ფორმები ერთმანეთისგან გარჩეული არ არის, რადგან, საზოგადოდ, მათ ერთი და იგივე სუფიქსები აწარმოებს და განსხვავება მხოლოდ ასპექტის მქონე ფუძეებში ვლინდება. დაახლოებით 160 წოვათუშური ზმნა განარჩევს სრული და უსრული ასპექტის ფორმებს (Wichers Schreur, 2024, p. 118).

როდესაც უასპექტო ზმნებისაგან იწარმოება ამა თუ იმ დროის მიმღობა, მაშინ სისტემა მწყობრია. ფუძე ერთია, სუფიქსები – განსხვავებული: -ნ□ წარსული დროისათვის, -ინ□ ახლანდელისა და მყოფადისთვის. სრული სურათის შესაქმნელად აქვე მომყავს წარსული დროის მიმღობათა მაგალითებიც:

აბ-არ „კერვა“

აბ-უ-ან □ „1. შესაკერი, 2. მკერავი“ ← აბ □+ინ □, შდრ. აბ- □ „(შე)კერავს ის მას“.


აბ-ი-ნ □ „შეკერილი“ ← აბ-ინ-ნ □, შდრ. აბ-ი^ნ „შეკერა მან ის“.

ათ-არ „ნაყვა“


ათ-უ-ან □ „1. დასანაყი, 2. მნაყველი“ ← ათ- □+ინ □, შდრ. ათ- □ „(და)ნაყავს ის მას“

ათ-ი-ნ □ „დანაყილი“ ← ათ-ინ-ნ □, შდრ. ათ-ი^ნ „დანაყა მან ის“.

ასპექტის მქონე ზმნები კი განსხვავებულ ვითარებას აჩვენებს. უმეტესად სრული ასპექტის ფორმები გამოიყენება ყველა დროის მიმდებარისათვის, მათ შორის აწმყოს მიმდებარისთვის, რაც უჩვეულოა. ფლექსიურ პარადიგმაში, ჩვეულებისამებრ, ახლანდელ დროში უსრული ასპექტის ფუძე გამოიყენება, მაგალითად:




შდრ. აყ- □ „ყოფს“. ჩანს, რომ აქ აწმყო დროის ფორმა, მიმდებარისაგან განსხვავებით, უსრული ასპექტის ფუძეს იყენებს.




სრული

უსრული




დასახელებულ მაგალითებში აწმყო მწკრივი ორივე შემთხვევაში უსრული ასპექტის ფორმას იყენებს, მაგრამ, როგორც ზემოთ ვხედავთ, ახლანდელი დროის მიმღობა მაინც სრული ასპექტის ფუძისაგან იწარმოება.

ძალიან იშვიათად, მაგრამ არის საპირისპირო შემთხვევებიც, უსრული ასპექტის ფორმა გამოიყენება საყრდენად ყველა დროის მიმღობისათვის:



ზოგჯერ კი, აწმყო და მყოფადი დროის მიმღობა უსრული ასპექტის ფუძეს ეყრდნობა, წარსულისა კი სრულს:



ნებისმიერ შემთხვევაში, აწმყო და მომავალი დროის მიმღობათა მიერ ერთი და იმავე ფუძის გამოყენება უჩვეულოა. როგორც ითქვა, უასპექტო ზმნებთან აწმყო და მომავალი დროის ფორმები ერთმანეთისაგან გარჩეული არ არის. ასპექტიან ზმნებში ისინი განსხვავებულია. ცხადია, ნაზმნარ სახელებში დროის გაგება პირობითია, ა. შანიძის ტერმინოლოგიით, აქ შესაძლოა ვილაპარაკოთ მოქმედების შემდგომობასა და უწინარესობაზე (შანიძე, 1973), მაგრამ ამ პირობით გამიჯვნაშიც იგულისხმება გარკვეული დრო. მაგალითად, „გასაყიდი“ თავისი არსით საუბრის შემდგომ,

მაშასადამე, მომავალ მოქმედებას გულისხმობს, რაც წოვათუშურში, წესით, სრული ასპექტის ფუძით უნდა იყოს გამოხატული. „გამყიდველი“ აწმყო დროსთან არის უფრო ახლოს, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა გამოხატავდეს როგორც მომენტობრივ, ისე ზოგად ფაქტს. თუ ის აწმყო დროის ფუძეს ეყრდნობა, მაშინ უსრული ასპექტის ფუძეს უნდა იყენებდეს, ემპირიული მასალა კი საპირისპიროს გვიჩვენებს, როგორც ვნახეთ.

არის იშვიათი შემთხვევები, როდესაც მყოფადი დროის მიმღობა ორივე ფორმას ეყრდნობა, როგორც სრულს, ისე უსრულს. იგი ქმნის მხოლოდ ასპექტურ და არა დროით სხვაობას:

უსრული

სრული

თეგ-დ-არ „კეთება“

თაგ-დ-არ „გაკეთება“

თეგ-დ-უ-ინ „1. საკეთებელი 2. გამკეთებელი“

თაგ-დ-უ-ინ „1. გასაკეთებელი

2. გამკეთებელი“

-ინ სუფიქსით გარდამავალი ზმნებისაგან ნაწარმოები მიმღობები აღნიშნავს როგორც სუბიექტს, ისე ობიექტს, მნიშვნელობების გამიჯვნა კი კონტექსტის შესაბამისად ხდება.

მასდარი	მიმღობა	
აბ-არ „კერვა“	აბ-უ-ინ	„1. შესაკერი 2. მკერავი“
ყეგ-არ „მტვრევა“	ყეგ-უ-ინ	„1. სამტვრევი 2. მმტვრეველი“
ათ-არ „[და]ნაყვა“	ათ-უ-ინ	„1. დასანაყავი 2. მნაყველი“
აკ-დ-არ „ანთება“	აკ-დ-უ-ინ	„1. ასანთები, 2. ამნთები“
ა-არ „თქმა“	ა-უ-ინ	„1. სათქმელი, 2. მთქმელი“
დეყ-არ „გაყოფა“	დეყ-უ-ინ	„1. გამყოფი 2. გასყოფი“

თეტ-არ „ჭრა“	თეტ-უ-ან□	„1. [და]საჭრელი 2. მჭრელი“
თეფხ-არ „ცემა, გალახვა“	თეფხ-უ-□ნ□	„1.საცემი,გასალახავი; 2. მცემელი ან დამკვრელი“

საინტერესოა, რომ გარდაუვალი ზმნებისგან ნაწარმოები მიმღეობები შესაძლოა იყოს სასუბიექტოც და საობიექტოც, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი და არა ორივე ერთდროულად, როგორც ეს გარდამავალი ზმნების შემთხვევაში ხდება. ერთპირიანის შემთხვევაში, ცხადია, მხოლოდ სუბიექტური მიმღეობა იქნება, ორპირიანის შემთხვევაში კი – მხოლოდ ობიექტური.

მასდარი	მიმღეობა	
დ-ეწ-არ	დ-ეწ-ინ□	„საყვარელი, სანდომი, საჭირო“
დაკლევ-არ „ფიქრი (ფიქრობს)“	დაკლევ-ინ□	„დაფიქრებული, გონიერი“
*ყახეთ-არ „შეცოდება (ეცოდება)“	ყახეთ-ლა-□ნ□	„შესაცოდი, საცოდავი“
*ჯეთ-არ „მიხვედრა (მიხვდება)“	□ეთ-ლა-□ნ□	„მისახვედრი, გასაგები“
მატ-დ-ალ-არ „დამწიფება (მწიფდება)“	მატ-ლა-□ნ□	„ის, რაც მწიფდება, დასამწიფებელი“
ქასტ-დ-ალ-არ „აჩქარება (ჩქარობს)“	ქასტ-ლა-□ნ□	„მოჩქარე“

აკ-არ „ნთება აკ-უ-ან□ „ანთებული“
(ანთია)“

დ-აბწ-არ დ-აბწ-ინ□ „ნაცნობი“
„გამოცნობა
(გამოიცნობს)“

ძალზე საინტერესო მორფოლოგიური სტრუქტურა აქვს გარდაუვალი ზმნისაგან ნაწარმოებ საობიექტო მიმღებებს. მოქმედების ობიექტზე ორიენტირების გამოსახატად ფუძის შემდეგ, მიმღებობის მაწარმოებელი ბოლოსართის წინ ჩნდება -ლა სუფიქსი. განსხვავებით გარდამავალი ზმნებისაგან, სადაც ერთი და იგივე ფორმა, დამატებითი აფიქსაციის გარეშე, შეიძლება იყოს საობიექტოც და სასუბიექტოც.

-ლა სუფიქსიანი წარმოება ფორმობრივად ემთხვევა გარდაუვალ თხზულ ზმნათა მიმღებებს, სადაც დაკარგულია კლასის ნიშანი და მეშველი ზმნის ფუძისა და აწმყოს მარკერის საშუალებით იქმნება რთული მორფემა -ლა. ისინი სინქრონიულ დონეზე სხვადასხვა ოდენობები უნდა იყოს, რადგან ჩვენთვის საინტერესო მიმღებური ფორმების საყრდენი ზმნური ფუძეები მას არ შეიცავს. ისინი მარტივი ზმნური ფუძეებისაგან არის ნაწარმოები. ასეთია ზემოთ მოცემული ვარსკვლავიანი მაგალითები: კეთ-ლა-ან□ „მისახვედრი, გასაგები“ ნაწარმოებია ორპირიანი გარდაუვალი ზმნისაგან კეთ-არ „ცოდნა (იცის); მიხვედრა (მიხვდება)“. ამ შემთხვევაში, როგორც წესი, მიმღებობას საობიექტო შინაარსიც აქვს, მაგრამ მარტივი ზმნური ფუძისაგან ნაწარმოები კეთ-ინ□ „მცოდნე, მიმხვედრი“ სასუბიექტოა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ კეთარ ზმნას არ მოეპოვება დ-ალ-არ მეშველი ზმნით ნაწარმოები ცალი, მიმღებობაში მაინც გამოიყენება -ლა სუფიქსი. ასეთივეა, დ-ეწ-ლა-□ნ□ „სანდომიანი, საყვარელი“ ← დ-ეწ-არ „სიყვარული, ნდომა“; თემ-ლა-□ნ□ „სარწმუნო, დასაჯერებელი“ ← თემ-არ „დაჯერება (სჯერა, უჯერებს)“ და სხვ. ეს სუფიქსები რომ განსხვავებული ოდენობებია, სხვა ფაქტითაც დასტურდება: ზემოთ დასახელებული მაგალითები ორპირიანია და მათგან ნაწარმოები მიმღებობები საობიექტოა, ამიტომ -ლა (მეშველი ზმნისეული) სუფიქსის დართვა, რომელიც ზმნაში პირების შემცირებას იწვევს, ანუ ორპირიანი ზმნა ერთპირიანი ხდება, არალოგიკური ჩანს. ამ მხრივ საინტერესო მაგალითია ქება-ლა-ან□ „მკვებარა“. ზმნა ქებად-დ-არ „ქება

(აქებს)“ ორპირიანი და გარდამავალია, მისგან ნაწარმოებ მიმღეობას აქვს როგორც საობიექტო, ისე სასუბიექტო მნიშვნელობა: **ქებად-დ-უ**□□ „1. საქები 2. მაქებარი“, მაგრამ არ არსებობს მისი შესატყვისი გარდაუვალი ზმნა **ქებად-დ-ალ-არ**. ჩანს, რომ სუფიქს -**ლა**-ს ერთგვარად გაფართოებული აქვს ფუნქციონირების არეალი. ის დაერთვის ზმნურ ფუძეებს იმისთვისაც, რომ შექმნას სათანადო სემანტიკური და გრამატიკული გარემო სასუბიექტო მიმღეობის, უკუქცევითი შინაარსის საწარმოებლად. სხვა შემთხვევაში **ქებად-დ-არ** ზმნისაგან შეუძლებელი იქნებოდა ამ შინაარსის გადმოცემა.

კიდევ უფრო უცნაურია მისი გამოყენება გარდამავალი ზმნისაგან ნაწარმოებ საობიექტო მიმღეობაში: **ახ-ლა-**□□ „მოსახნავი“ ← **ახ-არ** „[მო]ხვნა“. პარალელური ფორმაა **ახ-უ-**□□ „1. [მო]სახვნელი, სახნავი 2. მხვნელი“. ეს მაგალითიც ადასტურებს ზემოთ ნათქვამს: -**ლა** სუფიქსი მიმღეობში გახაზავს საობიექტო შინაარსსა და ვნებითობას.

2.22. ნამყო დროის მიმღეობა

ავტორთა უმრავლესობა წოვათუშური ენის წარსული დროის მიმღეობის მაწარმოებლად -**ნ**□ ბოლოსართს გამოჰყოფს (Holisky & Gagua, 1984, p.183, Hauk & Harris, 2018, p. 29, Wichers Schreur, 2024, p.189). კ. ჭრელაშვილის თვალსაზრისი ამ შემთხვევაშიც განსხვავებულია. იგი წარსული დროის მიმღეობის მაწარმოებლადაც, აწმყოსა და მყოფადის მსგავსად, -**ინ** სუფიქსს ასახელებს. ამ მიმღეობათა შორის განმასხვავებლად იგი არა მაწარმოებლებს, არამედ საწარმოებელ ფუძეებს მიიჩნევს.

-**ნ**□ სუფიქსი დაერთვის როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი ზმნების აორისტის მწკრივის ფუძეს. -**ნ**□ სუფიქსის აორისტის ფუძეზე დართვის შედეგად, ორი **ნ** მოიყრის თავს და ერთ-ერთი მათგანი იკარგება: **ენ+ნ**□ → **ენ**□, **ინ-ნ**□→**ინ**□. მაგალითად:

აბ-ინ „შეკერა მან ის“, **აბ-ინ-ნ**□ → **აბ-ინ**□ „შეკერილი“

დ-ეყ-ინ „გაყო მან ის“, **დ-ეყ-ინ-ნ**□ → **დ-ეყ-ინ**□ „გაყოფილი“

თიტ-ენ „გაჭრა მან ის“, **თიტ-ენ-ნ**□ → **თიტ-ენ**□ „გაჭრილი“ და სხვ.

-ნ უმეტესწილად საობიექტო მიმღეობას აწარმოებს, იშვიათად, გამონაკლისის სახით, ორივეს – საობიექტოსა და სასუბიექტოს ან მხოლოდ სასუბიექტოს, მაგალითად:

თოლ-დ-ი-ე-ნ

ჯობნა-CL-TR-PTCP

„1. გამარჯვებული, ვინც აჯობა, ვინც მოერია, 2. დამარცხებული, ვისაც აჯობეს, ვინც დაამარცხეს“ (შდრ. თოლ-დ-არ „ჯობნა, დაძლევა“).

ბჰარკ-ბ-ი-ე-ნ

თვალი-CL.B-TR-PTCP

„1. გათვალული, თვალნაკრავი, 2. გამთვალავი“, (შდრ. ბჰარკ-ბ-არ „გათვალვა“).

დ-ჰევ-ი-ნ

CL-მოკვლა-PTCP

„1. მოკლული, 2. მკვლელი“, პარალელურად აწმყოს მიმღეობაც იხმარება სასუბიექტო მიმღეობის მნიშვნელობით: დ-ჰევ-ი-ნ „1. მკვლელი 2. დასაკლავი“.

დ-არ „კეთება“ მეშველი ზმნით ნაწარმოებ რთულ გარდამავალ ზმნებში აორისტის ფუძეში კლასის ნიშნის შემდეგ ჩნდება ფუძისეული ი ხმოვანიც, რომელსაც მოსდევს მწკრივის სუფიქსი.

გარდამავალი ზმნებისგან ნაწარმოები მიმღეობებია:

მასდარი	საყრდენი ფუძე	ფუძე	ნაწარმოები ფორმა
აბ-არ „კერვა“	აბ-ი ^ნ	აბ-ი-ნ	„შეკერილი“
მა-არ „შესმა (შესვამს)“	მა-ე-ი	მა-ე-ნ	„დალეული, ნასვამი, მთვრალი“
ათ-არ „[და]ნაყვა“	ათ-ი ^ნ	ათ-ი-ნ	„დანაყილი“
არლ-არ „ლეწვა“	არლ-ი ^ნ	არლ-ი-ნ	„გალეწილი“

დ-ეყ-არ	„გაყოფა	დ-ეყ-ი ^ნ	დ-ეყ-ი-ნ□	„გაყოფილი“
(ყოფს)“				
თეტ-არ	„ჭრა	თეტ-ი ^ნ	თეტ-ი-ნ□	„1.დაჭრილი, ჭრილობიანი 2. მოჭრილი, დაჭრილი“
(ჭრის)“				
თეფხ-არ	„ცემა,	თეფხ-ი ^ნ	თეფხ-ი-ნ□	„ნაცემი, გალახული“
დარტყმა“				
დ-ილ-დ-არ		დ-ილ-დ-ი□-ე ^ნ	დ-ილ-დ-ი□-ე-ნ□	„დაბანილი“
„გაბანება, ([გა]აბანებს) დაბანა“				


გარდაუვალი ზმნებისგან ნაწარმოები ნამყო დროის მიმღეობებია:

მასდარი	საყრდენი ფუძე	მიმღეობა		
ა□-დ-ალ-არ	„თქმა	ა□-დ-ალ-ი ^ნ	ა□-დ-ადლ-ნ□, ა□- დ-ალ-ინ□	„ნათქვამი“
(ითქმება)“				
ყეგ-დ-ალ-არ	„ტყდომა	ყეგ-დ-ალ-ი ^ნ	ყეგ-დ-ალ-ინ□, ყეგ-დ-ა□ლ-ნ□	„დამტვრეული, დატეხილი“
(ტყდება), მტვრევა“				
დ-ითთ-დ-ალ-არ	„ბანაობა“	დ-ითთ-დ-ალ-ი ^ნ	დ-ითთ-დ-ალ- ინ□	„დაბანილი, გაბანილი“
„დალლა“				
მალ-დ-ალ-არ	„დამწიფება“	მალ-დ-ალ-ი ^ნ	მალ-დ-ა□ლ-ნ□	„დადლილი“
„დამწიფება“				
მატ-დ-ალ-არ	„დამწიფება“	მატ-დ-ალ-ი ^ნ	მატ-დ-ალ-ინ□, მადტ-დ-ა□ლ-ნ□	„დამწიფებული“
„დამწიფება“				

დ-ო-არ „შეძრომა (შეძვრება), გაძრომა“	დ-ო-ენ ^ნ	დ-ო-ენ□	„1. შემძვრალი 2. ჩახედული“
ხალ-არ „გაქრობა (გაქრება), ჩაქრობა“	ხალ-ენ ^ნ	ხალ-ენ□	„გამქრალი“
ახ-დ-ალ-არ „მოტყუება (მოტყუვდება)“	ახ-დ-ალ-ინ ^ნ	ახ-დ-აილ-ნ□, ახ-დ- ალ-ინ□	„მოტყუებული“

წარსული დროის მიმღობები წინა ვითარების სახელების სემანტიკასაც გამოხატავენ, მაგალითად, დახინ□ „ნაცხოვრები“, თ□აქდახნ□ „ნაკვალევი“, ლასინ□ „განაცერი“, ლაწარდეინ□ „ავადმყოფობამოხდილი, ნაავადმყოფარი“, ლა□თინ□ „ნადგომი, ნაბინარი“ და სხვ.

როგორც ზემოთ დასახელებული მაგალითებიდან ჩანს, ნამყო დროის მიმღობა ძირითადად საობიექტო შინაარსს ატარებს, ზმნის გარდამავლობა-გარდაუვლობის მიუხედავად, მაგრამ თუ გარდამავალ ზმნას მოეპოვება გარდაუვალი ცალი, მაშინ პარალელური წარმოება არაიშვიათია, მაგალითად:



2.23. კლასში შეთანხმება კომპოზიტურ მიმღობებში

მიმღობას, როგორც ნაზმნარ სახელს, ზმნური მახასიათებლებიდან, უპირველეს ყოვლისა, გრამატიკული კლასი მოეპოვება. ცხადია, მიმღობები იმეორებს იმ ზმნების ბუნებას, რომლებისგანაც არის ნაწარმოები. წოვათუშურის კომპოზიტურ ზმნებში (რომელთა რიცხვიც უფრო მეტია, ვიდრე მარტივი ზმნებისა) არსებობს კლასში შეთანხმების ორგვარი ნიმუში. პირველ შემთხვევაში რთული ზმნის სახელური ნაწილი ზმნურის პირდაპირ დამატებადაა გააზრებული და ასახავს მისი

კლასის ნიშანს, ამდენად, ის ფიქსირებული, გაქვავებული და უცვლელია. ასევე იქცევა მიმღეობები.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბევრი ისეთი მიმღეობის ფარდი, რომელშიც შიდა შეთანხმება გვაქვს კომპოზიტის კომპონენტებს შორის, არის ზმნური შესიტყვება და არა რთული ზმნა. ისინი კომპოზიტად მიმღეობის ფორმაში იქცა და წარმოადგენს ერთიან პროსოდოიულ და გრამატიკულ სიტყვებს. თუ პრედიკატულ სინტაგმაში მათ შორის შესაძლოა გაჩნდეს ნაწილაკი ანდა სახელური ნაწილი შეიცვალოს სინონიმური ერთეულით, მიმღეობაში ისინი მყარად ფიქსირებულია, კლასის ნიშნები კი – გაქვავებული. ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითებში ხელოვნურადაა აღდგენილი შესაძლო ზმნური ფორმები. სხვა სახის კომპოზიტურ მიმღეობებზე ან მათ შორის კლასში შეთანხმების საკითხზე აქ არ შევჩერდები, რადგან ისინი ზუსტად მიჰყვება საყრდენი ზმნების სტრუქტურას, რომლებიც განხილულია ნაშრომის მეოთხე თავში.

სავარაუდო ზმნური კომპოზიტი	მიმღეობა	
*ბაქ -ბ- ელ -არ პირი.B-CL.B-გაცინება-MSD	ბაქ-ბ-ელ-ინ□	„პირმცინარე, კარგი გუნებისა“
*ბაქ- ბ- ეხვ -არ პირი.B-CL.B-შეკვრა-MSD	ბაქ-ბ-ეხვ-ი-ნ□	„კუმტი (პირშეკრული), ჩუმი“
*გოგ -ბ- ახ -არ გარშემო-CL.B-წასვლა-MSD	გოგ-ბ-ახ-უ- □ნ□	„მეველე (გარს მსვლელი)“
*თ□აქ -დ- ახ -არ კვალი.D-CL.D-წასვლა-MSD	თ□აქ-დ-ახ-ნ□	„ნაკვალევი“

ეს ფაქტი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ თავისი სემანტიკით ეს კომპოზიტური მიმღეობები ძირითადად ეგზოცენტრულია, თუმცა გრამატიკულ სტრუქტურაში არ ასახავს იმ წევრის გრამატიკულ კლასს, რომელსაც მიემართება. მათ თავიანთი ავტონომიური სინტაქსური სტრუქტურა აქვს.

ქვემოთ მოცემულია ზმნური შესიტყვებიდან მომდინარე მიმღეობების მაგალითები, რომლებშიც გაქვავებულია კლასის ნიშანი:

მა□ჯ-მ-ათთ-უ-□ნ□

მაჭ-□-ა□-ე-ნ□

პური. J-CL. J-ცხოზა-PRS-PTCP „პურის მცხოზელი, ხაზაზი“	ულვაში. J-CL. J-ამოსვლა-AOR-PTCP „ულვაშამოსული, მოწიფული“
ქორთ-ბ-არწ-ი-ნ □ თავი B-CL. B-შიშველი-AOR-PTCP „1. მელოტი 2. თავშიშველი“	ყა-ბ-უ- □ნ □ ცოდვა. B-CL. B-PRS-PTCP „ცოდვის ჩამდენი“
ბაქ-ბ-ელ-ი-ნ □ პირი. B-CL. B-სიცილი-PRS-PTCP „პირმცინარე, კარგი გუნებისა“	ბაქ-ბ-ეხკ-ი-ნ □ პირი. B-CL. B-შეკვრა-AOR-PTCP „კუმტი (პირშეკრული), ჩუმი“

2.24. ნაცვალსახელთა წარმოება

ენათა უმეტესობის მსგავსად, ნაცვალსახელები წოვათუშურშიც სიტყვათა დახურულ კლასს წარმოადგენს. გამოიყოფა პირის, ჩვენებითი, საურთიერთო, უკუქცევითი, კუთვნილებითი, კითხვით-კუთვნილებითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი, უარყოფითი და მიმართებითი ნაცვალსახელები. მათი უმრავლესობა არამოტივირებული ფორმებია. სხვადასხვა დერივაციული საშუალებით იწარმოება კითხვითი, განუსაზღვრელობითი, უარყოფითი, მიმართებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელები.

2.25. კუთვნილებითი ნაცვალსახელები

წოვათუშური ენის კუთვნილებითი ნაცვალსახელები პირის ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვის ნომინალიზებული ფორმებია. შესაბამისად, ამ ჯგუფის ნაცვალსახელთა აბსოლუტიური ბრუნვის ფორმები პირის ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვის იდენტურია.

მესამე პირის ნაცვალსახელებად გამოიყენება ჩვენებითი ნაცვალსახელები, რომლებშიც გარჩეულია სამი ფორმა: მოლაპარაკე პირთან ახლოს მყოფი, საუბრის ადრესატთან ახლოს მყოფი და შორს, მესამე პირთან მყოფი.

მრავლობითი რიცხვის პირველ პირში წარმოდგენილია როგორც ინკლუზიური ვად, ისე ექსკლუზიური თხო ფორმა.

ირიბ ბრუნვებში ზედსართავ სახელთა მსგავსად, კუთვნილებით ნაცვალსახელთა ფუძეც -ჩ ელემენტით ფორმდება.

ცხრილი 4. კუთვნილებით ნაცვალსახელთა წარმოება

მხოლოდითი რიცხვი

მრავლობითი რიცხვი

პირ. ნაცვ. GEN კუთვნი. ნაცვ.

პირ. ნაცვ. GEN კუთვნი. ნაცვ.

I	სე ^ნ	სე ^ნ
II	□ე ^ნ	□ე ^ნ
III	ოჯუდ ^ნ PROX იცხუდ ^ნ MED ეკუდ ^ნ DIST	ოჯუდ ^ნ იცხუდ ^ნ ეკუდ ^ნ

I	თხე ^ნ (ექსკ.) ვად ^ნ (ინკლ.)	თხე ^ნ (ექსკ.) ვად ^ნ (ინკლ.)
II	შუ ^ნ	შუ ^ნ
III	ოჯრი ^ნ	ოჯრი ^ნ

კუთვნილებითი ნაცვალსახელების მსაზღვრელად გამოყენების შემთხვევაში მათი აბსოლუტიური ბრუნვის ფორმა იგივეა, მაგრამ ირიბ ბრუნვებში ნაზალიზაცია იკარგება: სე, □ე, თხე და ა.შ.

2.26. კითხვითი ნაცვალსახელები და სხვა კითხვითი სიტყვები

წოვათუშური ენის კითხვითი სიტყვები ხშირად იმ მეტყველების ნაწილთა საწარმოებელი აფიქსების საშუალებით მიიღება, რომლებსაც იგი მიემართება. ერთ-ერთი მათგანია მო-ლუ^ნ „როგორი, რანაირი?“. -ლუ^ნ სუფიქსი სხვადასხვა მეტყველების ნაწილისაგან აწარმოებს ზედსართავ სახელებს, რომლებიც პასუხობს კითხვაზე „როდინდელი?“ (იხ. 2.16). საინტერესოა, რომ კითხვით ნაცვალსახელში განზოგადებულია მისი მნიშვნელობა და იგი აწარმოებს ზედსართავ სახელთა ძირითად კითხვით ფორმას. იმავე ფუძეზე -□ სუფიქსის დართვით მიიღება

კითხვითი ზმნისართი **მო-** „როგორ, რანაირად, რაგვარად?“. აღნიშნული სუფიქსი დროისა და ადგილის ზმნისართებს აწარმოებს, მაგრამ კითხვით სიტყვასთან მას ერთგვარად დავიწროებული აქვს მნიშვნელობა და ვითარების ზმნისართის შინაარსს ატარებს (იხ. 3.4).

საინტერესოა, რომ კითხვით ზმნისართს, **მაც-აწ** „როდის“, ზედსართავი სახელის მსგავსი მორფოლოგიური სტრუქტურა აქვს, ბოლოვდება ნაზალიზებულ ხმოვანზე. სინქრონიულ დონეზე **მაც** ძირი დამოუკიდებლად არ გამოიყენება. იმავე სიტყვის თანდებულის ბრუნვის ფორმას წარმოადგენს **მაც-ლომციწ** „როდემდე“. აღნიშნული ფუძე საყრდენად სხვა შემთხვევებშიც გამოიყენება. მას ჩამოცილებული აქვს ნაზალიზებული ხმოვანი და დაერთვის სათანადო სადერივაციო სუფიქსები. მაგალითად: **მაც-ლუწ** „როდინდელი“; **მაც-მ-ე** „როდესაც“; **მაც-ახ** „ოდესღაც“ და სხვ.

მეწ „ვინ“ და **ვუხ** „რა“ ნაცვალსახელებს ირიბ ბრუნვებში სუპლექტური ფუძეები აქვს. მათი ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს წარმოადგენს კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები: **მეწ** „ვისი“, **სტინ** „რისი“.

მიჩ „სად, საით“ ფუძეზე **-რეწ** „-დან“ თანდებულის დართვით იწარმოება **მიჩ-რეწ** „საიდან“ კითხვითი ზმნისართი.

2.27. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები და მსგავსი წარმოების სხვა ფორმები

-ახ ბოლოსართით იწარმოება განუსაზღვრელობითი შინაარსის კითხვითი სიტყვები – ნაცვალსახელები და ზმნისართები. მათ საყრდენ ფუძედ გამოიყენება შესაბამისი კითხვითი ფორმები. ვინ ჯგუფის სახელების განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელია **მენ-ახ** „ვიღაც“. იგი **მეწ** „ვინ“ ნაცვალსახელის ფუძეზე **-ახ** ბოლოსართის დართვით მიიღება. ირიბ ბრუნვებში ჩნდება შესაბამისი სუპლექტური ფუძე **მან-ახ**. რა ჯგუფის განუსაზღვრელი ნაცვალსახელი **ვუნ-ახ** „რადაც“ შესაძლოა ვინ კლასის შესაბამისი ნაცვალსახელის ანალოგიით იყოს ნაწარმოები, ვინაიდან მის საყრდენ ფუძეში **წ** თანხმოვანი არ ჩანს, შდრ. **ვუხ** „რა“. ირიბ ბრუნვებში ამ შემთხვევაშიც ჩნდება სუპლექტური ფუძე **სტენ-ახ**.

ზემოთ აღწერილ წესს ემორჩილება შემდეგი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების წარმოება: **მაცახ** „ოდესღაც“, შდრ. **მაცა^ნ** „როდის“; **მო^აახ** „როგორღაც“, შდრ. **მო^ა** „როგორ“; **მიჩახ** „სადღაც“, შდრ. **მიჩ** „სად“ და სხვ.

2.28. უარყოფითი ნაცვალსახელები და მსგავსი წარმოების ფორმები

უარყოფითი ნაცვალსახელები იწარმოება კითხვითი ნაცვალსახელის წინ უარყოფითი **ცო** „არ“ ნაწილაკის დართვით: **ცომენა** „არავინ“ (ირიბ ბრუნვებში ენაცვლება **ცო^აან-** ფუძე), შდრ. **მე^ნ** „ვინ“. აკრძალვითში კი **მა** „ნუ“ ნაწილაკი გამოიყენება: **მამენა** „ნურავინ“. საინტერესოა, რომ **ცომ** „არაფერი“ უარყოფით ნაწილაკზე დართული **-მ** ბოლოსართით მიიღება. აკრძალვით ბრძანებით წინადადებაში მას **მამ** ფორმა ენაცვლება.

ანალოგიური წარმოებისაა უარყოფითი ზმნისართები: **ცომიჩე/ცომიჩ^ა** „არსად“, შდრ. **მიჩ/მიჩა** „სად“; **ცომაცნე** „არასოდეს“, შდრ. **მაცა^ნ** „როდის“ და სხვ.

2.29. მიმართებითი ნაცვალსახელები

მიმართებითი ნაცვალსახელები კითხვით ნაცვალსახელებზე **-ე/-ა** ნაწილაკის დართვით იწარმოება: **მენ-ა/მენ-ე** „ვინც“, (ირიბი ფუძე **ა^ანა/ა^ანე**), შდრ. **მე^ნ** „ვინ“. რა ჯგუფის განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის მსგავსად, მიმართებითი ნაცვალსახელიც **ვუნ** ფუძეს ეყრდნობა: **ვუნ-ე** „რაც“, შდრ. **ვუხ** „რა“;

ანალოგიურად იწარმოება სხვა ერთეულებიც: **მაცმ-ე** „როდესაც“, შდრ. **მაცა^ნ** „როდის“; **მო^ა-ე** „როგორც“, შდრ. **მო^ა** „როგორ“; **მე^ა-ე** „რამდენიც“, შდრ. **მე^ა** „რამდენი“; **მიჩრენ-ა** „საიდანაც“, შდრ. **მიჩრე^ნ** „საიდან“ და სხვ.

2.30. დასკვნა

მოცემულ თავში განხილულ იქნა ზედსართავი სახელების, მიმღობების, ნაცვალსახელების, რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელების როგორც დერივაციული, ისე კომპოზიტური წარმოება. ვითარებით ზედსართავთა ბოლოკიდური ნაზალიზებული ხმოვანი კვალიფიცირებულ იქნა ფუძის მაწარმოებელ დეტრმინანტად. იგივე მორფემა გამოიყო მიმართებით ზედსართავთა საწარმოებელ რთული შედგენილობის სუფიქსებში. აღნიშნულ შემთხვევაში მათ მხოლოდ

გრამატიკული ფუნქცია აქვს, სემანტიკური სიმძიმე კი ამგვარი აფიქსების თანხმობით ნაწილზე მოდის.

კლასნიშნიანი ზედსართავი სახელების შესახებ გამოითქვა თვალსაზრისი, რომ გრამატიკული კლასი თავიდანვე მხოლოდ ზედსართავ სახელთა ნაწილისთვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. ამის უმთავრეს მიზეზად კი ფონეტიკური პირობები დასახელდა.

გაანალიზებულ იქნა მიმდებარე ფორმებს შორის არსებული განსხვავებები, მათი ლექსიკალიზაციის ხარისხი. გამოვლინდა -რიკ სუფიქსის ფართო როლი ტოპონიმთა და ანთროპონიმთა წარმოებაში. ყურადღება გამახვილდა მიმდებარე საყრდენ ასპექტურ ფუძეებში არსებულ ასიმეტრიებსა და არაკანონზომიერ შემთხვევებზე: აწმყო დროის მიმდებარეობისათვის სრული ასპექტის ფუძის გამოყენებაზე და სხვ.

რიგობით და წილობით რიცხვით სახელებს -ლღ^ნ სუფიქსი აწარმოებს. ნაზალიზებულ ხმოვანს აქაც იგივე ფუნქცია უნდა ჰქონდეს, რაც ვითარებით და მიმართებით ზედსართავებთან აქვს. ამდენად, აღნიშნული ჯგუფის რიცხვით სახელებს ატრიბუტივის მორფოლოგიური სტრუქტურა აქვს.

კუთვნილებითი ნაცვალსახელები პირის ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს წარმოადგენს. განუსაზღვრელობით ერთეულებს -ახ ბოლოსართი აწარმოებს, მიმართებით კი – ე. უარყოფითი ნაცვალსახელები ცო „არ“ ნაწილაკის პრეფიქსაციით იქმნება. აკრძალვით ბრძანებითში მას მა „ნუ“ ენაცვლება.

III თავი

3. ზმნისართების წარმოება

შესავალი

წოვათუშურ ენაში ზმნისართების უმრავლესობა თანდებულად და ზმნისწინადაც გამოიყენება. მოიპოვება როგორც არამოტივირებული, ისე ნაწარმოები ერთეულები. ძირეული ზმნიზედები საკმაოდ დიდ ჯგუფს შეადგენს, ასეთებია: **ინც** „ახლა“, **ლამ** „ზეგ“, **მაწყ** „ხან, ზოგჯერ“, **ნასტ** „ძლივს, ძნელად“, **დ-უხ** „უკან“, **უშტ** „ისე“, **ჩა** „შორს“, **ბჟა(რჩე)** „მუდმივად, ყოველთვის“ და მრავალი სხვა. ამა თუ იმ მეტყველების ნაწილისაგან ზმნიზედების წარმოება კი სხვადასხვა საშუალებით ხდება. წოვათუშურ ენაში განსხვავებული შინაარსის ზმნიზედები ნაწარმოებია არსებითი სახელებისაგან, რიცხვითი სახელებისაგან, თავად ზმნისართებისა და ნაცვალსახელური ფუძეებისაგან.

ზმნიზედად შეიძლება იქცეს ძირითადად ადგილობითი ბრუნვის ფორმები: გამსჭვალვითი, ლოკატივი, გარდაქცევითი და ილატივი. გრამატიკული ბრუნვები ამ მხრივ არაპროდუქტიულია. შეზღუდული რაოდენობის ზმნიზედები მომდინარეობს მოქმედებითი და გამონაკლისის სახით, მიცემითი ბრუნვებისაგან. მოიპოვება საკუთრივ ზმნისართთა მაწარმოებელი **-შ**, **-წ** ბოლოსართები და რამდენიმე ნაწილაკიც.

ჩეჩურ-ინგუშურ ენებში როგორც ნებისმიერი კონვერბი, ისე ზედსართავი სახელი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ვითარების ზმნიზედად (Nichols, 2010, გვ. 377). წოვათუშურში მხოლოდ **აწმყო** დროის კონვერბი და ვითარების ზმნისართი დგას ახლოს ერთმანეთთან. ისინი ერთი და იმავე სუფიქსით იწარმოება და ფუნქციონირების პირობებიც მსგავსია. ზედსართავი სახელები კი უიშვიათესად, მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში გამოიყენება ზმნიზედის მნიშვნელობით. გამონაკლისს წარმოადგენს **-წი^ნ/-წე^ნ** ბოლოსართით ნაწარმოები უქონლობა-უყოლობის მიმართებითი ზედსართავები, რომელთა შესახებ მსჯელობა მოცემულია მეორე თავში. რამდენიმე სხვა მიმღეობაც შეიძლება იქნეს გამოყენებული ვითარების ზმნისართის ფუნქციით, მაგალითად, **ატატ-ინ** „1. ქვეშქვეშა, ჩუმჩუმელა, 2.

ჩუმჩუმად“, შდრ. ატ-არ „გაჩუმება“. საინტერესოა, რომ ზმნისართული შინაარსი აქ ფუძის რედუპლიცირებას შემოაქვს, რადგან ატ-ინ□ „ჩუმი, წყნარი“ მხოლოდ ზედსართავი სახელის ფუნქციით გამოიყენება. არქაულ მიმღებურ ფორმას უნდა წარმოადგენდეს -ალ სუფიქსით ნაწარმოები ფორმა: თოყ-ალ „1. საკმარისი, 2. საკმარისად“, შდრ. თოყ-არ „ყოფნა“, მეორე მხრივ, გვაქვს თოყუ-□ნ□ „საკმარისი, სამყოფი.“

წინამდებარე თავში განხილულია წოვათუშური ზმნისართების წარმოების მორფოლოგიური საშუალებები. წინა თავების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც ემპირიული მასალა დაჯგუფებულია არა შინაარსის, არამედ სადერივაციო აფიქსებისა და წარმოების საშუალებების მიხედვით. აქედან გამომდინარე, თუ აფიქსს რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, ყველა მათგანი ერთად არის გაანალიზებული.

პირველი ქვეთავი ეთმობა -შ სუფიქსის ფუნქციებზე მსჯელობას. იგი ზედსართავი და ზმნური ფუძეებისაგან აწარმოებს ვითარების ზმნისართებსა და კონვერბებს. სათანადო სამეცნიერო ლიტერატურისა და ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე, სინქრონიულ დონეზე ძირითად მაწარმოებლად გამოყოფილია არა -Vშ ან -იშ, არამედ -შ.

მომდევნო ნაწილებში საუბარია -ხ, -ვ, -□ , -ლ□ და -წ ბოლოსართებით წარმოებულ სხვადასხვა შინაარსის ზმნიზედებზე, რომლებიც უმეტესწილად ადგილობითი ბრუნვების ლექსიკალიზებული ფორმებია. მიცემითი ბრუნვის სუფიქსი -ნ დროის ზმნისართების საწარმოებლად გამონაკლისს წარმოადგენს, მაგალითად, ფსარლუი-ნ „სალამო“, შდრ. ფსარლო „სალამო“. ცალკეა განხილული ნაწილაკების საშუალებით წარმოქმნილი ზმნისართები.

ბოლო ქვეთავში ყურადღება ეთმობა რედუპლიკაციის გზით მიღებულ ზმნისართებს.

3.1. სუფიქსი -შ, ვითარების ზმნისართები, კონვერბები

პირველი ქვეთავი ეთმობა -შ სუფიქსის ფუნქციებზე მსჯელობას. -შ ბოლოსართითი ზედსართავი სახელის ფუძისგან აწარმოებს ვითარების ზმნისართებს, ზმნურისაგან – უსრული ასპექტის კონვერბებს. ისინი მთავარი ზმნით გამოხატული შინაარსის თანადროულ მოქმედებას გამოხატავს. ქართულ გრამატიკულ ტრადიციაში

კონვერბებს აბსოლუტივს უწოდებენ. ვინაიდან, აღნიშნული ტერმინი ბრუნვის სახელწოდებადაც გამოიყენება, განსხვავებული სახელი – კონვერბი უფრო მოსახერხებელი ჩანს ზმნური ფორმისთვის. წოვათუშურში კონვერბები ზმნისართის ფუნქციით გამოიყენება, უფრო სწორად, გამოხატავს ზმნისართულ დაქვემდებარებას გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში. ზოგჯერ მათ ნაზმნარ ზმნისართებსაც უწოდებენ (Ylikoski, 2003, Hauk & Harris, 2018). ისევე, როგორც წოვათუშური ზმნის სხვა არაფინიტურ ფორმებს, კონვერბებსაც შენარჩუნებული აქვს კლასში შეთანხმების უნარი. ამასთანავე, მათ ზოგჯერ თავიანთი, მთავარი ზმნისაგან განსხვავებული სუბიექტიც გააჩნია.

ზედსართავი სახელებისაგან ვითარების ზმნისართების მაწარმოებლად ა. შიფნერი ასახელებს -შ ბოლოსართს, რომელსაც შესაძლოა ახლდეს მაკავშირებელი ხმოვანი (Schieffner, 1856, S. 63). ამასთანავე, მიუთითებს, რომ იგივე ბოლოსართი გამოიყენება კონვერბებისთვის, რომლებსაც თავად გერუნდიალს უწოდებს. ი. დემერიევი ალომორფებად მოიხსენიებს -იშ და -შ სუფიქსებს (Дешериев, 1953). ლ. სანიკიძეც იმავე თვალსაზრისს იზიარებს (სანიკიძე, 2010). ა. ჰარისისა და ბ. ჰაუკის თანახმად, ზედსართავის ფუძისაგან ვითარების ზმნისართების წარმოსაქმნელად -იშ ბოლოსართი გამოიყენება. როდესაც საყრდენ ფუძედ გარდაქცევითი ბრუნვის (სუფიქსი -ლ) ფორმაა, მაშინ მას -ეშ მაწარმოებელი ენაცვლება. თანადროული მოქმედების კონვერბების მაწარმოებლად კი ისინი -შ-ს გამოყოფენ (Hauk & Harris, 2018).

ემპირიული მასალის ანალიზი აჩვენებს, რომ უფრო მართებულია ა. შიფნერის თვალსაზრისი: სინქრონიულ დონეზე როგორც ზედსართავი სახელებისაგან, ისე ზმნებისაგან ზმნისართული ფორმები -შ სუფიქსით იწარმოება (რომელიც ისტორიულად მიღებული უნდა იყოს -იშ-ისაგან). ის ხმოვანი, რომელიც ზედსართავის საყრდენ ფუძედ გამოყენების შემთხვევაში -შ მაწარმოებლის წინ ჩნდება, არა მაერთებელი ხმოვანი, არამედ ზედსართავის ფუძის მაწარმოებელია, რომელსაც დაკარგული აქვს ნაზალურობა (იხ. 2.2). ზედსართავის ფუძის მაწარმოებელი ნაზალურობადაკარგული ხმოვანი თითქმის ყოველთვის შემონახულია.

ვითარების ზმნისართთა საწარმოებელ ფუძედ გამოიყენება როგორც ძირეული, ისე მიმართებითი ზედსართავები. ორივე მათგანის საილუსტრაციო მაგალითები მოცემულია ქვემოთ.

საყრდენი ფუძე	ნაწარმოები	სიტყვა
ბედ-ი ^ნ „სხვანაირი, უცნაური, კარგი, რჩეული“	ბედ-ი-შ	„უცნაურად, სხვანაირად, საოცრად, მოსაწონად“
გამ-ო ^ნ , გამ-უ ^ნ	გამ-ო-შ	„მრუდედ, არასწორად“
ყა□-ე ^ნ „მწარე“	ყა□-ე-შ	„მწარედ, გადატ. მაგრად“
ხშირ-ო ^ნ „ხშირი“	ხშირ-ო-შ	„ხშირად“
ჭმალ-ო ^ნ „მაგარი“	ჭმალ-ო-შ	„მაგრად“
კუ-ა ^ნ „თეთრი“	კუ-ა-შ	„თეთრად“
კუაბ-ე ^ნ „ქართული“	კუაბ-ე-შ	„ქართულად“
კშოკრ-უ ^ნ „ღრმა“	კშოკრ-უ-შ	„ღრმად“
მალ-ი ^ნ „ზანტი, დუნე“	მალ-ი-შ	„ზანტად, დონდლოდ“
შარ-ე ^ნ „თავისუფალი“	შარ-ე-შ	„თავისუფლად“

გამონაკლისის სახით ორიოდე მაგალითში მანწარმოებლად შემონახული უნდა იყოს -იშ:

ზედ. სახელი	ზმნისართი
ატტ-ა ^ნ „ადვილი“	ატტა-იშ „ადვილად“
ლაზ-ე ^ნ „კარგი“	ლაზე-აშ→ლაზ-იშ „კარგად“ და სხვ.

საინტერესოა, რომ რამდენიმე შემთხვევაში -იშ სუფიქსი აწარმოებს ადგილის ზმნისართებსაც, მაგალითად:

ლაჯ-იშ „მალა“, შდრ. ლაჯე ^ნ „მალალი“
ლახუ-შ „დაბლა“, შდრ. ლაჯუ ^ნ „დაბალი“

როგორც ზემოთ აღინიშნა, ვითარების ზმნისართების საყრდენ ფუძედ გამოყენებულია სხვადასხვა სუფიქსით ნაწარმოები მიმართებითი ზედსართავი სახელებიც. ისინი შესაძლოა იყოს ქონა-ყოლის, უქონლობა-უყოლობისა და მსგავსების შინაარსის. ვფიქრობ, ქვემოთ მოყვანილი მაგალითები მსგავსების გამომხატველი ზედსართავი სახელებისგანაა ნაწარმოები და არა გარდაქცევითი ბრუნვის ფორმებისაგან, როგორც ამას ა. ჰარისი და ბ. ჰაუკი მიუთითებენ (Hauk & Harris, 2018). წოვათუშურში მსგავსების ზედსართავ სახელებს -**ღე** ბოლოსართი აწარმოებს. ამ უკანასკნელის გარდაქცევითი ბრუნვის -**ღ** ნიშნთან კავშირზე მეც მივუთითებ ზემოთ (იხ. 2.14). მსგავსების გამოხატვა სწორედ ამ ბრუნვისაგან უნდა იღებდეს სათავეს, მაგრამ დროთა განმავლობაში, მაზედსართავებელ ელემენტ -**ე**-თან ერთად ის ცალკე სუფიქსად ჩამოყალიბდა. ამ შემთხვევაშიც სუფიქსის ხმოვანს დაკარგული აქვს ნაზალურობა.

ქვემოთ მოცემულია მსგავსების შინაარსის მქონე ზმნისართები საყრდენ ფუძეებთან ერთად:

არსებითი სახელი	ზედსართავი სახელი	ზმნისართი	
აო□ „ქალი“	აა□-ღე ^ნ „ქალისებური, ქალური“	აა□-ღე-შ	„ქალისებურად, ქალეებურად“
ადმიან ^ნ „ადამიანი“	ადმიან-ღე ^ნ „ადამიანური“	ადმიან-ღე-შ, ადმ[ი]ნ-ღე-შ	„ადამიანურად“
ვაა „ჩვენ (ინკლ.)“	ვაა-ღე ^ნ „ჩვენებური“	ვაა-ღე-შ	„ჩვენებურად“
ვაშ□ „ძმა“	ვაშაა-ღე ^ნ „ძმური“	ვაშაა-ღე-შ	„ძმურად, ძმასავით“
კნათ „ბიჭი“	კნათ-ღე ^ნ „ბიჭური“	კნათ-ღე-შ	„ბიჭურად“

მსგავსადვე იწარმოება ვითარების ზმნისართები სხვა მიმართებითი ზედსართავი სახელებისაგან. ქვემოთ მოცემულ მაგალითებში საყრდენი ზედსართავების ფუძეთა საწარმოებლად გამოყენებულია ქონა-ყოლის -**ლი** და -**რე** სუფიქსები.

არსებითი სახელი	ზედსართავი სახელი	ზმნისართი	
ჩამ „გემო“	ჩამ-ლინ „გემრიელი“	ჩამ-ლი-შ	„გემრიელად“
დოკ „გული“	დაკი-რე „გულიანი“	დაკ-რე-შ	„გულით, დიდი სურვილით“

წოვათუშურ ენაში ორი სახის კონვერბია: 1) ნამყო დროის, რომელიც ხშირად ზმნის ფინიტური ფუნქციით იხმარება (სუფიქსი -ჩე(□)) (Holisky & Gagua, 1994) და დაირთავს პირის ნიშნებს, ამიტომ, აქ მას არ განვიხილავ, 2) თანადროული მოქმედების გამომხატველი, უსრული ასპექტის კონვერბი. იგი -შ ბოლოსართით იწარმოება. ორივე მათგანი გამოიყენება ზმნისართულ დამოკიდებულ წინადადებაში, მაგრამ აწყო დროისას აქვს ვითარების ზმნიზედის გამოხატვის ფუნქციაც. ზოგი მათგანი სრულად ლექსიკალიზებულია, მაგალითად, სა□ბ-ეშუმ „მეტ-ნაკლებად“, ცომოთთემ „მოულოდნელად“ და სხვ. -შ მაწარმოებელი დაერთვის აწყო ან მყოფადი დროის ფუძეებს. ამგვარად, მის წინ წარმოდგენილი ხმოვნები მწკრივის ნიშნებია.

მასდარი	აწყო/მომავალი დროის ფუძე	ნაწარმოები სიტყვა	
□ეთ-არ „ცოდნა; მიხვედრა“	კეთ-ე	კეთ-ე-შ	„მოხერხებულად“
დ-ახ-არ „ცხოვრება“	დ-ახ-ე	დახ-ე-შ	„ცხოვრებით“
დეღ ლესტ-არ „ბარბაცი“	დეღ ლესტ-ე	დეღ ლესტ-ე-შ	„ბარბაცი“
ბრეჟა-დ-დ-ალ-არ „ბრეჟა“	ბრეჟა-ლ-ა	ბრეჟა-ლ-ა-შ	„ბრეჟით“
ქასტ-დ-ალ-არ „აჩქარება“	ქასტ-ლ-ა	ქასტ-ლ-ა-შ	„აჩქარებით“
□ედ-არ „დაგვიანება“	□ედ-ე	□ედ-ე-შ	„დაგვიანებით, გვიან“

ცომაკ-არ ცომაკ-ე ცომაკ-ე-შ „შეუძლოდ“
 „შეუძლოდ ყოფნა“

ზოგჯერ ლექსიკალიზებულ კონვერბს შექმნილი აქვს ადგილის გარემოების სემანტიკაც. ასეთია სოვერწემ „პირაქეთ, აქეთა მხარეს“ (სიტყვასიტყვით „აქეთ მობრუნებით“). იგი კომპოზიტს წარმოადგენს. შედგება ზმნისართის, სო „აქეთ“ და დ-ერწ-არ „მობრუნება“ ზმნისგან ნაწარმოები კონვერბისაგან. საინტერესოა, რომ როგორც მოცემულ ზმნისართ/კონვერბში, ისე მისგან ნაწარმოებ არსებით სახელში სოვერწმა „პირაქეთა, აქეთა მხარე“ გაქვავებულია მამაკაცის კლასის ნიშანი ვ- და არა დ-, როგორც მსგავს შემთხვევებში ხდება ხოლმე.

ქვემოთ მოცემულია კონვერბთა ფუნქციონირების მაგალითები:

(18) ცო-მაკ-ე-ში დ-არ სე^ნ აგა=ე, და□-ლაატ-ნ-ას

NEG-შეძლება-NPST-CVB J-IMPF ჩემი ბებია.J=ADD PV-მიხმარება-AOR-1SG.ERG

„შეუძლოდ იყო ჩემი ბებია და მივეშველე“.

(ქადაგიძე და ქადაგიძე, 1984, გვ. 183)

(19) ათხ ფ□ორ-ე-ნ □ედ-ე-შ ხიბჟ-ათხ

1PL.EXCL.ERG ვახშამი-OBL-DAT დაგვიანება-NPST-CVB დასხდომა-1PL.EXCL.ERG

„ჩვენ ვახშამს გვიან ვუსხდებით“.

(ქადაგიძე და ქადაგიძე, 1984, გვ. 916)

3.2. სუფიქსი -ხ, ადგილისა და დროის ზმნისართები

ზმნისართთა გარკვეული ნაწილის მორფოლოგიურ სტრუქტურაში გამოიყოფა -ხ ბოლოსართი. ისინი გამსჭვალვითი ბრუნვის ლექსიკალიზებული ფორმები უნდა იყოს, რომლის ფუნქციაც მოქმედების ადგილისა და კონტაქტის წერტილის გადმოცემაა. იგი დაერთვის არსებითი სახელების ირიბ ფუძეებს, ერთ შემთხვევაში კი

თავად ზმნისართს და აწარმოებს ადგილისა და დროის ზმნიზედებს. **-ხ** სუფიქსის წინ წარმოდგენილია ირიბ ფუძეთა მაწარმოებელი ხმოვნები:

საყრდენი ფუძე	ნაწარმოები	სიტყვა
ფე „1. გვერდი, ვერდი 2. მხარე“	ფენ-ი-ხ	„1) გვერდით, გვერდზე, ახლოს 2) გვერდზე ირიბად“
ატტინ „მარჯვენა“	ატტ-ე-ხ	„მარჯვნივ“
ცერ „ნაპირი, კიდე“	ცერ-ა-ხ	„ნაპირას, განაპირა ადგილებში“
მაქ „ზევით, ზედ“	მაქ-ხ	„ზევით, ზემოთ“
არლინ „მარცხენა“	არლ-ე-ხ	„მარცხნივ“

საინტერესოა, რომ წელიწადის დროთა აღმნიშვნელი სახელების ორ ზმნისართულ ფორმას **-ხ** სუფიქსი აწარმოებს: **ხკოლი-ხ** „ზაფხულში“, შდრ. **ხკო** „ზაფხული“, **ქალი-ხ** „ზამთარში“, შდრ. **ქა** „ზამთარი“. **-ხ**-ის წინ წარმოდგენილი **-ლი** სემანტის ეტიმოლოგია ნათელი არ არის, დანარჩენ ორს კი -**ქ** სუფიქსი დაერთვის: **სტაბო-[ქ]** „შემოდგომაზე“, შდრ. **სტაბო** „შემოდგომა“, **დოქე-[ქ]** „გაზაფხულზე“, შდრ. **დოქა** „გაზაფხული“.

ზოგიერთ შემთხვევაში ერთი შეხედვით ძნელია გარკვევა, რომელი მეტყველების ნაწილისაგან არის მიღებული ესა თუ ის ზმნიზედა. არ იძებნება წყარო ფორმა, თუმცა მორფოლოგიური ანალიზით ჩანს, რომ ისინი დერივაციის შედეგად მიღებული, მოტივირებული ერთეულებია. ასეთებია, მაგალითად, **მაცახ** „ოდესღაც“, ჩეჩურში მისი შესატყვისია **მაცახ**, ინგუშურში კი **მოცაღა**. დერივაციული პარადიგმიდან ჩანს, რომ **-ხ** ფუძის კუთვნილება არ უნდა იყოს და გაქვავებულ ფორმას წარმოადგენს, შდრ.: **მაც-ა^ნ** „როდის“, **მაც-ლუ^ნ** „როდინდელი, რა დროისა“. ვფიქრობ, ასეთივე ფორმა უნდა იყოს **დუდა-ხ** „წელან“, **ცენე-ხ** „წლეულს“, **შურჩო-ხ** „მარშანწინ“ და სხვ.

3.3. სუფიქსი -ვ, ადგილის ზმნისართები

წოვათუშური ზმნისართების მცირე ჯგუფის სტრუქტურაში, ბოლოკიდურ პოზიციაში წარმოდგენილია -ვ სუფიქსი, რომელიც, ვფიქრობ, მოქმედებითი ბრუნვის ნიშნად უნდა იქნეს მიჩნეული. ამავე კვალიფიკაციას აძლევენ მოცემულ ბოლოსართს რ. გაგუა და დ. ნ. ჰოლისკი (Holisky & Gagua, 1994). -ვ დაერთვის არსებით სახელებსა და ზმნიზედებს და გვიჩვენებს მოქმედების მიმართულებას. წოვათუშურ ენაში აღნიშნული ბრუნვით ძირითადად მოქმედების იარაღი გადმოიცემა, მაგრამ ზოგჯერ – გადაადგილების, ტრანსპორტირების საშუალებაც.

-ვ დაერთვის თავად ზმნისართებსაც. ამ შემთხვევაში მათ ემატება მოქმედების მიმართულების სემანტიკა. შედარებისთვის ქვემოთ მოცემულია ნაწარმოები ზმნისართები საყრდენ ფუძეებთან ერთად.

საყრდენი ფუძე	ნაწარმოები	
	ზმნისართი	
ესე, ისე „აქ“	ისე-ვ, ესე-ვ	„აქეთ, აქ“
ოსი „იქ“	ოსი-ვ	„იქით“
ნიყ „გზა“	ნაყ-ვ	„გზით, გზაზე“
ნჭაყ, „გარეთ“	ნჭაყი-ვ-[]	„გარეთ“

როგორც დასახელებული მაგალითები ცხადყოფს, -ვ სუფიქსით გაფორმებულ ფუძეებს აქვს დინამიკური შინაარსი, გამოხატავს მოძრაობის მიმართულებას, წმინდა ფუძე კი სტატიკურია.

3.4. სუფიქსი -ი, ადგილისა და დროის ზმნისართები

წოვათუშურ ენაში ზმნიზედების მნიშვნელოვანი ნაწილი არსებით სახელთა ადგილობითი ბრუნვების ლექსიკალიზებულ ფორმებს წარმოადგენს. ერთ-ერთი მათგანია -ი ბოლოსართით ნაწარმოები ლოკატივი.

-ი სუფიქსი ხშირად დაკარგულია, რადგან სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში ფარინგალი ფრიკატივი -ი, როგორც წესი, უჩინარდება. მისი წინამავალი თემატური ხმოვანი კი ნარჩუნდება (Hauk & Harris, 2018, Wichers Schreur, 2024).

საინტერესოა, რომ საკვლევე სუფიქსი დაერთვის თავად ზმნისართებსაც და უფრო კონკრეტულ, სპეციფიკურ შინაარსს სძენს მათ; ახდენს მიმართულების გამომხატველი ზმნიზედების ლოკალიზებას და ანეიტრალებს მათ თავდაპირველ დინამიკურ შინაარსს, მაგალითად, გარგე-□ „ახლოს“ (მიუგებს კითხვაზე სად?), საყრდენ ფუძედ გამოყენებულია გარგ „ახლოს“, რომელსაც მსგავსი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ პასუხობს კითხვაზე საით. იმავე სახისაა ჩუ-□-□[□] „შიგნით“ (სად?). აქ საყრდენ ფუძეს ჩუ ზმნისართი წარმოადგენს, რომელიც აღნიშნავს მიმართულებას შიგნით და დაერთვის შეკითხვა საით, ამავე გზითაა ნაწარმოები კითხვითი სიტყვებიც: მიჩე-□[□]/ მიჩა-□[□] „სად?“, შდრ. მიჩ/მიჩა „სად, საით“.

-□ სუფიქსი დაერთვის არსებითი სახელისა და თავად ზმნიზედის ფუძეებს და აწარმოებს ადგილისა და დროის ზმნიზედებს. არსებითი სახელის შემთხვევაში, ცხადია, გამოყენებულია ირიბი ფუძე:

[N.OBL + -□]ADV

LOC

[ADV+ -□]ADV

LOC

აქა-□ „ზედ, ზევით“, შდრ. აქა „ზედაპირი“. მათხ-ე-□ „სამზეო“, შდრ. მათხ „მზე“. დე-ნი-□[□] „დღისით“, შდრ. დე „დღე“. ა□ო[□] „ქვევით“, შდრ. ა□ო „ქვევით ადგილი, ქვევითა მხარე“. არსებით სახელს უნდა წარმოადგენდეს შემდეგი ზმნისართების ფუძეები: ფსარე-□ „გუშინ“, შდრ. ფსარლო „საღამო“; მათხბა□უ-□□ „აღმოსავლეთით“, შდრ. მათხბა□უ□ლა „აღმოსავლეთი“; მათხბუწუ□ლა-□□ „დასავლეთით“, შდრ. მათხბუწუ□ლა „დასავლეთი“.

თუ ერთ შემთხვევაში სტატიკურ მნიშვნელობას ატარებს -□ ბოლოსართ-დართული ზმნისართები, სხვა მაგალითებში, თუმცა იშვიათად, მას დინამიკისა და მიმართულების სემანტიკა შემოაქვს. ეს კარგად ჩანს ქვემოთ მოცემული ფორმების შეპირისპირებითაც: ფენივ-□ „მხარეზე, მხარეს; მხრისკენ (საით?)“, ფენი-ხ „1) გვერდით, გვერდზე, ახლოს 2) ირიბად“, ფინ-ღ-ა „1) გვერდზე, 2) რაიმეს გავლით“. ყველა მათგანისთვის საყრდენ ფუძეს წარმოადგენს არსებითი სახელი ფე „1. გვერდი,

2. მხარი“. ფინლა ფორმაში, გარდაქცევითი ბრუნვის -ლ აფიქსის შემდეგ წარმოადგენილია -ა ბოლოსართი, რომელიც ადგილისა და სივრცის აღმნიშვნელად, ასევე ტოპონიმთა საწარმოებლად გამოიყენება წოვათუშურში (იხ. 1.6). აქვე უნდა ითქვას, რომ გარდაქცევითი ბრუნვის ფორმებსაც აქვს ადგილის ზმნისართის გამოხატვის გარკვეული შესაძლებლობა.

□^ნ „მერე, შემდეგ“ ზმნისართის -ჩ□ ბოლოსართით ნაწარმოებ ირიბ ფუძეზე -□ სუფიქსის დართვით ჩანს მიღებული □^{ეჩუ}□-□ „სხვაგან“, დ-უხე□-□[□] „უკუღმა“ კი დ-უხ „უკან“ ზმნისართისაგან არის წარმოქმნილი.

-□ ელემენტი უნდა გამოიყოს შემდეგი ზმნისართების მორფოლოგიურ სტრუქტურაშიც: ლაჩა-□, ლაჩა-□□ „თაქვე“, ტყუღ-□ „უკან“, მაქდა-□ „ზემოთ“ და სხვ.

ზოგჯერ -□ და -ხ სუფიქსებით ნაწარმოები ფორმები ერთმანეთის პარალელურად გამოიყენება, მაგალითად, ცერ-ა-ხ და ცერ-ე-□/ცერ-ა-□ „ნაპირას, განაპირა ადგილებში“ და სხვ.

3.5. სუფიქსი -ლო, ადგილისა და დროის ზმნისართები

დროის რამდენიმე ზმნისართი ბოლოვდება -ლო ელემენტით, რომელიც არ უნდა წარმოადგენდეს ფუძის კუთვნილებას. ვფიქრობ, ისინი ლექსიკალიზებული ადგილობითი ბრუნვის ფორმებია. ასეთებია: ტყო□-ლო „მომავალი“, შდრ. ტყო□ „კიდევ, კვლავ“; ფსარ-ლო „სადამო“, შდრ. ფსარ-ე[□] „გუმინ“.

აღნიშნული სუფიქსი ხშირად იდენტიფიცირდება ტოპონიმთა სტრუქტურაშიც, მაგალითად: ომლო, კვავლო, დიკლო, დართლო და სხვ.

საკვლევი მაწარმოებელი ილატივ-ლოკატივის -ლო[□] ნიშნის იგივეობრივია. -□ თანხმოვანი აუსლაუტში, როგორც წესი, იკარგება, რის გამოც ბოლოკიდური ხმოვანი არ მოკლდება (Hauk & Harris, 2018, Hauk, 2020). თუ დავუშვებთ, რომ ზემოთ ნახსენებ დროის ზმნისართთა სტრუქტურაშიც იგივე სუფიქსი გამოიყოფა, მოცემულ შემთხვევაში ადგილობითი ბრუნვა გამოხატავს არა მხოლოდ სივრცით, არამედ დროით მიმართებასაც.

3.6. რედუპლიკაცია

წოვათუშურ ენაში რედუპლიკაციით იწარმოება სხვადასხვა მეტყველების ნაწილი. ამის შესახებ შენიშნული აქვს არაერთ მკვლევარს (Schiefner, 1856, Дешериев, 1953, ლ. სანიკიძე, 2010 და სხვ). სიტყვაწარმოების აღნიშნული ხერხი პროდუქტიულია ზმნისართებშიც.

არსებითი სახელებისა და თავად ზმნისართების ფუძის სხვადასხვაგვარი გაორკეცებით მიიღება ახალი ზმნისართები, რომლებიც ხშირად მოქმედების ინტენსივობას გამოხატავს. შინაარსის მიხედვით, რედუპლიკაციით ნაწარმოები ზმნისართები შეიძლება იყოს 1) ვითარების: **ფხურ-ფხურ** „1.გარდიგარდმო, ირიბად, 2. აღმაცერად“, **რალ-რალე** „რიგრიგობით“; 2) დროის: **ფსარ-ფსარლუ** „სადამოობით“, **ბუსუ-ბუსუ** „ლამდამობით“; 3) ადგილის: **ნაყრენაყ** „გზადაგზა“, **მიჩქე-მიჩქე** „სადმე“ და სხვ.

შესაძლოა ფუძე უცვლელად გაორმაგდეს ან რომელიმე ნაწილი მოიკვეცოს. თუ ფუძის აუსლაუტში წარმოდგენილია ნაზალიზებული ხმოვანი ან სხვა მაწარმოებელი, გაორკეცებისას პირველ ფუძესთან ის იკარგება. ზოგჯერ პირველი კომპონენტი განვრცობილია -რე ელემენტით: **აყყრენაყ** „შიგადაშიგ“ (შდრ. **აყყ** „შუა“), **ნაყრენაყ** „გზადაგზა“ (შდრ. **ნიყ** „გზა“). ვფიქრობ, აღნიშნული ბოლოსართი -რე „დან“ თანდებულად უნდა კვალიფიცირდეს.

ზმნისართული ფუძეების გაორკეცება:

მარტივი ფუძე	რედუპლიცირებული
მაწყ „ხან, ზოგჯერ“	მაწყ-მაწყ „ხანდახან“
კატკომ, კატკუმ „ნელა, ჩუმად“	კატკატკომ, კატკატკუმ „ნელ-ნელა“
ქასტენ „ჩქარა, სწრაფად“	ქასქასტენ „მალ-მალე“
აყყ „შუა“	აყყრენაყ „შიგადაშიგ“
ჩაქ „შორს“	ჩაქიჩაქ „შორი-შორს“
ბედ „ცალკე“	ბედ-ბედ „ცალ-ცალკე“
ფხურ „ირიბად“	ფხურ-ფხურ „1.გარდიგარდმო, ირიბად. 2. აღმაცერად“

არსებითი სახელების ფუძის რედუპლიკაცია

მარტივი ფუძე	რედუპლიცირებული
ბუ [□] სა „ღამე“	ბუსუ-ბუსუ „ღამღამობით“
ნიყ „გზა“	ნაყრე ^ნ აყ „გზადაგზა“
რალ „რიგი“	რალ(ე)-რალ ^ნ „რიგრიგობით“
ფსარლო „საღამო“	ფსარ-ფსარლუ [□] ნ „საღამოობით“
წუთ „წუთი“	წუთწუთე-[[□]] „წამდაუწუმ, ყოველ წუთს“

ნაცვალსახელური ფუძის გაორკეცება

მარტივი ფუძე	რედუპლიცირებული
შუ [□] ნ „თავიანთი, მათი“	შუშუ [□] ნ „თავთავიანთთვის, ცალ-ცალკე“
მიჩ „სად“, მიჩ [□] ე „სადაც“	მიჩ [□] ე-მიჩ [□] ე „1. სადმე 2. სადაცაა“

საინტერესოა, რომ ქართულიდან ნასესხები ზოგიერთი რედუპლიცირებული სახელური ფუძე გაფორმებულია წოვათუშური -აან[□] ბოლოსართით და იწარმოება ვითარების ზმნისართები. უმეტესობა მათგანი ხმაბაძვითი სიტყვებია, მაგალითად: რაკრაკა[□]ნ[□] „რაკრაკით“, შდრ. ქართ. რაკრაკი. ჩხარჩხარა[□]ნ[□] „ჩხარუნით, ჩხრიალით“, შდრ. ქართ. ჩხარაჩხური. ძუგძუგა[□]ნ[□] „ცუნცულით“, შდრ. ქართ. ძუგძუგი. ლასლასა[□]ნ[□] „ლასლასით“, შდრ. ქართ. ლასლასი და სხვ.

-აან[□] ბოლოსართის ომონიმური ფორმები გამოიყენება „თვის“ თანდებულად და სხვათა სიტყვის ნაწილაკად. წოვათუშურში იგი მიერთვის ყველა მეტყველების ნაწილს და აწარმოებს ირიბ ნათქვამს სამივე პირისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ -აან[□] ბოლოსართი საკუთრივ წოვათუშურ არარედუპლიცირებულ ფუძეებთანაც გამოიყენება ვითარების ზმნისართების საწარმოებლად. ასეთებია: ღარშაან[□] „ცხადად, აშკარად“. მისი საყრდენი ფუძის მიკვლევა სინქრონიულ დონეზე ჭირს; ბაყეჭა[□]ნ[□] „1. ნამდვილი, მართალი (რამ), ჭეშმარიტი 2. ნამდვილად, უეჭველად, ჭეშმარიტად“. მის პარალელურ ფორმად გვხვდება ბაყე[□]. ისიც გამოიყენება როგორც ზედსართავად, ისე ზმნისართად. ზემოთ დასახელებულ მაგალითში -ა[□]ნ[□] ბოლოსართის წინ წარმოდგენილი -ჭ ნაწილაკი ინტენსიურობას მატებს ზმნისართით გადმოცემულ შინაარსს. ამავე გზით ჩანს

ნაწარმოები **თხუ**–**ნ** „დღისით“ ფორმა, რომელიც **თხა** „დღეს“ ფუძისაგან მომდინარეობს.

ჩეჩნურ-ინგუშურ ენებში **-აინ** ბოლოსართი მოცემული ფუნქციით არ დასტურდება.

3.7. სუფიქსი **-წ**, ჯერობის ზმნისართები

რაოდენობითი რიცხვითი სახელების ფუძეზე **-წ** სუფიქსის დართვით იწარმოება ჯერობის ზმნისართები, რომლებიც მიუგებს კითხვაზე **მე**–**წ** „რამდენჯერ“? (შდრ. **მე**–**წ** „რამდენი“?).

რაოდენობითი რიცხვითი სახელი	ნაწარმოები ზმნიზედა
ში „ორი“	შაწ „ორჯერ“
ჯო „სამი“	ჯოწ „სამჯერ“
ფხი „ხუთი“	ფხაწ „ხუთჯერ“
იტტ „ათი“	იტტწ „ათჯერ“
შიიტტ „თრმეტი“	შიიტტწ „თორმეტჯერ“
შაუზტყ „ორმოცი“	შაუზტყაწ „ორმოცჯერ“

იმავე წარმოებისაა **დუკჷ** „ბევრჯერ“, შდრ. **დუკ** „ბევრი“.

3.8. ნაწილაკდართული ზმნისართები

წოვათუშური **-(V)ც** ნაწილაკი ხშირ შემთხვევაში შინაარსით ახლოს დგას ქართულ **-ვე** ნაწილაკთან. იგი დაერთვის ზმნისართებს, არსებით სახელებსა და ზედსართავ სახელებს, ზოგჯერ ნიუანსურ სემანტიკურ განსხვავებას იძლევა, ზოგჯერ კი ცვლის მეტყველების ნაწილის კატეგორიასაც. ამდენად, იგი სიტყვაწარმოებით ფუნქციასაც იძენს, მაგალითად, **ნიწყ-ო** „1. ძალად, ძალით 2. განგებ“, შდრ. **ნიწყ** „ძალა“; **ოშტ-ი** „ისევ[ე]“, შდრ. **ოშტუ**, **ოშტრუ** „ისეთი“. ბოლოკიდურ ხმოვნებს უკანასკნელ მაგალითებში მაზედსართავებელი ფუნქცია აქვს, ძირს **ოშტ** უნდა წარმოადგენდეს, შდრ. **იშტ** „ასე“. **-იკ** ნაწილაკის დართვა კი მოცემულ ძირს ახალ სემანტიკას სძენს: **ოშტ-იკ** „ისე; მუქთად, უფასოდ“.

ამავე გზით ჩანს მიღებული ქიქ-ო „ადრე, წინათ, უწინ“. ძირს აქ ქიქ უნდა წარმოადგენდეს, რომელიც სინქრონიულად დამოუკიდებლად არ იხმარება, მაგრამ ჩანს სხვა დერივაციულ ერთეულებში: ქიქ-ლუ „უწინდელი, ადრინდელი, ძველებური“. -ლუ დროის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელების მაწარმოებელია (იხ. 2.16).

-(V)ე ნაწილაკი ქართული ვე-ს მსგავს ფუნქციას ასრულებს შემდეგ მაგალითებში: ინც-ა „ახლავე, ამ წამს“, შდრ. ინც „ახლა“; ისი-ე „მანდ[ა]ვე“, შდრ. ისი[] „მანდ“; ჯოც „სამივე“, შდრ. ჯო „სამი“ და სხვ.

-კაც დაერთვის ზედსართავ სახელებსა და ზმნისართებს და მატებს ცოტას სემანტიკას: ენ-კა „ცოტა შემდეგ, ცოტა მერე“, შდრ. ენ „მერე, შემდეგ“; ჩა-კა „მოშორებით, ცოტა შორს“, შდრ. ჩა „შორს“; ჩუ-კა „ცოტათი (უფრო) შიგ“, ჩუ ზმნისართი და ზმნისწინი, ჩვეულებრივ აღნიშნავს მიმართულებას შიგნით ან გახაზავს ზმნის შინაარსს.

საინტერესო ფორმაა მიჩხმა „ყველგან“. იგი შეიცავს მიჩ „სად“ ფუძეს, შემდგომ კი გართულებულია სხვადასხვა ბოლოსართებით: ვფიქრობ, -ხ გამსჭვალვითი ბრუნვის სუფიქსად უნდა კვალიფიცირდეს. მის მომდევნო პოზიციაში მყოფი -მაჟ მორფემა კი რთული შედგენილობის ნაწილაკია.

დროის რამდენიმე ზმნისართი ხმოვნით ბოლოვდება. არსებითი სახელის ფუძეზე დართვით იგი აწარმოებს დროის ზმნისართებს. ესენია: გეფს „კვირაში“ (შდრ. გეფს „კვირა“), სტა-ხკ, სტო-ხკ „შარშან“. აქ რთულია საყრდენი ფუძის ეტიმოლოგიზება; ბუ-ს „ლამით, ღამე“ (შდრ. ბუ-სა „ღამე“) და სხვ.

3.9. დასკვნა

მოცემულ თავში განხილულ იქნა ზმნისართების როგორც დერივაციული, ისე რედუპლიკაციური წარმოება. ამა თუ იმ შინაარსის ზმნისართების წარმოების მთავარ საშუალებას ძირითადი და თანდებულიანი ბრუნვები წარმოადგენს. სინქრონიულ დონეზე ისინი ლექსიკალიზებულია. ვითარების ზმნისართები იწარმოება როგორც სახელური, ისე ზმნური ფუძეებისაგან. ეს უკანასკნელნი უსრული ასპექტის კონვერბებს წარმოადგენს. მათ მწარმოებლად განისაზღვრა -შ სუფიქსი.

რედუქციაციის გზით იწარმოება დროისა და ადგილის ზმნისართები. ფუძის გაორმაგება ძირითად შემთხვევებში ინტენსივობას სძენს ზმნისართების შინაარსს.

ჯერობის ზმნისართები, რომლებიც მოქმედების ჯერობას გამოხატავს, რაოდენობითი რიცხვითი სახელების ირიბ ფუძეზე -წ ბოლოსართის დართვით იწარმოება.

ამავე თავში განხილულ იქნა -(V)ც და -კაც ნაწილაკების საშუალებით წარმოებული ზმნისართების მაგალითები. აღნიშნული ნაწილაკები, ცხადია, ყოველთვის არ ავლენს სიტყვაწარმოების უნარს.

IV თავი

4. ზმნური სიტყვაწარმოება

შესავალი

წოვათუშურ ენაში რთული ზმნების რაოდენობა მარტივზე გაცილებით დიდია, რადგან, მარტივი ზმნები, შეიძლება ითქვას, სიტყვათა დახურულ კლასს წარმოადგენს. ახალი ზმნური ერთეულების შესაქმნელად კი კომპოზიცია გამოიყენება. თუმცა ყველა რთული ზმნა არ არის ლექსიკალიზებული და ფუნქციონირებს როგორც შესიტყვება. იშვიათად აქტანტური დერივაციის შედეგადაც იძენს ზმნა ახალ შინაარსს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნახურ-დაღესტნურ ენათა უმრავლესობის მსგავსად, წოვათუშურშიც ზმნური კომპოზიტები გაცილებით პროდუქტიულია, ვიდრე სახელური.

წოვათუშური რთული ზმნების დიდი ნაწილი წარმოადგენს ე.წ. light verb კონსტრუქციებს, რომლებიც შედგება სახელური და ზმნური ნაწილებისაგან. მოცემული მოდელი იმით განსხვავდება სხვა რთული ზმნებისაგან, რომ სემანტიკური სიმძიმე მოდის სახელურ ნაწილზე, ზმნას კი თითქმის დაკარგული აქვს თავისი ლექსიკური მნიშვნელობა და მხოლოდ გრამატიკულ ფუნქციას ასრულებს. ყველა ფლექსიური ელემენტი მას დაერთვის. ცხადია, ისვე განსაზღვრავს კომპოზიტური ზმნის ვალენტობას. ამგვარი კომპოზიტის ზმნური კომპონენტის შინაარსი ზოგჯერ სრულად აბსტრაქტირებულიც კია. რთულ ზმნათა ხსენებული სახეობა დამახასიათებელია მსოფლიოს ბევრი ენისათვის, მათ შორის ნახურ-დაღესტნური ენებისათვის. ნახურ ენათა რთული ზმნები განსაკუთრებით საინტერესო სურათს ქმნის კომპონენტთა შორის არსებული მორფოსინტაქსური და სემანტიკური მახასიათებლების მხრივ.

Light verb კონსტრუქციებში გამოყენებული ზმნების ტიპოლოგიას თუ გადავხედავთ, ყველა ენაში მსგავსი შინაარსის ზმნები გვხვდება ამ ფუნქციით, ესენია: „კეთება“, „გახდომა (ხდება)“, „მიცემა“ და სხვ. წოვათუშურიც არ არის ამ მხრივ გამონაკლისი.

Light verb-ის ქართულ შესატყვისად ქვემოთ გამოყენებული იქნება *მეშველი ზმნა*, თუმცა აქვე მივუთითებთ, რომ იგი ამ ცნების არა ზუსტ, არამედ ყველაზე ახლო

მდგომ თარგმანს წარმოადგენს. მეშველი ზმნები წოვათუშურში განსხვავებული სტრუქტურითა და მოდალური შინაარსით ხასიათდება. ისინი უმთავრესად ძირითადი ზმნის ინფინიტივის ფორმასთან ერთად გამოიყენება. ამასთანავე, აქვს არასრული ფლექსიური პარადიგმა, არ გააჩნია დრო-კილოთა ყველა ფორმა.

მოცემულ თავში განხილულია წოვათუშური ენის რთულ ზმნათა სტრუქტურა და მათი წარმოების საშუალებები. პირველი ნაწილი არსებითი სახელისა და მეშველი ზმნის საშუალებით წარმოქმნილი ერთეულების ანალიზს ეთმობა (იხ. 4.1). ცალკეა მოცემული აბსოლუტივში მდგარი სახელურკომპონენტის ზმნები და ცალკე – ირიბ ბრუნვაში მდგარი, რადგან ისინი განსხვავებულ სინტაქსურ თვისებებს ავლენენ. მას მოჰყვება მსჯელობა ნაზედსართავალი (4.2) და ნაზმნიზედარი ზმნების შესახებ (4.3). ბოლო ნაწილში განხილულია ქართულიდან ნასესხები ზმნები და მათი ადაპტაციის სტრატეგიები (4.4).

ნაშრომის ლიმიტირებული მოცულობიდან გამომდინარე მე არ განვიხილავ დვანდვა ტიპისა და რედუპლიცირებულ ზმნებს. წოვათუშურ ენაში ისინი სიმარტივით გამოირჩევა და არ გააჩნია ტიპოლოგიურად განსხვავებული თვისებები. ძირითადი ყურადღება დაეთმობა დ-(ი)-არ და დ-ალ-არ მეშველი ზმნებით ნაწარმოებ სხვდასხვა სტრუქტურის ზმნებსა და მათ რთულ მორფოსინტაქსურ სტრუქტურას.

4.1. ნასახელარი ზმნები. არსებითი სახელი აბსოლუტიურ ბრუნვაში პირველ კომპონენტად

წოვათუშურ ენაში მარტივი ზმნების რაოდენობა რთულზე გაცილებით ნაკლებია. როგორც მარტივი, ისე რთული ზმნები შეიძლება იყოს კლასნიშნიანი და უკლასნიშნო. კლასნიშნიანი ზმნები მთლიანი ზმნური ლექსიკონის მცირე ნაწილს, 30 პროცენტს შეადგენს (Wichers Schreur, 2024, p. 23), ასეთივე ვითარებაა ჩეჩნურსა და ინგუშურში (Polinsky, 2020, p. 343). დ. და ნ. ქადაგიძეების ლექსიკონში მოცემულია 300 წოვათუშური მარტივი ზმნური ძირი და 1500 ნაწარმოები ერთეული (Wichers Schreur, 2024, p. 171).

წოვათუშური რთული ზმნების ანალიზი საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს. ძირითად გამოწვევას ზმნურ შესიტყვებასა და კომპოზიტს შორის სადემარკაციო ხაზის გავლება ქმნის. საკვლევი ენის სინტაქსური თავისებურებებიდან

გამომდინარე, ჭირს მყარი კრიტერიუმების დადგენა. ამასთანავე, აქტანტური დერივაცია და კომპოზიტური სიტყვაწარმოება ძირითადად ერთი და იმავე საშუალებით **დ-(ი)** და **დ-ალ** ელემენტების საშუალებით ხდება. ზოგიერთი ავტორი მათ სუფიქსებად განიხილავს გრამატიკალიზაციის ხარისხიდან და შედგენილი სიტყვის პროსოდიული მახასიათებლებიდან გამომდინარე (Harris, 2009, Wichers Schreur, 2024). თავის სადისერტაციო ნაშრომში ი. ვ. სხრელი ერთმანეთისაგან მიჯნავს მეშველ ზმნად გამოყენებულ **დ-(ი)-არ** ზმნასა და ზმნისართებისა და ზედსართავებისაგან ზმნების მაწარმოებელ იმავე ზმნას, რის საფუძვლადაც იგი მისი გრამატიკალიზაციის ხარისხსა და სისტემურობას ასახელებს (Wichers Schreur, 2024, p. 171). ავტორის აზრით, ისინი მხოლოდ ზედაპირულად ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ სინქრონიულ დონეზე ნაზედსართავალი და ნაზმნიზედარი ზმნების მაწარმოებელი იგივე მორფემა სუფიქსად უნდა გაანალიზდეს. წინამდებარე ნაშრომში აღნიშნული მეშველი ზმნის საშუალებით ნაწარმოები ყველა ერთეული ერთად არის განხილული. მიუხედავად იმისა, რომელი მეტყველების ნაწილია მეორე კომპონენტად მასთან ერთად, იგი ერთგვარ მორფოსინტაქსურ ბუნებას ავლენს.

რთული ზმნების პირველ კომპონენტად შეიძლება წარმოდგენილი იყოს არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი და ზმნისართი.

ცხრილი 5. რთული ზმნების სტრუქტურა

საყრდენი ფუძე	დ-(ი)-არ	დ-ალ-არ
არსებითი სახელი	გარდამავალი ზმნა	გარდაუვალი ზმნა
ზედსართავი სახელი	გარდამავალი ზმნა	გარდაუვალი ზმნა
ზმნისართი	გარდამავალი ზმნა	გარდაუვალი ზმნა

როგორც უკვე აღინიშნა, არსებითი სახელი შესაძლოა დაუკავშირდეს არა მხოლოდ **დ-(ი)-არ** და **დ-ალ-არ** ზმნებს, არამედ სხვა, ნაკლებად პროდუქტიულ ერთეულებსაც, როგორებიცაა: **დ-ოტ-არ**, **დ-ახ-არ** „წასვლა“, **დ-ის-არ** „დარჩენა“, **ა□-არ** „თქმა“ და სხვ. ამასთანავე, **დ-ალ-არ-ითა** და საკუთრივ წოვათუშური არსებითი

სახელებით ნაწარმოები გარდაუვალი ზმნები ნაკლებად პროდუქტიულია, მაშინ, როდესაც ის მაქსიმალური პროდუქტიულობით გამოირჩევა ზედსართავ სახელებთან, ზმნისართებთან და ქართულიდან ნასესხებ ნაზმნარ სახელებთან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე ხშირად გამოყენებულ ზნას, **დ-(ი)-არ** „1. კეთება, შექმნა“ აწმყო დროში ფუძე არ გააჩნია და რეალიზდება მხოლოდ კლასნიშნით. მას მოსდევს მწკრივის სუფიქსი და სხვა ფლექსიური ბოლოსართები. ნამყოს მწკრივებში კი კლასის ნიშნის მომდევნო პოზიციაში წარმოდგენილია **-ი**. გარდა ამისა, იგი აქტანტური დერივაციისთვის, გარდამავლობის მაწარმოებლადაც გამოიყენება და გარდაუვალი ზმნებისაგან გარდამავალ ზმნებს წარმოქმნის. **დ-ალ-არ** კი სინქრონიულ დონეზე ლექსიკურ მნიშვნელობას მოკლებული ერთეულია.

ამგვარად, წოვათუშური ენის რთული ზმნა შედგება ბრუნებადი სიტყვისა და ზმნური ნაწილისაგან, რომელიც დაირთავს მთავარ ფლექსიურ ელემენტებს. ზოგიერთი ზმნა მხოლოდ ზოგად შინაარსს გამოხატავს, მოძრაობას, გარდასახვას და ა.შ. და სემანტიკის მეტი სიმძიმე სახელურ ნაწილზე მოდის. ზმნურ კომპონენტს უფრო მაზმნავებელი ფუნქცია აქვს, ვიდრე კონკრეტული შინაარსის გადმოცემის.

რთული ზმნის პირველი კომპონენტი – არსებითი სახელი შეიძლება წარმოდგენილი იყოს: 1) აბსოლუტივის, 2) გამსჭვალვითის, 3) ვითარებითის, 4) ინსტრუმენტალისისა და 5) ალატივის ბრუნვათა ფორმებით. ვინაიდან რთული ზმნების დიდი ნაწილი ზმნური სინტაგმისგან მომდინარეობს, სახელადი ნაწილი დგას ყველა იმ ბრუნვაში, რომელიც წოვათუშურში განკუთვნილია პირდაპირი და ირიბი დამატებისთვის. ამგვარად, არსებითი სახელისა და მეშველი ზმნის საშუალებით წარმოიქმნება შემდეგნაირი მორფოლოგიური სტრუქტურა:

[N-{ABS, INST, ALL, ADV, CONT} + (CL)] – V → V

მოცემული კონსტრუქციები სრულად ლექსიკალიზებული არ არის. ისინი იქცევიან, როგორც შედგენილი შემასმენლები. ამიტომ ზმნური ნაწილი, თუკი ის კლასნიშნიანია, ხშირად ასახავს აბსოლუტივში მდგარი სახელის გრამატიკული კლასის ნიშანს. ზმნა თავისსავე სახელურ ნაწილს ეთანხმება კლასში და არა სხვა აქტანტს.

ხშირია რთული ზმნის მეორე კომპონენტად შედგენილი ზმნის გამოყენების შემთხვევები. ამგვარად, თუ კომპოზიტურ სახელებში დიდ იშვიათობას წარმოადგენას ორზე მეტკომპონენტის სიტყვები, ზმნებში ეს ხშირი და ჩვეულებრივი მოვლენაა.

რთული ზმნების შინაარსი უმეტესად გამჭვირვალეა. მისი კომპონენტების ჯამი ქმნის ახალი ლექსიკური ერთეულის შინაარსს, მაგრამ ზოგჯერ ხდება მეტაფორიზება და რთულია შემადგენელი ნაწილების მიხედვით შინაარსის გამოცნობა.

წოვათუშურ ენაში აბსოლუტივი წარმოადგენს გარდაუვალი ზმნის სუბიექტისა და გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტის ბრუნვას. ამასთანავე, შეიძლება ითქვას, ის არის ერთადერთი ბრუნვა, რომელში მდგარ არსებით სახელსაც ეთანხმება ზმნა კლასში. გამონაკლის შემთხვევებში, ერგატივში მდგარი გარდაუვალი ზმნის სუბიექტიც მონაწილეობს ზმნასთან კლასში შეთანხმებაში (Holisky, 1987).

არსებითი სახელებისაგან ზმნების წარმოება დამხმარე ზმნების მეშვეობით წოვათუშურში ძალიან პროდუქტიულია. შესაბამისი მაწარმოებლების დართვით მიიღება როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი ზმნები. სემანტიკურად მთავარი ელემენტი ამ შემთხვევაშიც არსებითი სახელია, მეშველი ზმნის შინაარსი კი უმთავრესად განზოგადებულია. რთული ზმნის კომპონენტად წარმოდგენილი სხვა მეტყველების ნაწილებისაგან განსხვავებით, არსებით სახელსა და ზმნას შორის ხდება კლასში შეთანხმება. საზოგადოდ, როგორც უკვე აღინიშნა, ზმნაში აბსოლუტივში, იშვიათად კი ერგატივში მდგარი აქტანტის გრამატიკული კლასი აისახება. გამომდინარე იქიდან, რომ განსახილველ კონსტრუქციაში სახელი შეიძლება იდგეს როგორც აბსოლუტივში, ისე ირიბ ბრუნვებში, კომპონენტთა შორის შიდა შეთანხმება ყოველთვის არ გვაქვს. მხოლოდ ის სახელი, რომელიც ისტორიულად წარმოადგენდა ამ ზმნის პირდაპირ დამატებას, განაპირობებს ზმნასთან კლასში შეთანხმებას. სხვა შემთხვევებში კი ზმნა სხვა არგუმენტს, პირდაპირ დამატებას ეთანხმება.

ამგვარად, როდესაც არსებით სახელს დაერთვის **დ-(ი)-არ** და **დ-ალ-არ** მეშველი ან სხვა ტიპის ზმნები, განირჩევა ორი შემთხვევა:

- (1) ზმნური ნაწილი ასახავს წინამავალი არსებითი სახელის გრამატიკულ კლასს, ანუ იგი გააზრებულია მის პირდაპირ დამატებად. ამ შემთხვევაში აბსოლუტივში მდგარი მეორე აქტანტი აღარ გააჩნია ზმნას;
- (2) ზმნური ნაწილი არ ასახავს წინამავალი არსებითი სახელის გრამატიკულ კლასს. იგი სხვა, აბსოლუტივში მდგარ აქტანტს, ობიექტს ეთანხმება კლასში.

კლასში შეთანხმება რთული ზმნის კომპონენტებს შორის. განსახილველი სტრუქტურის მქონე რთული ზმნები, მიუხედავად ლექსიკალიზების გარკვეული ხარისხისა, უფრო პრედიკატულ კონსტრუქციებს წარმოადგენს, ვიდრე რთულ ზმნებს, რადგან სახელადი ნაწილი გარკვეულ მოდიფიცირებას ექვემდებარება, მას შესაძლოა:

- (ა) დაერთოს სხვადასხვა ტიპის განსაზღვრება;
- (ბ) მხოლოებითი რიცხვის ფორმას ჩაენაცვლოს მრავლობითი;
- (გ) შეიცვალოს სინონიმური ერთეულით;

რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, შესაძლოა, სახელური და ზმნური ნაწილი ერთმანეთისაგან გათიშული იყოს წინადადების სხვა წევრებითა და დეიქტური პრეფიქსებით. ამასთანავე, სიტყვათა რიგი ექვემდებარება ცვლებას – ზმნური ნაწილი შეიძლება წინ უსწრებდეს სახელურს (Wichers Schreur, 2004). ამგვარად, ისინი უფრო სინტაქსური ფრაზის ბუნებას ავლენს, ვიდრე კომპოზიტისას და იშვიათად ატარებს იდიომატურ შინაარსს.

კომპონენტებს შორის არსებულ კლასში შეთანხმებას აჩვენებს ქვემოთ მოცემული მაგალითები:

ბაქა □ **არ** „შეთანხმება, პირის მიცემა, სიტყვის მიცემა“

(20) **ბაქ-ბ-აჲ** □ **-ნ-ათხ** **ვაშბი-ნ.**

პირი.B-CL.B-მიცემა-1PL.ERG ერთმანეთი-DAT

„სიტყვა მივეცი ერთმანეთს.“

(ქადაგიძე და ქადაგიძე, 1984, გვ. 82)

ბოთხთეგბარ „მუშაობა (მუშაობს), საქმის კეთება“

(21) დინა □ ის სავთე-□ ბოთხ თეგ-ბ-ო-ს.

ყოველდღე ცხრა საათი-ESS საქმე.B კეთება-CL.B-PRS-1SG.ERG

„ყოველდღე ცხრა საათს საქმეს ვაკეთებ.“

(ქადაგიძე და ქადაგიძე, 1984, გვ. 202)

გონ □ ა □ არ „ჭკუის დაკარგვა, გაოცება, გამტერება“

(22) ლეთხანხო-ჩ □ ჩა-ა-გ □ □ ეჭ-უ-ჩ □ ბადრ-ი-გო □ □

ცეკვა-OBL დათვი-OBL-ALL ყურება-PRS-NMLZ ბავშვი-PL-ALL

გონ □ ა-ა □ -ე^ნ.

გონება.J CL.J-დაკარგვა-AOR

„მოცეკვავე დათვის მაყურებელმა ბავშვებმა გაოცებისაგან ჭკუა დაკარგეს.“

(ქადაგიძე და ქადაგიძე, 1984, გვ. 127)

ბეკიბარ „ხუმრობა (ხუმრობს)“

(23) ოჯუს ბეკი ცო ბ-ო-გ □.

3SG.ERG ხუმრობა.PL.B NEG CL.B-PRS-PRT

„ის აღარ ხუმრობს.“

(ქადაგიძე და ქადაგიძე, 1984, გვ. 88)

ამბუდარ „საუბარი, ლაპარაკი, მოლაპარაკება“

(24) ო სტაკ-ო-ვ გამუ-შ ა-ორ ამბუდ.

3SG კაცი.V-OBL-ERG მრუდე-ADV CL.J-IPFV ამბავი.J

„ის კაცი არასწორად ლაპარაკობდა.“

(ქადაგიბე და ქადაგიბე, 1984, გვ. 112)

(25) გარ, ჰე⁶ ო-ო-ს ო-გ⁶ ამბუდ.

PRT, მერე CL.J-PRS-1SG.ERG 2SG.ALL ამბავი.J

„მოიცა, მერე გეტყვი შენ ამბავს, გელაპარაკები.“

(ქადაგიბე და ქადაგიბე, 1984, გვ. 113)

(26) ათხ ჩუ⁶ ამბუდ ვად-ლე-შ ო-ო-თხ.

1PL.EXCL.ERG შინ ამბავი.J 1PL.INCL-ADJZ-ADV CL.J-PRS-1PL.EXCL.ERG

„ჩვენ შინ ჩვენებურად (ე.ი. ბაცბურად) ვლაპარაკობთ.“

(ქადაგიბე და ქადაგიბე, 1984, გვ. 244)

მარხდარ „მარხულობა (მარხულობს)“

(27) სე ყადნ-ჩ⁶ აგ-ა-ს გეფს-⁶ შა-წ მარხ⁶ დ-ორ.

ჩემი მოხუცი-OBL ბებია-OBL-ERG კვირა-ADV ორი-ჯერ მარხვა.D CL.D-IPFV

„ჩემი მოხუცი ბებია კვირაში ორჯერ მარხულობდა.“

(ქადაგიბე და ქადაგიბე, 1984, გვ. 409)

ცარკ და⁶არ „ჩაკბეჩა, კბენა“

(28) კოტრ-ე-ხ ცარკ ო-ა⁶ო⁶-ნ-ას.

ქადა-OBL-CONT კბილი.J CL.J-მიცემა-AOR-1SG.ERG

„ქადა ჩავკბიჩე.“

(ქადაგიბე და ქადაგიბე, 1984, გვ. 344)

(29) გოჭ-ენ ფ⁶არ-ა-ვ ცარკ ო-ა⁶-ი⁶.

გოჭი.D-OBL-DAT ძალღი.B-OBL-ERG კბილი.J CL.J-მიცემა-AOR

„ძალღმა გოჭი დაკბინა.“

(ქადაგიძე და ქადაგიძე, 1984, გვ. 721)

ბუ[□]ბარ „ჩხუბი (ჩხუბობს)“

(30) **ოკარ ვაშბი-ცი^ნ ბუ[□] ცო ბ-ო.**

3PL.ERG ერთმანეთი-COM ომი.B NEG CL.B-PRS

„ისინი ერთმანეთს არ ეჩხუბებიან.“

(ქადაგიძე და ქადაგიძე, 1984, გვ. 101)

დუ[□] დო[□]დარ „გაღესვა, მოპირვა“

(31) **ნაჯჯ-ენ-ნ დუ[□] დ-ო[□]-დ-ინ-ას.**

ნაჯახი.J-OBL-DAT პირი.D CL.D-მოყვანა-CL.D-AOR-1SG.ERG

„ნაჯახს პირი გავუწყე.“

(ქადაგიძე და ქადაგიძე, 1984, გვ. 218)

სა დუ[□]ხ დახარ „სუნთქვა (სუნთქავს)“

(32) **მიტრო-ს კოკორუ-შ სა დ-უ[□]ხ დ-ა[□]ც-ი^ნ.**

მიტრო-ERG ღრმა-ADV სული.D CL.D-უკან CL.D-ამოღება-AOR

„მიტრომ ღრმად ამოისუნთქა.“

(ქადაგიძე და ქადაგიძე, 1984, გვ. 517)

როგორც დასახელებული მაგალითებიდან ჩანს, ამგვარ რთულ ზმნებს აბსოლუტივში მდგარი აქტანტი არ გააჩნია. მათი სახელური ნაწილი გააზრებულია პირდაპირ ობიექტად და წარმოადგენს აბსოლუტივში მდგარ ერთადერთ პირს.

მსგავსი მაგალითებია: **ბჟარკ -ბ-არ** „გათვალვა, თვალის კვრა“, **ქოკ-□ა[□]ც-ბ-არ** „გასრესა, გაჭყლეტა“, **ბეკ-ხეთ-არ** „გაკვირვება (გაუკვირდება), განცვიფრება“, **ბჟარკ-ბ-ე[□]ც-ბ-ალ-არ** „დაბინდება“, **დიბ-ბ-ა[□]-არ** „შეფიცვა (შეპფიცავს), ფიცის მიცემა“, **ყა-ბ-არ** „ცოდვის ქმნა (შესცოდებს)“, **დედ დ-ო[□]-არ** „დაუძლურება“, **ფ[□]ათუ-□-ეტ-არ** „გაბრაზება“, სიტყვასიტყვით: ფილტვების დასკდომა, **ნჟაპ ო-ო[□]-მ-არ** „ძილის

მოყვანა, დაძინება“, **ნიწყ ბ-არ** „ძალის დატანება (ძალას [და]ატანს), ძალის ხმარება, ძალადობა“, **ნიწყ ბ-ავ-ბ-არ** „ძალის დაკარგვა, გამოფიტვა, დაუძღვრება“, **ნოტყ □-არ** „დაჩირქება“, **ბუქნ-□-არ** „ბუქნა (ბუქნავს)“ და სხვ.

უკლასნიშნო ზმნებთან კი ხდება კომპონენტთა მარტივი შეკავშირება, მაგალითად:

(33) **ბაქ ა□ -არ**

პირი თქმა-MSD

„გალანძღვა (გალანძღავს)“

(34) **სა-ხიტ-არ**

სული-გაწყვეტა-MSD

„შეშინება (შეეშინდება), გულის გახეთქვა, დაფრთხობა“

(35) **ზაყყ-იხ-არ**

ზარი-სვლა-MSD

„ზარვა (იზარება)“

რამდენიმე არსებითი სახელი გავრცობილია -არ ბოლოსართით, რომლის ფუნქციაც ნათელი არ არის. ასეთი მაგალითებია: **მათხარ-დ-ალარ** „1. [და]ჭკნობა ([და]ჭკნება) 2. გახუნება (გახუნდება), ფერის წასვლა“; **მათხარ-დ-არ** „1. [და]ჭკნობა ([და]აჭკნობს) 2. [გა]ხუნება ([გა]ახუნებს)“, შდრ. **მათხ** „მზე“; **ნიწყარ-დ-არ** „1. გაღონიერება ([გა]აღონიერებს) 2. გამწვანება“, შდრ. **ნიწყ** „ძალა“ და სხვ.

არსებითი სახელი ირიბ ბრუნვაში პირველ კომპონენტად. რთული ზმნის კლასში შეთანხმება სხვა აქტანტთან. როგორც უკვე ითქვა, რთული ზმნის კომპონენტებს შორის ყოველთვის არ ხდება კლასში შეთანხმება. მოცემულ ქვეჯგუფში ისეთი სახელები შედის, რომელთა პირველი წევრიც ირიბ ბრუნვათაგან ერთ-ერთში – გამსჭვალვითში, მიმართულებითში ანდა მოქმედებითში დგას. ვინაიდან მოცემულ შესიტყვებებში სახელური ნაწილი არ წარმოადგენს პირდაპირ დამატებას, ცხადია, მათი შეთანხმება ზმნასთან, კლასის ნიშნით აღნიშვნა არ ხდება. ამასთანავე, სახელური

ნაწილი იშვიათად ექვემდებარება მოდიფიცირებას, ლექსიკალიზაციის უფრო მაღალი ხარისხით გამოირჩევა და გაკომპოზიტებულია.

(36) **ქორთ-ი-ხ** **დ-ა□-არ**

თავი -OBL -CONT CL.D-ასვლა -MSD

„თავს გასვლა, გათავხედება“

(37) **ამბ-ო-ხ** **დ-ახ-არ**

ამბავი -OBL-CONT CL.D- წასვლა -MSD

„მასლაათი, მუსაიფი“

(38) **დალ-ე-ღ** **დ-არ**

ღმერთი-OBL-ADV CL-MSD

„გაღმერთება (გააღმერთებს)“

(39) **ქორ-დ-არ**

ხელი.OBL- CL.D - MSD

„შოვნა (იშოვის)“

(40) **ნახ-ა-ხ** **დ-აწ-არ**

ხალხი- OBL-CONT CL.D-დევნა-MSD

„გარყვნილება“

(41) **აჯ-ე-ღ** **დ-ერწ-არ**

მხეცი-OBL- ADV CL.D-მობრუნება-MSD

„გამხეცება (გამხეცდება), მხეცად გადაქცევა“

(42) **ქოკ-ი-გ□** **დ-ა□ით-არ**

ფეხი-PL-ALL CL.D-გაგზავნა-MSD

„გადატანა(ფეხს გაატანინებს), გათელვა, გასრესა“

(43) **ქორთ-ი-ხ დ-ილლ-არ**

თავი-OBL-CONT CL.D-დადება-MSD

„თავის თავზე აღება (თავის თავზე აიღებს), ვალდებულება, კისრება“

(44) **ბაქ-ა-ხ-ჭა-დ-ით-არ**

პირი-OBL.PL-CONT-დაწვევა-CL.D-CAUS-MSD

„პირღებინება“

(45) **ვაი-სო-ხ დ-არ**

ვაი-მე-CONT CL.D-MSD

„ვალალი, გოდება“

მოცემული სტრუქტურის რთული ზმნები ხშირ შემთხვევაში ერთ მორფოლოგიურ მთლიანობას წარმოადგენს. კომპონენტები ერთმანეთისაგან იშვიათად არის გათიშული და სახელური ნაწილი ცვლილებებს არ ექვემდებარება.

4.2. ნაზედსართავალი ზმნები

წოვათუმურ ენაში ზედსართავი სახელებისაგან ზმნების წარმოების მხოლოდ ერთი სტრატეგია არსებობს. ნაზალიზებულ ხმოვანჩამოცილებული ზედსართავის ძირზე **დ-(ი)-არ** „კეთება“ მეშველი ზმნის დართვით მიიღება მოქმედებითი შინაარსის გარდამავალი ზმნა, **დ-ალ-არ** ზმნით კი გარდაუვალი, ძირითადად ანტიკაუზატიური ერთეულები. ზოგჯერ ბოლოკიდური ხმოვნის ჩამოცილების შემდეგ ზედსართავს დაერთვის **-არ** ელემენტი, რომლის ეტიმოლოგიაც ნათელი არ არის. ამგვარად, ნაზედსართავალი ზმნები ყოველთვის წყვილად გვხვდება – გარდამავალი და გარდაუვალი.

კ. ჭრელაშვილი **-ლა** სუფიქს ვნებითი გვარის მაწარმოებლად მიიჩნევს (ჭრელაშვილი, 2002, გვ. 218). იგი მსჯელობის მიღმა ტოვებს ნასახელარ და ნაზედსართავალ ზმნებს, მაგრამ აქტანტური დერივაციის განხილვისას გამოთქვამს

თვალსაზრისს, რომ სხვა ნახურ-დაღესტნური ენებისაგან განსხვავებით, წოვათუშურს გვარის მკაფიოდ ჩამოყალიბებული სისტემა აქვს (იქვე, გვ. 219). ავტორის აზრით, **დ-(ი)-არ** და **დ-ალ-არ** სუფიქსების ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმების წარმოება წარმოადგენს და ცალკე ქვეთავადაც გამოყოფს გვარს თავის მონოგრაფიაში. იგი დაასკვნის: „ჩვენი დაკვირვებით წოვა-თუშურ ზმნას აქვს ჩამოყალიბებული გვარის მორფოლოგიური კატეგორია...ვნებითი გვარის მაწარმოებელია -**ლა** ელემენტი“ (იქვე, გვ. 219). უნდა აღინიშნოს, რომ **დ-ალ-არ** ზმნა-**ლა** სუფიქსის სახით რეალიზდება აწმყოსა და მისგან ნაწარმოებ უსრულ ფორმებში, იკარგება კლასის ნიშანი და სუფიქსის ხმოვნითი ნაწილი, რომელსაც დაერთვის აწმყოს მწკრივის მაწარმოებელი -**ა** (Hauk & Harris, 2018, p. 26). ამდენად, თუნდაც დავუშვათ, რომ ვნებითი გვარის გადმოცემაა მისი ძირითადი ფუნქცია, ის ამ ფორმით მხოლოდ დრო-კილოთა ზოგიერთ (ორ) ფორმაში გამოიყენება და არა მთელ სისტემაში. ავტორი მიუთითებს, რომ „ვნებითის ფორმებში ხდება ანალიზურ და სინთეზურ ზმნათა უნიფიცირება, რის შედეგადაც უღლების პარადიგმა ერთ ტიპს ქმნის“ (ჭრელაშვილი, 2002, გვ. 220). როგორც ზემოთ აღინიშნა, **დ-ალ-არ** დართული ზმნა ამგვარ სახეს მხოლოდ აწმყო დროში იღებს, იკარგება კლასის ნიშანი და შესაბამისად, შედგენილი, რთული წარმოების ზმნა ერთგვარ მარტივ სახეს იღებს. გარდა ამისა, **-ლა** სუფიქსი ნაზედსართავალ ზმნებთან ქმნის ვნებითი გვარის მსგავს გაგებას, ოპოზიციას აქტიური შინაარსის ზმნასთან, თუმცა მისი ფუნქცია მხოლოდ ფრაგმენტულად ვერ განისაზღვრება. მთელ ენობრივ სისტემაში ის აწარმოებს მრავალგვარი შინაარსის გარდაუვალ ზმნას, რომელთა სუბიექტი არ არის მოქმედების განმცდელი. ამ მხრივ წოვათუშური მსგავსებას ავლენს ნახურ-დაღესტნურ ენათა უმრავლესობასთან. ამგვარად, ეჭვქვეშ დგება მისთვის გვარის მაწარმოებლის სტატუსის ერთმნიშვნელოვნად მინიჭება.

ზედსართავებისაგან ზმნების წარმოება ზემოთ განხილული საშუალებით წოვათუშურში ძალიან პროდუქტიულია. თუ სემანტიკა იძლევა საშუალებას, შეუზღუდავად წარმოიქმნება როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი ზმნები.

ზედსართავი სახელი

გარდამავალი ზმნა

გარდაუვალი ზმნა

წეგე ^ნ „წითელი“	წეგ-დ-არ „გაწითლება ([გა]წითლებს)“	წეგ-დ-ალ-არ „გაწითლება (წითლდება)“
მუსტი ^ნ „მჟავე“	მუსტ-დ-არ „დამჟავება ([და]ამჟავებს)“	მუსტ-დ-ალ-არ „დამჟავება ([და]მჟავდება)“
დ-აჯკო ^ნ „დიდი“	დ-აჯ-დ-არ „გაზრდა ([გა]ზრდის)“	დ-აჯ-დ-ალ-არ „გაზრდა ([გა]იზრდება)“
ფშელი ^ნ „ცივი“	ფშელ-დ-არ „გაცივება (გააცივებს, გაცივდება)“	ფშელ-დ-ალ-არ „გაცივება (გაცივდება)“
კაწკო ^ნ „პატარა“	კაწკარ-დ-არ „დაპატარავება ([და]აპატარავებს)“	კაწკარ-დ-ალ-არ „დაპატარავება ([და]აპატარავდება)“
მოსი ^ნ „ცუდი“	მოსარ-დ-არ „გაცუდება ([გა]აცუდებს)“	მოსარ-დ-ალ-არ „გაცუდება (ცუდება)“
ვადო ^ნ „1. მავნე, მაწყინარი 2. უკმეხი, მკაცრი“	ვადარ-დ-არ „1. გაარჯლება ([გა]უარჯლებს), 2. გაჯავრება ([გა]აჯავრებს)“	ვადარ-დ-ალ-არ „1. გაარჯლება (გაარჯლდება) 2. გაანჩხლება, გაავება“

ნაზედსართავალ ზმნებს წოვათუშურში, ცხადია, ისეთივე მორფოსონტაქსური მახასიათებლები აქვს, როგორც სხვა გარდაუვალ და გარდამავალ ზმნებს. გარდაუვალი ზმნები, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, ასახავს აბსოლუტიურ ბრუნვაში მდგარი სუბიექტის კლასის ნიშანს (მაგალითები 46, 48), გარდამავალი კი – პირდაპირი ობიექტისას (მაგალითები 47, 49). ამგვარად, ზმნა კლასში ეთანხმება აბსოლუტივში მდგარ აქტანტს:

კუ□-დ-ალ-არ „გათეთრება ([გა]თეთრდება), გაჭალარავება“

(46) სე^ნ მამი□ და□აჭ კუმ-დ-ალ-ი^ნ

ჩემი მამიდა.J მთლად თეთრი-CL.J-INTR-AOR

„ჩემი მამიდა მთლად გაჭალარავდა.“

კუ-დ-არ „გათეთრება (გაათეთრებს)“

(47) ყან-ლ-ე-ვ ბეჯ კუ-ი-ე-სე ბიძ-ი-ნ

მოხუცი-ABSTR-OBL-INSTR თმა.J თეთრი-CL.J-PST ჩემი ბიძა-OBL-DAT

„სიბერემ თმა გაუთეთრა ჩემ ბიძას.“

ფშელ-დ-ალ-არ „გაცივება (გაცივდება)“

(48) შურ ფშელ -ლ -ა.

რძე ცივი -INTR-PRS

„რძე ცივდება.“

ფშელ-დ-არ „გაცივება (გააცივებს, გაცივდება)“

(49) საბლახი^ნ ქოკ-ი-გორენდა^ნ ფშელო-ვ-^ნ სტაკ

მეტწილად ფეხი-PL-POST ცივი-CL.V-PRS კაცი.V

„მეტწილად ფეხებიდან ცივდება (აცივებს) კაცი.“

არსებით სახელთა მსგავსად, ზოგიერთი ზედსართავი სახელიც განვრცობილია -არ ელემენტით, რომლის ეტიმოლოგიზებაც ჭირს. მაგალითად:

ბახარ-დ-არ „გამდიდრება ([გა]ამდიდრებს)“, შდრ. ბახ „მდიდარი“;

დუ-არ-დ-არ „გამრავლება ([გა]ამრავლებს)“, შდრ. დუკ „ბევრი“;

მოსარ-დ-არ „გაცუდება ([გა]აცუდებს), ცუდად გამოყვანა“, შდრ. მოსსი^ნ

„ცუდი“;

კაწკარ-დ-არ „შემცირება, დაკლება“, შდრ. კაწკო^ნ „პატარა“ და სხვ.

4.3. ნაზმნიზედარი ზმნები

წოვათუშური ენაში მოიპოვება ზმნიზედებისაგან ნაწარმოები ზმნებიც. აღნიშნული გზით მიღებული ერთეულები, დანარჩენთა მსგავსად, light verb კონსტრუქციებს წარმოადგენენ. სემანტიკური სიმძიმე ამ შემთხვევაშიც ზმნისართზე მოდის, ზმნური კომპონენტი კი ფლექსიურ ელემენტებს დაირთავს. იმის მიხედვით,

რომელი ზმნა არის წარმოდგენილი მეორე კომპონენტად, ნაწარმოები ზმნა შეიძლება იყოს როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი და აქვს შესაბამისი მორფოსინტაქსური სტრუქტურა. ზედსართავთა მსგავსად, ზმნისართებისაგან ზმნას, როგორც წესი, **დ-(ი)-არ** „კეთება“ და **დ-ალ-არ** მეშველი ზმნები აწარმოებს. პირველ შემთხვევაში მიიღება გარდამავალი, მეორეში კი – გარდაუვალი ზმნა.

ნათქვამის გათვალისწინებით, ნაზმნიზედარი ზმნების სტრუქტურა წოვათუშურში ასეთია: [ADV + V]_v. მაგალითად, **სო** „აქეთ“ ზმნისართს დაერთვის **დ-(ი)-არ** ელემენტი და წარმოიქმნება რთული ზმნა **სო-დ-არ** „გამოდება, დახურვა“. სხვა მსგავსი მაგალითები წარმოდგენილია ქვემოთ:

გარგ-დ-ალ-არ „მიახლოება, მოახლოება, დაახლოება“, შდრ. **გარგ** „ახლოს“.

(50) **დო**ა **გარგ-დ-ალ-ი**^ნ

გაზაფხული. J ახლოს-CL.J-INTR-AOR

„გაზაფხული მოახლოვდა.“

გარგ-დ-არ „დაახლოება (დაახლოებს), მიახლოება“

(51) **მეცხვარე-ი-ვ** **ჟე** **შირიქა-ნ** **გარგ-დ-ი-ე**^ნ

მეცხვარე-PL-ERG ცხვარი.D შირაქი-DAT ახლოს-CL.D-TR-AOR

„მეცხვარეებმა ცხვარი შირაქს მიუახლოვეს.“

კიკელ-დ-არ „ქვეშ დაგება“, შდრ. **კიკელ** „ქვეშ“

(52) **ის** **ბადრ-ე-ნ** **ნაბდურ** **კიკელ-დ-ე-ბ-ათ**

MED ბავშვი-OBL-DAT ნაბადი ქვეშ-CL-IMP-PL

„მაგ ბავშვს ქეჩა დაუგეთ ქვეშ.“

ცხადია, ზმნისართი ყოველთვის არ მონაწილეობს სიტყვაწარმოებაში. სხვა ზმნებთან ის მხოლოდ მოქმედების მიმართულებას აღნიშნავს. მაგალითად, **სო-დ-ატარ** „გამოქცევა (გამოიქცევა)“, შდრ. „გაქცევა (გაიქცევა)“; **სო-ეც-არ** „გადმოღება

(გადმოიღებს)“, შდრ. ეც-არ „აღება“; სო-დ-ა□-არ მოტანა (მოიტანს), შდრ. დ-აყ-არ „მოტანა“ და სხვ.

4.4. ქართულიდან ნასესხები ზმნები

მოცემული ქვეთავი დიდწილად ეყრდნობა ჩემს სტატიას „ქართულიდან ნასესხები ზმნები წოვათუშურ ენაში“ (კაკაშვილი, 2023).

ქართული ენიდან ნასესხები ზმნური ფორმები წოვათუშურში საკმაოდ ბევრია და ლექსიკური ფონდის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ქადაგიძეების ლექსიკონში (1984) აღრიცხულია ქართული ენიდან ნასესხები 500 ზმნური ერთეული (Wichers Schreur, 2024, p. 171).

ქართულის გავლენა წოვათუშურზე დღესდღეობით ძალიან ძლიერია და მოიცავს ენობრივი სისტემის ყველა დონეს. ეს გამოხატულია დიდი რაოდენობის ლექსიკურ ნასესხობებშიც, ვინაიდან, გრამატიკულისგან განსხვავებით, ლექსიკური ერთეულები, ყველაზე ადვილად ემორჩილება სესხებას. სხვა მეტყველების ნაწილებთან შედარებით კი, ყველაზე ხშირად არსებითი სახელების სესხება ხდება. დ. და ნ. ქადაგიძეების ლექსიკონში მოცემული 1819 არსებითი სახელიდან 1259 (60%) ნასესხებია ქართულიდან ან რუსულიდან (Wichers Schreur 2021).

ნასესხები სახელებისაგან განსხვავებით, რომელთა ადაპტაცია წოვათუშურში, ძირითად შემთხვევებში, მხოლოდ ფონეტიკურ ცვლილებებს გულისხმობს, ზმნების ადაპტაცია უფრო რთული და მრავალმხრივი პროცესია. იგი მოიცავს ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და ზოგჯერ სემანტიკურ გარდაქმნასაც.

ქართულიდან წოვათუშურში ზმნების სესხება პირდაპირ, ზმნური ფორმით არ ხდება. წოვათუშური სესხულობს მხოლოდ ნაზმნარ სახელს, მასდარს, და აფორმებს მას საკუთარი დ-(ი)-არ და დ-ალ-არ მეშველი ზმნებით. პირველი მათგანი გარდამავალი შინაარსის ზმნებს აწარმოებს, მეორე კი – გარდაუვლს, როგორც საკუთარი, ისე ნასესხები ფუძეებისგან. დ-(ი)-არ და დ-ალ-არ ელემენტებს, ამ შემთხვევაში აქვთ მაზმნავებელი ფუნქცია, ისინი დაირთავენ ყველა ფლექსიურ აფიქსს, ძირითადი შინაარსი კი სახელადი ნაწილითაა გამოხატული. ამ სახით ხდება ქართული მასდარების ზმნად მარკირება წოვათუშურში.

ზმნების სახელის სახით სესხება საზოგადო მოვლენაა. ზოგიერთი მკვლევრის აზრით კი, ბევრ ენაში ეს ზმნების სესხების ერთადერთი გზაა. მეშველი ზმნის ზოგადი ფორმა არის ზმნა „კეთება“ და მისი მთავარი ფუნქციაც ნასესხები ზმნების ადაპტირებაა ენაში (Wichman & Wohlgemuth, 2008).

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ ზმნების სესხების სამ ძირითად სტრატეგიაზე მსფოლიოს ენათა მასშტაბით: 1) შესაძლოა, ზმნა პირდაპირ ისესხოს ენამ ყოველგვარი მორფოსინტაქსური ადაპტაციის გარეშე; 2) ზოგი ენა ნასესხებ ერთეულს ურთავს მაზმნავებელ ელემენტს, რომელიც დაირთავს ფლექსიურ მორფემებს; 3) მესამე გზა კი ზმნის უცვლელი ნაწილის სესხებაა, რომელიც შედგენილი შემასმენლის ნაწილად გამოიყენება (იქვე).

ვინაიდან ქართულის მასდარები გარდამავლობა-გარდაუვლობის მიხედვით მარკირებული არ არის, წოვათუშურში ისინი ხშირად წყვილადაა წარმოდგენილი, როგორც **დ-(ი)-არ**, ისე **დ-ალ-არ** მორფემებით. ამგვარად, ვალენტობის განსაზღვრა საკუთარი მაწარმოებლებით ხდება, მაგალითად, **გაფანტოდ-დ-ალ-არ** „გაფანტვა (გაიფანტება)“ გარდაუვალაია, **გაფანტოდ-დ-არ** „გაფანტვა (გაფანტავს)“ კი – გარდა-მავალი და სხვ.

დ-(ი)-არ ზმნას დამოუკიდებელი შინაარსიც გააჩნია და „კეთებას“ ნიშნავს, მაგრამ მოცემულ კონსტრუქციაში მისი შინაარსი დიდწილად აბსტრაქტირებულია. დრო-კილოთა უმეტეს ფორმებში ის მხოლოდ კლასის ნიშნის სახით რეალიზდება, აორისტში კი, კლასის ნიშნთან ერთად ი ხმოვანიც ჩნდება. **დ-ალ-არ** ელემენტის ეტიმოლოგია ნათელი არ არის და დამოუკიდებელ ზმნად იგი დღესდღეობით არ გამოიყენება. ამასთანავე, აწმყოსა და მისგან ნაწარმოებ უსრულ ფორმებში იგი კარგავს კლასის ნიშანს და **-ლა** სუფიქსის სახეს იღებს (Hauk & Harris, 2018).

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ყველა ნასესხები ზმნა წოვათუშურში კომპოზიციური წარმოებისაა: ნასესხები მასდარისა და საკუთარი მაზმნავებელი ელემენტების – მეშველი ზმნების გამოყენებით წარმოიქმნება რთული ზმნა. მათი აბსოლუტური უმრავლესობის სტრუქტურა ერთგვაროვანია. წოვათუშურში ნასესხები ფორმების ადაპტირების მხოლოდ ერთი, ზემოთ ნახსენები სტრატეგია არსებობს.

არის ერთეული შემთხვევები, როდესაც წოვათუშურში ქართულიდან ნასესხები არსებითი სახელებისა და **დ-(ი)-არ**, **დ-ალ-არ** მეშველი ზმნების საშუალებით წარმოიქმნება ასევე რთული, კომპოზიტი ზმნა. ეს ხერხი ნაკლებად პროდუქტიულია და ჩვენი დაკვირვების საგანსაც არ წარმოადგენს.

ქართული და წოვათუშური ენების ფონოლოგიური სისტემა ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ განსხვავდება სიტყვათა ფუძისა და თანხმოვანთკომპლექსების სტრუქტურა, ამიტომ წოვათუშური ენის ფონეტიკურ სისტემასთან ადაპტირებისთვის ნასესხებ ნაზმნარ სახელში თავს იჩენს გარკვეული ფონეტიკური ცვლილებები: რედუქცია, მეტათეზისი, ხმოვნის ჩამოცილება და სხვ. წოვათუშურისათვის დამახასიათებელია მრავალმარცვლიანობის თავიდან აცილების ტენდენცია (გაგუა, 1972). ამასთანავე, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, მისთვის უცხოა თანხმოვანთა სამწევრა მიმდევრობები, ამიტომ ხდება სუპერაცია. ქართულიდან ნასესხები ყველა მრავალმარცვლიანი სიტყვა შეძლებისდაგვარად მარტივდება და ერგება წოვათუშურ ფონეტიკურ სისტემას.

გარდა ფონეტიკურისა, ხდება ნასესხები მასდარების მორფოსინტაქსური ადაპტაცია და მათი გაზმნავება ზემოთ ნახსენები მეშველი ზმნების საშუალებით.

ქართულ ენაში მასდარის ყველაზე პროდუქტიული მაწარმოებელია -ა სუფიქსი. ის ზოგჯერ პირდაპირ დაერთვის ზმნურ ფუძეს, ზოგჯერ კი ესა თუ ის თემის ნიშანი უძღვის წინ (გოგოლაშვილი და სხვანი, 2011). საწყისს ასევე აწარმოებს -ილ/-ულ, სი-ილ, სი-ულ აფიქსები.

როგორც უკვე აღინიშნა, წოვათუშური ქართულისაგან მასდარის ფორმებს სესხულობს, უმთავრესად კი -ა სუფიქსით ნაწარმოებ მასდარებს. ამგვარად, ყველა მათგანი ხმოვანზე ბოლოვდება. სხვა აფიქსებით ნაწარმოები ნაზმნარი სახელების სესხება, შეიძლება ითქვას, გამონაკლისს წარმოადგენს.

სესხებისას, რიგ შემთხვევებში, ძირითადად მრავალმარცვლიან ფუძეებს ჩამოცილებული აქვს თემის ნიშანი და მასთან ერთად საწყისის მაწარმოებელიც, მაგრამ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ყველა მათგანში **დ-(ი)-არ** და **დ-ალ-არ** მაწარმოებლების წინ თავს იჩენს -დ თანხმოვანი, მაგალითად, წოვათუშ. **აკლება-დ-დ-არ**← ქართ. **აკლება**, წოვათუშ. **აყრა-დ-დ-არ**← ქართ. **აყრა**, წოვათუშ. **ბრეჟად-დ-ალ-**

არ← ქართ. ბრეკა და სხვ. მე არ შემხვედრია წოვათუშურში ქართულიდან ნასესხები ისეთი ზმნები, რომლებიც ზემოთ აღწერილ წესს არ ემორჩილება და როგორც მარტივი ზმნური ფუძე, ისე გამოიყენება. ზმნების სახელის სახით სესხება საზოგადო მოვლენაა და არაერთ ენაში დასტურდება (Wichman & Wohlgemuth, 2008). აგრეთვე, ყველაზე გავრცელებული ფორმაა მეშველ ზმნად „კეთება“ ზმნის გამოყენება, თუმცა სხვა ზმნებიც იხმარება. საინტერესოა, რომ წოვათუშური წყარო ენის საშუალებებით აქცევს ზმნურ ფუძეს სახელად ანუ მზა მასდარულ ფორმას სესხულობს.

ნასესხები უთემისნიშნო საწყისები თითქმის არანაირ ფონეტიკურ ცვლილებას არ განიცდის, მხოლოდ მაზმნავებელ ელემენტებს დაირთავს და ფორმირდება ზმნად. შესაბამისი მაგალითები მოყვანილია მეექვსე ცხრილში. ისევე როგორც ქართულში, ზმნისწინიანი ფორმები სრული ასპექტისაა, უსზმნისწინო კი უსრულის, ამიტომ ზმნისწინი ფრჩხილებშია მოცემული.

ცხრილი 6. ქართულიდან ნასესხები უთემისნიშნო საწყისები

წოვათუშური	ქართული
(მო)ფხეკა-დ-დ-არ	(მო)ფხეკ-ა
(და)წერა-დ-დ-არ	(და)წერ-ა
ჟლეტა-დ-დ-არ	ჟლეტ-ა
რბევა-დ-დ-არ	რბევ-ა

როგორც უკვე აღინიშნა, თემის ნიშანთა უმრავლესობა ნაწილობრივ ან სრულად იკარგება. ჩვეულებისამებრ, -ებ თემის ნიშანი კარგავს ხმოვნით ნაწილს, იშვიათად სრულადაც უჩინარდება. -ავ თემის ნიშნისეული -ვ კი, რომელსაც საწყისის -ა სუფიქსი მოსდევს, წოვათუშურში -ო-ს იძლევა. ქართული ვა მიმდევრობა წოვათუშურში თითქმის ყოველთვის -ო-ს სახით რეალიზდება.

ცხრილი 7. ქართულიდან ნასესხები თემისნიშნისანი საწყისები

წოვათუშური	ქართული		თარგმანი
აბარგო-დ-დ-ალ-არ	აბარგ-ებ-ა		აბარგება (აიბარგება)

აგრილბა-დ-დ- ალ-არ	აგრილ-ებ-ა		აგრილება (აგრილდება)
ქირბა-დ-დ-არ	დაქირავ-ებ-ა		დაქირავება (იქირავებს)
ბარო-დ-დ-არ	ბარ-ვ-ა		ბარვა (ბარავს)
გამართო-დ-დ-არ	გამართ-ვ-ა		გამართვა (მართავს)
გაფანტო-დ-დ-არ	გაფანტ-ვ-ა		გაფანტვა (ფანტავს)
დამორა-დ-დ-არ	დამორ-ვ-ა		დამორვა (მორავს)

ქართულ ენაში ზმნისწინს არაერთი ფუნქცია აქვს: აღნიშნავს მიმართულებას, ორიენტაციას, აწარმოებს მომავალი დროის ფორმებს, ცვლის სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას, გამოხატავს სრულ ასპექტს და სხვ. (გოგოლაშვილი და სხვანი, 2011, გვ. 308). ქართული ენიდან ნასესხებ ფორმებში ზმნისწინს ხშირ შემთხვევაში შენარჩუნებული აქვს ასპექტის გარჩევის ფუნქცია: ზმნისწინიანი სიტყვები სრული ასპექტისაა, უზმნისწინო კი უსრული, მაგალითად, **გაჟლეტადდარ** „გაჟლეტა“ სრული ასპექტის ფორმაა, **ჟლეტადდარ** – უსრული. მსგავსივეა **გაბედდოდარ** და **ბედოდდარ** „გაბედვა“ და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ზმნა, რომელიც ქართულში ასპექტს განარჩევს, წოვათუშურში უასპექტოდაა გადააზრებული და ზმნისწინიც დაკარგულია. თუ ზმნისწინი ცვლის სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას, ის ყოველთვის შენარჩუნდება, ისევე, როგორც ასპექტის გარჩევისას. სხვა შემთხვევებში კი სრულად იკარგება.

ცხრილი 8. ზმნისწინიანი ფორმების სესხება

წოვათუშური	ქართული	თარგმანი
თავზება-დ-დ-არ	შე-თავაზება	შეთავაზება (სთავაზობს)
ნელბა-დ-დ-არ	მო-ნელება	მონელება (ინელებს)

ოცბა-დ-დ-ალ-არ	გა-ოცება	გაოცება, გაკვირვება (უკვირს)
(და)ქლიბად-დ-არ	გა-ქლიბვა	გაქლიბვა (გაქლიბავს)
(და)წერად-დ-არ	და-წერა	დაწერა (დაწერს)
გამოფულრად-დ- არ	გამო-ფულუროება	გამოფულუროება, ამოღრუტნა (ამოღრუტნის)
გამოცხადბად-დ- ალარ	გამო-ცხადება	გამოცხადება (გამოცხადდება)
გამოცხადბად-დ- არ		გამოცხადება (გამოაცხადებს)
გარიდბად-დ- ალარ	გა-რიდება	გარიდება (გაარიდება)
გარიდბად-დ-არ		გარიდება (გაერიდება)
დატევად-დ-არ	და-ტევა	დატევა (დაუტევს)
მოცდენა-დ-დ-არ, მოცდენა-დ-დ- ალ-არ	მო-ცდენა	მოცდენა (მოაცდენს) მოცდენა (მოცდება)

ზემოთ წარმოდგენილი ემპირიული მასალის საფუძველზე თავისთავად ჩნდება კითხვა ნასესხები ფუძის ბოლოში წარმოდგენილი -დ თანხმოვნის რაობის შესახებ, რომელიც ერთი შეხედვით, უფუნქციო ჩანს. სამეცნიერო ლიტერატურაში მის

შესახებ ვრცელი მსჯელობა არსად გვხვდება, მაგრამ გამოთქმულია ორი თვალსაზრისი: 1) ის ქართული ენის ვითარებითი ბრუნვის ნიშანი უნდა იყოს (Holisky & Gagua, 1994, p. 185) და 2) შესაძლოა გაქვავებულ კლასის ნიშანს წარმოადგენდეს. ამ უკანასკნელ ვარაუდს შეკითხვის სახით სვამს რ. გაგუა თავის წერილში „სესხების ზოგადი წესები ბაცბურში“ (1972), თუმცა მსჯელობა და არგუმენტები ამ საკითხის შესახებ არ არის მოცემული. იგივე შეიძლება ითქვას პირველი ვარაუდის შესახებ. ორივე მოსაზრებას ახლავს წინააღმდეგობები, აჩენს შეკითხვებს და საჭიროებს მეტ დასაბუთებას. რა უნდა იყოს ვითარებით ბრუნვის ან გრამატიკული კლასის ნიშნის ფუნქცია საკვლევ მაგალითებში? როგორც აღინიშნა, ყველა ნასესხები ძირ-ფუძე -დ ელემენტის გარდა, ფორმდება **დ-(ი)-არ** და **დ-ალ-არ** მორფემებითაც. ორივე მათგანი კლასნიშნიანი მეშველი ზმნაა. კლასში ორმაგი შეთანხმება წოვათუშურისთვის ბუნებრივია იმ შემთხვევაში, როდესაც მარტივი ზმნური ფუძე კლასნიშნიანია და მას დაერთვის ზემოთ ნახსენები მეშველი ზმნები, მაგრამ ბუნდოვანია, რა ფუნქცია უნდა ჰქონოდა მეორე, თანაც გაქვავებულ, უცვლელ კლასის ნიშანს მოცემულ ვითარებაში. როგორც წესი, წოვათუშურ ზმნაში ქვავდება აბსოლუტივში მდგარი აქტანტის კლასის ნიშანი, რომელიც შეიძლება იყოს არა მარტო -დ, არამედ, -ბ, -ჟ ან -ვ.

ვითარებით ბრუნვას თანამედროვე ქართულში გარდაქცევითობის გამოხატვისა და ზმნიზედური ფუნქცია აქვს. ვითარებით ბრუნვაში მდგარი საწყისი და მეშველი ზმნა ძველ ქართულში ქმნიდა გარემოებით-მასდარულ და დამატებით-მასდარულ კონსტრუქციებს, აგრეთვე გამოხატავდა მომავალი დროის ფორმებს, მაგალითად, **იწყო ჯოცად, მითხრა მიტანად** და სხვ. (უკლება 2005, გვ. 19), მაგრამ წოვათუშურში ეს ფუნქციები არ ჩანს. თანაც, ამგვარი კონსტრუქციები ახალ ქართულში აღარ გვხვდება. ა. მარტიროსოვი მიუთითებს, რომ ქართულში ვითარებით ბრუნვაში მდგარი მასდარი ვეღარ განვითარდა. X საუკუნიდან მოყოლებული იგი გამოდის ხმარებიდან, ხოლო მიზნის გარემოების ფუნქციით XII-XIII საუკუნეებამდე შემორჩა სალიტერატურო ქართულს (იქვე, გვ. 6). შ. მიძიგურის აზრით, ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი შემოინახა მხოლოდ ცოცხალმა მეტყველებამ, მთის კილოებმა, ხევსურულმა და თუშურმა (იქვე, გვ. 12). წოვათუშური ამჟამადაც ზემოთ აღწერილი ფორმით სესხულობს ზმნებს ქართულიდან.

ქართულში ვითარებით ბრუნვაში მდგარი საწყისი შემასმენლის დამატებას წარმოადგენს, უმთავრესად პირდაპირ დამატებას. ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ეს ფუნქცია არ ჩანს. ქართულიდან ნასესხები მასდარები არ წარმოადგენს წოვათუშური მეშველი ზმნების დამატებას.

რ. ფარეულიძე განიხილავს ქართულ ნასესხობებს ქისტურ დიალექტში და მიუთითებს, რომ აქაც მოქმედებს წოვათუშურის მსგავსი სტარატეგია, -დ სუფიქსით გაფორმებული მასდარი. ავტორი სვამს შეკითხვას ამ სუფიქსის წარმომავლობის შესახებ, მაგრამ მსჯელობა ამ საკითხზე არ არის მოცემული (ფარეულიძე, 2010).

მეშველ ზმნაში, რომელიც მასდარის მომდევნო პოზიციაშია წარმოდგენილი, აბსოლუტივში მდგარი აქტანტის, იშვიათად ერგატივის, კლასის ნიშანი აისახება. როდესაც მოცემული აქტანტი დ კლასს განეკუთვნება, შესაბამისად, მორფემათა მიჯნაზე ორი დ იყრის თავს. ეს წოვათუშურისთვის არაბუნებრივია, ამიტომ ერთ-ერთი მათგანი იკარგება. თუ სახელი სხვა გრამატიკულ კლასს განეკუთვნება, მაშინ არავითარი შეზღუდვა არ მოქმედებს. როდესაც რთულ ზმნაში ორიდან რჩება მხოლოდ ერთი დ, ჩნდება კითხვა, როგორ უნდა კვალიფიცირდეს ის, როგორც მეშველი ზმნისეული კლასის ნიშანი, თუ როგორც მასდარის სუფიქსად წარმოდგენილი ოდენობა? ამა თუ იმ ავტორის მიერ ის ზოგჯერ მეშველი ზმნის ნაწილადაა გაანალიზებული, ზოგჯერ კი – ქართული მასდარის ნაწილად. ვფიქრობ, იგი მეშველი ზმნის პრეფიქსი უნდა იყოს, რადგან მას მაზმნავებელი ფუნქცია აქვს და უმეტეს წილად ის სწორედ მხოლოდ კლასის ნიშნის სახით რეალიზდება. როგორც ზემოთ ვიხილეთ, მის გარეშე ქართული საწყისი ზმნად ვერ მარკირდება წოვათუშურში.

რადგან **დ-ალ-არ** ზმნით ნაწარმოებ ფორმებში კლასის ნიშანი, საზოგადოდ, არასტაბილურია და დრო-კილოთა გარკვეულ ფორმებში იკარგება, მაგალითად მოვიყვანოთ **დ-არ-ით** ნაწარმოებ გარდამავალი ზმნის ფორმებს:

ათქვლეფა-დ-დ-არ „[ამო]თქვლეფა (ამოთქვლეფს)“

(53) ფ□არ-ა-ვ შურ ათქვეფა-დ-მ-ინორ

ძალლი-OBL-ERG რძე.J ათქვეფა-დ-CL.J-EVID

„ძალღს რძე ამოუტქვლეფავს.“

(ქადაგიძე და ქადაგიძე, 1984, გვ. 29)

მოცემულ ზმნაში -**ღ** რძის კლასის ნიშანია.

აკლება-დ-დ-არ „აკლება“

(54) მასთხოვ-ა-ს დედნ□ ფ□ე აკლება-დ-ბ-იღ-ენ^ნ

მტერი-OBL-ERG მთელი სოფელი.B აკლება-დ-CL.B-TR-AOR

„მტერმა მთელი სოფელი აიკლო.“

(ქადაგიძე და ქადაგიძე, 1984, გვ. 33)

პირდაპირი დამატების **ბ** კლასნიშანი -**დ** სუფიქსის შემდგომაა წარმოდგენილი აღნიშნულ ზმნაში.

ქვემოთ მოცემულ მაგალითებში კი მხოლოდ ერთი **დ** გვაქვს, რადგან ორივე მათგანში პირდაპირი დამატება **დ** კლასს განეკუთვნება.

დაწერა-დ-დ-არ „დაწერა“

(55) ას ჟაგნ□ დაწერა-დ-ინ-ას

1SG.ERG წერილი.D დაწერა-CL.D-AOR-1SG.ERG

„მე წერილი (წიგნი) დავწერე.“

(ქადაგიძე და ქადაგიძე, 1984, გვ. 164)

ბექდა-დ-დარ „ბექდვა (ბექდავს)“

(56) ოჯუს ჟაგნუ-ღ ბექდა-დ-ო

3SG.ERG წიგნი.D-PL ბექდვა-CL.D-PRS

„ის წიგნებს ბექდავს.“

(ქადაგიძე და ქადაგიძე, 1984, გვ. 89)

რაც შეეხება თავად **დ**-ს ფუნქციას, შესაძლოა, ის ფონეტიკურ ნიადაგზე იყოს წარმოშობილი. წოვათუშურისათვის დამახასიათებელია მხოლოდ თანხმოვანზე დაბოლოებული ზმნური ძირები (C)V(C)C სტრუქტურის, ხმოვანზე დაბოლოებული ძალზე ცოტაა, დაახლოებით ათამდე. ამაზე ჯერ კიდევ ა. შიფნერი მიუთითებს და ჩამოთვლის შესაბამის ერთეულებს (Schiefner, 1856, S. 51). ქართული მასდარები კი ხმოვანზე ბოლოვდება. **-დ** თანხმოვნის მეშვეობით ხდება ნასესხები მასდარის თანხმოვანფუძიანად გადაქცევა, მაგალითად, **ახუნმად-დ-ალარ← ქართ. ახუნძვლა** (აიხუნძლება), **გამართოდ-დ-არ← ქართ. გამართვა** და სხვ.

როდესაც წოვათუშური თანხმოვანფუძიან სახელს სესხულობს და მეშველ ზმნას ურთავს, მაშინ **დ**-ს არსად ჩანს, იგი „ვითარებითი ბრუნვაში“ აღარ დგას, მაგალითად, **მორს-დ-არ** „მოსრვა“, **ლონარ-დ-არ** „გალონიერება“, **ბადაგ-დ-არ** „მოზადაგება“, **კაკვაგ-დ-არ** „კაკვავი“, **მარხ-დ-არ** „მარხვა“ და სხვ.

ამგვარად, ქართულიდან ნასესხები ფორმების წოვათუშურ ენაში ადაპტაცია მოიცავს რამდენიმე ეტაპს: ა) მიმღები ენის ფონემატურ სტრუქტურასთან მისადაგებას; ბ) ნასესხები სიტყვის გაზმნავებას; გ) მისი ვალენტობის განსაზღვრას: **დ-(ი)-არ** ყოველთვის გარდამავალ ზმნას აწარმოებს, **დ-ალ-არ** კი – გარდაუვალს. ამასთანავე, ზმნად მარკირება და ფლექსიური კლასის განსაზღვრა ერთი და იმავე მაწარმოებლით ხდება.

4.5. დასკვნა

როტული ზმნები წოვათუშურ ენაში უმთავრესად light verb კონსტრუქციებს წარმოადგენს. სახელად ნაწილად შესაძლოა მოცემული იყოს როგორც აბსოლუტივში, ისე ირიბ ბრუნვებში მდგარი არსებითი სახელი. ამ შემთხვევაში გარჩეულია კლასში შიდა შეთანხმება კომპონენტებს შორის და სხვა აქტანტთან შეთანხმება. როტული ზმნის ნაწილად პროდუქტიულია ზედსართავი სახელისა და ზმნისართების გამოყენებაც.

ქართული ენიდან ზმნების სესხება წოვათუშურში მასდარის სახით ხდება, რომელიც ფორმდება წოვათუშური **დ-(ი)-არ** და **დ-ალ-არ** მორფემებით. შესაბამისად, მიიღება გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები. ქართული მასდარის აუსლაუტში წარმოდგენილი **-დ** თანხმოვნის ფუნქციად ფუძის ფონეტიკური ადაპტაცია განისაზღვრა.

ძირითადი დასკვნები

წოვათუშურ ენაში ახალი ლექსიკური ერთეულების საწარმოებლად გამოიყენება როგორც დერივაცია, ისე კომპოზიცია, თუმცა პირველი მათგანი გაცილებით პროდუქტიულია. ამასთანავე, სიტყვათსაწარმოქმნო აფიქსების აბსოლუტური უმრავლესობა სუფიქსებს წარმოადგენს. ჩანს, რომ გრამატიკული კლასის პრეფიქსებს ისტორიულად უნდა ჰქონოდა სიტყვაწარმოების უნარი, მაგრამ მათი ეს ფუნქცია სპორადული იყო.

წოვათუშურ ენაში ძირითა ერთი ნაწილი არამოტივირებულ ერთეულებს წარმოადგენს და არსებით სახელად კატეგორიზდება საგანგებო აფიქსების გარეშე. მეორე ნაწილს კი არსებით სახელად მარკირებისთვის სპეციალური მაწარმოებლები ესაჭიროება. არსებით სახელთა წარმოქმნისას საყრდენ ფუძედ შეიძლება გამოყენებული იყოს **ზედსართავი სახელები, არსებითი სახელები, არამარკირებული ზედსართავი შინაარსის ძირები და ზმნები.**

არსებით სახელთა სადერივაციო სუფიქსებია:

- ილა** – 1) მოქმედების სივრცე და დრო; 2) ნაზმნარი აბსტრაქტული სახელები;
- ღარ** – საზოგადო და საკუთარ სახელთა ასოციაციური მრავლობითი;

საგვარეულო სახელები;

-**ღუფ** – საზოგადო სახელთა ასოციაციური მრავლობითი;

-**ომ** – ნაზმნარ სახელთა არქაული მაწარმოებელი;

-**ოლ** – აბსტრაქტული სახელები;

-**ა** – 1) აბსტრაქტული სახელები; 2) მოქმედების სივრცე, ადგილი; 3) ტოპონიმები;

-**რნა** – მცენარეთა კრებული;

-**ხოვ** – ნომინალიზებული სუბიექტები;

-**არ** – მასდარები.

დასახელებულ სუფიქსთა ნაწილი რთული შედგენილობის ჩანს: **-ილა** და **-რნა** სუფიქსებში შესაძლებელია **-ა**-ს სეგმენტირება, რომელიც მრავალმნიშვნელობიანი სიტყვათმაწარმოებელი ბოლოსართია. ამ შემთხვევაში მას მოქმედების სივრცობრივი მიმართების გამოხატვის, ერთგვარი ლოკალიზების ფუნქცია აქვს.

ორნაწილიანი უნდა იყოს -**ღარ** და -**ღუფ** სუფიქსებიც: -**ღ** მსგავსებას გამოხატავს, -**არ** და -**უფ** კი – მრავლობითობას.

წოვათუშურში აგრეთვე მოიპოვება ქართულიდან ნასესხები სადერივაციო აფიქსები, რომლებიც არ გამოირჩევა პროდუქტიულობით. ისინი საკმაოდ ძველ ნასესხობებს უნდა წარმოადგენს. არაერთი მათგანი გამოყენებულია თუშეთის ტოპონიმთა საწარმოებლადაც. საკუთრივ წოვათუშურ ძირებზე დართვით ისინი ქმნის ჰიბრიდულ ერთეულებს.

თხზულ არსებით სახელებში გამოიყოფა სუბორდინაციული, კოორდინაციული და ატრიბუტული ერთეულები. მათში გარჩეულია ენდოცენტრული და ეგზოცენტრული შინაარსის სახელები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს სტრუქტურულ-სემანტიკური ტიპი არ მოიპოვება ერთი მეტყველების ნაწილის ფარგლებში.

წოვათუშური ზედსართავი სახელები გამოირჩევა მათთვის დამახასიათებელი მორფოლოგიური სტრუქტურით. ვითარებით ზედსართავთა უმრავლესობა ხუთი ნაზალიზებული ხმოვნისგან ერთ-ერთზე ბოლოვდება. ისინი კვალიფიცირებულ იქნა ფუძის მაწარმოებელ დეტერმინანტებად. იგივე მორფემა გამოიყოფა მიმართებით ზედსართავთა საწარმოებელ რთული შედგენილობის სუფიქსებში. აღნიშნულ შემთხვევაში მათ მხოლოდ გრამატიკული ფუნქცია აქვს, სემანტიკური სიმძიმე კი ამგვარი აფიქსების თანხმობით ნაწილზე მოდის.

ზედსართავ სახელთაგან მხოლოდ რამდენიმეს მოეპოვება გრამატიკული კლასის პრეფიქსი. აღნიშნული გრამატიკული კატეგორია დიაქრონიულადაც ზედსართავ სახელთა მხოლოდ ნაწილისთვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. ეს შესაძლოა ფონეტიკური პირობებით იყო ნაკარნახევი.

მიმართებითი ზედსართავი სახელები მრავალფეროვანი შინაარსით გამოირჩევა და სხვადასხვა მეტყველების ნაწილისაგან იწარმოება შემდეგი სუფიქსებით:

-**წი^ნ/წე^ნ** – უყოლობა-უქონლობის სახელები; გამოიყენება ზმნისართული მნიშვნელობითაც;

-**რე^ნ/ლე^ნ** – ქონა-ყოლის სახელები;

-**ოვ/-ავ/-ივ** – ეთნონიმები და მამაკაცთა კლასის წარმომავლობის სახელები;

-ლინ – ქონა-ყოლის სახელები;

-ვენ – ქონა-ყოლის სახელები;

-ლაკ – სულიერ არსებით სახელთა ხასიათის თვისება;

-დენ – მსგავსების სახელები;

-ლდენ – რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები;

-ლუნ – დროითი მიმართების აღმნიშვნელი ზედსართავი სახელები;

-რიკ – ნაზმნარი ზედსართავი სახელი; მოქმედების სახელი; გამოიყენებოდა ტოპონიმთა და ანთროპონიმთა საწარმოებლადაც;

სინქრონიულ დონეზე მიმღობათა საწარმოებლად ორი სუფიქსი გამოიყენება:

-ინ□ – აწმყო და მყოფადი დროის მიმღობები;

-ნ□ – ნამყო დროის მიმღობები.

მიმღობების მაწარმოებელი ორივე სუფიქსი განსხვავებულ ფუძეს იყენებს საყრდენად. -ინ□ მაწარმოებელი ძირითადად აწმყოსა და მყოფადის მწკრივებს ეფუძნება, -ნ□ კი – აორისტს. ხშირია ფუძეთა ასიმეტრიები: სრული ასპექტის ფუძეების გამოყენება აწმყო დროის მიმღობისთვის, უსრული ასპექტისა – ნამყო დროის საობიექტო მიმღობისთვის და ა.შ. -ნ□ აწარმოებს ძირითადად საობიექტო მიმღობებს, -ინ□ კი – საობიექტოსაც და სასუბიექტოსაც. მათი შინაარსობრივი გამიჯვნა კონტექსტის მიხედვით ხდება.

რიგობით და წილობით რიცხვით სახელებს ზედსართავი სახელის მსგავსი მორფოლოგიური სტრუქტურა აქვს. მათი მაწარმოებელი -ლდენ ბოლოსართი რთული შედგენილობისაა. -ენ სუფიქსს ამ შემთხვევაშიც მათრიბუტივებელი ფუნქცია აქვს.

ნაცვალსახელთა დიდ ნაწილს არამოტივირებული ერთეულები შეადგენს. კუთვნილებითი ნაცვალსახელები პირის ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმებია. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები -ახ სუფიქსით, უარყოფითები კი ცო „არ“ ნაწილაკის პრეფიქსაციით იწარმოება. აკრძალვით ბრძანებითში მას მა „ნუ“ ენაცვლება. პირის ნაცვალსახელებზე -ა/-ე ნაწილაკის დართვით წარმოიქმნება მიმართებითი ნაცვალსახელები.

წოვათუშურ ენაში ზმნისართების უმრავლესობა თანდებულად და ზმნისწინადაც გამოიყენება. მოიპოვება როგორც არამოტივირებული, ისე ნაწარმოები ერთე-

ულები. მათგან უმრავლესობა ძირითად და თანებულიან ბრუნვათა ლექსიკა-ლიზებულ ფორმებს წარმოადგენს. ამ მხრივ ყველაზე პროდუქტიულია ლოკატივის -□ და გამსჭვალვითის -ხ ფორმანტები. უფრო იშვიათად გამოიყენება მოქმედებითის -ვ და ილატივ-ლოკატივის -ლო სუფიქსები. აქტიურია ზმნისართთა რედუპლიკაციური წარმოებაც.

ზმნისართული ფორმები იწარმოება როგორც ზედსართავი სახელის, ისე ზმნის ფუძისაგან. ეს უკანასკნელნი უსრული ასპექტის კონვერბებს, ე.წ. ნაზმნარ ზმნისართებს წარმოადგენს. ორივე მათგანის მაწარმოებელი სინქრონიულ დონეზე -შ სუფიქსია. იგი დაერთვის ზედსართავი სახელის დეტერმინირებულ ფუძეს, რომლის მაწარმოებელ ხმოვანსაც დაკარგული აქვს ნაზალობა, კონვერბების საწარმოებლად კი გამოიყენებულია აწმყო/მყოფადი დროის ფუძეები.

ფუძის სხვადასხვა სახის რედუპლიკაციით მიიღება დროისა და ადგილის ზმნისართები. გაორმაგება, ძირითად შემთხვევებში, ინტენსივობას სძენს ზმნისართით გამოხატულ შინაარსს.

ჯერობის ზმნისართები, რომლებიც მოქმედების ჯერობას გამოხატავს, რაოდენობითი რიცხვითი სახელების ირიბ ფუძეზე -წ ბოლოსართის დართვით იწარმოება.

ზმნისართები წარმოიქმნება -(V)ც და -კაც ნაწილაკების საშუალებითაც. ამა თუ იმ მეტყველების ნაწილის ფუძეზე დართვით ისინი განსხვავებული შინაარსის ზმნისართებს აწარმოებს. აღნიშნულ ნაწილაკებს, ცხადია, ყოველთვის არ აქვს სიტყვაწარმოების ფუნქცია.

წოვათუშურ ენაში რთული ზმნები გაცილებით მეტია, ვიდრე მარტივი. ეს უკანასკნელნი, შეიძლება ითქვას, სიტყვათა დახურულ კლასს წარმოადგენს. ახალი ზმნური ერთეულების შესაქმნელად ძირითადად light verb კონსტრუქციები გამოიყენება, რომლებიც სახელური და ზმნური ნაწილებისაგან შედგება. თუმცა ყველა რთული ზმნა არ არის ლექსიკალიზებული და ფუნქციონირებს როგორც შესიტყვება. ამდენად, მათ კომპოზიტები მხოლოდ ფართო გაგებით შეიძლება ვუწოდოთ. იშვიათად აქტანტური დერივაციის შედეგადაც იძენს ზმნა ახალ შინაარსს. აქვე უნდა

აღინიშნოს, რომ ნახურ-დადესტნურ ენათა უმრავლესობის მსგავსად, წოვათუშურშიც ზმნური კომპოზიტები გაცილებით პროდუქტიულია, ვიდრე სახელური.

რთული ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ნაწილად წოვათუშურში შესაძლოა წარმოდგენილი იყოს არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი და ზმნი-ზედა. არსებითი სახელი აბსოლუტივში ან ირიბ ბრუნვათაგან ერთ-ერთში დგას. როდესაც სახელური კომპონენტი აბსოლუტივშია, ძირითადად, კომპონენტთა შორის შიდა შეთანხმებაა გრამატიკულ კლასში. სახელი გააზრებულია ზმნის პირდაპირ დამატებად, ამიტომ ზმნურ ნაწილში მისი გრამატიკული კლასია ასახული. დანარჩენ შემთხვევაში კი ზმნური ნაწილი სხვა აქტანტს ეთანხმება.

წოვათუშური რთული ზმნების უმრავლესობა წარმოადგენს ე.წ. light verb კონსტრუქციებს. მოცემული მოდელი იმით განსხვავდება სხვა რთული ზმნებისაგან, რომ სემანტიკური სიმძიმე მოდის სახელურ ნაწილზე, ზმნას კი თითქმის დაკარგული აქვს თავისი ლექსიკური მნიშვნელობა და მხოლოდ გრამატიკულ ფუნქციას ასრულებს. ყველა ფლექსიური ელემენტი მას დაერთვის. ცხადია, ისვე განსაზღვრავს თხზული ზმნის ვალენტობას. ამგვარი კომპოზიტის ზმნური კომპონენტის შინაარსი ზოგჯერ სრულად აბსტრაჰირებულიც კია. რთულ ზმნათა ხსენებული სახეობა დამახასიათებელია მსოფლიოს ბევრი ენისათვის, მათ შორის ნახურ-დადესტნური ენებისათვის. ნახურ ენათა რთული ზმნები განსაკუთრებით საინტერესო სურათს ქმნის მორფოსინტაქსური და სემანტიკური მახასიათებლების მხრივ.

ქართული ენიდან წოვათუშური არა ზმნებს, არამედ საწყისებს სესხულობს. მათი გაზმნავება და ვალენტობის მარკირება კი საკუთარი მაწარმოებლებით, **დ-(ი)-არ** და **დ-ალ-არ** მეშველი ზმნებით ხდება. პირველ შემთხვევაში მიიღება გარდამავალი, მეორეში კი – გარდაუვალი ზმნები. ამგვარად, ქართულიდან ნასესხები ზმნებიც light verb კონსტრუქციებს წარმოადგენს. ამასთანავე, საწყისის ბოლოკიდურ პოზიციაში ყოველთვის წარმოდგენილია **-დ** თანხმოვანი, რომლის ფუნქციაც შესაძლოა, ქართული ხმოვანფუძიანი საწყისის ფონეტიკური ადაპტაცია იყოს.

ქვემოთ მოცემულია ყველა სადერივაციო აფიქსი საყრდენ ფუძეებთან ერთად:

ცხრილი 9. სადერევაციო აფიქსები და მათი საყრდენი ფუძეები

სუფიქსი	საყრდენი ფუძე	ნაწარმოები სიტყვა
-ილა	V	N
-ღარ	N	ASS LN
-ღუფ	N	ASS LN
-ომ	V	VN
-ოლ	ADJ, N	N
-ლობ	N	N
-ა	ADJ, N	N
-რნა	N	N
-ხოვ	V, N	N
-ლი ^ბ	NUM	N
-არ	V	VN
-წი ^ბ /-წე ^ბ	N, V, PRON	ADJ, ADV
-რე ^ბ /-ლე ^ბ	N, ADV	ADJ
-ოვ/-ავ/-ივ	N	ADJ
-ლი ^ბ	N, ADV	ADJ
-ვე ^ბ	N	ADJ
-ლავ	N	ADJ
-ღე ^ბ	N, ADJ, PRON	ADJ
-ლღე ^ბ	NUM	CARD, FRACT
-ლუ ^ბ	ADV, N	ADJ
-რიკ	V	ADJ
-ინ□	V	PTCP.PRS
-ნ□	V	PTCP.PST

-შ	ADJ, V	ADV, CV
-ბ	N, ADV	ADV
-ვ	N, ADV	ADV
-□	N, ADV	ADV
-ლმ	N, ADV	ADV
-წ	NUM	ADV
-(V)ე	N	ADV
-ოჰ	ADV	ADV

ბიბლიოგრაფია

1. აზმაიფარაშვილი, ლ., არდოტელი, ნ., ბუკია, მ., კაკაშვილი, დ., ლოლუა, რ. (2022). *არსებით სახელთა კომპოზიტური წარმოება კავკასიურ ენებში (შედარებით-შეპირიპირებითი ანალიზი)*. <https://ice.tsu.ge/wp-content/uploads/2022/11/არსებით-სახელთა-კომპოზიტური-წარმოება-კავკასიურ-ენებში.pdf>.
2. აზმაიფარაშვილი, ლ., არდოტელი, ნ., ლოლუა, რ., სანიკიძე, ლ., ფარეულიძე, რ. (2016). *ნახურ და დაღესტნურ ენათა შედარებითი გრამატიკა (I ნაწილი)*. <https://ice.tsu.ge/wp-content/uploads/2016/04/GRANTI-1-1.pdf>
3. ბატონიშვილი, ვ. (1973). *აღწერა სამეფოსა საქართველოსა* (ს. ყაუხჩიშვილის რედ.). საბჭოთა საქართველო.
4. ბერთლანი, ა. (2019). *თუშურენოვანი ანთროპონიმია და ტოპონიმია*. უნივერსალი.
5. გაგუა, რ. (1956). ზოგერთი ფონეტიკური პროცესი ბაცბური ენის ხმოვნებში. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, 8, 569–476. მეცნიერება.
6. გაგუა, რ. (1972). სესხების ზოგადი წესები ბაცბურში. *ენათმეცნიერების ინსტიტუტის 38-ე სამეცნიერო სესიის თეზისები*, 24-26.
7. გაგუა, რ., (1943). *ძირითადი და ერთთანდებულოანი ბრუნვები ბაცბურში* [საკანდიდატო დისერტაცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი].
8. გიგაშვილი, ქ. (2010). *თანამედროვე მსოფლიოს ლინგვისტური რუკა და საფრთხეში მყოფი ენების პრობლემები*. უნივერსალი.
9. გიულდენშტედტი, ი. (1964). *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში* (ტ. 2). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
10. გოგოლაშვილი, გ., არაბული ა., სუხიშვილი მ., მანჯგალაძე მ., ჭუმბურიძე ნ., ჯორბენაძე ნ. (2011). *თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია (სალიტერატურო ენა)*. მერიდიანი.
11. ითონიშვილი, ვ. (2012). *თუშეთი და თუშები*. უნივერსალი.

12. კაკაშვილი, დ. (2018). წოვათუშურ ენაში წარმომავლობის სახელები. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, 46, 43-47. თსუ გამომცემლობის სტამბა.
13. კაკაშვილი, დ. (2020). თხზულ არსებით სახელთა სტრუქტურა და კლასიფიკაციის საკითხი ქართულ და ნახურ ენებში. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, 48, 108-113. თსუ გამომცემლობის სტამბა.
14. კაკაშვილი, დ. (2023). ქართულიდან ნასესხები ზმნები წოვათუშურ ენაში. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული* (4), <https://aicl.tsu.ge/wp-content/uploads/2024/03/დ.-კაკაშვილი-GEO.pdf>.
15. კიკვიძე, ბ. (1958). ზედსართავი სახელი იბერიულ-კავკასიურ ენებში (მორფოლოგია და ძირითადი სინტაქსური ფუნქცია). *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, 71, 73-118. თსუ გამომცემლობა.
16. მაკალათია, ს. (1983). *თუშეთი*. ნაკადული.
17. მიქელაძე, მ. (2008). *ინტერფერენტული პროცესები წოვათუშურ ენაში: (წოვათუშურ-ქართული ორენოვნების მასალების მიხედვით)*. გლობუსი.
18. მიქელაძე, მ. (2011). *წოვათუშური ენის სახელთა მორფოლოგია*. საარი.
19. მიქელაძე, მ., ბერთლანი, ა., გიგაშვილი, კ., ცისკარიშვილი, მ. (2011). *წოვათუშური ტექსტები, წ.1*. უნივერსალი.
20. სანიკიძე, ლ. (1966). ფუძის გაორკეცება ბაცბურში. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, 15, 304-316. საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
21. სანიკიძე, ლ. (2010). ბაცბური(წოვა-თუშური) ენა (გრამატიკული ანალიზი, ტექსტები, ლექსიკონი) (გამოუქვეყნებელი ელექტრონული ნაშრომი).
22. უთურგაიძე, თ. (1966). *ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება*. მეცნიერება.
23. უკლება, თ. (2005). *ინფინიტური კონსტრუქცია საშუალო ქართულში*. [სადისერტაციო ნაშრომი მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი].

24. ფარეულიძე, რ. (1990). ღარ სუფიქსის გენეზისისათვის ჩეჩნურში. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, 29, 204–207. მეცნიერება.
25. ფარეულიძე, რ. (2010). *ჩეჩნური ენის ქისტური დიალექტი (გრამატიკული ანალიზი, ტექსტები, ლექსიკონი)*. <https://www.academia.edu/37682065/>
26. ფარეულიძე, რ. (2015). *ჩეჩნური ენის პრაქტიკული სახელმძღვანელო ქრესტომათიითა და ჩეჩნურ-ქართული ლექსიკონით*. კავკასიურ ენათა (აფხაზური, ჩეჩნური, ხუნძური, უდიური, ოსური) პრაქტიკული სახელმძღვანელოები. <https://caucasiology.tsu.ge/docs/geo/proektebi/chechnuri-ena.pdf>.
27. ფარეულიძე, რ. (2023). ადამიანთა წარმომავლობისა და ადგილთა სახელების (ტოპონიმების) წარმოების ზოგი საკითხი ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში. *არნ. ჩიქობავას საკითხავების მასალები*, 34, 42–45.
28. შანიძე, ა. (1970). თუშები. *მნათობი*, (2), 103–106.
29. შანიძე, ა. (1973). *ქართული გრამატიკის საფუძვლები I, მორფოლოგია*. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
30. ჩიქობავა, ა. (1942). *სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში*. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
31. ჩიქობავა, ა. (1979). *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი*. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
32. ჭრელაშვილი, კ. (1979). *წოვა-თუშური და ქართული ენის ლექსიკისა და მორფოლოგიის ზოგიერთი საკითხი*. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
33. ჭრელაშვილი, გ. (2002). *წოვა-თუშური ენა*. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
34. ხუბუტია, კ. (1969). *თუშური კილო*. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
35. Bisetto, A., & Scalise, S. (2005). The classification of compounds. *Lingue e Linguaggio*, 4(2), 319–332.

36. Bloomfield, L. (1926). A set of postulates for the science of language. *Language*, 2(3), 153–164.
37. Daniel, M., & Moravcsik, E. (2013). The associative plural. In M. S. Dryer & M. Haspelmath (Eds.), *The World Atlas of Language Structures Online (WALS)*. Max Planck Institute for Evolutionary Anthropology.
38. Dirr, A. (1928). *Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen*. Verlage der Asia major.
39. Dotton, Z., & Wagner, J. D. (2018). *A grammar of Chechen*. Duke University Slavic and East European Language Resource Center.
40. Hauk, B., & Harris, A. C. (2018). Batsbi. In Y. Koryakov, Y. Lander, & T. Maisak (Eds.), *The Caucasian Languages: An International Handbook* (to appear). Mouton de Gruyter.
41. Hauk, D. (2020). *Deixis and reference tracking in Tsova-Tush* [doctoral dissertation, University of Hawai‘i at Mānoa]. University of Hawai‘i at Mānoa.
42. Hockett, C. H. (1954). Two models of grammatical description. *Word*, 1, 386–399.
43. Holisky, D. A. (1987). The case of the intransitive subject in Tsova-Tush (Batsbi). *Lingua*, 71, 103–132.
44. Holisky, D. A., & Gagua, R. (1994). Tsova-Tush (Batsbi). In R. Smeets (Ed.), *The Indigenous Languages of the Caucasus: Volume 4, The North East Caucasian Languages* (pp. 147–212). Caravan Books.
45. Nichols, J. (2004). The origin of the Chechen and Ingush: A study in alpine linguistic and ethnic geography. *Anthropological Linguistics*, 46 (2), 129–155.
46. Nichols, J. (2011). *Ingush Grammar*. Los Angeles, London: University of California Press.
47. Polinsky, M. (Ed.). (2021). *The Oxford handbook of languages of the Caucasus*. Oxford University Press.
48. Schiefner, A. (1856). *Versuch über die Thusch-Sprache*. Kaiserliche Akademie der Wissenschaften.
49. Thomason, S. G., & Kaufman, T. (1988). *Language contact, creolization, and genetic linguistics*. University of California Press.

50. Wichers Schreur, J. (2021)a. Gender assignment in mixed Tsova-Tush–Georgian nominal constructions. *Language Typology and Universals*, 74(1), 1–20.
51. Wichers Schreur, J. (2021)b. Nominal borrowings in Tsova-Tush (Nakh-Daghestanian, Georgia) and their gender assignment. In D. Forker & L. A. Grenoble (Eds.), *Language contact in the territory of the former Soviet Union* (pp. 15–34). John Benjamins Publishing Company.
52. Wichers Schreur, J. (2024). *Intense language contact in Eastern Georgia: The case of Tsova-Tush* [doctoral dissertation, Johann Wolfgang Goethe University, Frankfurt am Main].
53. Wichmann, S. (2005). Loan verbs in a typological perspective. In M. Haspelmath & U. Tadmor (Eds.), *Loanwords in the world's languages: A comparative handbook* (pp. 89–121). De Gruyter Mouton.
54. Wichmann, S., & Wohlgemuth J. (2008). Loan verbs in a typological perspective. In P. Siemund & N. Kintana (Eds.), *Aspects of language contact* (pp. 89–121). John Benjamins.
55. Ylikoski, J. (2003). Defining non-finites: Action nominals, converbs, and infinitives. *SKY Journal of Linguistics*, 16(1), 185–237.
56. Гагуа, Р. (1983). Основные вопросы фонетики и морфологии Бацбийского имени. *Ежегодник ИКЯ*, X, 173–262.
57. Дешериев, Ю. Д. (1953). *Бацбийский язык*. Академия наук СССР.
58. Дешериев, Ю. Д. (1963). *Сравнительно-историческая грамматика нахских языков и проблемы происхождения и исторического развития горских кавказских народов*. Чечено-Ингушское книжное издательство.
59. Сулейбанова, М. У. (2009). *Композитное словообразование в нахских языках* (диссертация доктора филологических наук, ин-т яз., лит. и искусства им. Г. Цадасы).
60. Чокаев, К. З. (1968). *Морфология чеченского языка*. Чечено-Ингушское книжное издательство.

61. Чокаев, К. З. (1970). *Словообразование имен существительных в чеченском литературном языке*. Чечено-Ингушское книжное издательство.
62. Яковлев, Н. Ф. (1960). *Морфология чеченского языка*. Чечено-Ингушское книжное издательство.

ლექსიკონები

63. ბერთლანი, ა., მიქელაძე, მ., გიგაშვილი, ქ. (2013). *წოვათუშურ-ქართულ-რუსულ-ინგლისური ლექსიკონი*, (ტ. 2). საარი.
64. ბერთლანი, ა., მიქელაძე, მ., და გიგაშვილი, ქ. (2013). *წოვათუშურ-ქართულ-რუსულ-ინგლისური ლექსიკონი* (ტ. 1). საარი.
65. ფარეულიძე, რ. (2017). *ქართული-ინგუშური ლექსიკონი (ლინგვისტური კომენტარებით, ინდექსითა და გრამატიკული ნარკვევით)*. პროექტი "ქართულ-კავკასიური ლექსიკონები I". <https://ice.tsu.ge/wp-content/uploads/2017/07/ლოლუა-AR2432-13214-ინგუშურ-ქართული-ლექსიკონი-გაერთიანებული-რ.-ფარეულიძე.pdf>
66. ფარეულიძე, რ. *ქართული-ჩეხური ონლაინ ლექსიკონი*. ენათმეცნიერების ინსტიტუტი. <https://ice.tsu.ge/liv/chech.php>.
67. ქადაგიძე, დ., და ქადაგიძე ნ. (1984). *წოვა-თუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი*. მეცნიერება.
68. ჩიქობავა, ა. (რედ.). (1950–1964). *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი* (ტომი 5). საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.

წყაროები

69. მიქელაძე, მ., ბერთლანი, ა., გიგაშვილი, კ., ცისკარიშვილი, მ. (2014). *წოვათუშური ტექსტები*, წ.2. უნივერსალი.
70. მიქელაძე, მ., ბერთლანი, ა., გიგაშვილი, ქ., ცისკარიშვილი, მ. (2011). *წოვათუშური ტექსტები*. ნაწილი I (ინგლისურად თარგმნეს: ე. ძამიაშვილი და ე. ნახუცრიშვილი; რედაქტორი: ვ. შენგელია). უნივერსალი.
71. ქადაგიძე, ე. (2009). *წოვათუშური ტექსტები*. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ციფრული წყაროები

72. Kakashvili, D., & Skopeteas, S. (2024). *Tsova-Tush (Bats/bi) Spoken Data Corpus*.
Online published at zenodo, Corpus resource: University of Göttingen

ინტერნეტრესურსები

73. იუნესკოს მსოფლიოს ენათა ატლასი, retrieved January, 15, 2025,
<https://en.wal.unesco.org/languages/bats>.